

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი



ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ეკონომიკის დეპარტამენტი

დოქტორანტი: ქეთევან ჭანიძე

**დემოგრაფიული პროცესების ეკონომიკური მოდელირება
მზარდი ეკონომიკის პირობებში (აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის მაგალითზე)**

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სპეციალობა: ეკონომიკა

მეცნიერ-ხელმძღვანელი

ასოც. პროფესორი დავით ქათამაძე

ბათუმი 2018

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი -----	3
თავი I. ეკონომიკისა და მოსახლეობის სტრუქტურის ურთიერთკავშირის მეთოდოლოგიური საფუძვლები -----	9
1.1. ეკონომიკური დემოგრაფიის არსი, მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრის მოდელები -----	8
1.2. მოსახლეობის ექსპონენციალური მოდელი -----	33
1.3. მოსახლეობის სტატისტიკურ-რაოდენობრივი შეფასების თანამედროვე მოდელები-----	48
1.4. დემოგრაფიული სტატისტიკის პრობლემები საქართველოში -----	63
თავი II. მოსახლეობის დასაქმების ინდექსი და პროგნოზირების საფუძვლები -----	70
2.1. მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა და დასაქმება -----	70
2.2. მოსახლეობის დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები-----	90
2.3. მოსახლეობის დასაქმების ინდექსური, გრაფიკული და ბალანსური მოდელები---	
-----	106
თავი III. საქართველოს მოსახლეობის სტრუქტურის სოციალურ-ეკონომიკური შეფასება -----	119
3.1. საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დემოგრაფიული ვითარების ზოგადი ტენდენციები -----	119
3.2. საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების ოპტიმალური რეჟიმის პარამეტრები -----	134
3.3. მოსახლეობის ასაკობრივ-ეკონომიკური პირამიდები -----	145
3.4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკისა და მოსახლეობის სტრუქტურის ურთიერთკავშირის ანალიზი -----	153
დასკვნები -----	172
რეკომენდაციები -----	181
დანართი -----	183
გამოყენებული ლიტერატურა-----	192

შესავალი

თემის აქტუალობა: საქართველოს ეკონომიკისა და მოსახლეობის სტრუქტურის ურთიერთკავშირის დადგენა მოითხოვს შესაბამისი კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავებას. კერძოდ, უნდა შეიქმნას მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრის ისეთი მოდელები, რაც მოგვცემს ჩვენს ხელთ არსებული, ეკონომიკური რესურსების პოტენციალის ამოქმედებისა და დამატებითი უცხოური რესურსების მოზიდვის საშუალებას, რათა გაძლიერდეს პოზიციები შიგა და გარე ბაზარზე.

მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრის ოპტიმალური მოდელის მეშვეობით ეკონომიკური რესურსების პოტენციალის ამოქმედება და დამატებითი უცხოური რესურსების მოზიდვის შესაძლებლობა შეიძლება განვიხილოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე, რომლის გავრცობაც შეიძლება მოხდეს მთლიანი ქვეყნის მასშტაბით. საქართველოს ეკონომიკის (და მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის) დარგების განვითარება ჯერ კიდევ ვერ პასუხობს მოსახლეობის მოთხოვნებს. თუმცა არსებული პოტენციალის რაციონალური გამოყენების შემთხვევაში, სავსებით შესაძლებელია ადგილობრივმა საწარმოებმა არა მარტო უზრუნველყონ ქვეყნის (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის) მოსახლეობის მოთხოვნის გაჯერება ქართულ ტრადიციულ დარგებში წარმოებული პროდუქციით, არამედ განავითარონ საექსპორტო დარგებიც და ხელი შეუწყონ ქვეყანაში ექსპორტი-იმპორტის დაბალანსებას, რაც ქვეყნის ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ქვეყნები, რომლებმაც მიაღწიეს მაღალგანვითარებულ ეკონომიკას, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იყენებდნენ საკუთარი პროდუქციის წარმოებისა და ხალხთმოსახლეობის რეგულირების ღონისძიებათა სისტემას (საზოგადოებრივი, ორგანიზაციული, ეკონომიკური), რომელშიც ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოსახლეობის აღწარმოების ექსპონენციალური მოდელის შემუშავებას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობისა და ეკონომიკის სტრუქტურის ურთიერთკავშირის მეთოდოლოგიური საფუძვლების კვლევის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ ეკონომიკასა და მოსახლეობის სტრუქტურას შორის ურთიერთობების რეგულირების მექანიზმების სრულყოფის პროცესი უნდა

წარმოადგენდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკური საქმიანობის გრძელვადიანი სტრატეგიის განსაზღვრის მთავარ ორიენტირს. მასში გათვალისწინებული უნდა იყოს ეკონომიკის გლობალიზაციის მოვლენების სწრაფი ცვალებადობა, ეკონომიკასა და მოსახლეობის სტრუქტურას შორის კავშირების გაძლიერება.

შედეგად, ქვეყანაში, და მათ შორის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, იქმნება ობიექტური აუცილებლობა იმისათვის, რათა მოხდეს ეკონომიკურად აქტიური სუბიექტების საქმიანობის მოტივაციის ღონისძიებათა პერმანენტული სრულყოფა და მიმდინარე პროცესებთან შესაბამისობაში მოყვანა. ზემოთ ჩამოყალიბებულმა მოსაზრებებმა, რაც დაკავშირებულია საქართველოს მოსახლეობის აღრიცხვის სტაბილური მოდელით დაინტერესებასთან, განაპირობეს საკვლევი თემის არჩევა.

კვლევის მიზნები და ამოცანები: ნაშრომის კვლევის მიზანია ეკონომიკისა და მოსახლეობის სტრუქტურის ურთიერთკავშირის მეთოდოლოგიური საფუძვლების ეკონომიკურ-დემოგრაფიული პროცესების სწორად წარმართვის ხელშემწყობი მექანიზმის სრულყოფის წინადადებების ჩამოყალიბება/შეთავაზება.

დასახული მიზნის მისაღწევად ჩამოყალიბებულია შემდეგი ამოცანები:

1. მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრის მოდელების კლასიფიცირება და მათი გამოყენება საქართველოს მაგალითზე:
 - მოსახლეობის ექსპონენციალური მოდელის განსაზღვრა;
 - მოსახლეობის აღრიცხვის სტაბილური მოდელის ექსტრაპოლაცია/ანალიზი;
 - მოსახლეობის სტატისტიკურ-რაოდენობრივი შეფასების თანამედროვე მოდელების მოდიფიცირება საქართველოსთვის;
2. მოსახლეობის აღწარმოების არსებული დემოგრაფიული მეთოდების საფუძველზე ეკონომიკისა და მოსახლეობის სტრუქტურის ურთიერთდაშორებულების სრულყოფასთან დაკავშირებული, თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტების განზოგადება და გადრმავეება;
3. მოსახლეობის დასაქმების ინდექსისა და ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურის გაანალიზების საფუძველზე საზოგადოების ეკონომიკური აქტივობისა და დასაქმების პრობლემების კლასიფიცირება;

4. შრომის, როგორც წარმოების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორის რაოდენობრივი მახასიათებლების შეფასება: მოსახლეობის დასაქმებისა და უმუშევრობის ინდექსური მაჩვენებლები; მოსახლეობის დასაქმების ბალანსური და დასაქმებული მოსახლეობის პროგნოზირების მაჩვენებლები;
5. მოსახლეობის აღწარმოების რაოდენობრივი მახასიათებლების, აგრეთვე ასაკობრივ-ეკონომიკური პირამიდების ანალიზი და მათ საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება დემოგრაფიული პოლიტიკის ტენდენციების განსაზღვრის მიზნით.

კვლევის საგანი: ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს ეკონომიკისა და მოსახლეობის სტრუქტურის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა, მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრის თანამედროვე მიდგომების ანალიზი; მოსახლეობის ექსპონენციალური მოდელის ისტორიული განხილვა; მოსახლეობის სტატისტიკური შეფასების თანამედროვე მოდელების განსაზღვრა.

კვლევის სიახლე: სადისერტაციო ნაშრომის კვლევის შედეგად მიღებულ მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ის, რომ მასში:

- მოსახლეობის აღწარმოების სტატისტიკურ-რაოდენობრივი მოდელების შედარებითი ანალიზისა და შრომითი სისტემის, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორის ურთიერთკავშირის საფუძველზე განსაზღვრულია ეკონომიკურ-დემოგრაფიული ტენდენციები საქართველოსათვის;
- შესწავლილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის სტრუქტურის სოციალურ-ეკონომიკური დინამიკა, გაანალიზებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დემოგრაფიული მდგომარეობა. განსაზღვრულია დემოგრაფიული ოპტიმუმი, როგორც დემოგრაფიული პოლიტიკის მიზანი, შეფასებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დემოგრაფიული პოლიტიკა, შემუშავებულია დემოგრაფიული პროცესების ოპტიმალურობის კრიტერიუმები.

კვლევისათვის გამოყენებული თეორიულ-მეთოდოლოგიურ ბაზა მოიცავს მთელ რიგ მეთოდურ რეკომენდაციებს. ამიტომ თემა აქტუალურია როგორც მეთოდოლოგიურ-თეორიულ, ისე გამოყენებით ასპექტში. მოსახლეობის დე-

მოგრაფიული პროცესების, ეროვნულ და საგარეო ბაზრებზე ჩვენი ქვეყნისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკურად აქტიური სუბიექტების საბაზრო ქცევის რეგულირების მექანიზმის, განსაკუთრებით მისი პრაქტიკული ასპექტების კვლევამ, ჯერ კიდევ ვერ მიიქცია თანამედროვე ქართველი ეკონომისტების სათანადო ყურადღება, რაც განპირობებულია მრავალი მიზეზით, მათ შორის სამეწარმეო სუბიექტების შესაძლებლობის პოტენციალზე უფრო დაბალი დონის მონაწილეობით.

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ქართველ და უცხოელ მეცნიერ-ეკონომისტთა მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, პუბლიკაციები და ბროშურები, რომელთაგან ცალკე გამოყოფთ: ლ. ბალცეროვიჩის, ტ. ბესლის, რ. ბურგესს, ა. გრანბერგს, პ. კრუგმანს, პ. ლინდერტს, გ. მენქიუსს, ფ. ბინშტოკს, ნ. გავრილკოს, ნ. ვოლგინას, ვ. ნაზარენკოს, ა. პოპოვს, ი. სალიმჯანოვს, ე. სეროვას. ეკონომიკურად აქტიური სუბიექტების სამეწარმეო-სასაქონლო საქმიანობის პრობლემებისადმი მიძღვნილ კვლევებში განსაკუთრებით დიდი როლი ეკისრება ისეთ ქართველ მკვლევართა პუბლიკაციებს, როგორიცაა: პ. გუგუშვილი, ნ. ჭითანავა, დ. ძნელაძე, რ. ხარებავა, კ. ერაძე, გ. თოდუა, მ. კვარაცხელია, თ. კუნჭულია, ი. მესხია, ვ. პაპავა, ნ. ტერაშვილი, გ. ურიდია, ო. ქეშელაშვილი და სხვ.

ცალკე უნდა გამოვყოთ ქართველ დემოგრაფთა: გ.წულაძის, ა.სულაბერიძის, ლ.ჩიქავას, მ.ხმალაძის, მ.ტუხაშვილის, მ.შელიას, ნ.გომელაურის და სხვების მეცნიერული გამოკვლევები.

ნაშრომის კვლევის დროს გამოყენებულია მეცნიერული აბსტრაქციის, ისტორიულისა და ლოგიკურის, ანალიზის, სინთეზის, სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვების, თავმოყრის და დაჯგუფების მეთოდები. ნაშრომის დამუშავების პროცესში გამოყენებულია შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ლიტერატურა, უნივერსიტეტის კომპიუტერული კლასი და ინტერნეტ-ტექნოლოგიები, საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს, საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების სამინისტროს, სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და სხვა დაწესებულებათა მასალები.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის შედეგი: ნაშრომის კვლევის ძირითადი დებულებები და შედეგები 5 სტატიის სახით გამოქვეყნებულია საერთაშორისო კონფერენციების მასალებში, საერთაშორისო რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალებში.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომის მიზნებმა და ამოცანებმა განსაზღვრა ნაშრომის სტრუქტურა, რომელიც აგებულია ლოგიკური თანმიმდევრობის, ცალკეულ საკითხებს შორის ურთიერთდამოკიდებულების, საკვლევი პრობლემის ღრმა ანალიზის პრინციპებზე. ნაშრომი მოიცავს 198 გვერდს. იგი შედგება შესავლის, სამი თავის, 11 ქვეთავის, 16 ცხრილისაგან, 16 დიაგრამისაგან, 5 გრაფიკისაგან, დანართისაგან დასკვნებისა და რეკომენდაციების, გამოყენებული (მათ შორის უცხოურ ენაზე) ლიტერატურისა და დანართისაგან.

თავი I

ეკონომიკისა და მოსახლეობის სტრუქტურის ურთიერთკავშირის მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.1. ეკონომიკური დემოგრაფიის არსი, მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრის მოდელები

საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, დემოგრაფიულ მოვლენებსა და პროცესებზე საზოგადოების ზემოქმედების შესაძლებლობები შეზღუდულია. ერთი მხრივ, რთულია საჭირო რაოდენობის მატერიალური და ფინანსური რესურსების მობილიზება, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის მისაღები რეპროდუქციული განწყობის ჩამოყალიბება და მისი შესაბამისი დემოგრაფიული ქცევის რეალიზაცია. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია არა მარტო ადამიანთა შეხედულებების მრავალგვარობა, არამედ მათი განწყობის განმსაზღვრელი ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების, ეროვნული, ოჯახური, რელიგიური ტრადიციების მრავალფეროვნება და ცხოვრებისეულ ფასეულობათა ორიენტაცია. სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ნების გამოხატვისა და სათანადო ღონისძიებების გატარების გარეშე, საქართველოს მოსახლეობის (ქართველი ერის) კლების შეჩერება შეუძლებელია.

მოსახლეობის სტრუქტურას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს **ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური პირობები**. ამავე დროს დემოგრაფიული პროცესებისა და სტრუქტურის ცვლილება პირდაპირკავშირშია ქვეყანაში მიმდინარე **ეკონომიკურ პროცესებთან**. ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის სტრუქტურას შორის კავშირი რთული და მრავალფეროვანია. ამიტომ თანამედროვე ინდუსტრიული ცივილიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს **ეკონომიკური ზრდისა და მოსახლეობის ურთიერთქმედების განსაზღვრას** ეკონომიკური და დემოგრაფიული პროცესების რთული ჯაჭვის შესწავლის მიმართულებით. ეს გამოწვეულია იმით, რომ შრომა ანუ ადამიანური კაპიტალი წარმოების ძირითადი ფაქტორია.

საზოგადოებრივი განვითარების ეკონომიკურ-დემოგრაფიული პროცესების ღრმა ანალიზი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა თანამედროვე ვითარებაში. ამ

პრობლემის მთავარი მიზეზი შეიძლება იყოს ადამიანური კაპიტალის, მოსახლეობისა და შრომითი რესურსების განაწილება სახელმწიფოს მასშტაბით. ეკონომიკისა და მოსახლეობის სტრუქტურის ურთიერთქმედების შესწავლისას უნდა განვიხილოთ დემოგრაფიული პროცესების გავლენა ეკონომიკური პროცესების ისეთ მდგენელზე, როგორცაა: წარმოება, განაწილება, ბრუნვა და მოთხოვნა [Boiko 2003].


ეკონომიკურ-დემოგრაფიული პროცესები შესაძლებელია განხილულ იქნას ვიწრო ან ფართო სპექტრში. ეკონომიკური და დემოგრაფიული პროცესების ურთერთკავშირის კვლევა შეიძლება ჩაითვალოს კვლევის ფართო სპექტრად, ხოლო ვიწრო გაგებით ეკონომიკური დემოგრაფია შეიძლება განვიხილოთ, როგორც მოსახლეობის სქესობრივი შემადგენლობისა და აღწარმოების ბუნებრივი კომპონენტების განსაკუთრებული გავლენის შესწავლა წარმოებაზე და კეთილდღეობის განაწილებაზე. დასაქმება ამ კომპონენტების მთავარი დამაკავშირებელი რგოლია [Jak 1996:234]

ეკონომიკურ-დემოგრაფიული პროცესების უკეთ გააზრება პირდაპირ უკავშირდება სამუშაო ძალას. ერთის მხრივ შესაძლებელია სამუშაო ძალა განვიხილოთ, როგორც წარმოების მთავარი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს მოსახლეობის ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკურ დონეს. მეორე მხრივ, სამუშაო ძალად შეიძლება ჩაითვალოს საერთო მოსახლეობის შრომის უნარი, ანუ სამუშაო რესურსი, რომელსაც ფლობს საზოგადოება განვითარების გარკვეულ საფეხურზე. სამუშაო ძალა აერთიანებს დასაქმებას და უმუშევრობას. სამუშაო ძალის ასეთი ფორმულირება მიესადაგება მხოლოდ შრომისუნარიან მოსახლეობას როგორც წარმოების ერთ-ერთ ფაქტორს.

ამ შემთხვევაში არ გაითვალისწინება ადამიანის ყველა პიროვნული თვისება, უნარი, ასევე არ გაითვალისწინება საზოგადოების რელიგიური ცხოვრებისა და აღმსარებლობის დონე, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის ზნეობრივი დაცემა შეიძლება გახდეს ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი. შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის შრომითი პოტენციალი ეს არის მოცემულ საზოგადოებაში საერთო ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული მახასიათებლების განვითარება, რომლებიც განხორციელებულია ან შესაძლებელია განხორციელდეს არსებული შრომითი ურთიერთობებისა და საზოგადოებრივი აქტივობის ჩარჩოებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, შრომითი პოტენციალი, შესაძლოა განისაზღვროს სამი ურთიერთ-

დაკავშირებული ქვესისტემით: ეკონომიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური (ასევე საზოგადოების რელიგიურობა) და დემოგრაფიული ქვესისტემა (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1. შრომითი პოტენციალის სისტემა



დემოგრაფიული ქვესისტემის შემადგენლობაში შედის: მოსახლეობის სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ ურთიერთობათა მატარებელი თაობების უწყვეტ განახლებას ყველა სოციალურ ჭრილში; ჯანმრთელობის კოეფიციენტის შეფასება მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიისა და ასაკობრივ ჯგუფებში; შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაცია. ასეთი ქვესისტემა არის შრომითი პოტენციალის რაოდენობრივი საფუძველი. რაოდენობრივი ელემენტის სიჩქარე და მიმართულება მდგომარეობს იმაში, რომ მზარდი ეკონომიკის პირობებში თაობებს შორის ხდება მოსახლეობის შრომითი პოტენციალის მუდმივი აღმავლობა.

სოციალურ-ეკონომიკური ქვესისტემა ანუ მოსახლეობის სამუშაო პოტენციალის ხარისხობრივი ელემენტი - მასში ცენტრალურ ადგილს იკავებს მოსახლეობის სამუშაო აქტივობა, რაც გამოიხატება მოსახლეობის დასაქმებაში, მართვაში, ეკონომიკურ აქტივობაში. საბაზრო ეკონომიკამ უნდა შექმნას ისეთი სოციალური გარანტიები და მხარდამჭერი ღონისძიებები, რაც დაეხმარება მოსახლეობას დანაზოგის შექმნაში, ,

რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სამუშაო ადგილის ცვლილებით ან კვალიფიკაციის ამაღლებით გამოწვეული დროებითი უმუშევრობის დროს.

სოციალური ქვესისტემა გვთავაზობს პრობლემების გადაჭრას პიროვნების, როგორც მუშა აქტივის, ფორმირების პროცესში. ეს ქვესისტემა აუცილებელია შრომისუნარიანობის ჩამოყალიბების პროცესში, რაც თავისთავად გულისხმობს: აღზრდას, განათლებას, პროფესიულ მომზადებას. იგი ასევე შესაძლებელს ხდის ამავე ქვესისტემაში განხილული იქნას ადამიანის რელიგიურობის დონე. რელიგიას, კერძოდ, კი ქრისტიანობას, მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში, ჩვენს შემთხვევაში, როგორც სოციალური ქვესისტემის ერთ-ერთი შემადგენელი და, თავის მხრივ, შრომითი პოტენციალის ნაწილი. რამდენად დიდია ქრისტიანობის გავლენა სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაზე დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნის მოსახლეობის თვითშეგნებაზე, განათლებაზე, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობაზე. თუკი საქართველოს მოსახლეობის 83,4% მართლმადიდებელი ქრისტიანია, მაშინ რატომ ჩამოვრჩებით ეკონომიკური განვითარებით სხვა ქვეყნებს?

შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობის დამოკიდებულება ქრისტიანობისადმი არაა ჭეშმარიტად სრულყოფილი და ქრისტიანების 83,4%-დან მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებს ქრისტეს მცნებების ზედმიწევნით დაცვას, ისევე როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებიდან მხოლოდ მცირე ნაწილი ახორციელებს ბიზნესის ჭეშმარიტ ქრისტიანულ, მორალურ და ზნეობრივ ნორმებზე დაფუძნებულ საგადასახადო ადმინისტრირებას. ისეთ ქრისტიანულ სახელმწიფოში, როგორც საქართველოა, სადაც ყველაზე სანდო პიროვნებად კათოლიკოს-პატრიარქი მიიჩნევა, რელიგია ბუნებრივია მოახდენს დადებით გავლენას საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე, მის ეკონომიკურ აღმავლობაზე *[„საქართველოს მართლმადიდებელ მორწმუნეთა დამოკიდებულება სოციალურ-დემოგრაფიული ქცევისა და ოჯახის პრობლემებისადმი“; თბილისი, 2016].*

სხვადასხვა რელიგიებს განსხვავებული მიდგომები აქვთ მრავალშვილიანობასთან მიმართებაში, მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებული კვლევებისა და დემოგრაფიული ლიტერატურის მიხედვით დემოგრაფიული ზრდის ტემპით მუსლიმანური ქვეყნები გამოირჩევა, შემდეგ მოდის ქრისტიანული, ხოლო ისეთ

ქვეყნებში, სადაც რელიგიური აღმსარებლობა მოსახლეობას არ მოუწოდებს მრავალ-შვილიანობისკენ, რეპროდუქციული ქცევები სხვანაირია. ვინაიდან შრომისუნარიანი მოსახლეობა წარმოების ძირითად ფაქტორს, ანუ შრომას ქმნის ამიტომ მოსახლეობის სტრუქტურა და ბუნებრივი მატების ტემპი დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. გარდა ამისა, თუ ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები რელიგიური დოგმების დაცვით წარმართავენ თავიანთ საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ მოღვაწეობას, ამ შემთხვევაშიც რელიგიური ფაქტორის გავლენით ქვეყნის ეკონომიკა მხოლოდ წინ წავა და უფრო ეფექტურად იმუშავებს ქვეყნის მართვის მექანიზმი.

შობადობაზე უამრავი ფაქტორი მოქმედებს, მაგრამ ამ ფაქტორებს შორის როგორც ავლნიშნეთ მნიშვნელოვანია რელიგიური აღმსარებლობა, სოციალურ-ეკონომიკური პირობები, ჯანმრთელობა და განათლების დონე ქვეყანაში. ზოგადად, მაჰმადიანურ ქვეყნებში მაღალია შობადობის დონე. პოსტსაბჭოთა სივრცეში შობადობა იმ ქვეყნებში გაიზარდა, რომელთა მოსახლეობაც მაჰმადიანურ სარწმუნოებას აღიარებს.

მართმადიდებლურ ქვეყნებში (რუსეთი, უკრაინა, საქართველო, ბელორუსი, მოლდოვა) დემოგრაფიული განვითარების მაჩვენებლები, განსაკუთრებით შობადობა, უაღრესად შემცირდა და კრიზისულ ზღვარს მიუახლოვდა. ცალკეული პერიოდების განმავლობაში, თითქმის ყველგან მოკვდავობამ გადააჭარბა შობადობას. მრავალშვილიანობის ტრადიცია მაჰმადიანებს შორის განმტკიცებულია სარწმუნოებით.

საქართველო მართმადიდებელი ქვეყანაა, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენს საზოგადოებაში მხოლოდ მცირე ნაწილი თუ წარმართავს საერო ცხოვრებას ქრისტიანული მორალით. გარდა ამისა, თუ დემოგრაფიული ვითარება მომავალში გაუმჯობესდა და შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი გაიზარდა, სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებლებმა ქვეყანაში უნდა შექმნან ისეთი ეკონომიკური ვითარება, რომ მოახდინონ სამუშაო ძალის, როგორც წარმოების მთავარი ფაქტორის ინტეგრაცია, რათა უკეთესი ცხოვრების ლოდინით ნაკლებად იყვნენ ემიგრაციის მსურველნი [*ჭანიძე 2014: 164*].

მოსახლეობის შრომითი პოტენციალის გაგება უნდა განსხვავდებოდეს თაობების შრომითი პოტენციალის გაგებისაგან. რას ნიშნავს თაობების შრომითი პოტენციალი? ეს არის მოსახლეობის სამუშაო აქტივობის საერთო ეკონომიკურ-დემოგრაფიული მაჩვენებელი. აღნიშნული მაჩვენებელი გულისხმობს ადამიანის სამუშაო აქტივობის საშუალო ასაკს, რომელიც ამ ადამიანმა უნდა განვლოს ეკონომიკურად აქტი-

ურ (ან დასაქმებულ) მასაში მოკვდავობის გარკვეული დონის გათვალისწინებით და ასევე აქტიური შრომის (ან დასაქმების) დონის გათვალისწინებით.

აქვე აუცილებელია ასევე ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს მოსახლეობის სამუშაო ძალა და მოსახლეობის სამუშაო პოტენციალი. ტერმინი „სამუშაო ძალა“ გამოიყენება მხოლოდ მოქმედი, მუშა-წარმოების პროცესში. მაშინ როცა „მოსახლეობის სამუშაო პოტენციალი“ არსებობს და გულისხმობს არა მხოლოდ მოქმედ წარმოებაში სამუშაო ძალის გამოყენებას, არამედ ის თავის თავში მოიცავს ადამიანის გამოუყენებელ აქტივობას იმ შემთხვევაში თუ წარმოება გაჩერებულია. აქედან გამომდინარე, მოსახლეობის სამუშაო პოტენციალი შეიძლება განისაზღვროს, როგორც გამოყენებული, ისე გამოუყენებელი ანუ სარეზერვო შრომის ნაკადი.

ეკონომიკაში შრომითი პოტენციალის რაოდენობრივი მაჩვენებელი დემოგრაფიული პროცესების ზემოქმედებას ეფუძნება. შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა და გენდერული შემადგენლობა ძირითადად განისაზღვრება სწორედ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობით. სახელმწიფოს შრომითი პოტენციალის ფორმირების მთავარი წყაროა - შობადობა. რაც შეეხება მოკვდავობას შრომით პოტენციალთან მიმართებაში, ის ამცირებს ამ პოტენციალს. თავის მხრივ ყურადსაღებია მიგრაციული პროცესები, რომელებიც გავლენას ახდენს შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობრივ ცვლილებაზე.

შრომით პოტენციალს მნიშვნელოვან ზიანს აყენებს სოციალური და ბუნებრივი კატაკლიზმები. მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობაში ცვლილებებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თანაფარდობა შრომისუნარიანი და შრომისუუნარო (ბავშვები, მოხუცები) მოსახლეობას შორის. რაც უფრო მეტია შრომისუუნარო მოსახლეობის წილი ქვეყანაში, მით უფრო დიდი ეკონომიკური დატვირთვით უნდა იმუშაოს ქვეყნის შრომისუნარიანმა მოსახლეობამ დანარჩენი, შრომისუუნარო ნაწილის გამოსაკვებად.

მნიშვნელოვანია შრომისუუნარო მოსახლეობის შემადგენლობის შესწავლა. ხანდაზმულთა ხვედრითი წილის ზრდას მივყავართ მოსახლეობის თანდათანობით დაბერებამდე, რაც, თავის მხრივ, იწვევს შრომისუნარიანი მოსახლეობის შემცირებას. ხოლო თუ დიდია ახალშობილთა ხვედრითი წილი, ამის შედეგად ხდება მოსახლეობის გაახალგაზრდავება და შრომისუნარიანი მოსახლეობის ზრდა.

მოსახლეობის მიგრაცია დამოკიდებულია ემიგრაციისა და იმიგრაციის თანაფარდობაზე. მიგრანტების მოცულობამ შეიძლება სხვადასხვაგვარად იმოქმედოს სახელმწიფოს შრომით რესურსებზე. მიგრაციის დადებით სალდოს, როგორც წესი, მიყვავართ შრომითი რესურსების ზრდისაკენ, ხოლო უარყოფითს კი - შემცირებისკენ. მნიშვნელოვანია ასევე მიგრანტების შემადგენლობა. თუკი ფიქსირდება ქვეყნიდან „ტვინთა გადინება“ ანუ მეცნიერ-მუშაკებისა და სხვადასხვა დარგის სპეციალისტების გასვლა საზღვარგარეთ სამუშაოდ, ეს უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე მეცნიერების თვალსაზრისით, შემდეგ უკვე აისახება ეკონომიკის ზრდის შეფერხებაზე, ხოლო მეცნიერების ჩამორჩენა ხდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მუხრუჭი. ეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეკონომიკის განვითარებას.

თუ სწრაფად იზრდება ბავშვების რიცხვი, მკვეთრად იზრდება მოთხოვნა საბავშვო პროდუქტებზე და, აქედან გამომდინარე, ვითარდება ბავშვთა კვებასთან და მომსახურებასთან დაკავშირებული წარმოება, ხოლო თუ მოსახლეობაში მიმდინარეობს დაბერების პროცესი, ამ შემთხვევაში ეკონომიკაც გადაეწყობა ხანდაზმულების მოთხოვნილებებზე. ეკონომიკურ დემოგრაფიას გააჩნია საკუთარი მეთოდები, რასაც ის იყენებს მის წინაშე მდგარი საკითხების შესწავლისას, ეს მეთოდები შეიძლება იყოს მეცნიერული, სტატისტიკური-რაოდენობრივი და ა.შ.

მეცნიერული მეთოდები მოიცავს: სამეცნიერო აბსტრაქციას, შედარებას, ანალიზს, სინთეზს, განზოგადებას, ჰიპოთეზების შემოწმებას და სხვა. ეკონომიკური დემოგრაფიის საერთო კანონზომიერი პროცესების გამოსაკვლევად გამოიყენება სტატისტიკურ-რაოდენობრივი მეთოდები, როგორცაა: დაჯგუფება, სტატისტიკური დაკვირვება, დინამიკური მწკრივების ანალიზი, აბსოლუტური და ფარდობითი სიდიდეების სისტემა. საერთო დემოგრაფიულ მეთოდებს მიეკუთვნება დემოგრაფიული მოდელირება და პროგნოზირება (სტაბილური მოსახლეობის, მოკვდავობის მოდელირება) ეკონომიკური დემოგრაფიის ანალიზის ტექნიკას მიეკუთვნება:

- ისეთი მაჩვენებლების გამოყენება, რომელშიც დათვლის ერთეულს წარმოადგენს მოსახლეობის მოსალოდნელი რაოდენობა;
- იმ მაჩვენებლების გამოყენება, რომელშიც დათვლის ერთეულს წარმოადგენს დრო (ხალხის საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა და ა.შ.) [Бойко... 2003: 11].

ეკონომიკური დემოგრაფიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა დემოგრაფიული პროცესებისა და სტრუქტურის გავლენის შესწავლა საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებაზე. მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის შესწავლისას ეკონომიკური დემოგრაფია მჭიდროდ უკავშირდება სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებს, ამასთან განიხილავს მის წინაშე მდგარ საკითხებს. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ეკონომიკურ თეორიას და საზოგადოებრივი წარმოების პროცესის შესწავლას.

მოსახლეობა, როგორც, განხილული თვალთახედვით, საზოგადოების მწარმოებლურობის მთავარი ძალა, წარმოადგენს ეკონომიკის ერთ-ერთ ელემენტს. თუ რომელიღაც რეგიონი საჭიროებს ეკონომიკურ განვითარებას და ამასთან გამოირჩევა შრომითი პოტენციალით ან პირიქით, წარმოადგენს ეკონომიკური კრიზისის რეგიონს, ეკონომიკური დემოგრაფია ისევე, როგორც სექტორული ეკონომიკა ამ პრობლემას იკვლევს შრომითი რესურსების, მათი წარმოქმნის წყაროების, გენდერული, პროფესიული, და სექტორული შემადგენლობის, როგორც მთლიანი მოსახლეობის, ასევე მისი შრომისუნარიანი ნაწილისა და მიგრანტების შემადგენლობის მხრიდან.

მოცემულ შემთხვევაში ეკონომიკური დემოგრაფიისათვის მოსახლეობის სტატისტიკა წარმოადგენს მეთოდს და ცოდნის ინსტრუმენტს. ამასთან ის არ კარგავს თავის დამოუკიდებელ მნიშვნელობას, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის სფერო. მაგალითად, როცა ვსაუბრობთ მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირებაზე დროის კონკრეტულ მონაკვეთში, ეს კონსტანტაციური ფაქტი პირველ რიგში ეხება მოსახლეობის სტატისტიკას, მაგრამ თუკი ვიტყვით, რომ მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების მთავარი მიზეზი ეს არის ბავშვების რაოდენობის შემცირება ოჯახში, ეს დასკვნა მიეკუთვნება როგორც მოსახლეობის სტატისტიკას, ისე დემოგრაფიას.

ეკონომიკური დემოგრაფია იყენებს რა სტატისტიკურ ინფორმაციას, პირველ რიგში, ასახავს მოსახლეობის ეკონომიკურ-დემოგრაფიულ მდგომარეობას. მთლიანი მოსახლეობისა და მასში შემავალი ჯგუფების განაწილება ხდება არსებობის წყაროს, განათლების, მრეწველობის ეკონომიკის. მოსახლეობის შესახებ რიცხვითი მონაცემების მიხედვით. როგორც წესი, ეს მონაცემები აიღება სტატისტიკურ სამსახურებში, რაც წარმოადგენს კვლევის ძირითად საფუძველს სხვადასხვა სახის ანალიზის თანხლებით. ამ მონაცემთა შეგროვება ხდება სტატისტიკური დაკვირვების შედეგად. პრაქტიკაში გავრცელებულია მონაცემების შეგროვების ისეთი ფორმები,

როგორცაა: მოსახლეობის აღწერა, შერჩევითი დაკვირვება, დემოგრაფიული მოვლენების მიმდინარე აღრიცხვა, რეგისტრირებისა და მონაცემების ავტომატური მართვა.

ძირითად სტატისტიკურ მონაცემებს აგროვებს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ორგანიზაციები, რომლებიც როგორც წესი ახორციელებენ მოსახლეობის გამოკვლევას. უფრო დაწვრილებით განვიხილოთ სტატისტიკური დაკვირვების სხვადასხვა მეთოდი. „სოციალური კვლევის მეთოდები იყოფა ორ ჯგუფად: **რაოდენობრივ და თვისობრივ** მეთოდებად. თუმცა ამ ორი ჯგუფის მეთოდებს შორის არის მნიშვნელოვანი განსხვავებები, მათ აერთიანებს ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოება: მათი მთავარი და, შეიძლება ითქვას, ერთადერთი მიზანია ჩვენი ცოდნის გამდიდრება სოციალური სამყაროს შესახებ“ [ზურაბაშვილი 2006: 5]. კვლევის რაოდენობრივი მეთოდები (გამოკითხვა) იშველიებს რაოდენობრივ მაჩვენებლებს - ქულებს, პროცენტებს და მიზნად ისახავს დაადგინოს სოციალური ფენომენის კვლევის სიხშირე.

მეთოდების ეს ჯგუფი უაღრესად ფორმალიზებულია, რის გამოც ისინი „მკაცრი“ მეთოდების სახელითაა ცნობილი. რაოდენობრივი მეთოდების მეცნიერულობას და ამ მეთოდების მეშვეობით მიღებული შედეგების სანდოობას სტატისტიკური კანონზომიერებები უზრუნველყოფს. რაოდენობრივი კვლევის შედეგების ერთ-ერთ მთავარ ღირსებას ამ შედეგების რეპრეზენტატულობა წარმოადგენს, რაც იმას გულისხმობს, რომ კვლევის პროცესში გამოკითხული ადამიანები (რესპოდენტები) პროპორციულად წარმოადგენენ მთელ მოსახლეობას ან მოსახლეობის იმ ნაწილს, რომლის შესწავლაც დაგეგმილია კვლევის პროცესში (ანუ გენერალურ ერთობლიობას, რომელიც განისაზღვრება ყოველი კონკრეტული კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე). რესპოდენტების შერჩევა ამართლებს გამოკითხვის შედეგთა გავრცობას გენერალურ ერთობლიობაზე, რის შედეგადაც საშუალება გვეძლევა, რესპოდენტთა მიერ გამოთქმული აზრი გენერალური ერთობლიობის წარმომადგენლების აზრად ჩავთვალოთ.

რაოდენობრივ მეთოდებს შორის მსოფლიო პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულია მასობრივი გამოკითხვა-ხალხის აზრის შესწავლა ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით. ამ მეთოდს საფუძვლად უდევს ორი დაშვება: 1. დაშვება იმის შესახებ, რომ მოსახლეობის მიერ სოციალური მოვლენების შეფასების გავრცელება გარკვეულ სტატისტიკურ კანონს ემორჩილება; და 2. დაშვება იმის შესახებ, რომ მსგავსი მდგომარეობის მქონე პიროვნებები, როგორც წესი, ანალოგიურად აფასებენ მოვლენებს.

თუმცა რაოდენობრივი მეთოდების ფარგლებში ინტენსიურად შეისწავლება რესპოდენტების მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები და/ან შეფასებები მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებით, ეს მეთოდები, როგორც წესი, ვერ დაგვემარება რესპოდენტთა მიერ გამოთქმული აზრის მოტივაციის შესწავლაში; რესპოდენტებს არ ეძლევათ საშუალება, ახსნან თუ რატომ ფიქრობენ ასე, და არა სხვაგვარად [ზურაბიშვილი 2006: 6].

სახელმწიფოს ფუნქცია საზოგადოების არსებობის და განვითარებისთვის საჭირო პირობების შექმნაში მდგომარეობს. ვინაიდან ეკონომიკა მოკლებულია მომენტალური ტრანსფორმაციის უნარს, ამიტომ სახელმწიფო რეფორმების გატარება დროის გარკვეული პერიოდის გათვალისწინებით ხდება. რეფორმირების პროცესი უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტული პერიოდების არსებობას და ამის საფუძველზე დაგეგმვისა და პროგნოზირების მნიშვნელოვანი მოდელების შემუშავებას. პროგნოზირება და დაგეგმვა ეკონომიკის მართვისა და რეგულირების მნიშვნელოვანი ელემენტებია. სახელმწიფოს ინტერესებშია ეკონომიკისათვის საზიანო ნეგატიური ფაქტორების გამოვლენა, ლიკვიდაცია და პოზიტიურ ფაქტორთა ზემოქმედების სტიმულირება.

ამ ამოცანას სახელმწიფო პროგნოზირების საშუალებით ახორციელებს, რაც ეკონომიკაზე ზემოქმედების არაპირდაპირ გზას წარმოადგენს. პროგნოზირება - ეს არის სპეციალური სამეცნიერო კვლევა, რომელიც მიმართულია მოვლენის ან პროცესის განვითარების პერსპექტივების გამოსავლენად. ტერმინი „პროგნოზირება“ ბერძნულად ნიშნავს წინდაწინ ცოდნას. რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ კონკრეტული მეთოდებით დავამუშავოთ კვლევის ობიექტის შესახებ არსებული ინფორმაცია და, მისი განვითარების ტენდენციიდან გამომდინარე, დავაკვირდეთ მის ევოლუციას მომავალში. ეს არის მეცნიერული განჭვრეტის ერთ-ერთი ფორმა და მოიცავს, როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ მაჩვენებლებს.

პროგნოზმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები: გამოთქმის მომენტში ცალსახად შეუძლებელია განისაზღვროს მისი ჭეშმარიტება და მცდარობა. რადგან პროგნოზი ეხება მიმდინარე პერიოდში არადაკვირვებად მოვლენას, ანუ იმას, რაც მომავალში იქნება. პროგნოზი უნდა შეიცავდეს მითითებას სივრცობრივ და დროით ინტერვალზე, რომლის შიგნითაც ვაკვირდებით მოვლენას. უნდა ვფლობდეთ იმ მეთოდებსა და ხერხებს, რომლითაც ფასდება პროგნოზის სიზუსტე და საიმედოობა.

პროგნოზირებამ უნდა მოგვცეს მეცნიერულ მეთოდებზე დაფუძნებული, მომავლის ობიექტური სურათი და გამოავლინოს ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ, საკვლევ ობიექტზე მომავალში. მაკროეკონომიკური პროგნოზირების მთავარი ფუნქცია მდგომარეობს მაკროეკონომიკური პროცესების და ტენდენციების მეცნიერული ანალიზის ჩატარებაში, ეკონომიკური სიტუაციების განჭვრეტაში, საკვანძო პრობლემების გამოვლენასა და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებაში. მაკროეკონომიკური პროგნოზირება დაფუძნებულია შემდეგ პრინციპებზე: პროგნოზის მეცნიერული დასაბუთება, პროგნოზირების უწყვეტობა, პროგნოზების შეთანხმებულობა, პროგნოზის მრავალვარიანტობა, ძირითად ფაქტორთა გამოვლენა, პროგნოზის შემუშავების სისტემურობა, პროგნოზის ვერიფიკაცია, ადეკვატურობა, რენტაბელობა.

პროგნოზირების ობიექტის ანალიზის ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპებს მიეკუთვნება: სისტემურობა, სპეციფიკურობა, პროგნოზირების ობიექტის არჩევის ოპტიმიზაცია, ანალოგიურობა. სამეცნიერო ეკონომიკურ ლიტერატურაში, მოდელირების და მართვის თეორიის მხრივ, გამოყოფენ მოდელების რამდენიმე კლასს: **1. ფუნქციონალური მოდელი**, რომელიც აღწერს ფუნქციას, რომელიც სრულდება სისტემის ძირითადი შემადგენელი ნაწილებით; **2. ფიზიკური პროცესის მოდელი**, რომელიც იგება წარმოების პროცესის ცვლადების მათემატიკურ დამოკიდებულებათა გამოვლენის საფუძველზე; **3. ეკონომიკური მოდელი**, რომელიც ეყრდნობა, სისტემის სხვადასხვა ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის დამოკიდებულებათა განსაზღვრას; **4. პროცედურული მოდელი**, რომელიც აღწერს სისტემის მმართველობითი ზემოქმედების წესრიგსა და შინაარსს; **5. საექსპერტო მოდელი**, რომელიც წარმოადგენს სპეციალურ ფორმულებს საექსპერტო შეფასებათა შესამუშავებლად და საშუალებას იძლევა დახასიათდეს მოდელირების ობიექტის ფუნქციონირება.

აღწერის არსებული ფორმებიდან, რომლებიც გამოიყენება საპროგნოზო მოდელებში, შეიძლება გამოყოფილ იქნეს შემდეგი: **1. სიტყვიერი აღწერა** - ყველაზე მარტივი ხერხი; **2. გრაფიკული აღწერა** - გამოიყენება პროგნოზირების არსებულ სტადიაზე (ექსტრაპოლაციის მეთოდები); **3. ბლოკ-სქემა**; **4. მათემატიკური აღწერა ფორმულის სახით**; **5. მათემატიკური მოდელები** (ცვალებადი საშუალოს მეთოდი)

უნდა აღინიშნოს, რომ პროგნოზირების ობიექტის ანალიზი უნდა განხორციელდეს შემდეგი მეთოდური პრინციპების გათვალისწინებით: სისტემურობა, ბუნებრივ-სპეციფიკურობა, აღწერის ოპტიმიზაცია, ანალოგიურობა და ვერიფიკაცია.

მაკროეკონომიკურმა პროგნოზირებამ ფართო განვითარება ჰპოვა ყველა განვითარებულ ქვეყანაში. რამდენადაც არსებულ პირობებში სახელმწიფო იძულებულია არეგულიროს ეკონომიკა, წინასწარ განჭვრიტოს რეფორმების სავარაუდო შედეგები. რამდენად გამართლებული და შედეგიანია ეკონომიკური სისტემების განვითარების პროგნოზი, ამასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ეკონომისტთა ერთი ნაწილი თვლის, რომ პროგნოზი შედეგიანია მხოლოდ მაკრო დონეზე, მეორე ნაწილს კი მიაჩნია, რომ პროგნოზი ეკონომიკის განვითარების განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს, ვინაიდან თანამედროვე პირობებში ეკონომიკური სისტემები რთულია.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი უზრუნველყოფს განვითარების მაღალ ტემპებს, ამ პირობებში გარდაუვალია სტრატეგიული დაგეგმვა. მაკროეკონომიკური პროგნოზირება აფართოებს ბაზას ეკონომიკურ სუბიექტებსა და მართვის სახელმწიფო ორგანოებს შორის მდგრადი ურთიერთობისათვის. ორივეს ჭირდება პროგნოზი გრძელვადიანი ეკონომიკური პოლიტიკის შესამუშავებლად. მრავალ ქვეყანაში წარმატებით გამოიყენება ეროვნული პროგრამები და ეკონომიკის განვითარების გეგმები, რომელთა შემუშავების საფუძველია მაკროეკონომიკური პროგნოზები.

გრძელვადიან პერიოდში სტაბილური ეკონომიკური განვითარება, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთა შორისაა მაკროეკონომიკური სტაბილურობა, კაპიტალდაბანდებათა მოცულობის ზრდა, კერძო სექტორის განვითარება, ადამიანური კაპიტალი და გარემოს დაცვა. „მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წინაპირობას წარმოადგენს მაკრო დონეზე ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს სტაბილური, პროგნოზირებადი სამართლებრივი გარემოს არსებობას, საკუთრების აღიარების და დაცვის პირობით. არსებითია ქვეყნის სანდოობა და სტაბილურობა“ [ხადური 2005: 58].

ეკონომიკური სტაბილურობის მაკროდონეზე შესაფასებლად არსებითია ხუთი მთავარი მაჩვენებელი: 1. შიგა დეფიციტი; 2. საგარეო დეფიციტი; 3. უმუშევრობა; 4. ინფლაცია და; 5. ეკონომიკური ზრდის კოეფიციენტი. ამ მაჩვენებლებიდან

საქართველოში შედარებით დადებით ტენდენციებს ასახავს ეკონომიკური ზრდა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები დადებით ასახავს ჰპოვებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მაგრამ სიღარიბე, უმუშევრობა და ინსტიტუციური განვითარება კვლავაც რჩება პრობლემად.

ვინაიდან სადისერტაციო ნაშრომის თემატიკა დაკავშირებულია ეკონომიკისა და მოსახლეობის ურთიერთაკვირთან, ამიტომ უფრო ვრცლად გავაანალიზოთ მოსახლეობა, როგორც პროგნოზის ობიექტი. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საბაზო პირობების შემადგენლობაში მნიშვნელოვანია დემოგრაფიული მაჩვენებლები. ეს განპირობებულია ქვეყანაში მყოფი საზოგადოების ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარების შესაბამისობით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს საქართველოსათვის. რადგანაც ჩვენ არა გვაქვს სრულად ათვისებული არსებული რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი. შესაბამისად მათი გამოყენების მასშტაბიც დაბალია. რაც თავის მხრივ უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე. პროგნოზებს, რომლებიც უკავშირდება მოსახლეობის მომავალი მდგომარეობის შეფასებას დემოგრაფიული პროგნოზები ეწოდება. მათი პროგნოზირების ობიექტებია მოსახლეობის რიცხოვნობის მაჩვენებლები, მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის ან შემცირების ტემპები, შობადობა, მოკვდაობა, მიგრაცია, ასაკობრივი სტრუქტურა, მოსახლეობის შრომითი, ეკონომიკური, სამომხმარებლო პოტენციალი და სასიცოცხლო ფონდი.

მოსახლეობის მომავალი რიცხოვნობის საერთო შეფასებაა სწორედ დემოგრაფიული პროგნოზი, ხოლო მოსახლეობის სტრუქტურის გაანგარიშებას (ასაკობრივი, ტერიტორიული, განათლებით) - პერსპექტიული გამოთვლა ანუ მოსახლეობის პროექცია ეწოდება. უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის დინამიკის ცვლილება უფრო ინტენსიურად ხდება, ვიდრე მისი სტრუქტურული ცვლილება. დემოგრაფიული განვითარების პროგნოზირების ძირითადი ამოცანა შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

1. ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური და სოციალური პროცესების მართვა;
2. მოსახლეობის მოკვდავობისა და დაავადების მინიმუმამდე დაყვანა;
3. შობადობის კოეფიციენტის ზრდა;

4. მიგრაციის ისეთი ორგანიზება, რაც უპასუხებს სახელმწიფოს მიზნებს;

5. მოწყვლად ჯგუფთა პირობების სრულყოფა. (რაც ჩვენს ქვეყანაში მრავლადაა).

დემოგრაფიული პროგნოზები მუშავდება დროში სხვადასხვა პერიოდისათვის,

კერძოდ, საალბათო პროგნოზირების პერიოდის მიხედვით განასხვავებენ შემდეგს:

1. მოკლევადიანი - მუშავდება 1-დან 10 წლამდე;

2. საშუალოვადიანი - 10-დან 25 წლამდე;

3. გრძელვადიანი - 25-დან 50 წლამდე;

4. ზეგრძელვადიანი - 50 წელზე მეტი.

რაც უფრო გრძელვადიანია პროგნოზი, მით უფრო ნაკლებად ზუსტია ის. სპეციალისტების აზრით ყველაზე მეტი პრაქტიკული ღირებულება გააჩნია იმ პროგნოზებს, რომლებიც შემუშავებულია 20 წლამდე პერიოდისათვის.

20 წელზე მეტი ვადის მქონე პერიოდისათვის პროგნოზირების უტყუარობის კლებადობის მიუხედავად, ასეთი პროგნოზების შემუშავებისადმი მოთხოვნილება ძალიან დიდია. ეს იმით აიხსენება, რომ ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვისა და რეგულირებისათვის, როგორცაა საწარმოო ძალთა განთავსების ოპტიმიზაცია; ქალაქებისა და რეგიონების განვითარების გენერალური სქემის შემუშავება; ბუნებრივი და შრომითი რესურსების გამოყენების რაციონალიზაცია-ინფორმაცია, რომელიც შეიძლება არსებობდეს გრძელვადიან დემოგრაფიულ პროგნოზებში. გრძელვადიანი დემოგრაფიული პროგნოზების არსებობა ეკონომიკური და სოციალური პროგნოზების უეჭველობის სავალდებულო პირობაა. დემოგრაფიული პროგნოზების საინფორმაციო ბაზას შეადგენს:

1. მოსახლეობის მიმდინარე სტატისტიკური აღრიცხვა;

2. სპეციალურად ორგანიზებულ-სტატისტიკური დაკვირვება მოსახლეობის აღწერა. დემოგრაფიული პროგნოზების ძირითად ჯგუფში შედის მოსახლეობის მიგრაციის პროგნოზი, ამასთან მიგრაციული პროცესების პროგნოზირება ნაკლებად დამუშავებულია დემოგრაფიული პროგნოზის სხვა სახეებთან შედარებით.

მიგრაცია, როგორც პროგნოზირების ობიექტი, განსხვავდება სხვა დემოგრაფიული პროცესებისგან, უპირველეს ყოვლისა იმით, რომ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის პარამეტრების ცვლილება (მაგ: შობადობა, მოკვდავობა) ხდება ხანგრძლივი

პერიოდისათვის. მიგრაციის ხასიათის არსებითი ცვლილება შეიძლება მოხდეს ძალიან მოკლე ვადაში, მაგალითად, ეროვნული კონფლიქტების, სამხედრო მოქმედებების შედეგად, რაც იწვევს დევნილთა ნაკადების ზრდას.

დემოგრაფიული პროგნოზები ეკონომიკის განვითარების პროგნოზების, შრომითი რესურსების პროგნოზების, მომსახურების სფეროს ფუნქციონირებისა და განვითარების პროგნოზების შედგენის ბაზას წამოადგენს, ამიტომ, დემოგრაფიული განვითარების პროგნოზირება უმრავლეს შემთხვევაში წინ უსწრებს სხვა სახის ეკონომიკური პროგნოზირების სისტემის შემუშავებას. რაც შეეხება უშუალოდ დემოგრაფიული პროგნოზების შემუშავებას, ეს უადრესად რთული, და მრავალმხრივი პროცესია, რომელიც გამომდინარეობს შემდეგი სამი ძირითადი სტადიიდან:

- დემოგრაფიული პროგნოზების შემუშავების პირველი სტადია - ანალიტიკურია. მისი შინაარსია ქვეყანაში და რეგიონში დემოგრაფიული სიტუაციის ანალიზი საპროგნოზო პერიოდის დასაწყისში, საზოგადოების განვითარების დემოგრაფიული შედეგების შეფასება გასული პერიოდისათვის, მათი შედარება საპროგნოზო მაჩვენებლების მნიშვნელობებთან, მაჩვენებელთა ფაქტიური მნიშვნელობების საპროგნოზოსგან გადახრის ხასიათის გამოვლენა და იმ მიზეზთა დადგენა, რამაც ეს გადახრები განაპირობა. ასევე მნიშვნელოვანია ანალიზის პროცესში გამოვლინდეს ის დისპროპორციები, ნეგატიური ტენდენციები, რომლებიც წარმოიშვნენ ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაში და ამის საფუძველზე დადგინდეს დემოგრაფიული პრობლემები და მათი სიმწვავე. აუცილებელია დადებითი ტენდენციების გამოვლენა საპროგნოზო ვადაში.
- დემოგრაფიული პროგნოზების შემუშავების მეორე სტადია - მიზნობრივია. ამ სტადიაზე ადგილი აქვს დემოგრაფიული პროგნოზის მიზნების დასაბუთებას. მიზნების შემადგენლობა განსაზღვრავს იმ ღონისძიებებს, რომლებიც მართვის ორგანოებმა უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ, რათა გავლენა მოახდინონ დემოგრაფიულ განვითარებაზე შესაბამისი მიმართულებით. დემოგრაფიული განვითარების პროგნოზირების მიზნის შემადგენლობაში, წარმოშობის ხასიათიდან გამომდინარე, გამოიყოფა ასევე ორი ჯგუფი. პირველი ჯგუფი - ეს მიზნებია, რომელთა მიღწევაც გულისხმობს იმ პრობლემების გადაჭრას, რომლებიც წარმოიშვნენ ქვეყნის

დემოგრაფიულ განვითარებაში გასული პერიოდების განმავლობაში. მეორე ჯგუფი - ეს მიზნებია, რომელთა მიღწევაც განსაზღვრულია დემოგრაფიული პირობების ცვლილებით, იმ მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომლებიც დგება ეკონომიკური სფეროს განვითარებიდან გამომდინარე.

- დემოგრაფიული პროგნოზების შემუშავების მესამე სტადია გაანგარიშებითია. მისი არსი გამოიხატება საპროგნოზო მაჩვენებლების სისტემის დასაბუთებაში. ეს მაჩვენებლებია: მოსახლეობის რიცხოვნობა და ბუნებრივი ზრდა. დემოგრაფიული განვითარების პროგნოზირება, ხორციელდება რამდენიმე ვარიანტით. დემოგრაფიული პროგნოზების ვარიანტები ასახავენ ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური, საგარეო-ეკონომიკური, საგარეო-პოლიტიკური, და სხვა ფაქტორების გავლენას ქვეყნის დემოგრაფიულ სიტუაციაზე. გამოყოფენ დემოგრაფიული პროგნოზების შემდეგ ვარიანტებს: მინიმალურს, მაქსიმალურს და საშუალოს.

ამრიგად, ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობებს განსაზღვრავს მოსახლეობის სტრუქტურა. მათი უკეთ გააზრება უკავშირდება სამუშაო ძალას. ეკონომიკურ ქვესისტემაში შედის მოსახლეობის სამუშაო აქტივობა. შრომით პოტენციალს დიდ ზიანს აყენებს ბუნებრივ-სოციალური კატაკლიზმები. ეკონომიკური დემოგრაფიის მთავარი ამოცანაა დემოგრაფიული პროცესებისა და სტრუქტურის გავლენის შესწავლა ეკონომიკის განვითარებაზე. ნებისმიერი ქვეყნისათვის მოსახლეობა, როგორც, მწარმოებლურობის ძალა, წარმოადგენს მისი ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ელემენტს. განვიხილოთ მოსახლეობის ზრდის ტემპის დინამიკა. მოსახლეობის ზრდის ტემპი (ზრდის კოეფიციენტი) 1992–2016 წლებში საქართველოში კლების ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ, თუ 1992 წლისათვის ზრდის კოეფიციენტი 1,2-ია, 2012 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა – 1,15, ხოლო 2016 წელს კი 1,11. საგანგაშო მდგომარეობაა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, სადაც ამ პერიოდში მოსახლეობის არა თუ ზრდაზე, არამედ შემცირებაზეა საუბარი. მოსახლეობის კლების ტენდენცია აღინიშნება ისეთ რეგიონებში, როგორცაა გურია, იმერეთი და სამეგრელო-ზემო სვანეთი.

1990-იანი წლების შემდეგ, სოციალისტური წყობიდან და ცენტრალიზებული ეკონომიკიდან დემოკრატიაზე, ლიბერალურ ღირებულებებსა და თავისუფალ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში, შობადობის მაჩვენებელი და მარტივი აღწარმოების დონე ყველა პოსტკომუნისტურ ქვეყანაში დაბალი იყო, თუმცა სხვადასხვა მასშტაბით. დაბალ შობადობას განაპირობებდა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ქცევის ცვლილება ოჯახის ადრეულ ასაკში შექმნიდან მოგვიანებით შექმნამდე, განსაკუთრებით – შვილების გაჩენის გადადება. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაბალი შობადობა გარდამავალ პერიოდს ახასიათებდა.

შესაბამისად, 21-ე საუკუნის დასაწყისში დაბალი შობადობის პრობლემამ ბევრი პოსტკომუნისტური ქვეყანა შეაშფოთა და მათ შობადობის გასაზრდელად ოჯახის ხელშეწყობის სხვადასხვა პროგრამის დანერგვა დაიწყო. ამ პროგრამების შედეგების შეფასება დღეს რთულია, ვინაიდან მათი დანერგვის შემდეგ საკმაოდ მცირე დროა გასული, თანაც 2000-იანი წლების დასასრულის ეკონომიკურმა კრიზისმა ევროპის ყველა ქვეყანაში შობადობას თავისი დალი დააჩნია. ამავე დროს, არსებობს კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, რომ სხვადასხვა ქვეყანაში შობადობაზე გავლენას ახდენს კონკრეტული ქვეყნისათვის მახასიათებელი ინსტიტუციური კონფიგურაციები, ბავშვთა შესანახად განკუთვნილი შემწეობების, მშობელთა დეკრეტული შვებულებების და ბავშვებზე ზრუნვის დაწესებულებები. შობადობასთან დაკავშირებულ ქცევაზე ზემოქმედებს სოციალური უზრუნველყოფის დონისძიებათა ერთობლიობა.

საქართველოში კომპლექსური დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავების ქვაკუთხედი ამაჟამინდელი აღწარმოების დონის და შობადობის დონის გაზრდა. თუმცა, არსებული დემოგრაფიული პრობლემების შობადობასთან დაკავშირებული ასპექტები ბავშვის დაბადებით არ შემოიფარგლება; ეს ასპექტები დაკავშირებულია აგრეთვე ბავშვის ცხოვრების მთელ პერიოდთან – დაბადებიდან ზრდასრულობამდე, ანუ იმ ასაკამდე, ვიდრე ბავშვი საზოგადოების აქტიური წევრი გახდება. შესაბამისად, დემოგრაფიულმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს მშობლებს შვილების აღზრდაში და საზოგადოებაში ჩასართავად მათი ადამიანური კაპიტალის განვითარებაში. აქედან აშკარაა, რომ დემოგრაფიული პოლიტიკა დაკავშირებული უნდა იყოს საქართველოს სოციალური პოლიტიკის პროგრამებთან: სოციალური დახმარების მიზნობრივ პროგრამებთან და სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტთან.

თანამედროვე ეტაპზე მაღალგანვითარებულ ქვეყნებში დემოგრაფიული პოლიტიკის პროგრამების მიზანია, მოსახლეობას მიეცეს შობადობასთან დაკავშირებული სურვილების განხორციელების შესაძლებლობა. ამისათვის ამ პროგრამებით ხდება იმ ბარიერების აღმოფხვრა, რომლებიც მოსახლეობას ხელს უშლის შობადობასთან დაკავშირებული განზრახვების განხორციელებაში. საქართველოს მოსახლეობის შობადობასთან დაკავშირებული სურვილები აშკარად მიუთითებს, რომ შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი შესაძლებელია აღწარმოების დონეზე მაღალი აღმოჩნდეს.

საქართველოს ხელისუფლებისა და ფართო საზოგადოების შეშფოთება ბოლო წლებში შობადობის დაბალი მაჩვენებლების და შობადობის შესაძლო კლების გამო გამართლებულია. მშობლებს, რომლებიც ინვესტირებას შვილებში ახდენენ და ცდილობენ, ისინი საზოგადოების აქტიურ წევრებად აღზარდონ, დიდი წვლილი შეაქვთ საქართველოს სამომავლო კეთილდღეობაში. მშობელთა როლის აღიარება დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებისას მნიშვნელოვანი, ფუძემდებლური პრინციპია.

დემოგრაფიული პოლიტიკის გრძელვადიანი მიზანია პროგნოზირებად მომავალში მოსახლეობის სტაბილურობის ისეთი დონის მიღწევა, რომელიც მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და სოციალური განვითარების მოთხოვნებს შეესაბამება. დემოგრაფიული პოლიტიკა საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პოლიტიკურ დეკლარაციებსა და სამოქმედო პლატფორმებს უნდა ემყარებოდეს. ის ორიენტირებული უნდა იყოს საშუალო და გრძელვადიანი მდგრადი განვითარების მიღწევაზე, მოსახლეობის რეპროდუქციის პირობების გაუმჯობესებასა და ადამიანური კაპიტალის ზრდაზე.

საქართველოს მოსახლეობის განვითარებაზე გავლენის მოსახდენად და შობადობასთან დაკავშირებული ამოცანების შესასრულებლად საჭიროა შესაბამისი პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

უკანასკნელ წლებში გლობალურ, საერთაშორისო მიგრაციულ პროცესებში საქართველოს ჩართულობა საგრძნობლად გაიზარდა. მიგრაციის როლი სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური და დემოგრაფიული განვითარების ჭრილში.

მიგრაციის ეფექტიანი მართვა ქვეყნის უსაფრთხოებისა და გრძელვადიანი სტაბილურობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი წინაპირობაა. ამასთანავე, იგი ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია და ხელს უწყობს ქვეყნის სოცია-

ლურ-ეკონომიკური განვითარებისთვის მიგრანტების პოტენციალის გამოყენებას. სწორედ ამიტომ მიგრაციის პოლიტიკის სწორი დაგეგმვა და მიგრაციის მართვის ეფექტიანობის მუდმივი გაუმჯობესება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. აგრეთვე უკანასკნელ წლებში საქართველოდან ემიგრაციის ხასიათი, ამპლიტუდა და მიმართულებები მნიშვნელოვნად შეიცვალა.

დღეს საქართველოდან ემიგრანტები ბევრ ქვეყანაში არიან. მათი ნაკადები სხვა ქვეყნებისკენაც არის მიმართული. საქართველოდან ძირითადად შრომითი ემიგრაცია ხდება. ემიგრანტებს საზღვარგარეთ უკეთ ანაზღაურებადი სამუშაოს პოვნის და საქართველოში დატოვებული ოჯახებისათვის ფინანსური დახმარების გაწევის სურვილი ამოძრავებთ. ფულადი გზავნილების მიმღები ოჯახები დამოკიდებული არიან ამ გზავნილებზე. მათი მეშვეობით ფარავენ ყოველდღიურ ხარჯებს. ბიზნესის დაწყებისთვის გამოსაყენებელი ინვესტიციების და დანაზოგების წილი ძალზე მცირეა.

გარე მიგრაცია რისკებს უქმნის საქართველოს დემოგრაფიულ უსაფრთხოებას, რადგან, როგორც წესი, ემიგრანტების დიდ ნაწილს სწორედ შრომისუნარიანი და ფერტილური ასაკის პირები შეადგენენ. საზღვარგარეთ გამგზავრების გამო, მათ შესაძლოა გადადონ დაოჯახება, შვილის ყოლა ან იქ შექმნან ოჯახები და ხანგრძლივად დარჩნენ, რის შედეგადაც მათი რესურსი არასრულად იქნება გამოყენებული. ქვემოთ მოყვანილი პრიორიტეტები აღნიშნული რისკების შემცირებისკენაა მიმართული.

ქვეყნის დემოგრაფიულ ბალანსზე უარყოფით გავლენას ახდენს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დემოგრაფიული პროცესი – შიგა მიგრაცია. იგი შეიძლება იყოს როგორც ნებაყოფლობითი, ისე იძულებითი. პირველ შემთხვევაში ხდება სოფლიდან ქალაქში მიგრაცია სოციალურ-ეკონომიკური მიზეზების გამო. მეორე შემთხვევაში ადამიანები სტიქიური მოვლენებისა და კონფლიქტების დროს იძულებით ტოვებენ საცხოვრებელს და ქვეყნის შიგნით გადაადგილდებიან (ეკომიგრანტები და იძულებით გადაადგილებული პირები - დევნილები). ყოველივე ეს მიუთითებს შემდეგ ტენდენციებზე:

- ა) იზრდება „თბილისიზაცია“, ანუ თბილისის მოსახლეობის წილი საქართველოს რეგიონების მოსახლეობასთან შედარებით;
- ბ) იზრდება ურბანიზაცია – ქალაქების მოსახლეობის წილი;

გ) პრობლემად რჩება დევნილთა და ეკომიგრანტების სრული სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია.

აღნიშნულმა ტენდენციებმა შეიძლება გამოიწვიოს რეგიონების მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირებასთან ერთად დეპოპულაცია (მოკვდავობის გადამეტება შობადობაზე) თანდათან მოხდეს ე. წ. ინტელექტის გადინება, რაც, სავარაუდოდ, მოსახლეობის უფრო მოტივირებული და განათლებული ნაწილის სოფლებიდან და პატარა ქალაქებიდან მსხვილ ქალაქებში გადასვლით გამოიხატება. რეგიონების მოსახლეობის რაოდენობის შემცირების ტენდენციის შეჩერება უაღრესად მნიშვნელოვანია დემოგრაფიული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად – როგორც რეგიონების ეკონომიკური განვითარების პოტენციალის გამოყენებისათვის, ისე სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე რეგიონებში მოსახლეობის შენარჩუნებისათვის. ვინაიდან, დიდია შიგამიგრაციული ნაკადები, მოსალოდნელია მათი ზრდა. ამან შეიძლება რეგიონებიდან უფრო მეტი მუშახელის გადინება გამოიწვიოს.

ამასთანავე, ისეთი მოწყვლადი ჯგუფების შემთხვევაში, როგორებიც არიან დევნილები და ეკომიგრანტები, რომელთა განსახლება ხდება საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, უნდა მოხდეს მათი წარმატებული ინტეგრაცია/დამკვიდრება განსახლების ადგილებში. ეს ხელს შეუწყობს დემოგრაფიული ბალანსის სრულყოფას, მუშახელის შენარჩუნებას, ემიგრაციის შემცირებას.

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია მაღალმთიანი რეგიონებში შიგა მიგრაციით გამოწვეული მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება (დეპოპულაცია) და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა საქართველოს მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად. ამ კანონით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად განისაზღვრება კანონით მოსარგებლე რეგიონები და მოსახლეობა.

რადგან გარე და შიგა მიგრაციული პროცესების მიზეზი ძირითადად ეკონომიკური ფაქტორებია, მნიშვნელოვანია მათი გაანალიზება უფრო ფართო, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ჭრილში. აქედან გამომდინარე, საჭიროა ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის მიგრანტების პოტენციალის გამოყენებას და დემოგრაფიული უსაფრთხოების რისკების შემცირებას. ამისათვის აუცილებელია საქართ-

ველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმირებულობის გაზრდა მიგრაციისა და განვითარების ურთიერთკავშირის შესახებ.

საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წელს დამტკიცებული საქართველოს 2016 - 2020 წლების მიგრაციის სტრატეგია ორიენტირებულია საერთაშორისო მიგრაციაზე და მოიცავს ისეთ პრიორიტეტულ სფეროებს, როგორებიცაა: ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა, არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა, თავშესაფრის სისტემის განვითარება, მიგრაცია და განვითარება, მიგრაციის მართვის გაუმჯობესება, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.

ამრიგად, მოსახლეობის შიგა მობილობის მართვა, განსაკუთრებით იმისა, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტებით, სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური მიზეზებით არის გამოწვეული, მეტ ყურადღებას საჭიროებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი პოლიტიკის შემუშავება და გატარება, რომელიც წახალისებს მიგრაციის შედეგად დაგროვილი ადამიანური და ფინანსური რესურსების რეგიონების განვითარების პროცესში ისეთი მდგრადი ეკონომიკური გარემოს შესაქმნელად გამოყენებას, რაც ადგილობრივ მცხოვრებლებს შესაძლებლობას მისცემს დარჩენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში, შეამცირებს ურბანიზაციის/ემიგრაციის ტენდენციებს.

საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია ითვალისწინებს და ეფუძნება მიგრაციის შესახებ სახელმწიფო პოლიტიკის სხვა, შესაბამის დოკუმენტებს, რათა ხაზგასმით აღინიშნოს მიგრაციის მნიშვნელობა ქვეყნის დემოგრაფიული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. მასში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ემიგრაციასთან და შიგა მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა შესაძლებელი გახდეს ისეთ ღონისძიებათა შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობს მდგრად ზრდას/განვითარებას, აგრეთვე წახალისებს მიგრანტების საქართველოში დაბრუნებას და იმ ადგილებში რეინტეგრაციას, სადაც ისინი მიგრაციამდე ცხოვრობდნენ.

რეკომენდებული პრიორიტეტული ღონისძიებები ადამიანის მთელი სიცოცხლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს. ისინი სამართლიანობისა და შეუქცევადობის პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს. ამასთანავე, ძირითადი აქცენტი მოსახლეობის ურთიერთსაპირისპირო თაობებზე – ახალგაზრდებსა და ხანდაზმულებზე უნდა გაკეთდეს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის განყოფილების

(UNPD) პროგნოზით, საქართველოს 65 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობის წილი, რომელიც 2015 წელს 14% იყო, 2030 წლისათვის 19 პროცენტამდე გაიზრდება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის განყოფილების (UNPD) გათვლებით, მომდევნო ათწლეულებში მოსალოდნელია საქართველოს მოსახლეობის კლება და დაბერება, რაც გამოიწვევს პოტენციური მხარდაჭერის კოეფიციენტის სამუშაო ასაკის (15–64 წლის) მოსახლეობის რაოდენობის 65 წელზე მეტი ასაკის ადამიანების რაოდენობასთან თანაფარდობის შემცირებას. ეს კოეფიციენტი ასახავს მომუშავე მოსახლეობის (ბავშვები და უმუშევრები არ ითვლება) ტვირთს, (განპირობებულს არამომუშავე ხანდაზმული მოსახლეობის რაოდენობით). ეს იწვევს ხანდაზმულთა დამოკიდებულების ჯამური კოეფიციენტის ზრდას.

ასევე სავარაუდოა სამუშაო ასაკის მოსახლეობის რაოდენობის შემცირება. ამ ურთიერთდამოკიდებულმა პროცესებმა შეიძლება ხელი შეუწყოს დემოგრაფიული დეფიციტის შექმნას, რაც გამოიწვევს ეკონომიკური პროდუქტიულობის კლებას და ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და სოციალური განვითარების პოტენციალის შემცირებას. დემოგრაფიული დეფიციტის სოციალური შედეგები განაპირობებს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის (დაბერებული მოსახლეობის ჩათვლით) ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების შემცირებას. საქართველოში დემოგრაფიული დეფიციტის უარყოფითი გავლენა შეიძლება გაიზარდოს მაღალი უმუშევრობის ფონზე.

დაბერებასთან და მოსახლეობის კლებასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად შესაბამისი პოლიტიკა პირველი და მეორე დემოგრაფიული დივიდენდების შესაძლებლობების გამოყენებას უნდა ეფუძნებოდეს. პირველი დემოგრაფიული დივიდენდის გამოსაყენებლად აღნიშნული პოლიტიკა აქცენტს ახალგაზრდა თაობაზე უნდა აკეთებდეს და მიმართული უნდა იყოს განათლებისა და პროფესიული ტრენინგების მეშვეობით ადამიანური კაპიტალის გაძლიერებისაკენ, აგრეთვე უმუშევრობის დაძლევისაკენ, განსაკუთრებით – ახალგაზრდებში.

მიუხედავად ამისა, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მაჩვენებელი ძალიან ჩამორჩება ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის განყოფილების (UNPD) მონაცემებით, 2010 –2015 წლებში სხვაობა 6 წელი იყო). აუცილებელია ისეთი

პოლიტიკის გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს მთელი სიცოცხლის განმავლობაში ინდივიდუალურ განვითარებას ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებით. მეორე დემოგრაფიული დივიდენდის გამოსაყენებლად უნდა განხორციელდეს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს უფროსი თაობის დასაქმებას და ამით ქვეყანაში არსებული ადამიანური კაპიტალის გაძლიერებას, აგრეთვე წახალისებს ადამიანთა მიერ დანაზოგების შექმნას. უფროსი თაობის დასაქმება და, ზოგადად, ამ თაობის ცხოვრების ხარისხი გაუმჯობესება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2011 წელს მოსახლეობის 43,5 % ეკონომიკურად აქტიური იყო, 2012 წელს – 43,6%, 2013 წელს – 45,2%, 2014 წელს – 44,6%, 2015 წელს – 53,6%, 2016 წელს – 54,3%. ამ ადამიანების უმრავლესობა სოფლად ცხოვრობდა, მათი 84 % თვითდასაქმებული იყო, მათი ნაწილი კი – ნატურალური მეურნე. სახელმწიფო პროგრამები, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის განვითარება, უნდა ითვალისწინებდეს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რაც ხელს შეუწყობს პროდუქტიულ ეკონომიკაში აქტიური თაობის მონაწილეობას.

ასეთი ღონისძიებების სათანადოდ განხორციელების შედეგად გაიზრდება სხვადასხვა ასაკის სოფლის მოსახლეობის შემოსავლები და მათი შენატანი ქვეყნის ეკონომიკაში. ამასთანავე, უფროს თაობას მნიშვნელოვანი პროფესიული გამოცდილება აქვს და სამსახურში სანდოობითა და სტაბილურობით გამოირჩევა. აქედან გამომდინარე, უფროსი თაობის დასაქმებულთა სამსახურში შენარჩუნება, თუ მათ სურთ და შეუძლიათ მუშაობა, შეამცირებს სახელმწიფოს ეკონომიკურ ტვირთს და გააუმჯობესებს ამ ადამიანთა კეთილდღეობას. აქტიური და ჯანმრთელი დაბერების პოლიტიკა მნიშვნელოვანია უფროსი თაობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობისათვის და საზოგადოების განვითარებაში სხვადასხვა ფორმით მონაწილეობისათვის.

ამასთანავე, მეორე დემოგრაფიული დივიდენდის გამოყენებისთვის აუცილებელია ისეთ ღონისძიებათა გატარება, რომლებიც ადამიანებს დანაზოგების შესაქმნელად უფრო ხანგრძლივი და ჯანსაღი ცხოვრებისათვის წახალისებს. დაგეგმილი საპენსიო რეფორმა ითვალისწინებს ორ მიდგომას: ა) არსებული სოციალური პენსიების ინდექსაცია ინფლაციის დონის შესაბამისად; ბ) მომავალი პენსიონერების მიერ

კერძო დანაზოგების შექმნის მექანიზმების დანერგვა. მათი დანერგვის მიზანია ადამიანის მიერ დამატებითი დანაზოგების შექმნა მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

აღნიშნული დანაზოგები შეიძლება სახელმწიფო ეკონომიკისათვის მეტად საჭირო ინვესტიციების დამატებითი წყაროც გახდეს. უნივერსალური სოციალური პენსია მნიშვნელოვანი მექანიზმია ხანდაზმულთა სიღარიბისა და ეკონომიკური უთანასწორობის შესამცირებლად. ამავე დროს, საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს რეფორმირებული საპენსიო სისტემის თანაბარი ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით – თვითდასაქმებულებისათვის და არაფორმალურ ეკონომიკაში დასაქმებულებისათვის. მნიშვნელოვანია თაობებს შორის სოლიდარობის შენარჩუნებაც.

ტრადიციულად, საქართველოში მრავალთაობიანი ოჯახები ის მთავარი მექანიზმია, რომელიც თაობების ერთმანეთზე ზრუნვას და ერთმანეთისთვის დახმარების გაწევას უზრუნველყოფს. მსოფლიოს სხვა ბევრი ქვეყნის მსგავსად, საქართველოში ოჯახი ნუკლეარული ოჯახის მიმართულებით იცვლება. ამდენად, აუცილებელია კარგად გააზრებული პოლიტიკის შემუშავება, რათა თაობების ძირითადი როლები შენარჩუნდეს და კორექტირება მრავალთაობიან ერთობაში მოხდეს. საქართველოს საზოგადოებაში თაობებს შორის კავშირის გამყარება დემოგრაფიული პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებად უნდა იქცეს. მიზანშეწონილია, მკაფიოდ განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან ხანდაზმულთა ამჟამინდელი თაობისათვის შესაბამისი პოლიტიკა და ხანდაზმულთა მომავალი თაობისთვის გამიზნული პოლიტიკა.

მოსახლეობის სტრუქტურასთან და დაბერებასთან დაკავშირებულ საკითხებს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს საქართველოს საზოგადოებისათვის და მისი მთავრობის პოლიტიკისათვის. ეკონომიკური ზრდის ყველაზე კარგი მაჩვენებელი მთლიანი შიგა პროდუქტია, საქართველოში ეს მაჩვენებელი ბოლო 20 წლის განმავლობაში განუხრელად იზრდებოდა. არსებითია ის, რომ საქართველოს ნომინალური მთლიანი შიგა პროდუქტი 1996 წელს 3 868,5 მლნ ლარს შეადგენდა, რომელიც ერთ სულზე მხოლოდ 827 ლარი იყო და ერთი კაცის საშუალო შემოსავალი 2.26 ლარს შეადგენდა დღეში, რაც უდრიდა 1.796 აშშ დოლარს დღეში. 2008 წელს, საქართველოს ნომინალურმა მთლიანმა შიგა პროდუქტმა 19074.9 მილიონი ლარი შეადგინა, ეს მაჩვენებელი 12 491.4 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა. ერთ კაცზე მთლიანი შიგა პროდუქტი 4352.9 ლარი დაფიქსირდა, რომელიც 2923 აშშ დოლარი, ხოლო

დღიური საშუალო შემოსავალი ერთ კაცზე 11.62 ლარი ანუ 8 აშშ დოლარი დაფიქსირდა. 2013 წლის მონაცემებით მშპ 26 824.9 მლნ ლარი შეადგინა, ერთ სულ მოსახლეზე მშპ 5982.6 ლარი შეადგინა, ხოლო დღიური საშუალო შემოსავალი ერთ კაცზე – 16,39 ლარი, ანუ 9,35 დოლარი. 2016 წელს მშპ 33 921.4 მლნ ლარი შეადგინა, ერთ სულ მოსახლეზე მშპ 9117.7 ლარი შეადგინა, ხოლო დღიური საშუალო შემოსავალი ერთ კაცზე – 24,98 ლარი, ანუ 10,4 აშშ დოლარი [საქართველოს სტატისტიკის...2017].

ერთი შეხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკონომიკური ზრდა ცალსახად სახეზეა. საქართველოს ეკონომიკა ბოლო 20 წლის განმავლობაში ნომინალური ცვლილებით 8,77-ჯერ გაიზარდა. სხვადასხვა სფეროში განხორციელებულმა რეფორმებმა: ინსტიტუციონალური განვითარების ხელშეწყობამ, ფისკალურმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად დააჩქარა ეკონომიკური ზრდის ტემპი. იმავდროულად ეკონომიკური ზრდის ტემპი 2003 წლიდან მნიშვნელოვნად არის დაჩქარებული.

1996 წლიდან 2003 წლამდე საქართველოს ეკონომიკურმა ზრდის ტემპმა შეადგინა მხოლოდ 46,6%, ხოლო 2003 წლიდან 2008 წლამდე – 66,7%. საშუალო ზრდის მაჩვენებელი 1996-2003 წლებში გამოდის 6,65%, ხოლო 2003-2008 წლებში 13,34%. ზრდის ტემპი განსაკუთრებით მაღალი იყო 2005, 2006 და 2007 წლებში. ამ ფონზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2008 წლამდე საქართველოს ეკონომიკას ზრდის საკმაოდ მაღალი ტემპი გააჩნდა. მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი ზრდისათვის. 2008–2016 წლებში საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპები 6,2%-დან 2,7 %-მდე შენედა. დროის ამ პერიოდში ჩვენი ქვეყნის მშპ-ის საშუალო ზრდის ტემპმა 4,82% შეადგინა.

თუ ეკონომიკურ ზრდას განვიხილავთ რეგიონულ ჭრილში, რა თქმა უნდა დემოგრაფიული სტატისტიკის გათვალისწინებით, შევნიშნავთ საქართველოს ეკონომიკური გუნდის რთულ გამოწვევებს, რომლებიც არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ დემოგრაფიულ და პოლიტიკურ ჭრილში უნდა იქნეს განხილული. თუ როგორია უმუშევრობის დონე საქართველოს რეგიონთა მიხედვით, მოითხოვს პერმანენტულ ანალიზს ეკონომიკურ-დემოგრაფიული მეთოდების საფუძველზე.

ამრიგად, ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობებს განსაზღვრავს მოსახლეობის სტრუქტურა. მათი უკეთ გააზრება უკავშირდება სამუშაო ძალას. ეკონომიკურ ქვეყნის ტემპში შედის მოსახლეობის სამუშაო აქტივობა. შრომით პოტენციალს დიდ ზიანს აყენებს ბუნებრივ-სოციალური კატაკლიზმები.

ეკონომიკური დემოგრაფიის მთავარი ამოცანაა დემოგრაფიული პროცესებისა და სტრუქტურის გავლენის შესწავლა ეკონომიკის განვითარებაზე. ნებისმიერი ქვეყნისათვის მოსახლეობა, როგორც, მწარმოებლურობის ძალა, წარმოადგენს მისი ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ელემენტს.

სახელმწიფოს ფუნქცია ეკონომიკის განვითარებისთვის საჭირო პირობების შექმნაში მდგომარეობს. გრძელვადიან პერიოდში ნებისმიერი ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური აღმავლობა დამოკიდებულია მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაზე, კაპიტალდაბანდების ზრდაზე, კერძო სექტორის, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვაზე, ინტელექტუალური საკუთრებისა და ბუნებრივი გარემო-პირობების დაცვაზე.

ეკონომიკური სტაბილურობის მაკროდონეზე შესაფასებლად არსებითია შიდა დეფიციტი; საგარეო დეფიციტი; უმუშევრობა; ინფლაცია და ეკონომიკური ზრდის კოეფიციენტი. მიგრაციის ეფექტიანი მართვა ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა. დემოგრაფიული პროგნოზები ეკონომიკის განვითარების, შრომითი რესურსების მართვის, პროგნოზების, მომსახურების სფეროს განვითარების პროგნოზების შედგენის ბაზას წამოადგენს.

1.2. მოსახლეობის ექსპონენციალური მოდელი

ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე გავლენას ახდენს მოსახლეობის რაოდენობა. კერძოდ, მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა, შრომისუნარიანი ასაკის ადამიანთა რაოდენობის ზრდის ხარჯზე, იწვევს დამატებით მუშახელის მიწოდებას, სამუშაო ადგილების ზრდას, ადგილობრივი პროდუქციის წარმოების მოცულობის გაფართოებას, და შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებას, და პირიქით, მოსახლეობის რაოდენობის შემცირება აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას. გარდა მოსახლეობის რაოდენობრივი ფაქტორისა, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე დიდ გავლენას ახდენს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურაც.

თუ ქვეყანაში შობადობა შემცირდება, ეს გამოიწვევს მოსახლეობის დაბერებას, მის საერთო რაოდენობაში შრომისუნარიანი ასაკის ადამიანთა ხვედრითი წილის შემცირებას, და ამის შედეგად, ეკონომიკური ზრდის ტემპების დაქვეითებას. ჩინეთი-

სა და ინდოეთის სწრაფ ეკონომიკური აღმავლობას სხვა სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად მათი მოსახლეობის ზრდამაც შეუწყო ხელი.

ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურის ცვლილებაც.

თუ მოსახლეობის საერთო რაოდენობაში იზრდება მამაკაცთა ხვედრითი წილი, ეს გამოიწვევს შრომატევადი, დიდი ფიზიკური დატვირთვის სამუშაო ადგილების მქონე დარგთა განვითარებას და პირიქით, მოსახლეობის საერთო მოცულობაში ქალების ხვედრითი წილის ზრდა იწვევს საფეიქრო, მსუბუქი, კვების მრეწველობის და სხვა მსგავს დარგთა განვითარებას. შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე მოსახლეობის რაოდენობის ზეგავლენის გასაანალიზებლად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა მოდელით მოხდება დემოგრაფიული სტრუქტურის ცვლილების ანალიზი. ამ თვალსაზრისით ყურადსაღებია მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურის აღწერის ისეთი მექანიზმების გამოიყენება, როგორცაა: ეკონომიკურ-დემოგრაფიული პროგნოზი, მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურის ცვლილების შესწავლა, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის სტოქასტური და იმიტაციური მოდელები, მოსახლეობის სტაციონარული მოდელი, მოსახლეობის ცვლილების აღწერის ექსპონენციალური მოდელი, ლოგარითმული მოდელი, სტაბილური მოდელი და სხვ.

ეკონომიკურ-დემოგრაფიული პროგნოზების ერთობლიობა ასახავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარების ძირითად ტენდენციებს. ქვეყნის ხელისუფლების მიერ განხორციელებული საშუალოვადიანი პროგნოზი ძირითადი ორიენტირია მმართველობითი გადაწყვეტილებების დასასაბუთებლად მთლიან და რეგიონულ დონეზე. ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ-დემოგრაფიული პროგნოზების დაბალი, საშუალო და მაღალი ვარიანტების გაანგარიშებებს.

თანამედროვე პირობებში, როდესაც ადგილი აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის დამკვიდრებას, სულ უფრო იზრდება რეგიონული დემოგრაფიული პროგნოზების როლი. დემოგრაფიული ფაქტორების გავლენის ხასიათი თავისებურია თითოეული რეგიონისათვის. მაგალითად, თუ ერთი რეგიონისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიგრაციულ ფაქტორებს, მეორისათვის მნიშვნელოვანია

ბუნებრივი მოძრაობა, კლიმატური ფაქტორი, მესამესთვის - გასული წლების მოვლენათა შედეგები, ხოლო მეოთხესთვის კი - ეროვნულ თავისებურებებს და ა. შ.

რეგიონული დემოგრაფიული პროგნოზები მუშავდება მსხვილი, საშუალო და მცირე რეგიონების დონეზე. პროგნოზების შემუშავების თანმიმდევრობა თითოეულ დონეზე შეიძლება სხვადასხვა იყოს. მაგალითად, რეგიონულ-დემოგრაფიული პროგნოზი თავდაპირველად შეიძლება შემუშავდეს მსხვილი რეგიონის დონეზე, შემდგომ - საშუალო დონეზე (მხარის, ქალაქის) და ბოლოს მცირე რეგიონების დონეზე (რაიონები) საპროგნოზო მაჩვენებლების ამგვარი თანმიმდევრობის დროს ადგილი აქვს ზემო დონის მაჩვენებლების დეტალიზაციას მომდევნო ქვედა დონეებზე. დასაშვებია საპირისპირო თანმიმდევრობაც, რომლის დროსაც ზედა დონის მაჩვენებლები მუშავდება ქვედა დონეების მაჩვენებელთა საფუძველზე.

საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ფართო პროგრამა გვთავაზობს მთელ რიგ მიდგომებს, რაც დაფუძნებულია მოსახლეობის ზრდის ტენდენციებზე, მათ მოთხოვნებზე, სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების მიმართულებებზე. მოსახლეობის ზრდის პროგნოზირება შეუძლებელია დემოგრაფიული პროცესების საფუძვლიანი შესწავლის, დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ოპტიმალური ურთიერთქმედების კრიტერიუმების გათვლის გარეშე.

ამ მიმართებით მნიშვნელოვანი და მეტად აქტუალურია მოსახლეობის **დემოგრაფიული სტრუქტურის**¹ შესწავლა, რაც ნაკარნახევია თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებებით, არამედ ეკონომიკური ინტეგრაციის მოთხოვნებით მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში, ამავე დროს, ის მნიშვნელოვანია მოსახლეობის ზრდის კონკრეტული მექანიზმების გამო-
აშკარავებისას. ამდენად, მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურა, ერთი მხრივ, განიცდის დემოგრაფიულ პროცესთა რიგი კომპლექსის გავლენას, რითაც საერთო ჯამში, მიიღება მოსახლეობის ესა თუ ის რეალური მაჩვენებელი, მეორე მხრივ კი, თავად ახდენს გავლენას ზრდის ხასიათზე. მოსახლეობის პროგრესული ასაკობრივი სტრუქტურა წარმოადგენს სოციალური მეცნიერების ინტერესის სფეროს,

¹ დემოგრაფიული სტრუქტურის სახეობა: სქესობრივი სტრუქტურა, ასაკობრივი სტრუქტურა, ქორწინებისა და ოჯახური სტრუქტურა, აღმსარებლობითი სტრუქტურა, ენობრივი სტრუქტურა, შემოსავლების სტრუქტურა.

რომელთაგან განსაკუთრებით გამოყოფას იმსახურებს: ეკონომიკა, სოციოლოგია და სტატისტიკა.

ასაკობრივი და სქესობრივი შემადგენლობის შესწავლის გარეშე შეუძლებელია დასახლებული პუნქტების, საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საბავშვო ბაღების და სხვათა საფუძვლიანი დაგეგმარება-დაპროექტება და ადამიანური რესურსების მოცულობის პროგნოზირება. ეს ახდენს გავლენას საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურის ფორმირებაზე და ცხადია, მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის შესწავლას უფრო აქტუალურს ხდის.

„ასაკობრივი დინამიკის მნიშვნელოვანი ასპექტი ჩნდება ხანდაზმული მოსახლეობის პირობებში, რაც გამოიხატება ხანდაზმულების ხვედრითი წილის ზრდით და ცოცხლად დაბადებულთა რიცხვის შემცირებით მთლიან მოსახლეობაში. მთელ რიგ (განსაკუთრებით ევროპულ) ქვეყნებში შეიმჩნევა მოსახლეობის დაბერების პროცესი“ [Бойко... 2003: 17]. როგორია ამ მხრივ მდგომარეობა საქართველოში? რა განაპირობებს ამ პროცესის დომინანტობას?

გამოვიდეთ ჩვენი ქვეყნის რეალობიდან და განვიხილოთ მოსახლეობის სტრუქტურის სამი გამსხვილებული ასაკობრივი ჯგუფი - 1-14 წ.წ, 15-64 წ.წ და 65 წლის ზემოთ. ცხადია, ამ დაყოფით შეიძლება განსაზღვრული იქნეს შრომისუნარიანი და ეკონომიკურად აქტიური წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან მიმართებაში.

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობის (0-14 ასაკობრივი ჯგუფი) წილი მთელ მოსახლეობაში 19 პროცენტი შეადგინა, ხოლო შრომისუნარიან ასაკში მყოფ მოსახლეობის (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) წილი - 60,8 პროცენტი. 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 20,15 პროცენტია. 0-14 წლის მამაკაცების წილი მთლიან მოსახლეობაში ჭარბობს ქალებისას, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში ქალები ჭარბობენ მამაკაცებს, რაც გამოწვეულია მამაკაცებთან შედარებით ქალების უფრო მაღალი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობით. 2016 წელს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 72,7 წელს, მათ შორის მამაკაცებისთვის 68,3 წელს, ხოლო ქალებისათვის - 77,2 წელს. [საქართველოს სტატისტიკის... 2017].

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ მოსახლეობის აღწარმოების რომელ ტიპს მიეკუთვნება საქართველო, საჭიროა მოვიშველიოთ დემოგრაფიული პროცესების რაოდენობრივი ანალიზის მოდელები. თანამედროვე ეტაპზე დემოგრაფიული ანალიზი საზოგადოებისათვის აქტუალური თემაა, რომლის კვლევაშიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს დემოგრაფიული პროცესების რაოდენობრივი მოდელების გამოყენება. მეცნიერების ნებისმიერ სფეროში მოდელი ემსახურება შესწავლის ობიექტის მისთვის დამახასიათებელ ანალიზს, რაც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს და ანალიზი გაუკეთდეს მის არსებით ფაქტორებს და შინაგან ურთიერთკავშირს. ამასთან, მოდელის შესაბამისობის (ადეკვატურობის) ხარისხი ობიექტთან მიმართებით შეიძლება იყოს ერთ-ერთი ძირითადი და საერთო კრიტერიუმი მოდელის შეფასებისთვის.

თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც მოდელი და თეორია მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან, ანუ თეორია გამოხატავს იმ ფაქტორების ურთიერთკავშირს, რომელსაც არ ითვალისწინებს მოდელი ან, რომლებიც თეორიულად არ ითვლებიან მისაღებად. მოდელის განცალკევება თეორიისგან, ბუნებრივია, ზადებს საფუძვლიან ეჭვს მოცემული თეორიის ან/და მისი აღმწერი მათემატიკური მოდელის არასრულყოფილებაზე. ეკონომიკური დინამიკის მოდელები, რომლებმაც მიაღწიეს ფორმალურ ურთიერთობებში განვითარების მაღალ დონეს, არასაკმარისად ითვალისწინებს ეკონომიკის განვითარების თანამედროვე მიდგომებს და სქემებს.

მაგალითად, *ჯონ ფონ ნეიმანის* მზარდი ეკონომიკის მოდელი, რომელიც წარმოადგენს რიგი დამატებითი მოდელის საწყის პუნქტს, არ ითვალისწინებს არც ტექნოლოგიურ პროგრესს, არც მოთხოვნილების ცვლილებას, რომ არაფერი ვთქვათ, ეკონომიკური კავშირების განვითარებაზე [*Пирожков 1976: 12*]. ამიტომ, მკვლევარის ამოცანაა თეორიული სქემები და მოდელები განავითაროს არა ცალმხრივად, არამედ მიაღწიოს მათ დიალექტიკურ მთლიანობას და ურთიერთქმედებას. მხოლოდ ამ შემთხვევაშია წარმატებული თეორიისა და მოდელის განვითარება.

დემოგრაფიული მოდელები ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი, რაც ამცირებს მისი გამოყენების ეფექტიანობას კონკრეტულ კვლევებში, ასევე ქმნის გარკვეულ სიძნელეებს მის სამომავლო სრულყოფის გზაზე.

ტექნოლოგიური განვითარების პირობებში, მნიშვნელოვანი გამოყენება ჰპოვა **სტოქასტურმა და იმიტაციურმა მოდელებმა**, რომლებიც დემოგრაფიულ პროცესს

გამოხატავენ, როგორც შემთხვევითი პროცესის შედეგს. ცხადია, მნიშვნელოვანია დიდი მოცულობის დემოგრაფიული ინფორმაციის გათვალისწინება. ამ გზით ეს მოდელები ასახავენ (იმიტირებენ) დემოგრაფიული ვითარების პროგნოზს, რა თქმა უნდა, გარკვეული ალბათობით.

დემოგრაფიული მოდელების პარალელურად, დემოგრაფიული პროცესების ანალიზის დროს, როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თეორიულ კონსტრუქციებს, რომელიც აღწერს სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ცვლილებების ურთიერთკავშირს. სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები განმსაზღვრელად მოქმედებენ დემოგრაფიული განვითარების მსვლელობაზე და პირიქით.

ამასთან ერთად, ისინი ნაკლებად შესწავლილი ფაქტორებია, ვიდრე დემოგრაფიული პროცესების შინაგანი ურთიერთკავშირი. ასევე, სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე მოქმედი დემოგრაფიული ფაქტორების უკუკავშირის არასათანადოდ შეფასებამ შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოებრივი პროგრესის ტენდენციების არასწორი შეფასება. ამიტომ, დემოგრაფიული პროცესების განვითარების (ტენდენციების) შესწავლა სოციალური და ეკონომიკური დემოგრაფიის ერთ-ერთი აქტუალური ამოცანაა.

მოკლედ მიმოვიხილოთ დემოგრაფიული მოდელების განვითარების ძირითადი ისტორიული ეტაპები. „მათემატიკური აპარატის გამოყენება დემოგრაფიულ სტატისტიკაში XVII საუკუნის მეორე ნახევარიდან იწყება. **ჯონ გრაუნტმა, უილიამ პეტმა და ედმუნდ ჰალლეიმ** - საფუძველი ჩაუყარეს მეცნიერებას მოსახლეობის შესახებ. ჯ. გრაუნტის შრომების მიხედვით, დგინდება მთელი რიგი სტატისტიკური კანონზომიერება, რაც გავლენას ახდენს მასობრივ სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებზე. მისი შრომები წარმოადგენს ჰიპოთეზას სტატისტიკური მასალის ანალიზის შესახებ მოსახლეობის დემოგრაფიული პროცესის აღმწერი პირველი მეცნიერულ-მათემატიკური თეორია შეიმუშავა ინგლისელმა ასტრონომმა ედმუნდ ჰალლეიმ (1652-1742)“ [ხმალაძე 2014: 26].

დემოგრაფიის წინაშე მისი დამსახურება ისაა, რომ მან გააგრძელა გრაუნტის მიერ დაწყებული მოკვდავობის პრობლემების კვლევა. მის სახელს უკავშირდება **მოსახლეობის სტაციონარული მოდელის** პრაქტიკული რეალიზაცია. ეს არის მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობის აღწერის მათემატიკური მოდელის

შექმნის პირველი მცდელობა. დემოგრაფიულ პროცესებში მოკვდავობის ანალიზის მეთოდოლოგიის სრულყოფასთან ერთად, ადგილი ჰქონდა მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილების მათემატიკური კანონზომიერების ძიებას.

მოსახლეობის განვითარების სხვადასხვა ჰიპოთეზის გამოყენებისას მეცნიერებმა დიდი ძალისხმევა მოახდინეს რიცხოვნობის დინამიკის მათემატიკური მოდელის შექმნას. მოსახლეობის რიცხოვნობის უმარტივეს მოდელებს შორის უნდა დავასახელოთ თეორიული კონსტრუქციები, რომლებიც აღწერს მოსახლეობის ცვლილებას *ექსპონენციალური* და *ლოგარითმული* ფუნქციის მიხედვით. ამ მოდელების სახასიათო შტრიხია ბუნებრივი მატების მაჩვენებლების უცვლელობა, რაც საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდაზე ან შემცირებაზე).

ეს მაჩვენებელი არის ერთადერთი პარამეტრი, რომელიც ახასიათებს მოსახლეობის ცვლილებას. თუკი გვეცოდინება მთლიანი მოსახლეობის რაოდენობა - $N(t)$, ე.ი. მოსახლეობის რიცხვი t დროში, მაშინ მოსახლეობის რაოდენობა შეიძლება ჩაწერილი იქნას მათემატიკური ფორმით ექსპონენციალური ფუნქციის სახით:

$$N(t) = N(0)e^{kt},$$

სადაც $N(0)$ - მოსახლეობის საწყისი რიცხოვნობის მაჩვენებელია, k - ბუნებრივი მატების კოეფიციენტი, t კი - ნატურალური ლოგარითმის ფუძე (*Пирожков 1976: 11*).

თუ $k > 0$, მაშინ მოსახლეობის რიცხოვნობა იზრდება, ხოლო თუ $k < 0$ მაშინ მოსახლეობის რიცხოვნობა იკლებს, ხოლო როცა $k = 0$ მაშინ იგი უცვლელი რჩება.

მოსახლეობის დაბერების პროცესის წარმოქმნის მიზეზების შესწავლა და მასზე დაკვირვება არც ისე დიდი ხნის წინ დაიწყო. დემოგრაფიული პროცესების ანალიზის დროს მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ლოგარითმულ ფუნქციაზე დაფუძნებულ მოსახლეობის მოდელს, რომელიც შექმნა ბელგიელმა მათემატიკოსმა **პ. ფერხლუსმა**. ამერიკელი დემოგრაფები 1920-იან წლებში ფართოდ იყენებდნენ ამ ფუნქციას აშშ-ს მოსახლეობის რიცხოვნობის დასადგენად. 1780 – 1940 წლების ემპირიული მონაცემების ანალიზმა აშშ-თვის აჩვენა, რომ მოსახლეობის ლოგარითმული მოდელი საკმაოდ სრულად ასახავს მოსახლეობის ფაქტობრივ დინამიკას, მაგრამ იგივე დინამიკის განზოგადების მცდელობა 1940-2100 წლებზე, გათვლა ლოგარითმული მწკრივების იგივე მაჩვენებლების მიხედვით, რომლებიც შეესაბამებოდა 1940 წლის შემდგომ

პერიოდს, ვერ განხორციელდა, რადგან უკვე 1940-1965 წლებში გამოვლინდა მკვეთრი განსხვავება მოსახლეობის ფაქტობრივ და ნავარაუდევ მნიშვნელობებს შორის.

აღნიშნული ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ დემოგრაფიული განვითარების დროს გარკვეულ (მოცემულ) ეტაპზე მოსახლეობის ლოგარითმული მოდელი შეიძლება უკეთ ასახავდეს ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოების ასაკობრივ სტრუქტურას, მაგრამ მოსახლეობის პროგნოზირებისათვის ის უვარგისია, ვინაიდან ერთის მხრივ არ ითვალისწინებს მოსახლეობის აღწარმოების ცალკეულ პარამეტრებს შორის ურთიერთკავშირს, მეორე მხრივ კი არ რეაგირებს რთულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე, რაც იცვლება დროთა განმავლობაში. არსებითი ფაქტორი, რომელიც არ გაითვალისწინება ამ მოდელებში და, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის აღწარმოების პროცესზე, ეს არის ასაკობრივი სტრუქტურა. ამერიკელი მეცნიერის **ა. ლოტკას** მიერ შემოთავაზებული იქნა მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის სამი ტიპის მოდელი: **ექსპონენციალური, ლოგარითმული და სტაბილური.**

ექსპონენციალური მოდელის პირობებში, მოსახლეობის შესწავლის დროს ვპოულობთ მოსახლეობის რიცხოვნობის საერთო მათემატიკურ გამოსახულებას, მოკვდავობის და შობადობის ციფრებს, ასაკობრივ სტრუქტურას, ასევე შეგვიძლია განვსაზღვროთ ურთიერთკავშირი ამ პარამეტრებს შორის. მოსახლეობის **ექსპონენციალური** მოდელს ახასიათებს შემდეგი პარამეტრები: ასაკობრივი სტრუქტურა, ბუნებრივი მატების კოეფიციენტი, შობადობის ფუნქცია, მოკვდავობის ფუნქცია, მოკვდავობის უცვლელი განაწილება ასაკის მიხედვით. ექსპონენციალური მოსახლეობის პარამეტრების მრავალმხრივი შესაძლო კომბინაციები ბადებს ასეთივე მოდელების შექმნის შესაძლებლობებს. ვთქვათ, x არის ასაკი, $C(x)$ - x ასაკის მქონე პირთა ხვედრითი წონა, b - შობადობის საერთო კოეფიციენტი, მაშინ:

$$C(0) = b = const$$

მოკვდავობა, რომელიც ისევე როგორც ასაკობრივი სტრუქტურა, უცვლელია (მუდმივია). მოკვდავობის საერთო კოეფიციენტი $d = const$. შობადობისა და მოკვდავობის კოეფიციენტების მუდმივობიდან გამომდინარეობს, რომ ბუნებრივი მატების კოეფიციენტი $k = b - d = const$ უცვლელია. დავუშვათ, რომ მოსახლეობა

იზრდება გეომეტრიული პროგრესიით, ხოლო მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა, შობადობისა და მოკვდავობის რიცხვი t დროში გამოისახება შემდეგნაირად:

$$N(t) = Ae^{kt} = N(0)e^{kt}; \quad (1)$$

$$B(t) = bN(0)e^{kt}; \quad (2)$$

$$D(t) = dN(0)e^{kt}, \quad (3)$$

სადაც $A = const$ - მოსახლეობის თავდაპირველი რიცხოვნობა $N(0)$ ტოლია, $B(t)$ დაბადებათა რიცხვია, $D(t)$ - გარდაცვლილთა რიცხვია [Пирожков 1976: 12–14].

ვთქვათ l_x - ორივე სქესის მომდევნო ასაკამდე მიღწევის ფუნქციაა, მაშინ იმ პირთა რიცხვი, რომლებიც მიაღწევს x ასაკს t დროში გამოისახება ფორმულით:

$$B(t-x)l(x) = Abe^{kt}e^{-kx}l(x); \quad (4)$$

$$N(t)C(x) = Ae^{kt}C(x). \quad (5)$$

თუ, ω არის მოსახლეობის სიცოცხლის ზღვრული ასაკი. მაშინ მოსახლეობის ზოგადი ასაკობრივი სტრუქტურა წარმოდგენილი იქნება მარტივი ტოლობის სახით:

$$\int_0^{\omega} C(x)dx = 1 \quad \text{ან} \quad b \int_0^{\omega} e^{-kx}l(x)dx = 1, \quad (6)$$

რადგან b არ არის დამოკიდებული x ასაკზე. უკანასკნელიდან ვღებულობთ:

$$b = \frac{1}{\int_0^{\omega} e^{-kx}l(x)dx}. \quad (7)$$

ვთქვათ, m არის მუდმივი სიდიდე, რომელიც განსაზღვრავს ვაჟებისა და გოგონების ფარდობას. გოგონების შობადობის რიცხვი აღვნიშნოთ $B_f(t)$, ხოლო ვაჟების $B_m(t)$, შესაბამისად, მათი გამოსახულება იქნება:

$$B_f(t) = \frac{B(t)}{1+m} = \frac{bN(0)}{1+m} e^{kt}, \quad (8)$$

$$B_m(t) = \frac{mB(t)}{1+m} = \frac{mbN(0)}{1+m} e^{kt}. \quad (9)$$

თუ ჩავთვლით, რომ ქალების მომდევნო ასაკამდე მიღწევის ფუნქცია - $l_f(x)$ უცვლელია, შესაბამისად იმ ქალთა რიცხვი, რომლებიც მიაღწევს x ასაკს t დროში შეიძლება გამოვსახოთ ასე:

$$B_f(t-x)l_f(x) = \frac{bN(0)}{1+m} e^{kt} e^{-kx} l_f(x). \quad (10)$$

აქედან ვპოულობთ ქალთა ასაკობრივ სტრუქტურას, როგორც x ასაკის ფუნქციას (ნეიმანი 1978: 559):

$$C_f(x) = \frac{\frac{bN(0)}{1+m} e^{kt} e^{-kx} l_f(x)}{\frac{bN(0)}{1+m} e^{kt} \int_0^{\omega} e^{-kt} l_f(x) dx} = \frac{e^{-kx} l_f(x)}{\int_0^{\omega} e^{-kx} l_f(x) dx}. \quad (11)$$

ამავე ხერხით მივიღებთ მამაკაცების ასაკობრივი სტრუქტურისათვის გამოსახულებას:

$$C_m(x) = \frac{e^{-kt} l_m(x)}{\int_0^{\omega} e^{-kt} l_m(x) dx}, \quad (12)$$

სადაც $l_m(x)$ - წარმოადგენს მამაკაცების მომდევნო x ასაკამდე მიღწევის ფუნქციას. ის ასევე მუდმივი სიდიდისაა (Пирожков 1976: 16-17).

შობადობის ზოგადი კოეფიციენტები გოგონებისა და ვაჟებისათვის გამოისახება გამოსახულებით:

$$C_f(0) = b_f = \frac{1}{\int_0^{\omega} e^{-kx} l_f(x) dx}, \quad (13)$$

$$C_m(0) = b_m = \frac{1}{\int_0^{\omega} e^{-kx} l_m(x) dx}. \quad (14)$$

პრაქტიკაში მიღებულია, რომ გოგონებისა და ვაჟების შობადობის საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობა რიცხობრივად მიახლოებით ტოლია შობადობის ზოგადი კოეფიციენტის:

$$b \approx \frac{b_f + b_m}{2}. \quad (15)$$

ანალოგიურად მიღებულია მოკვდავობის ზოგადი კოეფიციენტისათვისაც:

$$d \approx \frac{d_f + d_m}{2}. \quad (16)$$

განვიხილოთ ქალთა ასაკობრივი სტრუქტურა. $f(x,t)$ აღვნიშნოთ ქალების მშობიარობის ფუნქცია, რომლებიც x ასაკში შობენ გოგონებს, x ასაკში მეოფი ყველა ქალთაგან t მომენტში. ცხადია, რომ გოგონების შობადობის ზოგადი კოეფიციენტი შეიძლება ჩავწეროთ გამოსახულებით:

$$b_f = \int_u^v C_f(x) f(x, t) dx = b_f \int_u^v e^{-kx} f(x, t) l_f(x) dx, \quad (17)$$

სადაც u და v წარმოადგენს ქალთა გენერაციული ასაკის საზღვრებს. უკანასკნელი გამოსახულების საფუძველზე ვღებულობთ **ექსპონენციალური მოდელის** ძირითად გამოსახულებას:

$$\int_u^v e^{-kx} f(x, t) l_f(x) dx = 1. \quad (18)$$

ეს განტოლება გამოსახავს კავშირს შობადობის და მოკვდავობის მზარდ ფუნქციებსა და ბუნებრივი მატების კოეფიციენტს შორის [Пирожков 1976: 18].

„მოსახლეობის აღწარმოების კოეფიციენტი შესაძლოა გამოითვალოს სხვადასხვა ხერხით. მოსახლეობის **აღწარმოების ბრუტო** კოეფიციენტის საშუალებით გამოითვლება [გ.წულაძე, დემოგრაფიის მოკლე ლექსიკონი, გვ.125]:

$$k_b = B_f(t) \times \sum_{15}^{50} C(x). \quad (19)$$

(19)-ე ფორმულაში აჯამვა ხორციელდება 15-დან 50-მდე, რითაც განისაზღვრება ქალთა რეპროდუქციული ასაკი. იმ შემთხვევაში, როდესაც გამოთვლები წარმოებს 5 წლიანი ინტერვალით, მაშინ მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტის გამოსათვლელ ფორმულაში ბოლო მამრავლი მრავლდება 5-ზე.

„მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტის გამოსათვლელ ფორმულას უწოდებენ მოსახლეობის აღწარმოების **წმინდა კოეფიციენტს**“ [გ.წულაძე, დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი, გვ.125] ის ტოლია, შობადობისა და მოკვდავობის მოცემულ პირობებში, იმ ახალშობილი გოგონების საშუალო რიცხვისა, რომელსაც შობს ქალი მთელი თავისი რეპროდუქციული პერიოდის განმავლობაში. მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$k_n = B_f(t) \times \sum_{15}^{50} \frac{C(x)}{1000} \times \frac{l_f(x)}{b}. \quad (20)$$

მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი გვიჩვენებს, რომ სტაბილური მოსახლეობის რიცხოვნობა იცვლება (იზრდება ან მცირდება) k -ჯერ, რაღაც T დროში, ე. ი. ერთი თაობის განმავლობაში. ამის გათვალისწინებით, მოსახლეობის

ოდენობის ექსპონენციალური ზრდის (კლების) მხედველობაში მიღებით, შეიძლება ერთმანეთთან დავაკავშიროთ ნეტო კოეფიციენტი და თაობის ხანგრძლიობა.

განვიხილოთ შობადობის, მოკვდავობის და ბუნებრივი მატების კოეფიციენტების განაწილება, როგორც მთლიანად საქართველოს, ასევე კონკრეტული რეგიონების მიხედვით. 2007 და 2016 წლებისათვის საქართველოს რეგიონებსა და მთლიანად საქართველოში შობადობის, მოკვდავობისა და მოსახლეობის საერთო რაოდენობის ფაქტობრივ მონაცემებზე [საქართველოს... 2017: 23]. დაყრდნობით (1)-(3) ფორმულებით გამოანგარიშებულია შობადობის, მოკვდავობის და ბუნებრივი მატების კოეფიციენტები შესაბამისი წლებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ბუნებრივი მატების ყველაზე მაღალი კოეფიციენტით გამოირჩევა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებლით კი - რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი. თუ, საწყის მონაცემებად მივიჩნევთ მოსახლეობის რაოდენობას 2007 წლისათვის, მაშინ მთლიანად საქართველოსათვის: $A = N(0) = 4318,30$ ათასი კაცი. $b = 12.9\%$, $d = 10.82\%$, $k = 2.08\%$, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის: $A = N(0) = 371,5$ ათასი კაცი. $b = 14.94\%$, $d = 8.32\%$, $k = 6.63\%$.

(13), (14) ფორმულების გათვალისწინებით, (15) და (16) ფორმულებით შეიძლება გამოვთვალოთ მოსახლეობის საერთო რიცხვი, შობადობისა და მოკვდავობის კოეფიციენტი 2007 წლიდან 2016 წლის ჩათვლით, ანუ 9 წლიანი პერიოდის განმავლობაში, რაც მიიღწევა ფაქტობრივი და ექსპონენციალური მეთოდით პროგნოზირებადი (გამოთვლილი) მონაცემების შედარებითი ანალიზის შედეგად.

2016 წლის ფაქტობრივ მონაცემებსა და ექსპონენციალური მეთოდით პროგნოზირებად (გამოთვლილ) მონაცემებს შორის დიდი თანხვედრაა, მაგრამ, გრძელვადიან პერიოდში ცდომილება შესაძლოა გაიზარდოს, ამიტომ მეთოდის საიმედოობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საანგარიშო პერიოდზე და მოსახლეობის რაოდენობაზე, ასევე ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა: უმუშევართა მაჩვენებელი², ცხოვრების დონის მაჩვენებელი³, შრომის პროდუქტიულობა⁴ და სხვა.

² უმუშევართა რიცხოვნობის ფარდობა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან.

³ გარკვეული მიახლოებით, ცხოვრების დონის მაჩვენებლად შეიძლება მივიღოთ გაერო-ს ადამიანური განვითარების ინდექსი, რომელიც ითვალისწინებს ქვეყანაში შემოსავლის დონეს, სიცოცხლის ხანგრძლივობას, განათლების მიღების შესაძლებლობას (განისაზღვრება განათლების სხვადასხვა სფეროთი დაკავებული მოსახლეობის ხვედრითი წილით).

მოსახლეობის სტაბილური მოდელი. „მოსახლეობის სტაბილურ მოდელში ბუნებრივი მატების ნებისმიერი მაჩვენებელი k იცვლება გამოთვლილი ბუნებრივი მატების კოეფიციენტით, რომელსაც **აღწარმოების რეჟიმის კოეფიციენტსაც** უწოდებენ.“ (Лотка 1974: 127). იგი პასუხობს შობადობისა და გარდაცვალების გარკვეულ სტაბილურ დონეს. აქედან გამომდინარეობს, რომ მოსახლეობის სტაბილური მოდელი ერთადერთია, რომელიც აერთიანებს ორ მოცემულ ფუნქციას - მოკვდავობას და შობადობას. ამ შემთხვევაში მოსახლეობის აღწარმოების ინტეგრალურ გამოსახულებას აქვს ერთი ნამდვილი ფესვი $k = \rho$, ხოლო დანარჩენი კომპლექსური.

ეს შედეგი ნაჩვენებია **ა. ლოტკას** მიერ ვოლტერის ინტეგრალური განტოლების საფუძველზე. სტაბილურ მოსახლეობაში შობადობის $f(x,t)$ არაა დამოკიდებული დროზე, შესაბამისად ძირითადი განტოლება ასე გამოისახება:

$$\int_0^{\infty} e^{-kx} \ell(x) f(x) dx = 1 \quad (21)$$

ამრიგად, მოსახლეობის სტაბილური მოდელი ითვალისწინებს მხოლოდ შობადობისა და მოკვდავობის ასაკობრივ ინტენსივობას მათი დროში ცვლილების გათვალისწინების გარეშე. ამ მოდელის საფუძველზე შეგვიძლია განვსაზღვროთ დემოგრაფიული პარამეტრების ზღვრული მდგომარეობა სტაბილიზაციის პირობებში.

სტაბილურ მოსახლეობაში აღწარმოების ნამდვილი k კოეფიციენტი ახასიათებს რიცხოვნობის ცვლილების ტემპს. თვისობრივად მოცემული მახასიათებელი ასახავს ასაკობრივი მოსახლეობის წლიურ ინტენსივობას. ნამდვილი კოეფიციენტის გარდა არსებობს აგრეთვე აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი R_0 რომელიც ახასიათებს ძველი თაობის ახლით ჩანაცვლების პროცესს, ა. ლოტკა განიხილავს აღწარმოების ელემენტებს (შობადობისა და გარდაცვალების ფუნქციებს), რომლებიც დამოკიდებულნი არიან მხოლოდ ერთ ცვლადზე x ასაკზე, შემდეგ ის გადადის ამ ელემენტების, როგორც ორი ფუნქციის x ასაკისა და t დროის ფუნქციის შესწავლაზე.

მოცემულ შემთხვევაში ამოცანა დაიყვანება ანალიტიკური გამოსახულების პოვნაზე, რომელიც t დროის ფუნქციაა, როგორც ავტორი აჩვენებს კერძო შემთხვევაში მსგავს მოდელს წარმოადგენს მოსახლეობის ლოგისტიკური მოდელი.

⁴ შრომის ეფექტიანობის ზომა, რომელიც იზომება დროის ერთეულში მუშაკის მიერ გამომუშავებული პროდუქციის რაოდენობით. მისი შეზღუდვები სიდიდეა შრომის მოცულობა, რომელიც იზომება ერთეული პროდუქციის გამოშვებისათვის საჭირო დროით.

„სტაბილური მოსახლეობის თანამედროვე მოდელი შეიძლება ორი ფორმით გამოისახოს: ინტეგრალური და მატრიცული“ [Leslie 1945: 183–212]. პირველი ახასიათებს აღწარმოების რეჟიმის ფუნქციას უწყვეტი ფორმით, ხოლო მეორე განიხილავს მას დისკრეტული ფორმით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მატრიცულ ფორმას აქვს გარკვეული უპირატესობა, კერძოდ, ის შეიძლება ითვალისწინებდეს პირველადი ინფორმაციის საკმარისად დიდ ოდენობას (მაგ: სოციოლოგიური) ამიტომაც სტაბილური მოსახლეობის მოდელში უპირატესობა ენიჭება მატრიცულ ფორმას. გარდა ამისა, მატრიცული ფორმა კარგად ითვალისწინებს სოციალურად და ტერიტორიულად დიფერენცირებული მოსახლეობის ჯგუფებს. ამასთან დემოგრაფიული პროცესების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია ცხადია დისკრეტულია. ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, მატრიცული ფორმა შედარებით უფრო ზუსტად ასახავს დემოგრაფიულ პროცესებს.

„დემოგრაფიული მოდელების შემდგომი განვითარება დაკავშირებულია რ. მაიერსის მიერ 1940-იან წლებში ა. ლოტკას მიერ შემოთავაზებული მოსახლეობის სტაბილური მოდელის განვითარებასთან. რ. მაიერსმა ყურადღება გაამახვილა კაცების და ქალების აღწარმოების ცვლილებებს შორის კონფლიქტზე. პ. კარმელმა დაამუშავა მოსახლეობის სტაბილური მოდელი ორივე სქესისათვის სტაბილურ მოსახლეობაში ბუნებრივი მატების კოეფიციენტები ქალებისა და კაცებისათვის სხვადასხვა სიდიდისა“ [Myers 1941: 275]. ჩვენ შევეცდებით გადავჭრათ ამ კოეფიციენტებს შორის კონფლიქტური სიტუაცია სხვადასხვა ცვლადის შემოღებით. როგორცაა: დედის ასაკი.

ამრიგად, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე უდიდეს გავლენას ახდენს მოსახლეობის რაოდენობა. კერძოდ, მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა, შრომისუნარიანი ასაკის ადამიანთა რაოდენობის ზრდის ხარჯზე, იწვევს დამატებით მუშახელის მიწოდებას, სამუშაო ადგილების ზრდას, ადგილობრივი პროდუქციის წარმოების მოცულობის გაფართოებას, და შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებას, და პირიქით, მოსახლეობის ოდენობის შემცირება აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას. გარდა მოსახლეობის რაოდენობრივი ფაქტორისა, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე დიდ გავლენას ახდენს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურაც.

თუ ქვეყანაში შობადობა შემცირდება, ეს გამოიწვევს მოსახლეობის დაბერებას, მის საერთო რაოდენობაში შრომისუნარიანი ასაკის ადამიანთა ხვედრითი წილის

შემცირებას, და ამის შედეგად, ეკონომიკური ზრდის ტემპების დაქვეითებას. ჩინეთისა და ინდოეთის სწრაფი ეკონომიკური აღმავლობის ერთ-ერთი ფაქტორი სწორედ მათი მოსახლეობის მკვეთრი ზრდაა. ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით აგრეთვე მნიშვნელოვანია მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურის ცვლილებაც.

თუ მოსახლეობის საერთო რაოდენობაში იზრდება მამაკაცთა ხვედრითი წილი, ეს გამოიწვევს შრომატევადი, დიდი ფიზიკური დატვირთვის სამუშაო ადგილების მქონე დარგთა განვითარებას და პირიქით, მოსახლეობის საერთო მოცულობაში ქალების ხვედრითი წილის ზრდა იწვევს საფეიქრო, მსუბუქი, კვების მრეწველობის და სხვა მსგავს დარგთა განვითარებას. შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე მოსახლეობის რაოდენობის ზეგავლენის გასაანალიზებლად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა მოდელით მოხდება დემოგრაფიული სტრუქტურის ანალიზი.

ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურის აღწერის ისეთი მექანიზმების გამოიყენებას, როგორცაა: ეკონომიკურ-დემოგრაფიული პროგნოზი, მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურის ცვლილების შესწავლა, მოსახლეობის აღწარმოების ტიპების შესწავლა (ტრადიციული ან პატრიარქალური; თანამედროვე ანუ რაციონალური), მოსახლეობის დემოგრაფიული მოდელების შეწავლა (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის სტოქსტური და იმიტაციური მოდელები; მოსახლეობის სტაციონარული მოდელი; მოსახლეობის ცვლილების აღწერის ექსპონენციალური მოდელი; ლოგარითმული მოდელი და სტაბილური მოდელი).

ამ მოდელებს შორის მოსახლეობის ცვლილების აღწერის ექსპონენციალური მოდელის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მას ახასიათებს ბუნებრივი მატების მაჩვენებლების უცვლელიობა, რაც საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდაზე ან შემცირებაზე. ეს მაჩვენებელი არის ყველაზე პრაქტიკული პარამეტრი, რომელიც მოსახლეობის ცვლილების ეფექტურად აღწერის საშუალებას გვაძლევს.

1.3. მოსახლეობის სტატისტიკურ-რაოდენობრივი შეფასების თანამედროვე მოდელები

დემოგრაფიული პროცესების ეკონომიკურ ზრდაზე ზეგავლენის სწორი შეფასების მიზნით უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის სტატისტიკურ-რაოდენობრივი შეფასების თანამედროვე მოდელების შესწავლასა და ამ მოდელებს შორის საქართველოსათვის ადექვატური ვარიანტის შერჩევას. ამ თვალსაზრისით განსხვავებენ მოსახლეობის სტატისტიკურ-რაოდენობრივი შეფასების ისეთ მოდელებს, როგორცაა: მოსახლეობის კვაზი-სტაბილური მოდელი; მალთუსის მოდელი; მოსახლეობის სტაბილური მოდელი; მოსახლეობის პროგნოზირება ექსპონენციალური მოდელის საფუძველზე; პროგნოზირება დემოგრაფიული მოდელების საშუალებით; პროგნოზირება დინამიკის სტატისტიკური მახასიათებლების მიხედვით.

მოსახლეობის აღრიცხვიანობის სტაბილურმა მოდელმა შექმნა სრულიად ახალი, განსხვავებული ერა მოსახლეობის აღწარმოების მეთოდური პრინციპების განვითარების თვალსაზრისით. მოსახლეობის სტატისტიკურ-რაოდენობრივი შეფასების მოდელების ანალიტიკური შესაძლებლობები გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან იღებს სათავეს. როცა მწარმოებელ ქვეყნებში თავი იჩინა დემოგრაფიულმა თავისებურებებმა. მეოცე საუკუნის 40-50-იან წლებში დემოგრაფების მხრიდან დაიწყო მოსახლეობის აღრიცხვის სტაბილური მოდელის ანალიზის კრიტიკული გადახედვა. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის რეალური და სტაბილური მეთოდით მიღებული მონაცემები განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

შესაბამისად ცალკეული ქვეყნის გრძელვადიანი პროგნოზები მკვეთრად სცდებოდა რეალურ მაჩვენებლებს. გარდა ამისა, ადგილი ჰქონდა შობადობისა და მოკვდავობის კოეფიციენტების მკვეთრ ცვლილებას. სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ თითქმის 100-150 წლიან პერიოდში ამ ქვეყნებში შეიმჩნეოდა, როგორც მოკვდავობის, ასევე შობადობის მკვეთრი შემცირება. აშკარაა, რომ ქვეყნის მოსახლეობის აღრიცხვის სტაბილური მოდელი შედარებით ეფექტიანია, როცა დემოგრაფიული განვითარება ასახავს აღწარმოების უცვლელ რეჟიმს, ანუ როცა დემოგრაფიული განვითარება ისეთია, როცა აღწარმოება თითქმის უცვლელი რჩება.

1950-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა მოსახლეობის კვაზი-სტაბილური მოდელი რომელიც დაეფუძნა იმ ფაქტს, რომ შობადობის მაღალი დონის შემთხვევაში მოკვდავობის შემცირება არ იწვევს მნიშვნელოვან გავლენას მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებაზე. ამიტომ მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა, სადაც შობადობა მუდმივია, მოკვდავობა კი მცირდება, ახლოსაა სტაბილური მოსახლეობის იმ ასაკობრივ სტრუქტურასთან, რომელშიც შობადობა მცირდება, ხოლო მოკვდავობის დონე კი იმავდროულად მუდმივია.

კვაზისტაბილური მოდელის პრაქტიკული გამოყენება მნიშვნელოვანია სტაბილური მოსახლეობის უკუ ამოცანის გადაწყვეტისას, როცა რეალური მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურისა და სტაბილური მოდელით გაანგარიშებული სტრუქტურის შედარება ხორციელდება, რათა განსაზღვრული იქნას არსებული მოსახლეობის ძირითადი დემოგრაფიული მახასიათებლები. ამ გათვლების საფუძველზე ხელმეორედ მიღებული და დაზუსტებული იქნა ინფორმაცია აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის რიგი ქვეყნების მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შესახებ.

ვინაიდან ზოგიერთ ქვეყანაში არსებობდა არასრულყოფილი, ხოლო რიგ შემთხვევაში კი საერთოდ არ არსებობდა ინფორმაცია ბუნებრივი მოძრაობის შესახებ. ამიტომ „მოსახლეობის კვაზი-სტაბილური“ მოდელის ანალიზი გახდა დემოგრაფიული პროცესების ანალიზის საბაზო საფუძველი. სტაბილური მოსახლეობის ანალიზი, შობადობისა და მოკვდავობის სხვადასხვა ჰიპოთეზების შემთხვევაში აჩვენებს, რომ დაბალი შობადობის პირობებში მოკვდავობის შემცირება იწვევს მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობის მნიშვნელოვან ცვლილებას, ამდენად მოსახლეობის კვაზი-სტაბილური მოდელის გამოყენება ამ კონკრეტულ სიატუაციაში დაბალეფექტურია და მოდელის თეორიული ნაწილი მოითხოვს დახვეწას“ [Coal 1963: 23].

„როგორც **ჟ. ბურჯუა-პიშას** გამოკვლევები აჩვენებს, გარკვეულწილად ეს ცვლილებები გულისხმობს „მოსახლეობის ნახევრად სტაბილურ მოდელს, რომელიც ითვალისწინებს შობადობისა და მოკვდავობის ისეთ თანაფარდობას, რომლის დროსაც ასაკობრივი სტრუქტურა უცვლელი რჩება დროში“ [Bourgeois-Pichat 1971: 2]. გარკვეულ ასაკობრივ დონემდე მიღწევის ფუნქცია და ბუნებრივი მატების კოეფიციენტი ურთიერთდაკავშირებულია შემდეგი გამოსახულებით:

$$l(x,t) = \frac{C(x)}{C(0)} e^{k(t)x}$$

შობადობის ფუნქცია არ უნდა არღვევდეს თანაფარდობას:

$$\int_0^{\omega} f(x,t)C(x)dx = C(0).$$

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დემოგრაფიული ფაქტორი განპირობებულია სოციალურ-ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და საზოგადოებრივი განვითარების სხვა კომპონენტებით, მაშინ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დემოგრაფიული ანალიზის წარმოება ღია დემოგრაფიული სისტემის საფუძველზე, რაც საშუალებას მოგვცემს გავანალიზოთ არა მხოლოდ შიგა დემოგრაფიული ურთიერთქმედება, არამედ გარე პროცესებიც. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოსახლეობის აღწარმოება წარმოადგენს რთულ სისტემას მრავალრიცხოვან დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური მახასიათებლებით, რა თქმა უნდა ღია დემოგრაფიული სისტემის ანალიზი შეიძლება განხორციელდეს კონკრეტულ დონეზე.

შესაძლებელია აგრეთვე, ქვეყანაში შემუშავდეს მოსახლეობის აღწარმოების შიგა მექანიზმი მაკრო დონეზე, მაგრამ თუ მაკრო დონე საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ დემოგრაფიული განვითარების ტენდენციის ზოგადი მიმართულება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე, მაშინ ამ ტენდენციის რეალიზაცია შეიძლება მოხდეს ასევე მიკრო დონეზეც (ოჯახში).

ამ ორი (მაკრო და მიკრო) დონის სინთეზი იძლევა შედარებით სრულყოფილ კონცეფციას მოსახლეობის აღწარმოების მოდელთა შორის, რომელიც, ჩვენი აზრით, უნდა ეფუძნებოდეს ორი ტიპის მოდელს, რომელთაგანაც ერთ-ერთი აღწერს მოსახლეობის აღწარმოების ზოგად დინამიკას, ხოლო მეორე – ოჯახის აღწარმოებას და ოჯახურ სტრუქტურას. ოჯახის სტრუქტურის მოდელირება მართალია გასული საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო, თუმცა მოდელი, რომელიც ითვალისწინებს მაკრო და მიკრო დონეთა ურთიერთკავშირს, ჯერ კიდევ არაა შექმნილი. „თანამედროვე ეტაპზე დემოგრაფიული მოდელების რაოდენობა მრავალრიცხოვანია, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი:

1. მალთუსის მოდელი.

$$N(t) = N_0 e^{kt}.$$

ხშირად მალთუსის მოდელს ექსპონენციალური მოდელის სახელწოდებით მოიხსენიებენ, რადგანაც იგი ასახავს მოსახლეობის ექსპონენციალურ ზრდას მუდმივი ტემპით. აღსანიშნავია, რომ ამ მოდელში მოსახლეობის 1%-იანი ზრდის შემთხვევაში მოსახლეობა გაორმაგდება 70 წლის შემდეგ. შეიძლება გამოვიანგარიშოთ 2%-იანი და ა.შ. ზრდის ტემპის შემთხვევაში რამდენი წელი დასჭირდება მოსახლეობის გაორმაგებას“ [Marchetti 1992: 297].

მალთუსის მოდელი საშუალებას იძლევა განისაზღვროს, თუ როგორ აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, მოსახლეობის მუდმივი ტემპით მატება. მაგალითად, რამდენი პროცენტით გაზრდის მთლიან შიდა პროდუქციას მოსახლეობის 1%-იანი მატება ან 2%-იანი ზრდა და ა. შ.

2. მოსახლეობის სტაბილური მოდელი. თუ საკმარისად დიდი დროის პერიოდში არ იცვლება შობადობისა და მოკვდავობის ზრდის კოეფიციენტები, მაშინ მოსახლეობის წლიური ზრდა მუდმივი სიდიდისაკენ მიისწრაფვის. სწორედ ამ მუდმივ კოეფიციენტს უწოდებენ **ბუნებრივი ზრდის ნამდვილ კოეფიციენტს**, ხოლო მოსახლეობის მოდელი, რომელშიც დროთა განმავლობაში ბუნებრივი მატების კოეფიციენტი უტოლდება ფაქტობრივ კოეფიციენტს, წარმოადგენს სტაბილურ მოდელს.

მოსახლეობის სტაბილური მოდელი ქმნის მდგრადი ეკონომიკის განვითარების პირობას, რადგანაც ასეთი მოსახლეობის სტრუქტურა დროთა განმავლობაში უცვლელი ხდება, ანუ იქმნება მოსახლეობის სტაბილურად მზარდი სტრუქტურა, რომელიც პირველადი (საბაზისო) ასაკობრივი სტრუქტურის მიუხედავად, განისაზღვრება მხოლოდ შობადობისა და მოკვდავობის კოეფიციენტების მნიშვნელობებით. „სტაბილური მოსახლეობა, რომელშიც ბუნებრივი ზრდის ფაქტობრივი კოეფიციენტი 0-ის ტოლია **სტაციონარული მოსახლეობა ეწოდება**“ ასეთ მოსახლეობაში ნებისმიერი ასაკობრივი ჯგუფის რიცხოვნობა განისაზღვრება ასაკობრივ დონემდე მიღწევის ფუნქციიდან ინტეგრალის ნამრავლით ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის საერთო პროპორციულობის კოეფიციენტზე. ინტეგრირების საზღვრებს წარმოადგენს ამ ასაკობრივი ჯგუფის ქვედა და ზედა ზღვრები (მაგალითად: 5 წლიანი ინტერვალით, 0-4 და ა.შ.). ლოტკას განტოლებით:

$$B(t) = \int_0^t B(t-a)\ell(a)b(a)da$$

სადაც: B – დროის ერთეულში შობადობის რიცხვია; $\ell(a)$ – a ასაკამდე მიღწევის ფუნქციაა; b – ასაკობრივი შობადობაა.

სტაბილური მოსახლეობის შემთხვევაში:

$$B(t) = Qe^{rt}$$

$$Qe^{rt} = \int_0^t Qe^{r(t-a)}\ell(a)b(a)da$$

$$1 = \int_0^t e^{-ra}\ell(a)b(a)da$$

დისკრეტულ შემთხვევაში:

$$1 = \sum_{a=1}^{\omega} e^{-ra}\ell(a)b(a)da .$$

ლოტკას განტოლების ამოხსნა შესაძლებელია თანმიმდევრული მიახლოების მეთოდით.

3. მოსახლეობის პროგნოზირება ექსპონენციალური მოდელის საფუძველზე. ამ მოდელის საფუძველზე განხორციელებული მოსახლეობის პროგნოზირება ხელს უწყობს მომავლის ეკონომიკის დაგეგმარებას, სწორი ეკონომიკური სტრატეგიების შემუშავებასა და რეალიზაციას. პროგნოზი ზუსტია, თუ დეტალურად არის გაანალიზებული და განსაზღვრული პროცესების განვითარების ტენდენციები წარსულში, და სწორად არის გამოყენებული გასული წლების მონაცემები, ასევე სტატისტიკური დამუშავების ის მეთოდები, რომლებიც მეცნიერებამ დღემდე მოიტანა.

ეკონომიკური განვითარების გეგმა და მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზირება ურთიერთშეთანხმებული უნდა იყოს, ამასთან, აუცილებელია, რომ მეორე უსწრებდეს პირველს ე.ი. დაგეგმარების პროცესს. თანამედროვე სტატისტიკაში მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზირების რიგი მეთოდებია ცნობილი, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სიზუსტე და ეფუძნებიან სხვადასხვა მოდელს.

ყველაზე მარტივი მათემატიკური მოდელები ახასიათებს მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილებას ზოგადად. ეს მარტივი მოდელები, შესაბამისად შეიძლება გამოსახული იქნას მარტივი მათემატიკური ფუნქციებით. ყველაზე დიდი გავრცობა

მათ შორის ჰპოვა, პარაბოლურმა, ლოგარითმულმა და ექსპონენციალურმა ფუნქციებმა.

1891 წელს ამერიკელმა ასტრონომმა **გ. პრიტჩეტმა** აშშ-ს მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზირების მიზნით გამოიყენა მესამე რიგის პარაბოლის განტოლება. მის მიერ გამოყენებული მოდელი მორგებული იქნა 1790-1880 წლებს. მიღებული მრუდი მან გამოიყენა მომავალ წლებში მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზირებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყოველ მომდევნო წელზე მრუდი კარგ თანხვედრაში აღმოჩნდა ფაქტობრივ მონაცემებთან, თუმცა გრძელვადიან პერიოდში მრუდის მონაცემები ფაქტობრივისაგან სხვაობას მნიშვნელოვანს ხდიდა. იმ დაშვებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა იმავე კანონით განხორციელდება, რაც 1790-1880 წლებში, მეცნიერმა **გ. პრიტჩეტმა** მოახდინა ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის პროგნოზირება 1000 წლის შემდეგ, თუმცა დროთა განმავლობაში ფაქტობრივ და გამოთვლილ მონაცემებს შორის სხვაობა გაიზარდა. აღმოჩნდა, რომ პარაბოლა ხელსაყრელია გამოყენებულ იქნას მოსახლეობის ზრდის აღსაწერად წარსულში, მაგრამ ნაკლებად სანდოა პროგნოზირებისას.

შედარებით გავრცელებული მათემატიკური მოდელი, რომელიც მოსახლეობის განვითარების წარსულ და მომავალ ტენდენციებს ასახავს არის ხარისხობრივი ან ექსპონენციალური მრუდი. აღსანიშნავია, რომ ექსპონენციალური მოდელი, პროგნოზირების პერიოდის გარდა, ითვალისწინებს მოსახლეობის ძირითად მახასიათებელს – ბუნებრივი მატების კოეფიციენტს. თუ დავუშვებთ, რომ ბუნებრივი მატების კოეფიციენტი k მუდმივია, რომელიც მომავალ t პერიოდში, მაშინ ზრდის ექსპონენციალური კანონის თანახმად განისაზღვრება მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა:

$$N(t) = N_0 e^{kt}.$$

სადაც $N(t)$ – მოსახლეობის რიცხოვნობაა t დროის შემდეგ, ხოლო N_0 – მოსახლეობის რაოდენობაა საწყის პერიოდში, k – ბუნებრივი მატების კოეფიციენტი.

რა თქმა უნდა ამ მოდელით შეიძლება გამოვთვალოთ მოსახლეობის რიცხოვნობა t დროის შემდეგ, დავადგინოთ, რომ თუ $k > 0$ მოსახლეობა იზრდება, ხოლო თუ $k < 0$ - მცირდება. ამ ფორმულით ვერ დავადგენთ მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურას, შეუძლებელია დავადგინოთ შობადობისა და მოკვდავობის დონეც.

ექსპონენციალური მოდელით შეიძლება დავადგინოთ დრო t , რომლის შემდეგაც მოსახლეობა მიაღწევს განსაზღვრულ ოდენობას. ამისათვის ექსპონენციალური კანონის ამსახველი ფორმულიდან შეიძლება ვიპოვოთ t , რისთვისაც უნდა გავალო-გარიტმოთ 10–ის ფუძით გამოსახულების ორივე მხარე:

$$\lg N(t) = \lg N_0 + kt \lg e$$

აქედან:

$$t = \frac{\lg N(t) - \lg N_0}{k \lg e} = \frac{\lg N(t) - \lg N_0}{0.4343k}, \quad \lg e = 0.4343$$

მაგალითისათვის განვიხილოთ საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილება უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში. „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოს მთლიანი მოსახლეობა 2004 წლისათვის იყო 4 318,3 ათასი კაცი, 2016 წლისათვის კი - 3 720,4 ათასი კაცი“. (საქართველოს სტატისტიკის... 2017) თუ, მოსახლეობის საწყის რიცხოვნობის მაჩვენებლად მივიჩნევთ მოსახლეობის რიცხოვნობას 2004 წლისათვის, მაშინ:

$$N(0) = 4\,318,3 \text{ ათასი კაცი, } N(t) = 3\,720,4 \text{ ათასი კაცი, } t = 13 \text{ წელი.}$$

მაშასადამე, შეიძლება გამოვთვალოთ უკანასკნელი 13 წლის მანძილზე საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი: $K = 1,8\%$. თუ ჩავთვლით, რომ ბუნებრივი მატების კოეფიციენტი მუდმივი სიდიდეა (ე.ი. ნულოვანი მიგრაციის სალდოს შემთხვევას აქვს ადგილი), შეგვიძლია მოსახლეობის ზრდის ამ მოცემული ტემპით მათემატიკურად გამოვიანგარიშოთ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა მომდევნო 10 წლისათვის, 2027 წლისათვის: $N(2027) = 3236,4$ ათასი კაცი, მომდევნო 100 წლისათვის: $N(2117) = 2336,4$ ათასი კაცი და ა.შ. ფაქტია, რომ საქართველოს მოსახლეობა კლების ტენდენციით ხასიათდება. ამიტომ დემოგრაფიული პროცესები განხილული უნდა იქნას გლობალურ ასპექტში. მაგრამ აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის კოეფიციენტი ვერ იქნება მუდმივი სიდიდე, იგი მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული და მაშასადამე, გრძელვადიან პერიოდში მოსახლეობის რაოდენობის გამოთვლით მიღებული შედეგი შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგისაგან, განსაკუთრებით გარე მიგრაციის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა იგი დადებითია, თუ უარყოფითი.

4. პროგნოზირება დემოგრაფიული მოდელების საშუალებით. სტაციონალური მოსახლეობის მოდელი ითვალისწინებს დემოგრაფიულ სისტემას, რომელშიც უცვლელია შობადობის ინტენსივობა და მოკვდავობის რიგი მიგრაციის არარსებობის პირობებში. შესაბამისად, ის ითვალისწინებს შობადობისა და მოკვდავობის ტოლობას, ე.ი. ბუნებრივი მატება ნულის ტოლია, ხოლო ცალკეული ასაკობრივი ჯგუფის რიცხოვნობა მუდმივია. ფაქტია, რომ ასეთ მოდელს არა აქვს ანალოგი პრაქტიკულად არცერთ საზოგადოებაში. თუმცა თანამედროვე პროგნოზირების პროცესებში მას გარკვეულ პირობებში გააჩნია არა მხოლოდ აბსტრაქციული, არამედ მნიშვნელოვანი პრაქტიკული როლი. ცნობილი დემოგრაფი რ. პრესა თავის სახელმძღვანელოში „ეროვნებათა დასახლება და მისი შესწავლა“ წერს, რომ „ცხადია, რომ სინამდვილეში არასოდეს ყოფილა მოსახლეობა სრულ თანხვედნაში სტაციონარულ მოდელთან, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი ჯგუფის ევოლუცია, მათი ისტორიის განსაზღვრულ პერიოდში ახლოსაა სტაციონარულ მოდელთან“.

მოსახლეობის დემოგრაფიული მოდელების საშუალებით განხორციელებული პროგნოზირების დროს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა არ იცვლება, რის გამოც მოსახლეობის ზრდა მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე. შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარება შესაძლებელია მხოლოდ არსებული შრომითი რესურსის დატვირთვის ინტენსიურობის ზრდის ხარჯზე.

მოკვდავობის ცხრილის მიხედვით, x ასაკიდან $x+1$ ასაკამდე მიღწეული ასაკის მოსახლეობისათვის, შეიძლება აგებული იქნას სტაციონარული მოსახლეობის მოდელი. ძირითად მნიშვნელობად თუ მივიღებთ ქალთა რიცხვს, რომელიც მიაღწევს $x+1$ ასაკამდე, მაშინ მამაკაცების შესაბამისი რიცხვი შეიძლება გამოითვალოს მუდმივ კოეფიციენტზე გამრავლებით. ეს მუდმივი კოეფიციენტი კი გვიჩვენებს სქესთა თანაფარდობას ახალშობილთა შორის. მოსახლეობის უმრავლეს სისტემაში ეს თანაფარდობა მუდმივია, თუმცა კორექტირების აუცილებლობა აიხსნება იმით, რომ მოკვდავობის ცხრილის აგებისას, როგორც ქალებისათვის, ასევე მამაკაცებისათვის საწყის რიცხვად მიღებულია 100000. საქართველოში 2002-2014 წლებისათვის სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ცოცხლად დაბადებულებში საქსტატის მონაცემებით მნიშვნელოვან სხვაობას გვაძლევს. შეიძლება ითქვას, რომ განსხვავება როგორც

წლების, ისე სიდიდის მიხედვით შეიმჩნევა. მაგალითად 2008 წელს არნახულ მაქსიმუმს აღწევს, ხოლო შემდეგ 2009 წელს კი მინიმუმს. 2012 წლის შემდეგ სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის სიდიდე მცირდება და 2014 წლისათვის ნორმალურს უახლოვდება [წულაძე...2013, „საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული თავისებურებები“, თბილისი 2016, გვ. 40].

ვთქვათ ყოველწლიურად შობადობის რიცხვი არის n , მათ შორის pn ბიჭია და $(1-\beta)n$ გოგონა, მაშინ x ასაკამდე მიღწეულთა რიცხვი იქნება L_x . ცხადია, რომ საჭირო ხდება გამოითვალოს x ასაკამდე მიღწეული მოსახლეობის საშუალო რიცხვი. სტაციონარული მოსახლეობის საერთო რიცხვი გამოითვლება ფორმულით:

$$N = \sum L_x = ne_0^0$$

სადაც e_0^0 – ახალშობილთა მოსალოდნელი სიცოცხლის მაჩვენებელია.

თუ ახალშობილთა რიცხვი არის n , მაშინ შობადობის ზოგადი კოეფიციენტი ჩაიწერება ასე:

$$P = \frac{n}{\sum L_x} = \frac{n}{ne_0^0} = \frac{1}{e_0^0}.$$

ამრიგად, სტაციონარულ მოსახლეობაში შობადობა არის სიდიდე, რომელიც ახალშობილთა მოსალოდნელი საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობის შებრუნებული სიდიდეა. რადგან სტაციონარულ მოდელში შობადობის კოეფიციენტი უდრის მოკვდავობის კოეფიციენტს, ამიტომ შობადობის საერთო წლიური რიცხვი უნდა გაუტოლდეს მოკვდავობის საერთო წლიურ რიცხვს. შესაბამისად სტაციონარული მოდელის აგებისათვის საჭიროა მოკვდავობის ცხრილი, რომელიც განსაზღვრავს x ასაკამდე მიღწეულთა რიცხვს და ბიჭებისა და გოგონების რიცხვების ფარდობას. გამოთვლებისას ასევე საჭიროა ვიცოდეთ ცოცხალთა საშუალო რიცხვი, რომელიც განისაზღვრება x ასაკამდე მიღწეულთა რიცხვით:

$$L_x = \frac{l_x + l_{x+1}}{2}.$$

თუ გვაქვს მონაცემები 5 წლიანი ასაკობრივი ჯგუფებისათვის, მაშინ სარგებლოდ გარკვეულ ასაკამდე მიღწეულთა საშუალო სიდიდეებით:

$$\sum L_x = 5 \sum_{x < 5} L_x$$

ამრიგად, სტაციონარული მოსახლეობის მოდელი საშუალებას გვაძლევს გამოვთვალოთ მოსახლეობის საერთო რაოდენობა და x ასაკამდე მიღწეულთა ცხრილური საშუალო რიცხვი კაცებისა და ქალებისათვის. რადგან სტაციონარული მოსახლეობის მოდელის იდეა მდგომარეობს შობადობისა და მოკვდავობის უცვლელობაში, ამიტომ აღწარმოების მაჩვენებლები შენაჩუნებული იქნება მომავალშიც. მოსახლეობის არც რაოდენობა და არც მისი სტრუქტურა არ შეიცვლება. შესაბამისად, სტაციონარული მოსახლეობის რიცხოვნობის დასადგენად საჭიროა გავიგოთ მონაცემები მოსახლეობაში არსებული შობადობისა და მოკვდავობის შესახებ.

სტაბილურ მოსახლეობაში შობადობის, მოკვდავობისა და ბუნებრივი მატების კოეფიციენტები დამოკიდებულია ფაქტიურ ასაკობრივ სტრუქტურაზე. თუ დავამტკიცებთ, რომ მოსახლეობა მიისწრაფვის შობადობისა და მოკვდავობის განსაზღვრულ ნიშნულამდე, მაშინ მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა დამოკიდებული იქნება მხოლოდ ამ ორ ფაქტორზე. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის კოეფიციენტებსა და ასაკობრივი სტრუქტურის სტაბილიზაციას შორის დამოკიდებულების დასადგენად საჭიროა გავიღეს დროის გარკვეული, დიდი ინტერვალი.

ა. ლოტკამ ეს პერიოდი განსაზღვრა 50-100 წლით, მაგრამ ბოლო დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ ამ კავშირის დასადგენად საკმარისია ერთი დემოგრაფიული თაობის (27-28 წელი) მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობის ტოლფასი დრო. სტაბილური მოსახლეობის მოდელის ყველაზე მნიშვნელოვანი პარამეტრი არის ბუნებრივი მატების ნამდვილი კოეფიციენტი, რომელიც შეიძლება ასე გამოვსახოთ [Пирожков 1976: 16–17]:

$$K_L = \frac{\ln R_0}{T} = \frac{2.03261g R_0}{T}$$

სადაც, R_0 – არის შობადობის ნეტო-კოეფიციენტი, \bar{T} – ქალთა თაობის საშუალო სიცოცხლის პერიოდია.

სტაბილური მოსახლეობის რიცხოვნობა იზრდება გეომეტრიული პროგრესიით e^K –პროპორციულად, ხოლო მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა არის:

$$N(t) = aL_x - e^{-Kx}$$

სადაც, L_x – x ასაკამდე სადაც, მიღწეულთა საშუალო რიცხვია.

შესაბამისად, სტაბილური მოსახლეობის რაოდენობის გამოსათვლელად აუცილებელია ნეტო-კოეფიციენტის ცოდნა, რომელიც ჩვენს შემთხვევაშია 1,1177, ხოლო ქალთა თაობის საშუალო სიგრძე (ხანგრძლივობა) – 27 წელია. მაშასადამე ბუნებრივი მატების ნამდვილი კოეფიციენტი იქნება:

$$K_L = \frac{\ln 1,1177}{T} = \frac{2.0326 \lg 1,1177}{T} = 0,00472.$$

ამის შემდეგ ვაგებთ ცხრილს, რომელშიც განვსაზღვრავთ სტაციონარული მოსახლეობას (კაცებისა და ქალების რაოდენობას ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით) მოკვდავობის ცხრილის საფუძველზე x ასაკამდე მიღწეულთა რიცხვების მიხედვით. შემდეგ სტაციონარული მოსახლეობის რაოდენობა მრავლდება e^{-Kx} –ს შესაბამის მნიშვნელობაზე და ვღებულობთ სტაბილური მოსახლეობის რიცხოვნობას.

იმისათვის, რომ მივიღოთ ქვეყნის სტაბილური მოსახლეობის რიცხოვნობა სქესისა და ასაკის მიხედვით, საჭიროა ვიპოვოთ საერთო რიცხოვნობის ფარდობა სტაბილური მოდელით მიღებულ რიცხოვნობასთან. ქვეყნის სტაბილური მოსახლეობის რაოდენობა, სქესისა და ასაკის მიხედვით, უდრის სტაბილური მოსახლეობის მოდელით გამოთვლილ სქესისა და ასაკის ოდენობა გამრავლებული ამ კოეფიციენტთან.

5. პროგნოზირება დინამიკის სტატისტიკური მახასიათებლების მიხედვით
 მოსახლეობის სამომავლო რიცხოვნობის პროგნოზირება შესაძლებელია ისეთი დინამიკურ-სტატისტიკურ პარამეტრთა საფუძველზე, როგორცაა აბსოლუტური ნაზრდი, ზრდის საშუალო ტემპი და მოსახლეობის ნაზრდის მატების საშუალო ტემპი. ჩავთვალოთ ეს პარამეტრები უცვლელად მომავალ პერიოდში და დავუშვათ, რომ ეს პარამეტრები რიცხოვრივად უდრის გასულ პერიოდში შესაბამისი პარამეტრების საშუალო მნიშვნელობებს, მაშინ მოსახლეობის სამომავლო რიცხოვნობა შეიძლება გამოითვალოს ასეთი ფორმულით:

$$N(t) = N_0 + t\overline{\Delta}_t;$$

$$N(t) = N_0 \cdot \overline{T}_p^t$$

$$N(t) = N_0 \cdot (1 + \overline{T}_{np})^t$$

სადაც $\overline{\Delta}_t$ – საშუალო აბსოლუტური ნაზრდია; \overline{T}_p – ზრდის საშუალო ტემპია; \overline{T}_{np} – ნაზრდის ზრდის საშუალო ტემპია; ხოლო N_0 – მოსახლეობის საწყისი რიცხოვნობაა. მაგალითად, თუ საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 2004 წლისათვის

იყო 4,3183 მლნ კაცი, ხოლო 2016 წლისათვის 3,720,4 მლნ კაცი, მაშინ საერთო აბსოლუტური კლება 12 წლის განმავლობაში იქნება 0,058 მლნ კაცი, შესაბამისად:

$$\overline{\Delta}_i = \frac{0,1689}{9} \approx 0.019; \quad \overline{T}_p = \sqrt[9]{\frac{4,4872}{4,3183}} = \sqrt[9]{1,03911} \approx 1.008; \quad \overline{T}_{np} = 0.008 = 8\text{‰}$$

ამ გამოთვლების თანახმად, 10 წლის შემდეგ, ე.ი. 2027 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა იქნება:

საშუალო აბსოლუტური ნაზრდის მიხედვით: $N(2023) = 4.4872 + 10 \cdot 0.019 = 4.6772$

ზრდის საშუალო ტემპის მიხედვით: $N(2023) = 4.4872 \cdot (1,009)^{10} = 4.859$

ნაზრდის ზრდის საშუალო ტემპის მიხედვით: $N(2023) = 4.4872 \cdot (1 + 1,008)^{10} = 4.859$

დინამიკის სტატისტიკური მახასიათებლების მიხედვით მოსახლეობის პროგნოზირების მოდელის გამოყენება ხელს შეუწყობს ეკონომიკის აბსოლუტური მატეზის, ეკონომიკური ზრდის საშუალო ტემპისა და ეკონომიკის ზრდის საშუალო ტემპის დადგენას. შესაბამისად მოსახლეობის სამომავლო რიცხოვნობა შესაძლებელია განისაზღვროს ანალიტიკური გამოსახულებით გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიღებული მონაცემების საფუძველზე.

ვთქვათ, გვაქვს მონაცემები მოსახლეობის რიცხოვნობისა, სქესისა და ასაკის შესახებ (ვთქვათ აღწერის მომენტისათვის). დროის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, მაგ, წლის განმავლობაში ადამიანები დაბადებულები ერთსა და იმავე წელს დაბერდებიან, ხოლო ზოგიერთი მათგანი გარდაიცვლება. იმისათვის, რომ მივიღოთ ამ ასაკობრივი ჯგუფების რიცხოვნობა ერთი წლის შემდეგ საჭიროა პირველადი მონაცემებიდან გამოვრიცხოთ გასულ წლებში შესაბამის ასაკობრივ ჯგუფებში გარდაცვლილთა რაოდენობა. მაგ., 5 წლის ასაკის ბავშვთა ოდენობა ტოლია 4 წლის ასაკის ბავშვთა რიცხოვნობას გამოკლებული გარდაცვლილთა ოდენობა 4-დან -5 წლამდე ბავშვებში. შესაძლებელია გადავწიოთ 4 წლიანები ერთი წლით და დავთვალოთ 5 წლიანთა ოდენობა. ე.ი მცირე ასაკობრივი ჯგუფი შეიძლება გადავწიოთ ზემოთ.

რადგან მოკვდავობა იცვლება არა მხოლოდ ასაკის მიხედვით, არამედ სქესის მიხედვითაც, ამიტომ ასაკობრივი ჯგუფების გადაწევა ერთი საფეხურით ხორციელდება ცალ-ცალკე ბიჭებისა და გოგონებისათვის. რაიმე i ასაკისათვის დაბადებულთა რიცხვი შეიძლება მივიღოთ ქალთა რიცხვის გამრავლებით უშუალოდ ასაკზე, რომელიც შეესაბამება სქესის ასაკობრივი შობადობის მაჩვენებელს. თვით შობადობა

ნაწილდება ბიჭებისა და გოგონების შობადობად (512:488 თანაფარდობით), ამასთან გასათვალისწინებელია ახალშობილთა მოკვდავობა ერთი წლის განმავლობაში.

ასაკობრივი ჯგუფების გადაწევის მეთოდი განსაზღვრავს, რომ ნებისმიერი i ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის რიცხოვნობა $t+1$ მომენტისათვის არის გასული t დროისათვის მოსახლეობის რიცხოვნობის წრფივი ფუნქცია N_i^t . ეს აღნიშნავს, რომ N_i^t მატრიცის ვექტორ-სტრიქონი შეიძლება მივიღოთ N რიცხოვნობის ვექტორ-სტრიქონის გამრავლებით მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის მატრიცაზე ($t;t+1$) პერიოდისათვის, ე.ი.

$$N_i^{t+1} = N_i^t \cdot w_i.$$

ასაკობრივი ჯგუფების გადაწევის მეთოდს იყენებენ 5 და 10 წლიანი ინტერვალებით გათვლების წარმოებისას, რადგან ამ პერიოდისთვის, როგორც წესი, შეიძლება გვექონდეს ინფორმაცია შობადობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის შესახებ. გარკვეულ ასაკამდე მიღწევის კოეფიციენტების გამოანგარიშება წარმოებს ცოცხალ ადამიანთა რიცხოვნობის საფუძველზე. მოვახდინოთ ქალთა რიცხოვნობის გამოანგარიშება 2004 და 2016 წლებში. ახალშობილთა რიცხვი მიიღება სქეს-ასაკობრივი მაჩვენებლების გამრავლებით ქალთა შესაბამის რიცხვზე. პროგნოზირების მოდელები აქ განხილული არ შემოიფარგლება. თუმცა განხილული მოდელები ზუსტ ინფორმაციას გვაძლევს მოსახლეობის რიცხოვნობისა და ძირითადი შემადგენლობის შესახებ.

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ (ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის გარდა) 3 720,4 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 0,18%-ით მეტია (იხილეთ ცხრილი 1). აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის რაოდენობის ზრდაზე გავლენა მოახდინა 2016 წლის ბუნებრივი მატების მაჩვენებელმა და გარე მიგრაციის სალდომ. ქვეყნის მოსახლეობის 57,2% (2 128,5 ათასი კაცი) ცხოვრობს საქალაქო დასახლებაში, ხოლო 42,8% (1 591,9 ათასი კაცი) - სასოფლო დასახლებაში (იხილეთ ცხრილი 1). წინა წელთან შედარებით მამაკაცების წილი მთელ მოსახლეობაში 0,1%-ით გაიზარდა და 1 781,5 ათასი კაცი შეადგინა, ხოლო ქალების წილი 0,2%-ით შემცირდა და 1 936,7 ათასი შეადგინა. საქართველოს მოსახლეობის 47,9% მამაკაცი, ხოლო 52,1 % - ქალია.

ცხრილი 1. საქართველოს ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
მოსახლეობის რიცხოვნობა 2017 წლის 1 იანვრისთვის (ათასი კაცი)	4 394.7	4 382.1	4 385.4	4 436.4	4 469.2	4 497.6	4 483.8	4 490.5	3 713.7	3 720.4
მათ შორის:										
საქალაქო დასახლება (ათასი კაცი)	2 308.9	2 303.8	2 309.1	2 350.5	2 371.3	2 391.7	2 410.8	2 410.8	2 122.9	2 128.5
სასოფლო დასახლება (ათასი კაცი)	2 085.8	2 078.3	2 076.3	2 085.9	2 097.9	2 105.9	2 073.0	2 078.8	1 590.8	1 591.9
ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა	49 287	56 565	63 377	62 585	58 014	57 031	57 878	60 635	59 249	56 569
გარდაცვლილთა რიცხოვნობა	41 178	43 011	46 625	47 864	49 818	49 348	48 553	49 087	49 121	50 771
ზრდის კოეფიციენტი	1,20	1,32	1,36	1,31	1,16	1,15	1,19	1,24	1,20	1,11
მათ შორის:										
1 წლამდე გარდაცვალ	656	959	945	701	703	715	640	578	507	507
ბუნებრივი მატება	8 109	13 554	16 752	14 721	8 196	7 683	9 325	11 548	10 128	5 798
მკვდრადშობადობა	632	660	484	653	563	664	567	640	589	558
ქორწინებათა რიცხვი	24 891	31 414	31 752	34 675	30 863	30 412	34 693	31 526	29 157	25 101
განქორწინებათა რიცხვი	2 325	3 189	4 030	4 726	5 850	7 136	8 089	9 119	9 112	9 539
სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას	75.1	74.2	73.6	74.4	74.5	74.7	75.2	72.9	72.9	72.7
ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები (კოეფიციენტები)										
შობადობის კოეფიციენტი (ათას კაცზე)	11.2	12.9	14.4	14.1	12.9	12.7	12.9	16.3	15.9	15.2
მოკვდაობა (ათას კაცზე)	9.4	9.8	10.6	10.7	11.1	11.0	10.8	13.2	13.2	13.7
1 წლამდე მოკვდაობა (ათას დაბადებულზე)	13.3	17.0	14.9	11.2	12.1	12.5	11.1	9.5	8.6	9.0
ბუნებრ მატება (ათ კაც)	1.8	3.1	3.8	3.3	1.8	1.7	2.1	3.1	2.7	1.8
მკვდრადშობადობა	12.7	11.5	7.6	10.3	9.6	11.5	9.7	10.4	9.8	9.8

ამრიგად, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის პირობებში დემოგრაფიული პროცესების ეკონომიკური მოდელირების არსებულ ვარიანტებს შორის ოპტიმალურის შერჩევა და ეკონომიკურ ზრდაზე ან შემოსავლების განაწილებაზე მისი ზეგავლენის სწორად შეფასების მიზნით უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს

მოსახლეობის სტატისტიკურ-რაოდენობრივი შეფასების თანამედროვე მოდელების შესწავლასა და მათ შორის საქართველოსათვის ადექვატური ვარიანტის შერჩევას.

ამ თვალსაზრისით განასხვავებენ მოსახლეობის სტატისტიკურ-რაოდენობრივი შეფასების ისეთ მოდელებს, როგორცაა: მოსახლეობის კვაზი-სტაბილური მოდელი; მალთუსის მოდელი; მოსახლეობის სტაბილური მოდელი; მოსახლეობის პროგნოზირება ექსპონენციალური მოდელის საფუძველზე; პროგნოზირება დემოგრაფიული მოდელების საშუალებით; პროგნოზირება დინამიკის სტატისტიკური მახასიათებლების მიხედვით. მოსახლეობის აღრიცხვიანობის სტაბილურმა მოდელმა შექმნა ახალი ერა მოსახლეობის აღწარმოების მეთოდური განვითარების კუთხით.

მოსახლეობის კვაზი-სტაბილური მოდელის ანალიზი გახდა დემოგრაფიული პროცესების ანალიზის საბაზო საფუძველი. თუ საკმარისად დიდი დროის პერიოდში მოსახლეობაში არ იცვლება შობადობისა და მოკვდავობის ზრდის კოეფიციენტი, მაშინ მოსახლეობის ზრდის წლიური ნაზრდი მუდმივი სიდიდისაკენ მიისწრაფის, რომელსაც ბუნებრივი ზრდის ნამდვილ კოეფიციენტს უწოდებენ. მოსახლეობის სტატისტიკურ-რაოდენობრივი შეფასების მოდელების დამუშავებაში დიდი წვლილი მიუძღვის ყ. ბურჯულა-პიშას. ყველაზე მარტივი მათემატიკური მოდელები ახასიათებს მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილებას ზოგადად. ეს მარტივი მოდელები, შესაბამისად შეიძლება გამოსახული იქნას მარტივი მათემატიკური ფუნქციებით.

ყველაზე დიდი გავრცელება და გამოყენება მათ შორის ჰპოვა, პარაბოლურმა, ლოგარითმულმა და ექსპონენციალურმა ფუნქციების მქონე მოდელებმა. სტაბილური მოსახლეობა, რომელშიც ბუნებრივი ზრდის ნამდვილი კოეფიციენტი ნულის ტოლია სტაციონარული მოსახლეობა ეწოდება. ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობა შეიძლება აღწერილ იქნეს საშუალო აბსოლუტური ნაზრდის მიხედვით, ზრდის საშუალო ტემპის მიხედვით და ასევე ნაზრდის საშუალო მატების ტემპის მიხედვით.

მალთუსის მოდელი საშუალებას იძლევა განისაზღვროს, თუ როგორ აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, მოსახლეობის მუდმივი ტემპით მატება. მაგალითად, რამდენი პროცენტით გაზრდის მთლიან შიდა პროდუქციას მოსახლეობის 1%-იანი მატება ან როგორ აისახება მშპ-ს ზრდაზე მოსახლეობის 2%-იანი ზრდა და ა. შ.

მოსახლეობის სტაბილური მოდელი ხელს უწყობს მდგრადი ეკონომიკის განვითარებას, რადგან ასეთი მოსახლეობის სტრუქტურა დროთა განმავლობაში

უცვლელი ხდება, ე. ი. მოსახლეობას ექნება სტაბილურად სტრუქტურა, რომელიც პირველადი ასაკობრივი სტრუქტურის მიუხედავად, განისაზღვრება მხოლოდ შობადობისა და მოკვდავობის კოეფიციენტების მნიშვნელობებით.

ექსპონენციალური მოდელის საფუძველზე განხორციელებული მოსახლეობის პროგნოზირება ხელს უწყობს მომავლის ეკონომიკის დაგეგმარებას, სწორი ეკონომიკური სტრატეგიების შემუშავებასა და რეალიზაციას. ამიტომ ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის პროგნოზირებას ექსპონენციალური მოდელის საფუძველზე.

მოსახლეობის დემოგრაფიული მოდელების საშუალებით განხორციელებული პროგნოზირების დროს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა არ იცვლება, რის გამოც მოსახლეობის ზრდა დიდ გავლენას ვერ ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე. შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარება შესაძლებელია მხოლოდ არსებული შრომითი რესურსის დატვირთვის ინტენსივობის ზრდის ხარჯზე.

დინამიკის სტატისტიკური მახასიათებლების მიხედვით მოსახლეობის პროგნოზირების მოდელის გამოყენება ხელს უწყობს ეკონომიკის აბსოლუტური მატების, მისი ზრდის საშუალო ტემპისა და ეკონომიკის ნაზრდის საშუალო ტემპის დადგენას.

1.4. დემოგრაფიული სტატისტიკის პრობლემები

საქართველოში

ეკონომიკური დემოგრაფიის მაჩვენებელთა მოდელირებისას და პროგნოზირებისას, ერთობ მნიშვნელოვანია სანდო სტატისტიკური ინფორმაცია. ამიტომ, არსებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის გარდა, დემოგრაფიულ პროცესთა ანალიზისას დაშვებულია ექსპერტული შეფასების მეთოდით გაანგარიშებული დემოგრაფიული მაჩვენებლების გამოყენება, რომლებიც ხშირ შემთხვევაში განსხვავდება ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებისაგან. აღნიშნული განსხვავებები განპირობებულია იმით, რომ სრულყოფილად ვერ წარმოებს დემოგრაფიულ შემთხვევათა აღრიცხვა.

დემოგრაფიულ შემთხვევათა არასრული აღრიცხვა არ წარმოადგენს შედარებით ახალ, პოსტსაბჭოთა პერიოდისათვის დამახასიათებელ მოვლენას. იგი არსებობდა საბჭოთა პერიოდში და შესაძლებლობის ფარგლებში არასრული

აღრიცხვა გამოვლენილ იქნა 1960 წლიდან [Anderson ...1986 – Anderson, Katus, Silver, 1986]. დემოგრაფიულ შემთხვევათა არასრული აღრიცხვა წინა პერიოდისათვისაც იყო დამახასიათებელი, რომ აღარაფერი ვთქვათ თანამედროვე ეტაზე.

მოსახლეობის რაოდენობისა და ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობის განსაზღვრის სიზუსტე ბევრად არის დამოკიდებული დაბადებათა, გარდაცვალებათა და გარე მიგრაციის მიმდინარე აღრიცხვის სრულფასოვნებაზე.

1990-იან წლებში საქართველოში მომხდარ ცნობილ პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ მოვლენებს მოჰყვა დემოგრაფიული შემთხვევებისა და მიგრაციის რეგისტრაციის გაუარესება, რის შედეგადაც გართულდა მოსახლეობის რაოდენობისა და ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობის განსაზღვრა. აღნიშნულიდან გამომდინარე ოფიციალური სტატისტიკის პარალელურად გაჩნდა არაოფიციალური სტატისტიკა, პროფესორების გიორგი წულაძის და ავთანდილ სულაბერიძის მეცნიერულ შეფასება-გაანგარიშებების მიხედვით, რომელთა მონაცემები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა და განსხვავდება საქსტატის შესაბამისი მონაცემებისა და მაჩვენებლებისაგან.

დემო-სტატისტიკურ მონაცემთა შეფასებისას მათ მიერ გამოყენებულ იქნა დემოგრაფიული, ეპიდემიოლოგიური და მიგრაციული გადასვლის თეორიების საფუძველზე, მოცემული მომენტისთვის მისადაგებული მოდელები, გაეროს, კოულდემენის მოკვდაობის მოდელები (ტიპიური) და სხვა მოდელები ცხრილები და ინდექსები. გაეროს ექსპერტების, უცხოელ და დემოგრაფიულ პროცესებზე მოქმედ ფაქტორთა დეტერმინაციული ანალიზი, აგრეთვე ცალკეულ წლებში დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დემო-სოციოლოგიური გამოკვლევები და სხვ.


გაეროს ექსპერტების შეფასებით, 1960-1965 წლებში საქართველოში საშუალოდ წელიწადში აღურიცხავი რჩებოდა 20 ათასამდე გარდაცვლილი, ხოლო არასრული აღრიცხვის წილი 40%-ს შეადგენდა.

1960-1990-იან წლებში საქართველოში გარდაცვლილთა არასრულმა რეგისტრაციამ საერთო ჯამში შეადგინა: გაეროს ექსპერტთა შეფასებით – 215 ათასი (15,4%), ხოლო გ.წულაძის და ა.სულაბერიძის შეფასებით – 165 ათასი (12,2%).

1990-იან წლებში, 1970-იან და 1980-იან წლებთან შედარებით კიდევ უფრო გაიზარდა გარდაცვლილთა არასრული აღრიცხვის დონე. 1990-2000 წლებში, გარდაიცვლილთა რაოდენობა 460,9 ათას კაცს შეადგენდა, ხოლო გადაანგარიშების შემდეგ – 552,6 ათას კაცამდე გაიზარდა.

საქსტატის ოფიციალური მონაცემისგან, შეფასებითი მონაცემებით 1960-2000 წლების პერიოდში, გარე მიგრაციის შედეგად, საქართველოს მოსახლეობას დააკლდა 1404 ათასზე მეტი ადამიანი. განსაკუთრებით 1990-იანი წლებში, როდესაც სხვადასხვა შეფასებითი მონაცემით, საქართველოს მოსახლეობამ გარე მიგრაციის შედეგად გაცილებით მეტი დანაკლისი განიცადა, ვიდრე წინა 30-წლიანი პერიოდის განმავლობაში. შეფასებითი მონაცემებით. 1990-2000 წლების პერიოდში საქართველომ, გარე მიგრაციის უარყოფითი სალდოს შედეგად, 1989 წლის მოსახლეობის რაოდენობის 19%-მდე დანაკლისი განიცადა, ანუ თითქმის ყოველი მეხუთე ადამიანი წავიდა ქვეყნიდან.

დიაგრამა 3. მოსახლეობის საერთო მატების (კლების) კომპონენტები საქართველოში 2001-2014 წწ., (ათასი) [Tsuladze, 2015: 47-48, 317]



საქართველოში 1960-1991 წლებში, მართალია სხვადასხვა სიდიდით, მაგრამ მოსახლეობის მატებას ჰქონდა ადგილი, რომელიც 1992 წლიდან კლებით

შეიცვალა. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 1960-1991 წლებში გაიზარდა 1099 ათასით, ხოლო 1992-2000 წლებში შემცირდა 882 ათასით.

ამდენად, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობრივი ფორმირების ძირითად კომპონენტს 1960-1991 წლებში ბუნებრივი მატება, ხოლო 1992-2000 წლებში გარე მიგრაცია წარმოადგენდა.

2002 წელს, მოსახლეობის შეფასებითი რაოდენობა ნაკლები იყო მუდმივზე 370,5 ათასით. 2003-2014 წლებში აღნიშნული სხვაობა იზრდებოდა და 2014 წლის 1 იანვრისთვის მიაღწია 729,8 ათასს, ანუ 16,3%-ს. ამასთან, მოცემულ წლებში საქსტატის მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობა 4 მილიონის ფარგლებში იყო და 2008 წლიდან ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მისგან განსხვავებით, შეფასებითი მონაცემებით 2002 წლიდან იგი 4 მილიონზე ნაკლები იყო და კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. მოსახლეობის ფორმირების ორი კომპონენტიდან, საქსტატის შემთხვევაში მიგრაციული სალდო უარყოფით როლს არ თამაშობს, მისგან განსხვავებით, შეფასებითი მაჩვენებლებით, მოსახლეობის რაოდენობის ცვლილების გადამწყვეტ ფაქტორად, ძირითად ისევ გარე მიგრაცია გვევლინება, რაც ნათლად სჩანს ქვემოთ მოტანილი დიაგრამა 3-დან.

საქსტატის და შეფასებითი მაჩვენებლების ასეთი კონტრასტული განსხვავება, ისევ და ისევ მოსახლეობის დემოსტატისტიკური აღრიცხვის პრობლემებიდან გამომდინარეობს. დაბადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობის დინამიკიდან გამომდინარე, 2002-2014 წლებში მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ საქსტატის მონაცემებით 100,0 ათასი კაცი, ხოლო შეფასებით 71,4 ათასი კაცი შეადგინა.

2002-2014 წლებში, გარე მიგრაციული სალდო, არასწორი აღრიცხვის გამო, საქსტატის მონაცემებით დადებითი იყო და 24 ათასი შეადგინა, ხოლო შეფასებით, უარყოფითი და – 314 ათას კაცი შეადგენდა.

მეცნიერ-ექსპერტთაგან განსხვავებით, საქსტატს კანონმდებლობით არა აქვს სახელმწიფო სამსახურებიდან ოფიციალურად მიღებული მიდინარე სტატისტიკური ინფორმაციის გადამოწმების, გადაანგარიშების და შეფასების უფლება. სწორედ ამის შედეგია, რომ ოფიციალურ სტატისტიკაში არ აღირიცხება სამშობიაროს გარეთ,

ბინაში დაბადებულები, ხოლო გარდაცვლითა (განსაკუთრებით ჩვილთა) შემთხვევაში რეგისტრაციის გვერდის ავლით დაკრძალულები.

საქმე ისაა, რომ, როგორც სხვადასხვა წლების ჩვენი და გაეროს ექსპერტების გამოკვლევები გვიჩვენებენ საქართველოს მთიანეთის და ქვემო ქართლის სოფლებში ჯერ კიდევ აღინიშნება ბინაზე მშობიარობა. გარდა ამისა საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა ნაწილი მშობიარობდა და მშობიარობს უცხოეთში (ძირითადად აზერბაიჯანში და სომხეთში); 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომამდე, ოსთა და ქართველთა შორის არსებული მშვიდობიანი ურთიერთობის დროს, ცხინვალის რეგიონთან მცხოვრები მოსახლეობა სამშობიაროდ გადადიოდა ცხინვალში. აღნიშნული ძირითადად გამოწვეული იყო მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით და საქართველოში მშობიარობის სიძვირით. შესაბამისად დაბადებულთა ეს ნაწილი არ რეგისტრირდებოდა და არ აღირიცხებოდა საქსტატის დაბადებულთა კრებსით მაჩვენებელში.

გარდაცვლილთა აღრიცხვის პრობლემას ძირითადად ართულებდა და ართულებს, ის, რომ საქართველოს ზოგიერთ რაიონში და სოფელში, მიუხედავად ადგილობრივ ხელისუფალთა ადმინისტრაციული ჯარიმისა, გარდაცვლილის დაკრძალვისთვის მიწის გამოსაყოფად, ხშირად არ ითხოვდნენ გარდაცვლილის რეგისტრაციის მოწმობას. გარდა ამისა თვით ოჯახი გარდაცვლილს რეგისტრაციის გარეშე დასაფლავებისთვის, სასაფლაოზე მიწის გამოყოფის ყოველგვარი ნებართვის გარეშე, ასაფლავებდა და ასაფლავებს. გარდა ამისა, ოჯახი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, გარდაცვლილის პენსიის შენარჩუნების მოზნით, გარდაცვლილ პენსიონერს გვიან, ან საერთოდ არ ატარებს რეგისტრაციაში და სხვ.

ზემოთ მოტანილი მიზეზები და ბუნებრივი მოძრაობის აღრიცხვის ადმინისტრირების დაბალი დონე და კულტურა შესაბამისად ართულებს ზუსტ აღრიცხვას, რაშიც საქსტატს ვერ დავადანაშაულებთ.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობისგან განსხვავებით, მიგრაციის არაზუსტი აღრიცხვა ძირითადად არასწორი მეთოდოლოგიის შედეგია. კერძოდ, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი 2012 წლამდე აღრიცხავდა მხოლოდ ვიზიტორებს და შესაბამის სტატისტიკური ბაზების არარსებობის გამო არ ხერხდებოდა ვიზიტორთა

ხანგრძლივობის და სხვა პარამეტრების გამოყოფა, რაც შესაძლებლობას მისცემდა საქსტატს სწორედ აღერიცხა საერთაშორისო მიგრაცია. 2012 წლიდან გარე მიგრაციის აღრიცხვის საქსტატის შემუშავებულმა ახლმა მეთოდის მნიშვნელოვნად შეამცირა გარე მიგრაციის არაზუსტი აღრიცხვა და იმედია კიდევ უფრო გაუმჯობესდება. რაც შეეხება ქვეყნის შიგა მიგრაციას, საბჭოთა პერიოდის (თუმცა არც მაშინ იყო ზუსტი აღრიცხვა) შემდეგ საერთოდ მოიშალა, რამდენადაც მოსახლეობის ქვეყნის შიგნით გადაადგილება საერთოდ აღარ კონტროლდება და შესაბამისად არ აღირიცხება.

ცხრილი 2. მოსახლეობის არასრული აღრიცხვის დონე (%) ბუნებრივი მოძრაობის კომპონენტების და გარე მიგრაციის საქსტატის მაჩვენებლებში 2002-2014 წწ.

წლები	შობადობა	მოკვდაობა	ჩვილთა მოკვდაობა	მიგრაცია
2002	5,1	4,0	-	23,4
2003	6,1	5,0	5,0	28,6
2004	5,0	5,8	5,2	672,7
2005	7,5	18,8	25,5	1398,5
2006	4,6	15,4	52,7	137,2
2007	1,5	18,3	67,7	27,1
2008	0,8	17,0	23,3	134,2
2009	1,0	7,7	37,4	1600,0
2010	1,5	11,0	85,4	1828,8
2011	4,2	7,3	70,7	1802,0
2012	10,5	2,8	68,0	0,0
2013	4,0	3,8	64,0	84,3
2014	1,6	10,2	64,3	86,2

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, როგორც ცხრილი გვიჩვენებს, მოსახლეობის ბოლო ორ აღწერათაშორის პერიოდში (2002-2014 წწ.) საქსტატისა და შეფასებით მაჩვენებლებს შორის სხვაობიდან გამომდინარე, დაბადებულთა არაზუსტი აღრიცხვის დონე ცალკეულ წლებში დაბალი იყო (2010 წლის გარდა), ხოლო გარდაცვლილთა შემთხვევაში (2012-2013 წლების გარდა) მაღალი. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის აღრიცხვისგან განსხვავებით, ფანტასტიკურად მაღალია გარე მიგრაცია არაზუსტი აღრიცხვის დონე, რაც 2005 წელს 14-ჯერ, 2009 წ. 16-ჯერ, ხოლო 2010 და 2011 წლებში 18-ჯერ აღემატებოდა რეალურ დონეს.

გასაკვირი აღარ უნდა იყოს საქსტატის და შეფასებით, მოსახლეობის ორ აღწერათაშორის პერიოდში 2002-2014 წწ. მოსახლეობის ყოველწლიურ რაოდენობას შორის სხვაობა.

2015 წლის 1 იანვრისთვის საქართველოს მოსახლეობა უნდა ყოფილიყო 4496 ათასი კაცი (გაეროს მონაცემით 4 მილიონი კაცი). 2014 წლის 5 ნოემბრის მოსახლეობის აღწერის შედეგად კი დაფიქსირდა 3730 ათასი კაცი, ანუ 766 ათასი კაცით (17%-ით) ნაკლები. ამ თვალსაზრისით ბევრად უფრო ზუსტი აღმოჩნდა ექსპერტული შეფასებით გაანგარიშებული მაჩვენებლები, რომლის თანახმადაც 2015 წლის 1 იანვრისთვის, მოსახლეობის რაოდენობა პროგნოზით უნდა ყოფილიყო 3758 ათასი კაცი და რეალურად 3756 ათასი შეადგინა. განსხვავება მხოლოდ 2000 კაცია (0,1%).

საქსტატის 2002-2014 წლების მოსახლეობის აღწერათაშორის პერიოდის თუნდაც ერთი, 2014 წლის დემოგრაფიულ მონაცემთა გადაანგარიშება იძლევა მნიშვნელოვან ცვლილებებს. თუ საქსტატის 2013 წელს შობადობის მაჩვენებელი შეადგენდა 12,9 ‰-ს (პრომილე – 1000 კაცზე გაანგარიშებით), 2014 წელს მან 16,3‰ შეადგინა, ნაცვლად 13,5‰-სა. ასევეა მოკვდაობის მაჩვენებელთა შემთხვევაშიც. თუ საქსტატის 2013 წელს მოკვდაობის მაჩვენებელი შეადგენდა 12,9‰-ს, 2014 წელს მან 13,2‰ შეადგინა, ნაცვლად 10,9‰-სა. სხვაობა 2,3‰ საკმაოდ დიდია.

ამ ასპექტით, საინტერესოა მოსახლეობის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მაჩვენებლები დაბადებისას. თუ ეს მაჩვენებელი საქსტატის მონაცემით ორივე სქესისთვის 2013 წელს შეადგენდა 75,2 წელს, 2014 წლის გადაანგარიშებით იგი შეადგენს 72,9 წელს, ანუ 2,3 წლით ნაკლებს. ამასთან, ერთ წელიწადში, მამაკაცებისთვის იგი შეცირდა 2,1 წლით და შეადგინა 68,7 წელი, ხოლო ქალებისთვის 2,2 წლით და შეადგენს 77,2 წელს.

თავი II.

მოსახლეობის დასაქმების ინდექსი და პროგნოზირების საფუძვლები

2.1. მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა და დასაქმება

საზოგადოების არსებობის ძირითად საფუძველს, სახელმწიფოებრივი მოწყობის მიუხედავად, წარმოადგენს წარმოების პროცესი. სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერე დამოკიდებულია წარმოების უნარზე. აქედან გამომდინარე, მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის შესწავლა წარმოებასთან მიმართებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა თანამედროვე ვითარებაში. სოციალური პროცესების შესწავლის დროს მოსახლეობის შემადგენლობის ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენს განათლება, კვალიფიკაცია, დაკავებული თანამდებობა, პროფესიული საქმიანობა. სოციალურ სტატისტიკაში დიდი მნიშვნელობა გააჩნია მოსახლეობის დაჯგუფებას არსებობის წყაროს, საკუთრებრივი ურთიერთობის, ოჯახში ეკონომიკური დატვირთვის მიხედვით.

სოციალური დიფერენციაციის ახსნის საშუალებას იძლევა დემოგრაფიული (სქესი, ასაკი, ქორწინებრივი მდგომარეობა, ოჯახის შემადგენლობა) და ეთნიკური (ეროვნება, მშობლიური და სალაპარაკო ენა) მახასიათებლები. მრავალი სოციალური ამოცანის გადასაწყვეტად აუცილებელია მოსახლეობის დაჯგუფება ქალაქისა და სოფლის მცხოვრებლებლად. აღნიშნული მახასიათებლები გამოიყენება მოსახლეობის შემადგენლობის აღწერისას არამარტო როგორც დამოუკიდებელი პარამეტრები, არამედ სხვა მაჩვენებლებთან გარკვეულ კომბინაციაში. ეს იძლევა მოსახლეობის შემადგენლობის თავისებურებების სიღრმისეულად ახსნისა და მრავალმხრივი შემეცნების საშუალებას. სოციალური პროცესების შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მოსახლეობის შემადგენლობის დახასიათება შემოსავლის წყაროს მიხედვით.

მოსახლეობის შემადგენლობა შემოსავლის წყაროს მიხედვით წინა პერიოდის მოსახლეობის აღწერების პროგრამაში ხასიათდებოდა შემდეგი კატეგორიებით:

1. დასაქმებული მოსახლეობა, გარე და შინამეურნეობაში დაკავებულები;
2. კერძო მეურნეობაში დაკავებულები;
3. სტიპენდიანტები;
4. პენსიონერები და სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფი;

5. სხვა შემოსავლის წყაროს მქონენი;

6. ცალკეულ პირთა კმაყოფაზე მყოფი.

„მიმდინარე პერიოდში მოსახლეობის „ეკონომიკური აქტივობის“ ქვეშ იგულისხმება ადამიანთა მისწრაფება მონაწილეობა მიიღონ და სოციალურად აქტიურად იყვნენ ჩართულნი საზოგადოების მწარმოებლურ, მმართველობით, კულტურულ და სხვა სოციალურ საქმიანობაში, რაც გამოიხატება მათი მხრიდან სამუშაო ძალის მიწოდებაში შრომის ბაზარზე“ [გელაშვილი..... 2013: 79]. ამიტომ, ჩვენი აზრით, რაოდენობრივი თვალსაზრისით, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში იგულისხმება როგორც დასაქმებული, ისე უმუშევარი, მაგრამ ამასთან ერთად შრომისუნარიანი ადამიანები.

დასაქმება გულისხმობს საზოგადოების ჩართვას წარმოებაში. იგი განსაზღვრავს პიროვნების ხასიათს, პირობებს, ჩართულობის ხარისხს და დონეს საზოგადოების სამუშაო ძალით უზრუნველყოფის თვალსაზრისით. დასაქმება, თავის მხრივ, შეიძლება იყოს სრული, რაციონალური და ოპტიმალური. სრული დასაქმება გულისხმობს შრომის ბაზარზე მიწოდებული შრომის და არსებული სამუშაო ადგილების გათანაბრებას. რაციონალური დასაქმების ქვეშ იგულისხმება შრომის მსურველთა განაწილება მათი კვალიფიკაციის სფეროების მიხედვით, რაც საბოლოოდ შეიძლება აისახოს საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური პირობების გაუმჯობესებაში.

ოპტიმალური დასაქმება ხასიათდება მრავალი ასპექტით: ეკონომიკის მიმართულებით როგორც შრომითი რესურსების მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენება, დემოგრაფიის მიმართულებით, როგორც შრომისუნარიანი მოსახლეობის მაქსიმალური დასაქმება დემოგრაფიული სტრუქტურის ელემენტების გათვალისწინებით. (სქესი, ასაკი ოჯახური მდგომარეობა, და ა. შ.) ასევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, რაც გულისხმობს თითოეული დასაქმებულისთვის ისეთი სამუშაო გარემოს შექმნას, რომელიც შესაბამისობაშია პიროვნების ინდივიდუალურ თავისებურებებთან (ინტერესები). საერთო ჯამში ოპტიმალური დასაქმება ნიშნავს შრომითი რესურსების ისეთ განაწილებას, სფეროების, საწარმოების, სამუშაო ადგილების მიხედვით, რაც არსებულ პირობებში უზრუნველყოფს წარმოების მაქსიმალურ ეფექტურობას.

დასაქმებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოსახლეობის ცხოვრების დონე და შემოსავლები. შემოსავლების განმარტებებს შორის ყველაზე გავრცელებულია ინგ-

ლისელი ეკონომისტის ჯ. ხიკის განმარტება: მოსახლეობის შემოსავლები არის ის მაქსიმალური თანხა, რომელიც შეიძლება დაიხარჯოს მოხმარებაზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ამასთანავე, პერიოდის ბოლოს არ უნდა შემცირდეს პერიოდის დასაწყისში არსებული კაპიტალი. ამ კონცეფციის შესაბამისად, შინამეურნეობების შემოსავლები გაიანგარიშება მათი განაწილების სხვადასხვა ეტაპის მიხედვით: 1. პირველადი შემოსავლები (პშ); 2. პირადი შემოსავლები; 3. კორექტირებული პირადი შემოსავლები (კპშ).

ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის შესწავლისას აუცილებელია მხოლოდ ქვეყნის რეზიდენტების მიერ მიღებული პირველადი შემოსავლების გამოთვლა. საბაზრო ფასების განსაზღვრული პერიოდის მანძილზე პირველადი შემოსავლების ჯამობრივი მაჩვენებელი შეადგენს ეროვნულ შემოსავალს. პირველადი შემოსავლები - ეს არის ეკონომიკის შინამეურნეობების სექტორის შემოსავლები, რომლებსაც იღებენ ისინი დამატებული ღირებულების პირველადი განაწილების შედეგად და მოიცავს: შრომის ანაზღაურებას, შერეულ შემოსავლებს, საკუთრებიდან წმინდა შემოსავლებს, მოგებას და მასთან გათანაბრებულ შემოსავლებს საბინაო მომსახურებიდან.

ცხრილი 3. შინამეურნეობების შემოსავლები

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლები (მილიონი ლარი)	353.2	387.5	426.8	544.7	575.4	649.2	711.1	808.8	906.9	1001.4	1039.9	1072.3
საშუალო თვიური შემოსავლები ერთ შინამეურნეობაზე (ლარი)	346.7	385.3	422.5	540.3	569.2	651.2	705.9	788.4	887.2	983.9	1022.3	1042.2
საშუალო თვიური შემოსავლები 1 სულზე(ლარი)	92.3	102.6	115.2	147.2	154.5	178.6	195.2	218.4	246.6	273.1	284.5	294.5


წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge.

როგორც მოტანილი ცხრილი 3-დან ჩანს, მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლები 2005 წელთან შედარებით 2016 წელს (ანუ 11 წლის განმავლობაში) გაიზარდა 3-ჯერ და შეადგინა 1072,3 მლნ ლარი, რაც ერთ შიგა მეურნეობაზე გადაანგარიშებით შეადგენს 1042.2 ლარს. დროის ამ ინტერვალში 3-ჯერ გაიზარდა ასევე საშუალო თვიური შემოსავლები ერთ შინამეურნეობაზე. თავის მხრივ, საშუალო თვიური შემოსავლები ერთ სულზე გადაანგარიშებით 2016 წელს შეადგენდა 294.5 ლარს, რაც

3,19–ჯერ აღემატება 2005 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. როგორც აქ მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების, ისევე როგორც ერთ შიგა მეურნეობაზე, ასევე 1 სულზე, მინიმუმ გასამმაგდა, რაც საქართველოს მოსახლეობის საზოგადოებრივი კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე მიუთითებს [საქართველოს სტატისტიკის...2017].

ყველა პირველადი შემოსავალი შინამეურნეობებმა შეუძლებელია უშუალოდ გამოიყენონ მოხმარების ან დაზოგვისათვის. მათი ნაწილი – მიმდინარე გადასახადების (შემოსავალზე, საკუთრებაზე), აუცილებელი სოციალური დაზღვევის ანარიცხების, ქველმოქმედების, ჯარიმების, ნებაყოფლობითი შენატანების და ა.შ. გადაეცემა ქვეყნის ეკონომიკის სხვა სექტორს, მეორე მხრივ, ადგილი აქვს შემხვედრ ნაკადს სხვა სექტორებიდან, რაც მიემართება ოჯახურ მეურნეობებში მიმდინარე ტრანსფერტების სახით, მათ მიეკუთვნება: პენსიები, სტიპენდიები, სადაზღვაო პრემიები და ა.შ.

გრაფიკი 1. მოსახლეობის საშუალოთვიური შემოსავლები წლების მიხედვით



* შემოსავლებში იგულისხმება ფულადი და არაფულადი სახსრები სულ. შინამეურნეობების მიერ დეკლარირებული მონაცემების მიხედვით.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge.

როგორც გრაფიკი 1–დან ჩანს, მოსახლეობის საშუალოთვიური შემოსავლები წლების მიხედვით პროპორციულად, თანაბარზომიერად, განუხრელად იზრდება.

„როგორც ცნობილია, შინამეურნეობებს ტრანსფერტები შესაძლებელია გადაეცეს არა მარტო ფულადი, არამედ ნატურალური ფორმით, ე.წ. სოციალური ტრანსფერტების (სტ) სახით (უფასო ჯანდაცვის ორგანიზაციების მომსახურების, განათლების, კულტურის და ა.შ.) პირად, ხელთ არსებულ შემოსავლებს (პნშ) თუ დავუმატებთ სოციალური

ტრანსფერტების (სტ) სახით მიღებულ შემოსავლებს, მაშინ მივიღებთ ოჯახურ შინამეურნეობათა ხელთ არსებულ შემოსავლებს“ [გელაშვილი..... 2013: 103].

ზოგადად, ნებისნიერ ეკონომიკაში არსებობს უმუშევრობის დონე, მაგრამ როდესაც შრომის მიწოდებასა და მოთხოვნას შორის დისბალანსია, ეს იწვევს დაძაბულობას შრომის ბაზარზე. რას ნიშნავს იყო დასაქმებული? „დასაქმებული არის ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, დამსაქმებლისთვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს“ (შრ.კოდექსი. მუხ.3 პუნ. 3) რაშიც იღებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გასამრჯელოს. „ინდივიდუალური შრომითი ურთიერთობის სუბიექტები არიან დამსაქმებელი და დასაქმებული. კოლექტიური შრომითი ურთიერთობის სუბიექტები არიან ერთი ან მეტი დამსაქმებელი ან ერთი ან მეტი დამსაქმებელთა გაერთიანება და ერთი ან მეტი დასაქმებულთა გაერთიანება“ [შრ. კოდექსი 2017: 35]. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური აწარმოებს სამუშაო ძალის სტატისტიკას შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის საფუძველზე, რომლის დროსაც ხორციელდება დაახლოებით 3,400 შინამეურნეობის 15 წლის და უფროსი ასაკის წევრების გამოკითხვა, გარდა:

1. იმ პირის, რომლებიც არ იმყოფებიან შინამეურნეობაში 12 თვეზე მეტი ხნით;
2. სამხედრო (წვევამდელი) პირებისა, რომლებიც იმყოფებიან ყაზარმებში;
3. საპატიმროებში, ფსიქიატრიულებში, მოხუცთა თავშესაფრებში, ინტერნატებში და სხვა ინსტიტუციურ დაწესებულებებში მცხოვრები პირებისა.

ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, გაეროს და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით ზედა ასაკობრივი ზღვარი არ არის დაწესებული, რადგან საპენსიო ასაკის მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა საკმაოდ მაღალია. ქვემოთ მოცემული კრიტერიუმები არაა დადგენილი საქსტატის მიერ. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, დასაქმებისა და უმუშევრობის შეფასება ხდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) მეთოდოლოგიის მიხედვით.

„ეკონომიკურად აქტიური – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც მუშაობს ან სთავაზობს თავის შრომას იმ საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ეროვნული ანგარიშების სისტემაში ეროვნული პროდუქტის განსაზღვრის ჩარჩოებში ხვდება (დასაქმებული და უმუშევარი პირები)“ [გაეროს...2017].

დასაქმებული (დაქირავებული ან თვითდასაქმებული) – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა (სულ მცირე, ერთი საათი მაინც) შემოსავლის მიღების მიზნით, ეხმარებოდა უსასყიდლოდ სხვა შინამეურნეობის წევრებს, ან რაიმე მიზეზით არ იმყოფებოდა სამუშაოზე, თუმცა ფორმალურად ირიცხებოდა მომუშავედ.

დაქირავებული – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ასრულებდა განსაზღვრულ სამუშაოს ხელფასის ან სხვა სახის ანაზღაურების (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით. აგრეთვე, პირი, რომელსაც აქვს სამუშაო ადგილი, მაგრამ დროებით არ მუშაობს შვებულების, ავადმყოფობის, წარმოების დროებით გაჩერების ან სამუშაოდან დროებით დათხოვნის გამო.

თვითდასაქმებული – მესაკუთრის საქმიანობა საანგარიშო პერიოდში, მოგების ან ოჯახური შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით, აგრეთვე ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე პირი.

უმუშევარი – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა (ერთი საათითაც) გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში, ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირაში და მზად იყო მუშაობის დასაწყებად მომავალ 2 კვირის განმავლობაში.

ეკონომიკურად არააქტიური – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა (ერთი საათითაც კი) გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში და არ ეძებდა სამუშაოს გამოკითხვის მომენტის წინა 4 კვირის განმავლობაში. აგრეთვე პირი, რომელიც ეძებდა სამუშაოს გამოკითხვის მომენტის წინა 4 კვირის განმავლობაში, მაგრამ სამუშაოს მოძებნის შემთხვევაში არ იყო მზად მუშაობის დასაწყებად უახლოესი 2 კვირის განმავლობაში.

უმუშევრობის დონე – უმუშევართა პროცენტული წილი ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში. დასაქმებულად ითვლება არა მხოლოდ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც დაქირავებით დასაქმებულია კერძო ან სახელმწიფო სექტორში და იღებს გასამრჯელოს ხელფასის სახით, აგრეთვე მოსახლეობის ის ნაწილიც, რომელიც მოგების, შემოსავლის (ფულით ან ნატურის სახით) ან სხვა სახის სარგებლის მიღების მიზნით ეწევა გარკვეულ საქმიანობას.

თვითდასაქმებულად ითვლება ადამიანი, რომელიც საკუთარ საწარმოში ან საკუთარ მეურნეობაში მუშაობს და გააჩნია საკუთარი შემოსავალი.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის შესაბამისად, იმისათვის, რომ ადამიანი ჩაითვალოს დასაქმებულად, არ არის აუცილებელი რომ მას ჰქონდეს ხანგრძლივადიანი შრომითი ხელშეკრულება ან დაქირავებული იყოს ვინმეს მიერ. მიუხედავად იმისა, რომ თვითდასაქმებულთა გარკვეული ნაწილის სოციალური მდგომარეობა სახარბიელო არ არის და შესაძლოა ისინი ეძებდნენ დამატებით სხვა სამსახურს, ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, თუ ადამიანი საკუთარი შრომით შემოსავალს იღებს ის დასაქმებულად უნდა ჩაითვალოს. თვითდასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა დასაქმებულია სოფლად, საკუთარ ფერმერულ მეურნეობაში. მაგ., აქვს მიწის ნაკვეთი ან ჰყავს პირუტყვი, რომლიდან მიღებულ პროდუქციას იყენებს როგორც საკუთარი მოხმარებისათვის, ასევე გასაყიდად.

შესაბამისად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის თანახმად დასაქმებულად ითვლება ნებისმიერი პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას მოგების, შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით, მიუხედავად შემოსავლის ოდენობისა, საქმიანობის ტიპისა და ხანგრძლივობისა. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები, რეპეტიტორები, კერძო ტაქსების მეპატრონეები, საცალო ვაჭრობით დაკავებული ფიზიკური პირები და ა.შ. თუ გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში 1 საათით მაინც მუშაობდნენ შემოსავლის (ხელფასის, მოგების, ნატურად და ა.შ.) მიღების მიზნით შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის და შესაბამისად, საქსტატის მეთოდოლოგიის თანახმად დასაქმებულად ითვლებიან.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში დასაქმება არასდროს არ არის სრული. კონკურენცია, კაპიტალის მოძრაობა წარმოუდგენელია სამუშაო ძალის რეზერვაციის გარეშე. ამასთან მიმართებით ჩნდება უმუშევრობის პრობლემა. უმუშევრობა ეს არის სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, რომლის დროსაც შრომის მიწოდება უფრო მეტია შრომის ბაზარზე ვიდრე მოთხოვნა შრომაზე.

უმუშევრობა არის სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, რომლის დროსაც სამუშაო ძალის (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის) ნაწილი არ არის დასაქმებული საქონლისა და მომსახურების წარმოებაში. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციით უმუშევრებს მიეკუთვნებიან:

- პირები, რომლებსაც არა აქვთ სამუშაო;
- პირები, რომლებიც ეძებენ სამუშაოს;

- პირები, რომლებიც მზად არიან დაიწყონ მუშაობა (ორი კვირის განმავლობაში).

განსხვავებენ უმუშევრობის შემდეგ სახეობებს:

- ფრიქციული უმუშევრობა, დაკავშირებულია ერთი სამუშაოდან მეორეზე გადასვლასთან (გათავისუფლების გამო) ან საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან;

- სტრუქტურული უმუშევრობა ესაა სამუშაო ძალის მოთხოვნისა და მიწოდების შეუსაბამობა პროფესიის მიხედვით. ის ჩნდება წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვასთან დაკავშირებით მაშინ, როდესაც სამუშაო ადგილების ახალი სტრუქტურა არ შეესატყვისება სამუშაო ძალის კვალიფიციურ სტრუქტურას;

- ციკლური უმუშევრობა – ეს არის ცვლილებები უმუშევართა რიცხვში დაკავშირებული საქმიანი კონიუნქტურის ციკლთან. ის აღწევს პიკს კრიზისების დროს.

- სეზონური უმუშევრობა დამახასიათებელია იმ დარგებისათვის, სადაც შრომა ატარებს სეზონურ ხასიათს (სოფლის მეურნეობა, ნადირობა, თევზჭერა და სხვა);

- კლასიკური უმუშევრობა (სამუშაო ადგილთა შეკვეცა ხელფასის გასაზრდელად)

- ტექნოლოგიური უმუშევრობა არის დასაქმების შემცირება წარმოებაზე, მისი ავტომატიზაციისა და ახალი ტექნიკა-ტექნოლოგიის დანერგვის შედეგად.

ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში გარდაუვალია. ცხადია, რომ ყოველთვის იქნებიან მუშაკები, რომლებიც ფიქრობენ უფრო კვალიფიცირებულ და მაღალანაზღაურებად თანამდებობაზე. სტრუქტურული უმუშევრობა, ასევე გარდაუვალია, თუ არის პროგრესი, ვინაიდან დაკავშირებულია მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეების დანერგვასთან, რომელიც იწვევს მოთხოვნას განსაზღვრული კვალიფიკაციის სპეციალისტებზე და ტრადიციული დარგების მუშაკების შრომითი მოწყობის პრობლემებს. ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობა ახასიათებს მის ბუნებრივ დონეს. თუ ბუნებრივი დონე 7%-ის ტოლია, მაშინ ლაპარაკია სრულ დასაქმებაზე (ე.ი. დასაქმებულია სამუშაო ძალის 93%).

არსებითი განსხვავება ფრიქციულ და სტრუქტურულ უმუშევრობას შორის მდგომარეობს იმაში, რომ ფრიქციულ უმუშევრებს გააჩნიათ უნარი, რომელიც შეუძლიათ მათ გაყიდონ დაუყონებლივ, ხოლო სტრუქტურულ უმუშევრებს არ შეუძლიათ მიიღონ სამუშაო გადამზადების გარეშე. სტრუქტურული უმუშევრობა, განსხვავებით ხასიათით მოკლევადიანი ფრიქციული უმუშევრობისაგან უფრო გრძელვადიანია და ამიტომ ითვლება უფრო სერიოზულ პრობლემად.

განასხვავებენ სრულ და ნაწილობრივ უმუშევრობას. სრულ უმუშევრობას მიაკუთვნებენ შრომისუნარიან პირებს, რომლებსაც არ გააჩნიათ სამუშაო დადგენილი დროის პერიოდის ზემოთ. ნაწილობრივ უმუშევრებს მიაკუთვნებენ მათ, რომლებიც იძულებულია იმუშაონ არასრული სამუშაო კვირის განმავლობაში. თუმცა ამ ცნებების მიმართ მკვეთრი საერთაშორისო რეკომენდაცია არ არსებობს, ქვეყნების უმეტესობაში სტატისტიკურ აღრიცხვას ექვემდებარება მხოლოდ სრული უმუშევრობა.

დროის პერიოდი, რომლის გასვლის შემდეგ სამუშაოს არმქონე პირი შეიძლება ჩაითვალოს უმუშევრად ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობაში განისაზღვრება განსხვავებულად, თუმცა ყველაზე გავრცელებულად ითვლება კალენდარული თვე.

უმუშევრობის ხანგრძლივობა – ეს არის პერიოდი, რომლის განმავლობაში ადამიანი ითვლება უმუშევრად. შრომის ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების განმსაზღვრელ სოციალურ, ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და პოლიტიკურ პირობებზე დამოკიდებულებით უმუშევრობამ შეიძლება მიიღოს სხვადასხვა ფორმა. ანალიტიკური მიზნებისათვის განასხვავებენ გრძელვადიან და მოკლევადიან უმუშევრობას.


გაეროს რეკომენდაციების თანახმად უმუშევრობა ერთ წელზე მეტი ვადით ითვლება გრძელვადიანად, რაც დაკავშირებულია ეკონომიკური საქმიანობის ციკლურობასთან. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად მოკლევადიან უმუშევრობას გააჩნია ორი დახასიათება: 3 თვემდე და 3 თვიდან 1 წლამდე. უმუშევართა საერთო რეალური რიცხოვნობა განსხვავდება ოფიციალურად დარეგისტრირებული უმუშევრობისგან. ქვეყანაში ოფიციალურად მიჩნეული უმუშევრობა ნაკლებია მისი რეალური სიდიდისგან „ფარული უმუშევრობის“ სიდიდით.

„საერთაშორისო შედარებებისას გამოიყენება უმუშევართა არა აბსოლუტური რაოდენობა, არამედ შეფარდებითი მაჩვენებელი – უმუშევრობის დონე (კოეფიციენტი). ის შეიძლება განისაზღვროს როგორც მთლიან მოსახლეობასთან, ასევე ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობასთან მიმართებით“ [გელაშვილი 2013: 121] უმუშევრობის დონე ფორმირდება მრავალი ფაქტორის გავლენით, რომელთა გავლენის შედეგად განისაზღვრება მისი დინამიკა. დასაქმების ფაქტორები შეიძლება დავყოთ რამდენიმე ნაწილად: დემოგრაფიული, ეკონომიკური, სოციალური და გლობალური.

დასაქმების დემოგრაფიული ფაქტორები დაკავშირებულია მოსახლეობის აღწარმოების თავისებურებებთან. მას მიეკუთვნება მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი სტრუქტურა, შობადობა, მოკვდავობა და მიგრაცია.

საქსტატის მასალების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბოლო 12 წლის მანძილზე (2004 წლიდან 2016 წლის ჩათვლით) საშუალოდ დასაქმების დონე 52-59% ფარგლებში მერყეობს. ქალთა დასაქმების მაჩვენებელი 44-51% ფარგლებშია მოქცეული, ხოლო მამაკაცების კი 61-67%-ს აღწევს. საშუალოდ უმუშევრობის დონე 11-17%-ია. თუ წლების მიხედვით გავანალიზებთ, უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (16,9%) და შესაბამისად დასაქმების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (52,8%) 2008-2009 წლებს შეესაბამება. ამ მაჩვენებლებზე გავლენა მოახდინა 2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა. ტრადიციულად მაღალია კაცების დასაქმების დონე ქალების დასაქმების დონესთან შედარებით. ქვემოთ მოცემულ გრაფიკ 2-ზე ნაჩვენებია უმუშევრობის დონის ცვლილება 2004-2016 წლებში [საქართველოს... 2017]:

გრაფიკი 2. უმუშევრობის დონე საქართველოში (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge.

როგორც გრაფიკი 2-დან ჩანს, 2016 წელს უმუშევრობის დონე 2015 წელთან შედარებით 0.2 %-ით შემცირდა და 11.8 % შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წელს უმუშევრობის დონემ ბოლო 13 წლის მანძილზე ყველაზე დაბალ ნიშნულს

მილწია, კერძოდ, 2006 წლიდან 2017 წლამდე ადგილი აქვს უმუშევრობის დონის შემცირებას 13,6%-დან 11,8%-მდე მთლიანი საქართველოს მასშტაბით.


ცხრილი 4. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში (%)

წლები	2011	2012	2013	2014	2015	2016
მოსახლეობის რიცხოვნობა 2017 წლის 1 იანვრისთვის (ათასი კაცი)	4 469.2	4 497.6	4 483.8	4 490.5	3 713.7	3 720.4
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათასი კაცი	1944.9	1959.3	2029.1	2003.9	1991.1	2021.5
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში	43,5 %	43,6%	45,2%	44,6%	53,6%	54,3%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge.

„2016 წელს ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 54.3 პროცენტი შეადგინა. წინა წელთან შედარებით მოსახლეობის აქტიურობის დონე გაიზარდა 1.3 %-ით, ხოლო დასაქმების დონე - 0.2 პროცენტული პუნქტით.“ (იხილეთ ცხრილი 4).

გრაფიკი 3. უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის ჭრილში (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge.

როგორც გრაფიკი 3-დან ჩანს, წინა წელთან შედარებით, 2016 წელს საქართველოს ქალაქის ტიპის დასახლებებში დასაქმების დონე შემცირდა 0.5 %-ით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში - 0.1 პროცენტული პუნქტით, წინა წელთან შედარებით


აქტიურობის დონე ქალაქის ტიპის დასახლებებში შემცირებულია 0.8 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში - 0.1 %-ით“ [საქართველოს... 2017].

„უმუშევრობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირებულია კახეთის რეგიონში (5,2%), შემდეგ შიდა ქართლში (8,2%). ცხადია ეს ორი რეგიონი საქართველოს ყველაზე მდიდარი რეგიონებია, რომლებშიც დასაქმების ძირითადი სფეროა მევენახეობა, სოფლის მეურნეობა“ [საქართველოს სტატისტიკის... 2017].

ტრადიციულად, დასაქმებულებში ჭარბობს თვითდასაქმებულთა წილი. აღნიშნული მაჩვენებელი 2016 წელს პრაქტიკულად არ შეცვლილა. 2016 წელს 2015 წელთან შედარებით აქტიურობის დონე ქალებში შემცირებულია 0.9 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში გაზრდილია 0.1 პროცენტული პუნქტით და შესაბამისად 58.0% და 78.2% შეადგინა. უმუშევრობის დონე გაცილებით დაბალია სოფლის მოსახლეობაში, ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით. 2016 წელს 2015 წელთან მიმართებაში უმუშევრობის დონე ქალაქის ტიპის დასახლებებში შემცირდა 0.4%-ით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში პირიქით გაიზარდა 0.2%-ით.

მნიშვნელოვანია მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის შესწავლა ასაკის მიხედვით. დიაგრამა 1-ზე მოცემულია 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 2016 წელს. ამ მონაცემების ურთიერთშედარება გვიჩვენებს, რომ უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი შეიმჩნევა 15–19 წლის ასაკობრივ ჯგუფში (31,9%), რომელსაც შემდეგ მოყვება 20–24 წლის ასაკობრივი ჯგუფი (30%-ით). ზოგადად ასაკის ზრდის კვალდაკვალ უმუშევრობის დონე კლებულობს, გამონაკლისს წარმოადგენს 50–54 წლის ასაკობრივი ჯგუფი, სადაც უმუშევრობის დონე, წინა ჯგუფის 9,7%-დან გაიზარდა 11,9%-მდე, ხოლო შემდეგ კი კვლავ კლებას განიცდის ამასთან ერთად, ისეთ ასაკობრივ ჯგუფთა წილის ზრდა, რომელშიც დასაქმება შედარებით მაღალია, განაპირობებს მთლიან მოსახლეობაში დასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდას.

დიაგრამა 4. უმუშევრობის დონე ასაკობრივ ჯგუფში 2016 წელს (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge.

ამრიგად, დიაგრამა 4.-ზე საქართველოს უმუშევრობის დონის განხილვა ასაკობრივ ჯგუფში გვიჩვენებს, რომ 2016 წელს უმუშევრობის დონემ ყველაზე მაღალ ნიშნულს 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში მიაღწია (31.9%), რაც 5.7 %-ით მაღალია 2015 წლის მაჩვენებელთან შედარებით. უმუშევრობის დონე ტრადიციულად ყველაზე დაბალია 65+ ასაკობრივ ჯგუფში. ამის მიზეზია ის, რომ 65+ საპენსიო ასაკია. ამ კატეგორიის ადამიანები, როგორც წესი, აღარ ეძებენ სამუშაოს და შესაბამისად, ისინი არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნება.

გარდა ამისა, ნებისმიერი ქვეყნის, ისევე როგორც საქართველოს მოსახლეობაში მიმდინარეობს ისეთი ბუნებრივი პროცესები, როგორცაა შობადობა და გარდაცვალება, რაც უშუალოდ განსაზღვრავს მოსახლეობის რიცხოვნობას და ასაკობრივ-სქესობრივ სტრუქტურას. შესაბამისად იგი დასაქმების ფორმირების საფუძველია. ცხადია, „შობადობა და გარდაცვალება პირდაპირ აისახება საერთო-საზოგადოებრივი წარმოების პროცესებში მონაწილე დასაქმებულებზე. ასევე, სამუშაო ძალის რაოდენობაზე გავლენას ახდენს ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა და გარე მიგრაცია (იხილეთ ქვემოთ ცხრილი 5)“ [საქსტატი... 2017]


ცხრილი 5. ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა და შრომითი რესურსების მიგრაციული სალდო საქართველოში (ათასი კაცი)

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა	49 287	56 565	63 377	62 585	58 014	57 031	57 878	60 635	59 249	56 569
მიგრაციული სალდო	-20.7	-10.2	34.2	18.1	20.2	-21.5	-2.6	-6.5	-3.4	-8.1

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge.

2016 წელს ემიგრანტების რიცხოვნობამ 98,3 ათასი კაცი შეადგინა, რაც 2015 წლის მაჩვენებელზე 2,4 პროცენტით მეტია. იმავე პერიოდში იმიგრანტების რიცხოვნობა წინა წელთან შედარებით 2,5 პროცენტით შემცირდა და 90,2 ათასი კაცი შეადგინა. შედეგად, 2016 წელს მიგრაციული სალდოს (სხვაობა იმიგრანტებისა და ემიგრანტების რიცხოვნობას შორის) უარყოფითი მაჩვენებელი -8,1 ათასი კაცის დონეზე დაფიქსირდა [საქსტატი....2017] როგორც ცხრილი 3-დან ჩანს, იმიგრაციის სალდომ თავის მაქსიმალურ მნიშვნელობას მიაღწია 2009 წელს და შეადგინა 34,2 ათასი ემიგრანტი, ხოლო მინიმალურ მნიშვნელობას კი 2012 წელს.

დიაგრამა 5. ემიგრანტებისა და იმიგრანტების განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge.

როგორც დიაგრამა 5-დან ჩანს, საქართველოში ემიგრანტ მამაკაცთა ყველაზე მეტი აქტიურობა შეიმჩნევა 25-29 წლების ასაკში, შემდეგ მას მოჰყვება 30-34, 20-24

წლების ასაკის მქონე მამაკაცთა ემიგრაცია, დაახლოებით იგივე სტრუქტურაა ასაკობრივ ჯგუფში იმიგრანტ მამაკაცებს შორის. ყველაზე უფრო ნაკლებად აქტიურობენ როგორც ემიგრაციის, ისე იმიგრაციის კუთხით 65 წელზე მეტი (საპენსიო) ასაკის ადამიანები და 10–14 წლის მოზარდი ბავშვები. თითქმის იგივე ასაკობრივი სტრუქტურაა ემიგრანტ- და იმიგრანტ ქალთა ასაკობრივ სტრუქტურაში.

დიაგრამა 6. ემიგრანტთა და იმიგრანტთა განაწილება მოქალაქეობის მიხედვით (2016 წელი)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge.

რაც შეეხება მოქალაქეობის მიხედვით ემიგრანტთა და იმიგრანტთა მიგრაციის ანალიზს, როგორც დიაგრამა 6–დან ჩანს, ემიგრანტების 65% ქართველია, 8%–რუსი, 3%–თურქი, 7%–სომეხი და ა. შ., ხოლო იმიგრანტთა შორის 45% ქართველია 10%–რუსი, 6%–თურქი, 5%– სომეხი და ა. შ. ემიგრირებულთა და იმიგრირებულთა საერთო რაოდენობაში ქართველთა მაღალი ხვედრითი წილი განპირობებულია სამუშაოს მაძიებელთა მხრიდან უცხოეთში ახალი სამუშაო ადგილების ძებნის ან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, უცხოეთში გამომუშავებული და დაგროვილი ფულის ხარჯზე რაიმე ახალი საქმიანობის წამოწყების სურვილით.


როგორც დიაგრამა 7–დან ჩანს, 2016 წელს ემიგრანტებისა და იმიგრანტების საშუალო ასაკი სქესის მიხედვით, მერყეობს ძირითადად 30–დან 40 წლამდე. გარდა ამისა, როგორც ემიგრანტებში, ისე იმიგრანტებში მამაკაცთა ასაკობრივი სტრუქტურა უფრო ახალგაზრდულია (30 წელს გადაცილებული), ვიდრე ქალების (40 წლამდე).

დიაგრამა 7. ემიგრანტებისა და იმიგრანტების საშუალო ასაკი სქესის მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge.

გრაფიკი 4. უმუშევრობის დონე სქესობრივ ჭრილში (%)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge.

როგორც გრაფიკი 4–დან ჩანს დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების სქესობრივ ჭრილში განხილვისას აღსანიშნავია, რომ 2016 წელს 2015 წელთან შედარებით უმუშევრობის დონე ქალებში შემცირდა 1.4%-ით, კაცებში კი პირიქით 0.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და შესაბამისად 8.8% და 14.2% შეადგინა. ტრადიციულად კაცებში უმუშევრობის დონე უფრო მაღალია ქალებთან შედარებით. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ დაუსაქმებელი ქალების უმრავლესობა არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნება. www.geostat.ge, info@geostat.ge ქალებში არააქტიურობის დონე თითქმის ორჯერ აღემატება კაცებში ანალოგიურ მაჩვენებელს (შესაბამისად 42.0% და 21.8%). ამგვარად, კაცებთან შედარებით ქალებში დაბალია როგორც აქტიურობის, ასევე

დასაქმების დონე. 2016 წელს 2015 წელთან შედარებით ქალებში დასაქმების დონე უცვლელია, ხოლო კაცებში შემცირებულია 0.5%-ით და შესაბამისად 52.9% და 67.1% შეადგინა.

დიაგრამა 8. უმუშევრობის დონე რეგიონულ ჭრილში (%)



*რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ჩათვლით
 ** სამცხე-ჯავახეთი, გურია, მცხეთა-მთიანეთი

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge.

როგორც დიაგრამა 8-დან ჩანს, წინა წელთან შედარებით უმუშევრობის დონე რეგიონულ ჭრილში გაზრდილია იმერეთის, თბილისისა და შიდა ქართლის რეგიონებში. თბილისში, სადაც უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია, აღნიშნული მაჩვენებელი 0.6 %-ით არის გაზრდილი, ხოლო იმერეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში შესაბამისად 2.0 და 0.2 %-ით. უმუშევრობის დონე ყველაზე მეტად შემცირებულია სამეგრელო-ზემო სვანეთში და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში, შესაბამისად 2.5 და 2.1 %-ით.

დასაქმების ეკონომიკური ფაქტორები –დაკავშირებულია შრომითი რესურსების, საწარმოო ძალის განთავსების თავისებურებებთან, მათ რიცხვს მიეკუთვნება: წარმოების ძალთა განთავსება, ეროვნული წარმოების სტრუქტურა, ეკონომიკური სტიმულირება და ა. შ. წარმოების ძალთა განთავსება განაპირობებს მოსახლეობის შესაძლებლობას დააკმაყოფილოს შრომის სურვილი ეროვნულ წარმოებაში. ისეთი სამუშაო ადგილების არ არსებობა, რომელიც შეესაბამება ადამიანების სპეციალობასა და

მიდრეკილებას არც თუ იშვიათად, განაპირობებს ამ ადამიანების დასაქმებულთა სიის მიღმა დარჩენას. ეროვნული წარმოების ცალკეული სფეროების განვითარება პირდაპირ აისახება დასაქმების ხასიათზე. დასაქმების თვალსაზრისით, ეკონომიკური სტიმულირება არის სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც მიმართულია რაც შეიძლება ბევრი ხალხი დაასაქმოს ეროვნულ წარმოებაში და სტაბილური სამუშაო პირობების შექმნით მიიზიდოს და დაინტერესოს დასაქმებულები, ანუ ეკონომიკურად წახალისოს შრომისუნარიანი მოსახლეობა.


დასაქმების სოციალური ფაქტორები– დაკავშირებულია სამუშაო პირობებთან, მათ შორის აღსანიშნავია: მომსახურების სფეროს და სკოლამდელი დაწესებულებების განვითარება, მოსახლეობის განათლების დონე, ჯანმრთელობის დაცვის სფეროს განვითარება და ა. შ. მომსახურების და სკოლამდელი დაწესებულებების სისტემის განვითარება, განსაკუთრებით ქალებისთვის არის იმის საშუალება, რომ თავიანთი ცხოვრების აქტიური ნაწილი მოახმარონ შრომას წარმოებაში და იყვნენ დასაქმებული.

განათლების ხარისხის ამაღლება, ასევე უდავოდ მნიშვნელოვანია თანამედროვე ვითარებაში. თუმცა უმაღლესი განათლების მიღება გრძელვადიან პერიოდში მოითხოვს სწავლაზე ორიენტირის აღებას. რის შედეგადაც ხანგრძლივდება შრომის უნარს მიღწეული ასაკის მქონდე პიროვნების დასაქმება. ასეთივე მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია ჯანმრთელობის დაცვის სფეროს განვითარებას, ვინაიდან ჯანდაცვაზე დამოკიდებული მომავალ თაობათა შრომის უნარის განვითარება და გახანგრძლივება, დასაქმებულ პირთა მოკვდავობის შემცირება შრომისუნარიან ასაკში.

დასაქმების გლობალური ფაქტორები უკავშირდება მატერიალური კეთილდღეობის წარმოების თავისებურებებს. მათ შორის გამოირჩევა საკუთრების უფლების დაცვა, ასევე დასაქმებულთა უფლებების დაცვა. ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოში, დასაქმებულებად რეგისტრირებულთა უმეტესობა თვითდასაქმებულია. ეს კატეგორია ძირითადად კონცენტრირებულია სოფლის მეურნეობაში, ხოლო ამ სექტორში პროდუქტიულობის დონე საკმაოდ დაბალია. როგორც ნედლეულის მომპოვებელ პირველად საწარმოებში, ისე კვების პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოებში. სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 9%-ს შეადგენს.

„სოფლად უმუშევრობის დონე 7.9%-ს შეადგენს (2016 წლის მონაცემებით), მაშინ, როდესაც ქალაქებში უმუშევრობა 27.2%-ს აღწევს“ [საკესტატი.... 2017] გარდა ამისა, სოფლად მთლიანად დასაქმებულთა 80% თვითდასაქმებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი სოფლის მეურნეობის სექტორში არიან ჩართულნი. „თვითდასაქმებული მოსახლეობა ძირითადად რეგიონებშია კონცენტრირებული. ამის შედეგია ის მონაცემები, რომლის მიხედვითაც უმუშევრობის დონე რეგიონებში გაცილებით დაბალია, ვიდრე ქალაქებში.“ (დასაქმებისა.... 2011: 34). ეს გარემოება კარგად ჩანს ქვემოთ მოცემულ დიაგრამა 9-ზე:

დიაგრამა 9. უმუშევრობის, აქტიურობისა და დასაქმების დონე საქართველოს ქალაქებსა და სოფლად



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge.

საქართველოში ძირითადად სტრუქტურული უმუშევრობა დომინირებს. ფორმალური დასაქმების შესაძლებლობების ნაკლებობა სერიოზული შეზღუდვაა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. სამუშაო ადგილების ნაკლებობა სერიოზული პრობლემაა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

ამრიგად, საზოგადოების არსებობის ძირითად საფუძველს წარმოადგენს წარმოების პროცესი. დემოგრაფიული და ეთნიკური მახასიათებლები იძლევა სოციალური დიფერენციაციის ახსნის საშუალებას. მოსახლეობის შემადგენლობა შემოსავლის წყაროს მიხედვით ხასიათდება ისეთი კატეგორიებით, როგორცაა:

დასაქმებული მოსახლეობა, გარე და შინამეურნეობაში დაკავებულები; კერძო მეურნეობაში დაკავებულები; სტიპენდიანტები; პენსიონერები და სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფი; სხვა შემოსავლის წყაროს მქონენი; სხვა პირთა კმაყოფაზე მყოფი.

მოსახლეობის „ეკონომიკური აქტივობის“ ქვეშ იგულისხმება ადამიანთა მისწრაფება მონაწილეობა მიიღონ და სოციალურად აქტიურად იყვნენ ჩართულნი საზოგადოების მწარმოებლურ, მმართველობით, კულტურულ და სხვა სოციალურ საქმიანობაში. დასაქმება გულისხმობს საზოგადოების ჩართვას წარმოებაში. ოპტი-
მალური დასაქმება ნიშნავს შრომითი რესურსების ისეთ განაწილებას, სფეროების, საწარმოების, სამუშაო ადგილების მიხედვით, რაც არსებულ პირობებში უზრუნველ-
ყოფს წარმოების მაქსიმალურ ეფექტურობას. დასაქმებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოსახლეობის ცხოვრების დონე და შემოსავლები.

ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის შესწავლისას აუცილებელია მხოლოდ ქვეყნის რეზიდენტების მიერ მიღებული პირველადი შემოსავლების გამოთვლა. ყველა პირველადი შემოსავალი შინამეურნეობებმა შეუძლებელია უშუალოდ გამოიყენონ მოხმარებისა ან დაზოგვისათვის. შინამეურნეობებს ტრანსფერტები შესაძლებელია გადაეცეს არა მარტო ფულადი, არამედ ნატურალური ფორმით, ე.წ. სოციალური ტრანსფერტების (სტ) სახით. როდესაც შრომის მიწოდებასა და შრომაზე მოთხოვნას შორის დისბალანსია, ეს იწვევს დაძაბულობას შრომის ბაზარზე.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმებისა და უმუშევრობის შეფასება ხდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომლის თანახმადაც განასხვავებენ: ეკონომიკურად აქტიური, დასაქმებული, დაქირავებული, თვითდასაქმებული, უმუშევარი, ეკონომიკურად არააქტიური. უმუშევრობის დონე- ეს არის უმუშევართა წილი ეკონომიკურად აქტიურ მო-
სახლეობაში. თვითდასაქმებულად ითვლება ადამიანი, რომელიც საკუთარ საწარმოში ან საკუთარ მეურნეობაში მუშაობს და გააჩნია საკუთარი შემოსავალი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში დასაქმება არასდროს არ არის სრული. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის თანახმად უმუშევრებს მიეკუთვნებიან: პირები, რომლებსაც არა აქვთ სამუშაო; ეძებენ სამუშაოს; ან მზად არიან დაიწყონ მუშაობა.

განასხვავებენ უმუშევრობის შემდეგ სახეობებს: ფრიქციული უმუშევრობა, სტრუქტურული უმუშევრობა, ციკლური უმუშევრობა, სეზონური უმუშევრობა,

კლასიკური და ტექნოლოგიური უმუშევრობა. ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში გარდაუვალია. განასხვავებენ სრულ და ნაწილობრივ უმუშევრობას. უმუშევრობის ხანგრძლივობა – ეს არის პერიოდი, რომლის განმავლობაში ადამიანი ითვლება უმუშევრად. უმუშევრობა ერთ წელზე მეტი ვადით ითვლება გრძელვადიანად, ურთიერთმედარებისას გამოიყენება უმუშევართა არა აბსოლუტური, არამედ შეფარდებითი მაჩვენებელი – უმუშევრობის დონე.

დასაქმების დემოგრაფიული ფაქტორები დაკავშირებულია მოსახლეობის აღწარმოების თავისებურებებთან. შობადობა და მოკვდავობა განსაზღვრავს მოსახლეობის რიცხოვნობას და ასაკობრივ-სქესობრივ სტრუქტურას, რაც დასაქმების ფორმირების საფუძველია. დასაქმების ეკონომიკური ფაქტორები დაკავშირებულია შრომითი რესურსების, საწარმოო ძალთა განთავსების თავისებურებებთან, დასაქმების სოციალური ფაქტორები – სამუშაო პირობებთან. დასაქმების გლობალური ფაქტორები – მატერიალური კეთილდღეობის წარმოების თავისებურებებს.

2.2. მოსახლეობის დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები

ეკონომიკის განვითარება სახელმწიფოს განვითარების თანმდევი პროცესია. მას კაცობრიობის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანებისათვის და სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ფორმებს, მაჩვენებლებს და დატვირთვას ღებულობდა. ეკონომიკის განვითარების ამოცანა ყოველთვის იყო, და მომავალშიც დარჩება, როგორც ადამიანის ცხოველმყოფელობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პრობლემა. იგი შორეული წარსულიდან იღებს სათავეებს და უკავშირდება ძველი აღმოსავლეთის, ანტიკური სამყაროს და ფეოდალური საუკუნეების გამოჩენილი ადამიანების ნააზრევს. მერკანტილისტები, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლები, გერმანული ისტორიული სკოლის თეორეტიკოსები, კეინზი და სხვები, კვლევის მთავარ მიზნად ისახავდნენ ქვეყნის ბარაქის მომატებას, მისი სიმდიდრის ზრდის წყაროებისა და საშუალებების გამოვლენას.

ეკონომიკური თეორიის პირველი სკოლის – მერკანტილიზმის წარმომადგენლები ყოველი ერის სიმდიდრის მყარ საფუძველს ხედავდნენ ფულის (ოქროსა და ვერცხლის მონეტების) დაგროვებაში. ასეთი დაგროვების წყაროს, მათი აზრით, წარმომადგენს მოგება (შემოსავალი), რომელიც წარმოიქმნება ვაჭრობაში. მაგრამ თუ სა-

ქონლის გაცვლა ფულზე ხდება ქვეყნის შიგნით, მაშინ ადამიანების ერთი ნაწილი შეიძლება გამდიდრდეს ადამიანთა სხვა ჯგუფების დაზარალების ხარჯზე. თუმცა ამ შემთხვევაში, როგორც ისინი ამტკიცებდნენ, ეროვნული სიმდიდრის საერთო ჯამი ერთი ქვეყნის მასშტაბით (შიგნით) არ იცვლება. იგი იზრდება მხოლოდ საგარეო ვაჭრობის წყალობით. ეს პრინციპი ერთნაირად მისაღებია როგორც ადრეული მერკანტილიზმისათვის (XV – XVI ს-თა მიჯნაზე) ისე გვიანდელი მერკანტილიზმისათვის.

პირველისათვის დამახასიათებელია აქტიური ფულადი ბალანსი (ქვეყანაში შემოტანილი ფულის რაოდენობის გადამეტება ქვეყნიდან გატანილი ფულის რაოდენობაზე), ხოლო მეორისათვის - აქტიური სავაჭრო ბალანსი (ქვეყნიდან გატანილი საქონლის ღირებულების გადამეტება ქვეყანაში შემოტანილი საქონლის ღირებულებაზე). ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ქვეყნიდან ფულის გატანის აკრძალვას, რომელიც ხელს უშლიდა საგარეო ვაჭრობის განვითარებას. მერკანტილისტების აზრით, ეკონომიკური თეორიის ამოცანაა: დაამუშაოს პრაქტიკული რეკომენდაციები სახელმწიფო პოლიტიკისათვის, ხელსაყრელი სავაჭრო ბალანსის მისაღწევად სახელმწიფო უნდა ერეოდეს ეკონომიკაში; გაატაროს პროტექციონიზმის პოლიტიკა (მფარველობა გაუწიოს სამამულო მრეწველობას), რაც იმას ნიშნავს, რომ დაწესებული იქნეს მაღალი საბაჟო გადასახადები იმ საქონელზე, რომლებიც შემოგვაქვს უცხოეთიდან, ხოლო წამახალისებელი პრემიები -სამამულო საქონელზე, რომლებიც გაგვაქვს სხვა ქვეყანაში.

ამასთან ქვეყნის ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს მრეწველობის იმ დარგების განვითარებას, რომელთა პროდუქცია გამიზნულია საგარეო ვაჭრობისათვის. ქვეყნის ეკონომიკური სიმდიდრის გაზრდის თეორიული და პრაქტიკულად განსახორციელებელი სისტემა პირველად სწორედ მერკანტილისტებმა ჩამოაყალიბეს. **ფიზიოკრატები**, მერკანტილისტებისაგან განსხვავებით, ქვეყნის სიმდიდრის წყაროს ხედავდნენ მიწათმოქმედებაში. ისინი მიიჩნევდნენ, რომ სახელმწიფოს ყურადღება უნდა მიექცია არა საგარეო ვაჭრობით ფულის დაგროვებაზე, არამედ „მიწის ნაწარმის“ სიუხვის ზრდაზე. მათი აზრით, სოფლის მეურნეობა ქმნის ერის ნამდვილ სიმდიდრეს. ეს არის წარმოების ერთადერთი დარგი, სადაც ბუნებრივი გზით წარმოიშობა ერის ბარაქა, დამატებითი „წმინდა პროდუქტი“ (ხალხის სიმდიდრის ნამატი). ფიზიოკრატიული სკოლის დამაარსებელს **ფრანსუა კენე** (1694-1774).

ინგლისური კლასიკური პოლიტეკონომიის (XVII-XVIII ს.ს.) მამამთავრები უილიამ პეტი, ადამ სმიტი და დავიდ რიკარდო თვლიდნენ, რომ ხალხთა სიმდიდრე იქმნება არა მარტო სოფლის მეურნეობაში, არამედ მატერიალური წარმოების სხვა დარგებშიც. ისინი მიუთითებენ, რომ სიმდიდრის საყოველთაო ფორმას წარმოადგენს ღირებულება, რომელიც განივთებულია საქონელში და ფულში. თვით ღირებულებას კი ქმნის საქონლის მწარმოებელ მუშაკთა შრომა. ამიტომ ინგლისელ კლასიკოსთა ნაშრომები ცნობილია შრომის ღირებულებითი თეორიის სახელწოდებით.

შრომაში „ტრაქტატი გადასახადებისა და მოსაკრებლების შესახებ“ უ. პეტი ასკვნის, „რომ პროდუქციის წარმოებასა და სიმდიდრის შექმნაში მონაწილეობს ოთხი ფაქტორი: პირველი ორი (ძირითადი) - მიწა და შრომა. „შრომა არის სიმდიდრის მამა, ხოლო ბუნება - მისი დედა“. სხვა ორი ფაქტორი, რომელიც მონაწილეობს პროდუქტის შექმნაში ძირითადი არ არის. ესაა: მუშაკის კვალიფიკაცია, მისი შრომის საშუალებები, იარაღები, მარაგები და მასალები. ისინი შრომას ხდიან მწარმოებლურს, მაგრამ არც ერთ მათგანს დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლიათ“ [Петти 1940: 157, Unated 1940: 134]. ა. სმიტის აზრით, „საბაზრო ეკონომიკა არ იმართება ერთიანი ცენტრიდან, არ ემორჩილება ერთ საერთო ჩანაფიქრს, ვითარდება განსაზღვრული წესებით, მისდევს განსაზღვრულ წესრიგს, სამეურნეო საქმიანობის ყველა ცალკეული მონაწილე ეძებს მხოლოდ საკუთარ სარგებელს“ [Бартенева 1996: 7].

ცალკეული ადამიანის გავლენა საზოგადოების საჭიროების რეალიზაციაზე პრაქტიკულად უმნიშვნელოა, მაგრამ ისახავს რა მიზნად საკუთარ სარგებელს, ადამიანი საბოლოო ჯამში ხელს უწყობს საზოგადოებრივი პროდუქტის გაზრდას, საზოგადოებრივი სიკეთის გამრავლებას. როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივი მიზნები მიიღწევა საბაზრო კანონების „უხილავი ხელის“ მეშვეობით. პირადი სარგებლობისათვის სწრაფვას მივყავართ საერთო სარგებლობისაკენ, წარმოების განვითარებისაკენ, პროგრესისაკენ. ყოველი ცალ-ცალკე ზრუნავს თავის თავზე და იგებს საზოგადოება. იღწვის რა თავისი ინტერესებისათვის, „ეკონომიკური ადამიანი“ უფრო ემსახურება საზოგადოების ინტერესებს, ვიდრე მაშინ, როცა ის შეგნებულად აკეთებს ამას.

ყურადღებას იმსახურებს ა. სმიტის დასკვნა შრომის დანაწილების როლის შესახებ მწარმოებლურ ძალთა განვითარებაში. „სამუშაოს რაოდენობის მნიშვნელოვანი გაზრდა, რომელიც შეიძლება რომ შეასრულოს მუშების ერთმა და იგივე რაოდენობამ, და-

მოკიდებულია სხვადასხვა პირობებზე: ჯერ ერთი, ყოველი ცალკეული მუშის მოხერხებულობის, სიმარჯვის ამაღლებით, მეორე, დროის ეკონომიკით, რომელიც ჩვეულებრივ იკარგება შრომის ერთი სახეობიდან მეორეზე გადასვლით, და ბოლოს, დიდი რაოდენობა მანქანების გამოგონებით, რაც ამსუბუქებს შრომას და საშუალებას აძლევს ერთ ადამიანს შეასრულოს რამდენიმე ადამიანის შრომა“ [Петти 1940: 157].

შრომის საერთაშორისო დანაწილებით ქვეყნების მიერ შეძენილი კონკურენციული უპირატესობა განაპირობებს წარმოების მნიშვნელოვან გაზრდას, რაც იწვევს საზოგადოების კეთილდღეობის საყოველთაო ამაღლებას. ეს წესი ვრცელდება მოსახლეობის ყველაზე დაბალ ფენაზეც. „ყოველ მუშაკს შეუძლია რომ ჰქონდეს თავისი შრომის პროდუქტის მნიშვნელოვანი რაოდენობა იმაზე მეტი რაოდენობით, რომელიც საჭიროა მისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად; და ვინაიდან ყველა სხვა დანარჩენი მუშაკები იმყოფებიან ზუსტად იმავე მდგომარეობაში, მას შეუძლია განსაზღვრულ, საბაზრო ფასად გაცვალოს მის მიერ დამზადებული პროდუქციის, თავისივე მოთხოვნაზე გარდამეტი წილი სხვების მიერ, თავიანთ მოთხოვნაზე გადაჭარბებით დამზადებული პროდუქციის გარკვეულ ნაწილზე. ასე ხდება ჭარბად დამზადებული პროდუქციის მიწოდება მათთვის, ვისაც გააჩნიათ ამ პროდუქციის დეფიციტი. ეს უკანასკნელნიც ასეთნაირადვე ამარაგებენ სხვებს იმით, რაც მათ სჭირდებათ. ამრიგად, სბოლოოდ მიიღწევა საერთო კეთილდღეობა საზოგადოების ყველა ფენაში“ [Бартенев 1996: 7–8].

როგორც ვხედავთ, შრომა ოდითგანვე აღიარებული იყო, როგორც წარმოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ფაქტობრივად ქვეყნის მთელი მატერიალური დოვლათი, მიუხედავად იმისა, რა ითვლებოდა მატერიალური კეთილდღეობის ძირითად წყაროდ დამოკიდებული იყო შრომაზე. დროთა განმავლობაში შრომამ განიცადა ტრანსფორმაცია. თანამედროვე პირობებში წარმოება სულ უფრო მეტად გადადის ავტომატიზაციასა და მექანიზაციაზე, რასაც თავისთავად ჭირდება ძლიერი ადამიანური კაპიტალის ანუ ცოდნის მენეჯმენტი.

„1990 და 2000 წლებს შორის საქართველოში დასაქმებულთა რაოდენობა 37%-ით (2 763 300-დან 1 732 700-მდე) შემცირდა“ [საქსტატი... 2017: 73]. შედეგად, ბევრმა დიდმა და მცირე ზომის ქალაქმა თავისი მოსახლეობის თითქმის ერთი მესამედი დაკარგა. ეს ტენდენცია, მხოლოდ, ნაწილობრივ შეიცვალა 2005 წლის შემდეგ, როდესაც დაიწყო

ინდუსტრიული საქმიანობის ნაწილობრივი გამოცოცხლება. საქართველოში შრომით ბაზარზე შექმნილი ვითარება ბოლო წლებში უარესდება, რაზეც დასაქმების ვარდნა მიუთითებს. დასაქმების დონის ასეთ ვარდნას თან ახლავს უფრო მეტად არააქტიურობის, ვიდრე უმუშევრობის გაზრდა.

საქართველოში შრომისუნარიანი ასაკის მქონე ადამიანების ორ მესამედზე ნაკლებია ეკონომიკურად აქტიური, რაც ევროკავშირის მაჩვენებელს (70%) მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება. სამუშაო ძალის დაბალი მონაწილეობა განსაკუთრებით თვალში საცემია ურბანულ რაიონებში, სადაც შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის, მხოლოდ, 58% არის ეკონომიკურად აქტიური. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დიდი ნაწილი სოფლადაა კონცენტრირებული, სადაც მუშახელის უმეტესობა სოფლის მეურნეობის დარგშია დასაქმებული.


თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გამოთვლის არსებული მეთოდის ნაკლოვანებები არ იძლევა სოფლის მეურნეობაში მუშახელის ნაკლებობის სრულფასოვნად შეფასების საშუალებას. არსებული მონაცემებით, მთლიანი დასაქმების 40%-ზე ნაკლები ქალაქებზე მოდის, ხოლო სოფლის მეურნეობის გარეთ დასაქმებულები დასაქმებულთა მთლიანი მაჩვენებლის 50%-ზე ნაკლებს შეადგენენ. მხოლოდ, 10%-ზე ნაკლებია მრეწველობასა და მშენებლობაში დასაქმებული. არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მთავარი კომპონენტია მომსახურება, რომლის წილი მთლიან დასაქმებაში 35%-ზე მეტია (საქსტატის მონაცემებით, 2002-2016 წლებში 35.5%-დან (2008 წელი) 38.5%-მდე (2016) მერყეობდა).

აღსანიშნავია, რომ საქართველოში თვითდასაქმებულთა დონე მაღალია. განსაკუთრებით სოფლად, სადაც 1990-იანი წლების მიწის რეფორმის დროს ყველა მცხოვრებს გადაეცა მცირე ზომის მიწის ნაკვეთები. სასოფლო-სამეურნეო მიწის სავარგულების მფლობელი მოსახლეობა განიხილება, როგორც სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულები. მის მნიშვნელობას უჩვენებს ისიც, რომ 2012-16 წლებში სახელმწიფო ვაუჩერის პროგრამით დაახლოებით 700 000-მა ოჯახმა ისარგებლა. თვითდასაქმებულთა ოდენობა ქალაქშიც მაღალია, მაგრამ არა ისეთი მაღალი, როგორც სოფლად.

2000 წლიდან მოყოლებული თვითდასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის მნიშვნელოვნად ზარდამ, 2004 წელს პიკს მიაღწია და მთლიანი სამუშაო ძალის ორი მესამედი შეადგინა. 2004 წლიდან თვითდასაქმებულთა დონემ კლება დაიწყო, რაც ოფიციალურ სექტორში სამუშაო ადგილების ზრდაზე მიგვანიშნებს. თუმცა დასაქმებულთა

უმრავლესობა კვლავ თვითდასაქმებულად რჩება. კერძო სექტორში დასაქმების მაჩვენებელი შედარებით დაბალი რჩება. გამოყენებული წყაროების მიხედვით, „2016 წელს დასაქმებულთა ნახევარზე ნაკლები კერძო კომპანიებში საქმიანობს. ეს მაჩვენებელი, დარგების მიხედვით, განსხვავდება: მრეწველობაში ის შეადგენს 50%-ს, საბაზრო მომსახურებაში - 66%-ს, სოფლის მეურნეობაში - 72%-ს. დაქირავებულთა 50%-მდე იმ კომპანიებშია დასაქმებული, სადაც სახელმწიფო კვლავ მთავარ მეწილედ რჩება. სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფ კომპანიებში დასაქმება უმნიშვნელოა, სულ, მისი წილი 10%-ზე ნაკლებია“ [საქსტატი... 2017: 4].

გრაფიკი 5. სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge.

როგორც გრაფიკი 5-დან ჩანს სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2000–2016 წლებში განუხრელად იზრდებოდა. დროის ამ ინტერვალში კერძო სექტორში დასაქმებულებს უფრო მეტი ანაზღაურება ჰქონდათ, ვიდრე სახელმწიფო სექტორში დასაქმებულებს. კერძოდ, საჯარო სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2000 წელს თუ შეადგენდა 94,8 ლარს 2016 წელს მან მიაღწია 945,1 ლარს მიაღწია, ანუ თითქმის 10-ჯერ გაიზარდა. ეს ზრდის საკმაოდ მაღალი ტემპია უახლოესი 16 წლის განმავლობაში, რაც იმით არის განპირობებული, რომ მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა საჯარო სამსახურებში და თავის მხრივ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დასაქმების მენეჯმენტი, რის შედეგადაც მოხდა

უფლება—მოვალეობების სწორი დელეგირება, ფუნქციების დუბლირების აღმოფხვრა. შეუსრულებელი ვალდებულებების შესაბამის კომპეტენტურ ორგანიზაციებზე, ფუნქციონალურ დეპარტამენტებზე, პერსონალზე დაკისრება. შედეგად მოხდა საჯარო დაწესებულებებში სამუშაო ადგილების რაციონალიზაცია და გამოთავისუფლებული ფინანსური სახსრების ხარჯზე სამუშაო ადგილებზე დარჩენილთა ხელფასების ზრდა.

კერძო სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2000 წელს თუ შეადგენდა 66,6 ლარს 2016 წელს მან მიაღწია 825,6 ლარს, ანუ დროის ამ ინტერვალში კერძო სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 12,4-ჯერ გაიზარდა. ეს ზრდის საკმაოდ მაღალი ტემპია უახლოესი 16 წლის განმავლობაში, რაც დროის ამ ინტერვალში საქართველოს სწრაფი ეკონომიკური აღმავლობით არის გამოწვეული (*გრაფიკი 5*).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში სოფლად დასაქმებულთა დიდი წილი თვითდასაქმებულ ფერმერებზე მოდის. როგორც წესი, ურბანიზაციის დონე რეგიონის უმუშევრობის კარგი განმსაზღვრელია. თუ რეგიონების ურბანიზაციის დონეს მათ უმუშევრობის დონეს შევადარებთ, ვნახავთ, რომ საქართველოს რეგიონთაგან თბილისი შემდეგ იმერეთის რეგიონს აქვს ურბანიზაციის მაღალი დონე, ხოლო უმუშევრობის დონე შედარებით დაბალია. რამდენადაც დროებითი სამუშაოს შოვნის უფრო რეალური შანსი არსებობს. ვიდრე მუდმივის, ამან უნდა შეამციროს იმედგაცრუებულ მუშაკთა რიცხოვნობა, თუმცა ეს, ასევე, ზრდის უმუშევრობის დონეს. საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში დასაქმების დონეებს შორის დიდი მსგავსება აღინიშნა. ამასთან, ქ. თბილისში დასაქმების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე საქართველოს სხვა ნებისმიერ რეგიონში. სხვა მხრივ, რეგიონებს შორის არსებითი განსხვავება არ შეინიშნება.

ღირსეული დასაქმების მწირი შესაძლებლობების პირობებში, განსაკუთრებით რეგიონებში, ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამასთანავე, პრიორიტეტი უნდა იყოს არა ზოგადად სამუშაო ადგილების, არამედ მდგრადი სამუშაო ადგილების შექმნა, რაც ადგილობრივ მოსახლეობას სტაბილურობის შეგრძნებას გაუჩენს. გარდა ამისა, ვინაიდან სოფლის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სოფლის მეურნეობაშია ჩართული, ამ ტიპის, მცირე სოფლის

მეურნეობის მომგებიან წარმოებად ჩამოყალიბების ხელშეწყობა სახელმწიფომ გრძელვადიან პრიორიტეტად უნდა მიიჩნიოს.

უცხოეთში მცხოვრებ ქართულ დიასპორას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს რეგიონების განვითარებასა და სამუშაო ადგილების შექმნაში. დიასპორის წარმომადგენელი მეწარმეები შეიძლება დაინტერესდნენ მათი წარმოშობის ადგილებში მოქმედ მეწარმეებთან თანამშრომლობით ან/და მათ ბიზნესში ინვესტირებით თანამონაწილეობით ან თანამშრომლობის სხვა მექანიზმებით ისეთ სფეროებში, როგორცაა, უცხოეთში მცხოვრები ქართველებისთვის ქართული პროდუქციის წარმოება/ექსპორტი და ადგილობრივი ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობა საერთო კულტურული მემკვიდრეობის გასაცნობად. თანამედროვე ეტაპზე „საქართველოს რეგიონებში მდგრადი დასაქმების შესაძლებლობების შექმნის სფეროში სახელმწიფოს პრიორიტეტებია:

ა) სხვა ქვეყნებში არსებულ დიასპორებსა და ადგილობრივ თემებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება რეგიონების განვითარების პროექტებში დიასპორის წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობის წახალისებით და ეფექტიანი საჯარო თუ კერძო პარტნიორობის დანერგვით;

ბ) ფულადი გზავნილებისა და დიასპორის ინვესტიციების საკითხებზე ფინანსური განათლების ტრენინგების პროგრამების შემუშავება დიასპორის წარმომადგენლების, ემიგრანტებისა და მათი ოჯახების გაძლიერებისათვის, ფინანსური რესურსების განვითარებისა და მართვისათვის;

გ) ემიგრანტებისა და მათი ოჯახებისათვის გაუმჯობესებული საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების შემუშავების ხელშეწყობა;

დ) რეგულარულად განახლებადი ვირტუალური, ელექტრონული ფორუმების დაარსება ბიზნესში ჩართულ დიასპორის წარმომადგენლებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ბიზნესში თანამშრომლობის განვითარებისათვის;

ე) დიასპორის დახმარებით საქართველოში ან/და სხვა ქვეყნებში ბიზნესის საერთაშორისო ფორუმების ორგანიზება;

ვ) ბიზნესის დაფინანსებისთვის კაპიტალის მოზიდვის ალტერნატიული, ინოვაციური მოდელების ორგანიზება, მათ შორის, დიასპორის მონაწილეობით;

ზ) აპრობირებული, მდგრადი მოდელების (კაპიტალის მოზიდვის ალტერნატიული მექანიზმების ჩათვლით) დანერგვა ემიგრანტების/დიასპორის ინვესტიციების მცირე ბიზნესისა და საშუალო ბიზნესის განსავითარებლად მოზიდვისათვის;

თ) ემიგრანტების ფულადი გზავნილებით შექმნილი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა“ *[საქართველოს დემოგრაფიული... 2016: 12]*.

დასაქმების პოლიტიკა მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის სტრუქტურასა და მოსახლეობის დაბერებაში მიმდინარე ცვლილებებზე საზოგადოების მართებული რეაგირებისათვის. ღირსეული სამუშაოს არსებობა ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფისა და ყველა ასაკის მოქალაქეების ეკონომიკური ჩართულობის ხელშეწყობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. მოსახლეობის სტრუქტურასა და მის დაბერებაში მიმდინარე ცვლილებებზე შრომის ბაზრების ადეკვატური რეაგირების სფეროში ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების მთავარი პრიორიტეტები უნდა იყოს:

ა) ყველა ასაკის მოქალაქეებისთვის ღირსეული სამუშაოს უზრუნველყოფა და პროფესიული ზრდის შესაძლებლობების შექმნა; საქართველოს კანონმდებლობის ადმინისტრირების (შესრულების) გაძლიერება, რაც უფროსი თაობის დასაქმებულებს დაიცავს შრომის ბაზარზე ახალგაზრდა თაობის მხრიდან დისკრიმინაციისგან;

ბ) ადამიანური კაპიტალის გაძლიერება ახალგაზრდებისთვის მაღალი ხარისხის, ადეკვატური განათლებისა და პროფესიული ტრენინგების შანსის გაზრდით; უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლა, მისი თავიდან აცილება ახალგაზრდებში;

გ) უფროსი თაობის წარმომადგენელთა დასაქმების მდგომარეობის გაუმჯობესება მათთვის პროფესიული ტრენინგების, მთელი სიცოცხლის განმავლობაში უწყვეტი განათლებისა და ადაპტირებული სამუშაო პირობების უზრუნველყოფით;

დ) უფროსი თაობის წარმომადგენელთა დასაქმების მოქნილი მოდელების და მათი პენსიაზე ეტაპობრივად გასვლის მექანიზმის მხარდაჭერა.

უნდა აღინიშნოს, რომ მაღალგანვითარებულ ეკონომიკაში აუცილებელია კვალიფიციური კადრები, სამუშაო ადგილები და მიღებული ცოდნის რეალიზაციის საშუალება. შრომისა და დასაქმების პრობლემებს უამრავი ნაშრომი მიეძღვნა, არაერთი კვლევაა ჩატარებული. არავინ კამათობს შრომის მნიშვნელობაზე, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკური ვითარება არ იძლევა პოზიტიური დასკვნის გაკეთების საშუალებას. არსებობს ფაქტები, რიცხვითი მონაცემები, სტატისტიკური დასკვნები შრომის საკითხთა სხვადასხვა

ჭრილში. თუმცა რიცხვითი მონაცემები რჩება მონაცემებად და მხოლოდ კომპლექსური სახელმწიფო პოლიტიკის საშუალებითაა შესაძლებელი დასაქმების პრობლემის გადაჭრა. ამ პრობლემის განხილვა დაფუძნებულია მათემატიკის აპარატის გამოყენებაზე, აქედან გამომდინარე, არსებული რიცხობრივი მონაცემების დაჯგუფების საშუალებით შედარებით ზუსტი სურათის დადგენა და მომავალი პერიოდის პროგნოზირება.

მოსახლეობის დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები. მოსახლეობის დასაქმების რაოდენობრივი დახასიათებისათვის სტატისტიკა ითვალისწინებს სპეციალურ მაჩვენებლებს. ეს მაჩვენებლები იყოფა ორ ჯგუფად: **აბსოლუტურ** და **ფარდობით** მაჩვენებლებად. აბსოლუტური მაჩვენებლები ასახავს ეკონომიკურ პოტენციალს, სახელმწიფოს განვითარების შესაძლებლობებს.

დასაქმების აბსოლუტურ მაჩვენებლებს მიეკუთვნება: დასაქმებულთა რიცხოვნობა ეკონომიკაში, დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკის ცალკეული სფეროების მიხედვით, სქესის, ასაკისა და განათლების დონის მიხედვით, შრომისუნარიან ასაკს მიღწეული მოსახლეობის რიცხოვნობა, რომლებიც დაკავებულია წარმოებაში და ა. შ.

დასაქმების ფარდობითი მაჩვენებლები ახასიათებს მოსახლეობისა და მათი ცალკეული ჯგუფების ჩართულობის დონეს ეკონომიკაში. ისინი მოიცავენ ისეთ მაჩვენებლებს, როგორცა დასაქმების კოეფიციენტი, შრომითი რესურსის კოეფიციენტი, შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების კოეფიციენტი და ა. შ. დასაქმების კოეფიციენტი ფართოდ გამოიყენება შედარებითი ანალიზისას. იგი გვიჩვენებს დასაქმებულთა ხვედრით წონას მოსახლეობის საერთო რაოდენობაში [*Employment..2011: 23*]:

$$K_E = \frac{N_E}{N} 100\%$$

სადაც K_E (**Employment Population Ratio of Population**)- მოსახლეობის დასაქმების კოეფიციენტი, N_E - დასაქმებული მოსახლეობის რიცხვია, ხოლო N - მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაა. მაგალითად, 2016 წლის მონაცემებით, საქართველოს მთლიანი მოსახლეობის საერთო რაოდენობა შეადგენდა $N = 3720,4$ ათას კაცს, რომელთაგან დასაქმებულად ითვლებოდა $N_E = 1783$ ათასი კაცი. შესაბამისად დასაქმების კოეფიციენტისთვის ვღებულობთ $K_E = 47,9\%$ -ს.

მოსახლეობის დასაქმების კოეფიციენტი არ ითვალისწინებს ბავშვებს, მოხუცებს, ანუ მოსახლეობის იმ ნაწილს, რომლებსაც ასევე შეუძლიათ საზოგადოებრივი პროდუქ-

ციის შექმნაში მონაწილეობის მიღება, რაც შეიძლება მივიჩნიოთ ამ მახასიათებლის უარყოფით მხარედ. მოსახლეობის დასაქმების კოეფიციენტი ძლიერ არის დამოკიდებული მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივ სტრუქტურაზე. მაგალითად, მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილებამ სამუშაო ასაკის მიღმა, ბავშვებში ან მოხუცებში, შესაძლოა გამოიწვიოს დასაქმების კოეფიციენტის შემცირება ან პირიქით. „ამიტომ კიდევ უფრო ღრმა ანალიზისათვის სარგებლობენ შრომითი რესურსის დასაქმების კოეფიციენტით, რომელიც გვიჩვენებს დასაქმებულთა ხვედრით წონას არა მთლიან მოსახლეობაში, არამედ პოტენციურად შრომისუნარიან მოსახლეობაში:

$$K_E^{LR} = \frac{N_E}{N^{LR}} 100\%$$

სადაც K_E^{LR} (**Employment Population Ratio of Labor Resource**) - შრომითი რესურსის დასაქმების კოეფიციენტი, N^{LR} - პოტენციურად შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობაა. მაგ., 2016 წლისთვის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა $N^{LR} = 2021,5$ ათას კაცს, შესაბამისად, შრომითი რესურსის დასაქმების კოეფიციენტისათვის მიიღება: $K_E^{LR} = 88,2\%$ [Unated...2016: 13].

შრომითი რესურსის დასაქმების კოეფიციენტი საშუალებას იძლევა ქვეყანაში დასაქმებულთა შესახებ შედარებით ზუსტი და რეალურთან მიახლოებული სურათი მივიღოთ. იგი ასახავს ეკონომიკაში დასაქმებულთა ხვედრით წონას. შრომითი რესურსის დასაქმების კოეფიციენტი სიდიდით ყოველთვის აღემატება მოსახლეობის დასაქმების კოეფიციენტს, რადგან ერთნაირი მრიცხველის პირობებში, მნიშვნელოვანი მცირეა. შრომითი რესურსის დასაქმების კოეფიციენტი შეიძლება განხილული იქნას ვიწრო თვალსაზრისითაც, კერძოდ, იმ მოსახლეობის მიმართ, რომლებიც მიეკუთვნება შრომის უნარის მქონეთა ასაკს. ცხადია, ასეთი მიდგომა განპირობებულია იმით, რომ შრომის უნარის ასაკის მქონე მოსახლეობა წარმოადგენს შრომითი რესურსის ბირთვს. „შესაბამისად, შესაძლებელია ვისარგებლოთ შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის დასაქმების კოეფიციენტით, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკაში დასაქმებული მოსახლეობის ხვედრით წილს, კერძოდ, ქალებში 16-დან 60-მდე ასაკის, ხოლო კაცებში 16-დან 65-მდე ასაკის შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის მიმართ:

$$K_E^{PEA} = \frac{N_E}{N^{PEA}} 100\%$$

სადაც K_E^{PEA} (Employment Population Ratio of Population with Employable Age) - შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის დასაქმების კოეფიციენტი, ხოლო N^{EPS} - შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის რაოდენობა“ [Investopedia... 2017: 34]

მაგალითისათვის განვიხილოთ საქართველოს სტატისტიკური მონაცემები 2016 წლისათვის. შრომისუნარიანი ასაკის მქონე ქალთა რიცხოვნობა შეადგენდა $N_{Women}^{PEA} = 855,84$ ათას ქალს, ხოლო კაცთა რიცხოვნობა კი $N_{Men}^{PEA} = 927,16$ ათას კაცს. შესაბამისად შრომისუნარიან ქალთა და მამაკაცთა დასაქმების კოეფიციენტისათვის ვღებულობთ:

$$K_{E(Women)}^{PEA} = 64,5\% ; K_{E(Men)}^{PEA} = 71,7\% .$$

შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის დასაქმების კოეფიციენტის თავისებურება, ცხადია, მდგომარეობს იმაში, რომ ის ამაღლებს წარმოებაში ჩართულ მოსახლეობის ფაქტიურ დონეს, რადგან მნიშვნელში არ არის გათვალისწინებული ბავშვებისა და მოხუცების წილი, ხოლო მრიცხველი კი ითვალისწინებს მათ წვლილს ეკონომიკაში. თუმცა ეს ფაქტი მოცემული კოეფიციენტის ფაქტობრივ ღირებულებებს არაფრით არ ამცირებს, პირიქით, ზემოთ განხილულ კოეფიციენტებთან ერთად, მოსახლეობის დასაქმების კომპლექსური ანალიზის შესაძლებლობას გვაძლევს.

მოსახლეობის დასაქმების ანალიზისას მხედველობაშია მისაღები, რომ შრომისუნარიანობის ასაკი მამაკაცებისათვის 5 წლით აღემატება ქალების შრომისუნარიანობის ასაკს, ამიტომ საჭიროა დიფერენცირებული მიდგომა, რათა გამოკვლეული იქნას შრომისუნარიანი ასაკის მქონე მამაკაცთა და ქალთა ეკონომიკაში ჩართვის ხარისხი.

ამასთან, აუცილებელია იმ გარემოების გათვალისწინებაც, რომ შრომისუნარიანი ასაკის მქონე ყველა ადამიანს არ შეუძლია მუშაობა. მათ შორის არის მოსახლეობის ცალკეული კატეგორიები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზთა გამო არ არიან ან არ შეიძლება იყვნენ დასაქმებულები. მაგალითად, დაბადებიდან ინვალიდები, პირები, რომლებმაც მიიღეს საწარმოო ტრავმა, პირები, რომლებიც სეროზული დაავადებით არიან შეპყრობილი და ა. შ. ადამიანთა ეს კატეგორია პრაქტიკულად შრომისუნარონი არიან. ამ თვალსაზრისით, დასაქმების კოეფიციენტი შეიძლება აგრეთვე განისაზღვროს შრომისუნარიანი ასაკის ადამიანთა ოდენობა შრომისუნარიანთა მიმართ:

$$K_E^{EPEA} = \frac{N_E}{N^{EPEA}} 100\%$$

სადაც, K_E^{EPEA} (**Employment Population Ratio of Employable Population with Employable Age**)

- შრომისუნარიანი ასაკის მქონე შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების კოეფიციენტი, ხოლო N^{EPS} - შრომისუნარიანი ასაკის მქონე შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც შესაძლოა გაანგარიშებული იქნას თუ ცნობილია შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის რაოდენობა სამუშაო ძალის გარეთ, ე.ი. შრომისუნარო მოსახლეობის რაოდენობა შრომისუნარიან ასაკში, შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის რაოდენობას გამოაკლდება შრომისუნარიანი ასაკის მქონე შრომისუნარო მოსახლეობის რაოდენობა და მიიღება შრომისუნარიანი ასაკის მქონე შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა.

განმარტებებიდან გამომდინარე, - შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის დასაქმების კოეფიციენტი- K_E^{PEA} და შრომისუნარიანი ასაკის მქონე შრომისუნაროთა დასაქმების კოეფიციენტი- K_E^{EPEA} ერთმანეთთან დაკავშირებულია ფორმულით:

$$K_E^{PEA} = \frac{N_E}{N^{EPEA}} \frac{N^{EPEA}}{N^{PEA}} = K_E^{EPEA} \times \Delta^{EPEA}, \quad \Delta^{EPEA} = \frac{N^{EPEA}}{N^{PEA}},$$

სადაც Δ^{EPEA} - წარმოადგენს შრომისუნარიანი ასაკის მქონე შრომისუნარიანი მოსახლეობის წილს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში.

ანალოგიურად:

$$K_E^{LR} = \frac{N_E}{N^{PEA}} \frac{N^{PEA}}{N^{LR}} = K_E^{PEA} \times \Delta^{PEA}, \quad \Delta^{PEA} = \frac{N^{PEA}}{N^{LR}},$$

სადაც Δ^{PEA} - წარმოადგენს შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის ხვედრით წილს შრომითი რესურსის საერთო რაოდენობაში. და ბოლოს:

$$K_E = \frac{N_E}{N^{LR}} \frac{N^{LR}}{N} = K_E^{LR} \times \Delta^{LR}, \quad \Delta^{LR} = \frac{N^{LR}}{N},$$

Δ^{LR} - წარმოადგენს შრომითი რესურსის წილს მოსახლეობის საერთო რაოდენობაში.

ამ თანაფარდობების საფუძველზე შესაძლოა დავწეროთ გამოსახულება, რომელიც მთელ ამ ჯაჭვს ასახავს:

$$K_E = \frac{N_E}{N^{EPEA}} \times \frac{N^{EPEA}}{N^{PEA}} \times \frac{N^{PEA}}{N^{LR}} \times \frac{N^{LR}}{N} = K_E^{EPEA} \times \Delta^{EPEA} \times \Delta^{PEA} \times \Delta^{LR}.$$

ანალოგიური სქემით შეიძლება აგებული იქნას კავშირი შრომისუნარიანი ასაკის მქონე შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების კოეფიციენტსა და შრომითი რესურ-

სის დასაქმების კოეფიციენტს შორის, აგრეთვე შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის დასაქმების კოეფიციენტსა და მთლიანი მოსახლეობის დასაქმების კოეფიციენტებს შორის კავშირი.

მიზნებისა და ამოცანების მიხედვით ამ კავშირის ზოგადი ჯაჭვი შეიძლება შემოიფარგლოს ორი ან სამი მამრავლით. მაგალითად:

$$K_E = \frac{N_E}{N^{EPEA}} \times \frac{N^{EPEA}}{N^{LR}} \times \frac{N^{LR}}{N} = K_E^{EPEA} \times \Delta_{LR}^{EPEA} \times \Delta^{LR},$$

სადაც Δ_{LR}^{EPEA} - შრომისუნარიანი ასაკის მქონე შრომისუნარიანთა წილია შრომითი რესურსის საერთო რაოდენობაში. ან კიდევ, განვიხილოთ შემდეგი კავშირი:

$$K_E = \frac{N_E}{N^{EPEA}} \times \frac{N^{EPEA}}{N} = K_E^{EPEA} \times \Delta_N^{EPEA},$$

ამ შემთხვევაში Δ_N^{EPEA} - შრომისუნარიანი ასაკის მქონე შრომისუნარანთა ხვედრითი წილია მოსახლეობის საერთო რაოდენობაში.

დასაქმების კოეფიციენტთა ურთიერთკავშირის დადგენის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს ცნობილი მაჩვენებლების საფუძველზე უცნობი მაჩვენებლის ძიებაში. ყველა განხილული კავშირი გამოიყენება ინდექსური მოდელების აგებისას, როცა საჭიროა განისაზღვროს ცალკეული ფაქტორის გავლენა მოსახლეობის დასაქმებაზე, შრომით რესურსზე და ა.შ.

მოსახლეობის **უმუშევრობის მაჩვენებელი** ასევე შეიძლება აღიწეროს **აბსოლუტური** ან **ფარდობითი** სიდიდეებით. **აბსოლუტური მაჩვენებელი** აღწერს უმუშევრობის მასშტაბს და მოიცავს ოფიციალურად დარეგისტრირებულ უმუშევართა რიცხვს, აგრეთვე მათ განაწილებას ადმინისტრაციულ-ტერიტორიული პრინციპით, საცხოვრებელი ადგილით, სქესით, ასაკით, განათლების დონით და ა.შ. უმუშევრობის აბსოლუტურ მაჩვენებელს აქვს უარყოფითი მხარეც, კერძოდ, ის არ ითვალისწინებს მოსახლეობის დაუსაქმებლობის ხარისხს.

უმუშევრობის ფარდობითი მაჩვენებელი ახასიათებს ოფიციალურად დარეგისტრირებული უმუშევრების ხვედრით წილს შესაძარებელ ბაზასთან მიმართებაში. თეორიულად შესაძარებელი ბაზის რანგში შეიძლება აღებული იქნას: მთლიანი მოსახლეობა (N), შრომითი რესურსი (N^{LR}), შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობა (N^{PEA}), შრომისუნარიანი ასაკის მქონე შრომისუნარიანი მოსახლეობა (N^{EPEA}), დასაქ-

მებული მოსახლეობა (N_E) და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (N_{EA}). პრაქტიკაში ხშირად სარგებლობენ გამოსახულებით:

$$K_U^{EA} = \frac{N_U}{N_{EA}} 100\% ,$$

სადაც K_U^{EA} (Unemployment Population Ratio of Economically Active Population) - ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის უმუშევრობის კოეფიციენტი, N_U - უმუშევართა ოფიციალურად დარეგისტრირებული რიცხვია, ხოლო N_{EA} - ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობაა“ [Methodology.... 2017: 7] მაგალითად, 2016 წლისათვის სულ უმუშევრად დარეგისტრირებული მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენდა 241,6 ათას კაცს მაშინ, როდესაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა შეადგენდა 2021,5 ათას კაცს (იხილეთ დანართში ცხრილი 4), შესაბამისად ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის უმუშევრობის კოეფიციენტი იქნება: $K_U^{EA} = 12,3\%$.

„ფაქტიურად ეს კოეფიციენტი ასახავს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დაუსაქმებლობის ხარისხს და შეიძლება გამოითვალოს რეგიონების, ოლქების, საცხოვრებელი ადგილების, სქესისა და სხვა პარამეტრების მიხედვით“ [საქართველოს სტატისტიკის.... 2017].

ამრიგად, ეკონომიკის განვითარება სახელმწიფოს განვითარების თანმდევი პრობლემაა. მას კაცობრიობის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანებისათვის. ეკონომიკური თეორიის პირველი სკოლის – მერკანტილიზმის წარმომადგენლები ყოველი ერის სიმდიდრის მყარ საფუძველს ხედავდნენ ფულის (ოქროს და ვერცხლის მონეტების) დაგროვებაში.

ფიზიოკრატები, მერკანტილისტებისაგან განსხვავებით, ქვეყნის სიმდიდრის წყაროს ხედავდნენ მიწათმოქმედებაში. ინგლისური კლასიკური პოლიტიკონომიის მამამთავრები უილიამ პეტი, ადამ სმიტი და დავიდ რიკარდო თვლიდნენ, რომ ხალხთა სიმდიდრე იქმნება არა მარტო სოფლის მეურნეობაში, არამედ მატერიალური წარმოების სხვა დარგებშიც. ცალკეული ადამიანის გავლენა საზოგადოების საჭიროების რეალიზაციაზე პრაქტიკულად უმნიშვნელოა, მაგრამ იგი ისახავს მიზნად საკუთარ სარგებელს. ყურადღებას იმსახურებს ა. სმიტის დასკვნა შრომის დანაწილების როლის შესახებ მწარმოებლურ ძალთა განვითარებაში.

შრომის საერთაშორისო დანაწილებით ქვეყნების მიერ შეძენილი კონკურენციული უპირატესობა განაპირობებს წარმოების მნიშვნელოვან გაზრდას, რაც იწვევს საზოგადოების კეთილდღეობის საყოველთაო ამაღლებას. როგორც ვხედავთ, ადამიანური შრომა ოდითგანვე აღიარებული იყო, როგორც წარმოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა. საქართველოში მოსახლეობის ეკონომიკურად აქტიური ნაწილი შრომისუნარიანი ასაკის მქონე ადამიანთა საერთო ოდენობის 2/3-საც კი ვერ შეადგენს, რაც ევროკავშირის მაჩვენებელს (70%) ჩამორჩება.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის გამოთვლის არსებული მეთოდის ნაკლოვანებები არ იძლევა სოფლის მეურნეობაში მუშახელის ნაკლებობის სრულფასოვნად შეფასების საშუალებას. საქართველოში განსაკუთრებით სოფლად, მაღალია თვითდასაქმებულთა დონე. რამდენადაც დროებითი სამუშაოს შოვნის უფრო რეალური შანსი არსებობს, ვიდრე მუდმივის. ამან უნდა შეამციროს იმედგაცრუებულ მუშაკთა რიცხოვნობა. ღირსეული დასაქმების მწირი შესაძლებლობების პირობებში, განსაკუთრებით რეგიონებში, ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

ქართულ დიასპორას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს რეგიონების განვითარებასა და სამუშაო ადგილების შექმნაში. დასაქმების პოლიტიკა მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის სტრუქტურასა და დაბერებაში მიმდინარე ცვლილებებზე საზოგადოების მართებელი რეაგირებისათვის. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში აუცილებელია კვალიფიციური კადრები, სამუშაო ადგილები და მიღებული ცოდნის რეალიზაციის საშუალება. მოსახლეობის დასაქმების რაოდენობრივი დახასიათებისათვის სტატისტიკა ითვალისწინებს სპეციალურ მაჩვენებლებს.

დასაქმების აბსოლუტურ მაჩვენებლებს მიეკუთვნება დასაქმებულთა რიცხოვნობა ეკონომიკაში, დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკის ცალკეული სფეროების მიხედვით, სქესის, ასაკისა და განათლების დონის მიხედვით, შრომისუნარიან ასაკს მიღწეული მოსახლეობის რიცხოვნობა, დასაქმების ფარდობითი მაჩვენებლები ახასიათებს მოსახლეობისა და მათი ცალკეული ჯგუფების ჩართულობის დონეს ეკონომიკაში. მოსახლეობის დასაქმების კოეფიციენტი არ ითვალისწინებს ბავშვებს,

მოხუცებს, ანუ მოსახლეობის იმ ნაწილს, რომლებსაც ასევე შეუძლიათ საზოგადოებრივი პროდუქციის შექმნაში მონაწილეობის მიღება.

შრომითი რესურსის დასაქმების კოეფიციენტი საშუალებას იძლევა ქვეყანაში დასაქმებულთა შესახებ შედარებით ზუსტი და რეალურთან მიახლოებული სურათი მივიღოთ. შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის დასაქმების კოეფიციენტის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ის ამაღლებს წარმოებაში ჩართულ მოსახლეობის ფაქტიურ დონეს. ამასთან, აუცილებელია იმ გარემოების გათვალისწინებაც, რომ შრომისუნარიანი ასაკის მქონე ყველა ადამიანს არ შეუძლია მუშაობა.

დასაქმების კოეფიციენტთა ურთიერთკავშირის დადგენის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს ცნობილი მაჩვენებლების საფუძველზე უცნობი მაჩვენებლის ძიებაში. მოსახლეობის უმუშევრობის მაჩვენებელი შეიძლება აღიწეროს აბსოლუტური და ფარდობითი სიდიდეებით. უმუშევრობის ფარდობითი მაჩვენებელი ახასიათებს ოფიციალურად დარეგისტრირებული უმუშევრების ხვედრით წილს შესადარებელ ბაზასთან მიმართებაში. ეს კოეფიციენტი ასახავს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დაუსაქმებლობის ხარისხს და შეიძლება გამოითვალოს რეგიონების, ოლქების, საცხოვრებელი ადგილების, სქესისა და სხვა პარამეტრების მიხედვით.

2.3. მოსახლეობის დასაქმების ინდექსური, გრაფიკული და ბალანსური მოდელები

საქართველოს ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავების, მისი მთლიანი შიდა პროდუქციის ზრდისა და, შესაბამისად, ეკონომიკის განვითარების სწორი პროგნოზირების მიზნით უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის დასაქმების არსებული მოდელების შესწავლას და მათ შორის ჩვენი ქვეყნისათვის მისადაგებული მოდელის შერჩევას. ამ თვალსაზრისით განასხვავებენ მოსახლეობის დასაქმების ინდექსურ, გრაფიკულ და ბალანსურ მოდელებს.

მოსახლეობის დასაქმების ინდექსური მაჩვენებლები. მეცნიერებისა და პრაქტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოსახლეობის დასაქმებაზე მოქმედ ფაქტორთა ზეგავლენის რაოდენობრივი ანალიზი. დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

$$N_E = \frac{N_E}{N^{LR}} N^{LR} = K_E^{LR} \times N^{LR}.$$

სწორედ ამ მარტივ მათემატიკურ გარდაქმნაზე შეიძლება აგებული იქნას ორ-ფაქტორიანი ინდექსური მოდელი:

$$\bar{I} = \frac{K_{E1}^{LR} N_1^{LR}}{K_{E0}^{LR} N_1^{LR}},$$

$$\Delta I = \frac{K_{E0}^{LR} N_1^{LR}}{K_{E0}^{LR} N_0^{LR}},$$

$$\tilde{I} = \frac{K_{E1}^{LR} N_1^{LR}}{K_{E0}^{LR} N_0^{LR}}.$$

წარმოდგენილ სისტემაში ყოველ ელემენტს აქვს ეკონომიკური შინაარსი. \bar{I} - მუდმივი შემადგენლობის ინდექსი, რომელიც აღწერს მოსახლეობის დასაქმების დინამიკას შრომითი რესურსის დასაქმების კოეფიციენტის ცვლილების საფუძველზე. ΔI - სტრუქტურული წანაცვლების ინდექსი ახასიათებს დასაქმებული მოსახლეობის ცვლილების დინამიკას შრომითი რესურსის რიცხოვნობის ცვლილების საფუძველზე, ხოლო \tilde{I} - ცვლადი შემადგენლობის ინდექსი, რომელიც აღწერს დასაქმებული მოსახლეობის ცვლილების დინამიკას ორი ფაქტორის გავლენის საფუძველზე. ინდექსთა აბსოლუტური მნიშვნელობების განსაზღვრა მარტივად შეიძლება, მრიცხველისა და მნიშვნელის სხვაობით:

$$\Delta K_{E0}^{LR} = K_{E1}^{LR} N_1^{LR} - K_{E0}^{LR} N_1^{LR} = (K_{E1}^{LR} - K_{E0}^{LR}) N_1^{LR}$$

$$\begin{aligned} \Delta N_E &= K_{E1}^{LR} N_1^{LR} - K_{E0}^{LR} N_0^{LR} = K_{E1}^{LR} N_1^{LR} - K_{E0}^{LR} N_0^{LR} + K_{E0}^{LR} N_1^{LR} - K_{E0}^{LR} N_1^{LR} = \\ &= (K_{E1}^{LR} N_1^{LR} - K_{E0}^{LR} N_1^{LR}) + (K_{E0}^{LR} N_1^{LR} - K_{E0}^{LR} N_0^{LR}) = \Delta K_{E0}^{LR} - \Delta N^{LR} \end{aligned}$$

სადაც, ΔK_{E0}^{LR} - არის დასაქმებული მოსახლეობის დასაქმების კოეფიციენტის აბსოლუტური ცვლილება, რაც განპირობებულია შრომითი რესურსის დასაქმების კოეფიციენტის ცვლილებით, ΔN^{LR} - არის დასაქმებული მოსახლეობის რიცხოვნობის აბსოლუტური ცვლილება, რაც განპირობებულია შრომითი რესურსის რაოდენობის ცვლილებით, ხოლო ΔN_E არის დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობის აბსოლუტური ცვლილება, რაც განპირობებულია ორივე ფაქტორით.

თუ გავითვალისწინებთ, რომ შრომითი რესურსის რიცხოვნობა თანაბარ პირობებში დამოკიდებულია მოსახლეობის რაოდენობაზე, მაშინ განხილული ორფაქტორიანი მოდელი საკმარისად მარტივად გარდაიქმნება სამფაქტორიან მოდელად:

$$N_E = \frac{N_E}{N^{LR}} \frac{N^{LR}}{N} N = K_E^{LR} \times \Delta^{LR} \times N$$

$$\bar{I} = \frac{K_{E1}^{LR} \times \Delta_1^{LR} \times N_1}{K_{E0}^{LR} \times \Delta_1^{LR} \times N_1},$$

$$\Delta I_1 = \frac{K_{E0}^{LR} \times \Delta_1^{LR} \times N_1}{K_{E0}^{LR} \times \Delta_0^{LR} \times N_1},$$

$$\Delta I_2 = \frac{K_{E0}^{LR} \times \Delta_0^{LR} \times N_1}{K_{E0}^{LR} \times \Delta_0^{LR} \times N_0}$$

$$I = \frac{K_{E1}^{LR} \times \Delta_1^{LR} \times N_1}{K_{E0}^{LR} \times \Delta_0^{LR} \times N_0}.$$

ამ შემთხვევაში ინდექსები აღნიშნავს: \bar{I} -არის მუდმივი შემადგენლობის ინდექსი, ΔI_1 - პირველი რიგის სტრუქტურული წანაცვლების ინდექსი, რომელიც ახასიათებს დასაქმებული მოსახლეობის ცვლილების დინამიკას მთლიან მოსახლეობაში შრომითი რესურსის წილის მიხედვით, ΔI_2 - მეორე რიგის სტრუქტურული წანაცვლების ინდექსი, რომელიც ახასიათებს დასაქმებული მოსახლეობის ცვლილების დინამიკას მოსახლეობის მთლიანი რაოდენობის ცვლილების მიხედვით, ხოლო I - ცვლადი შემადგენლობის ინდექსი.

სამფაქტორიანი მოდელისათვის ფაქტორთა აბსოლუტური მნიშვნელობების განსაზღვრა სრულ შესაბამისობაშია ორფაქტორიანი მოდელის მეთოდისათან. ინდექსური ფაქტორული ანალიზის უნივერსალური ხასიათი საშუალებას გვაძლევს შევავსოთ ცალკეულ ფაქტორთა გავლენა მოსახლეობის დასაქმების კოეფიციენტზე:

$$\bar{I} = \frac{K_{E1}^{LR} \times \Delta_1^{LR}}{K_{E0}^{LR} \times \Delta_1^{LR}},$$

$$\Delta I = \frac{K_{E0}^{LR} \times \Delta_1^{LR}}{K_{E0}^{LR} \times \Delta_0^{LR}},$$

$$I = \frac{K_{E1}^{LR} \times \Delta_1^{LR}}{K_{E0}^{LR} \times \Delta_0^{LR}}.$$

ასეთი მიდგომით რეზულტატური მაჩვენებლის რანგში გვევლინება მოსახლეობის დასაქმების კოეფიციენტი. მუდმივი შემადგენლობის ინდექსი ახასიათებს დასაქმებული მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკას შრომითი რესურსის დასაქმების კოეფიციენტის ცვლილების საფუძველზე. სტრუქტურული წანაცვლების ინდექსი ახასიათებს დასაქმებული მოსახლეობის ცვლილების დინამიკას მთლიან მოსახლეობაში შრომითი რესურსის წილის მიხედვით, ხოლო ცვლადი შემადგენლობის ინდექსი აღწერს დასაქმებული ხალხის ცვლილების დინამიკას ორივე ფაქტორის გავლენის საფუძველზე. ცხადია მოსახლეობის დასაქმებაზე ცალკეული ფაქტორის შეფასებისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მისი დონე სხვადასხვა საზღვრებში ვარირებს ქალებისა და კაცებისათვის, ასევე ცალკეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის.

ამიტომ, პრაქტიკაში მოსახერხებელია გამოვითვალოთ მოსახლეობის დასაქმების კერძო და ასაკობრივი კოეფიციენტები:

$$K_{Ei}^P = \frac{N_{Ei}}{N_i} 100\%$$

$$K_{Ex}^P = \frac{N_{Ex}}{N_x} 100\%$$

სადაც K_{Ei}^P - მოსახლეობის დასაქმების კერძო კოეფიციენტია i -ურ სქესობრივ ჯგუფში, N_{Ei} - დასაქმებულთა რიცხოვნობაა i -ურ სქესობრივ ჯგუფში, N_i - მოსახლეობის რიცხოვნობაა i -ურ სქესობრივ ჯგუფში, K_{Ex}^P - მოსახლეობის ასაკობრივი დასაქმების კერძო კოეფიციენტია x -ასაკობრივ ჯგუფში, N_{Ex} - დასაქმებულთა რიცხოვნობაა x -ურ ასაკობრივ ჯგუფში, N_x - მოსახლეობის რიცხოვნობაა x -ურ ასაკობრივ ჯგუფში.

დასაქმების ასაკობრივი კოეფიციენტები შეიძლება გაითვალოს მოსახლეობის ერთწლიანი, ხუთწლიანი და ათწლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. კერძო და ასაკობრივი კოეფიციენტები ურთიერთდაკავშირებულნი არიან დასაქმების ზოგად კოეფიციენტთან გამოსახულებით:

$$K_E^P = \sum K_{Ei}^P \times d_i^P$$

$$K_E^P = \sum K_{Ex}^P \times d_x^P$$

სადაც, d_i^P - კაცებისა და ქალების რიცხოვნობის წილია მთლიან მოსახლეობაში, ხოლო d_x^P - ცალკეულ ასაკობრივი ჯგუფის ხვედრითი წილია მთლიან მოსახლეობაში.

კოეფიციენტთა ურთიერთკავშირი გამოიყენება ინდექსური მოდელის ასაგებად:

$$\bar{I} = \frac{K_{E1}^P}{K_{E0}^P} = \frac{\sum K_{Ei1}^P \times d_{i1}^P}{\sum K_{Ei0}^P \times d_{i0}^P} = \frac{\sum K_{Ei1}^P \times d_{i1}^P}{\sum K_{Ei0}^P \times d_{i1}^P} \times \frac{\sum K_{Ei0}^P \times d_{i1}^P}{\sum K_{Ei0}^P \times d_{i0}^P} = \bar{I} + \Delta I,$$

$$\bar{I} = \frac{K_{E1}^P}{K_{E0}^P} = \frac{\sum K_{Ex1}^P \times d_{x1}^P}{\sum K_{Ex0}^P \times d_{x0}^P} = \frac{\sum K_{Ex1}^P \times d_{x1}^P}{\sum K_{Ex0}^P \times d_{x1}^P} \times \frac{\sum K_{Ex0}^P \times d_{x1}^P}{\sum K_{Ex0}^P \times d_{x0}^P} = \bar{I} + \Delta I.$$


მოცემული ინდექსური მოდელი სრულ შესაბამისობაშია ინდექსური ანალიზის მეტოდიკასთან. სხვაობა მხოლოდ ჯამის სიმბოლოს წარმოშობამ განაპირობა. ინდექსური ანალიზის კიდევ უფრო გავრცობით, საბოლოოდ ორი წარმოდგენილი მოდელი შეიძლება გავაერთიანოთ ერთში შემდეგი კავშირის საფუძველზე:

$$K_E^P = \sum_i \left(\sum_x K_{Ex}^P \times d_x^P \right) d_i^P.$$

ზოგადად ინდექსური ანალიზის გამოყენება აფართოებს დასაქმების ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზის ჩარჩოებს, განსაკუთრებით კი იმ ფაქტორების ანალიზის თვალსაზრისით, რომლებიც განსაზღვრავს მოსახლეობის დასაქმების დინამიკას.

მოსახლეობის დასაქმების გრაფიკული შესწავლა. მოსახლეობის დასაქმების შესწავლის ნათელ მაგალითს წარმოადგენს გრაფიკული მეთოდი, რომელიც იძლევა როგორც მთელი მოსახლეობის, ისე ცალკეული ასაკობრივ-სქესობრივი ჯგუფის დასაქმების დინამიკის მარტივად და ვიზუალურად გამოსახვის საშუალებას. გრაფიკულ მეთოდთან შევსრდეთ პრაქტიკაში შედარებით პოპულარულ მეთოდზე.

დიაგრამა 10. საქართველოს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ათასი კაცი)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge.

პირამიდის ვერტიკალურ ღერძზე ნაჩვენებია ასაკობრივი ჯგუფები, რომლებიც, როგორც წესი გამოყოფილია 5 ან 10 წლიანი ინტერვალით. პირამიდის ჰორიზონტალურ ღერძზე გადაზომილია მოსახლეობის რაოდენობა: მარცხნივ - მამაკაცები, მარჯვნივ ქალები. თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში დასაქმების ხარისხის შესაფასებლად, აქვე ნაჩვენებია მოსახლეობის საერთო რაოდენობაც (დიაგრამა 10). ეკონომიკაში დასაქმებული მოსახლეობის წილი საერთო მოსახლეობაში ნათლად ჩანს გრაფიკულად თითოეული ასაკობრივი ჯგუფისათვის, შესაბამისად შეიძლება განისაზღვროს ის რეზერვი, რომელიც შეიძლება ჩართული იქნას დასაქმების სფეროში, ინვალიდების, პენსიონერების და სხვა, შრომისუნარო ადამიანთა ჯგუფის გათვალისწინების გარეშე.

მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან ეკონომიკაში დასაქმებული მოსახლეობის წილისა და შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის დაუსაქმებელი წილის დინამიკის შესწავლის მიზნით, სტრუქტურული დიაგრამის სახით, შეიძლება გამოყენებული იქნეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი 6. სტრუქტურული დიაგრამა იგება კვადრატის ფორმით, რომლის გვერდები აჩვენებს დასაქმებული მოსახლეობისა და შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის წილს საერთო მოსახლეობაში. საპირისპირო გვერდებზე გადაზომილია თითოეული წილის 100%-მდე შევსების მაჩვენებელი.

ცხრილი 6. შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის სტრუქტურა



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge.

S_E (Employment Share) - შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის წილი;


S_I (Inemployment Share) - შრომისუნარო ასაკის მოსახლეობის წილი;

S_L (Labor Share) - დასაქმებული მოსახლეობის წილი;

S_U (Unemployment Share)-დაუსაქმებელ მოსახლეობის წილი.

საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართული არიან მხოლოდ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა, თუმცა იმავდროულად მოზარდებიც და პენსიონერებიც შეიძლება ღებულობდნენ მონაწილეობას წარმოებაში. ამ გარემოების დასადგენად, დასაქმებული მოსახლეობის შემადგენლობის შესწავლის მიზნით იყენებენ სამკუთხა დიაგრამას (ილეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილი 7.). სამკუთხა დიაგრამა წარმოადგენს ტოლფერდა სამკუთხედს, რომლის გვერდებზეც ნაჩვენებია დასაქმებული მოსახლეობის შემადგენელი ელემენტები ასაკის მიხედვით. სამკუთხედის შიგნით ყოველი წერტილს აქვს სამი კოორდინატი, რომელთა ჯამი 100%-ს შეადგენს.

ცხრილი 7. შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი დასაქმებულ მოსახლეობაში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge.

სადაც, S_E (Employment Share) - შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის წილი; S_E^A (Inemployment Share after Employment Age) - შრომისუნარიანი ასაკის შემდგომი ასაკის მოსახლეობის წილი; S_L^E (Labor Share in Employer) - შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი დასაქმებულ მოსახლეობაში.

სამკუთხედის შიგნით ტეხილი მიუთითებს დასაქმებული მოსახლეობის სტრუქტურის ცვლილებაზე. მოცემულ ქვეთავში განხილულია მოსახლეობის დასაქმების მხოლოდ ზოგიერთი მარტივი მაგალითი, რომლებიც დამაჯერებლად ადასტუ-

რებენ, რომ გრაფიკული მეთოდი წარმოადგენს ღირებულ ინსტრუმენტს ეკონომიკაში დასაქმებულთა დინამიკის შესწავლისას.

მოსახლეობის დასაქმების ბალანსური მეთოდი. დასაქმებული მოსახლეობის შემადგენლობის კვლევის ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი არის ბალანსური მეთოდი, რომლის არსიც მდგომარეობს სხვადასხვა დასაქმებული და დაუსაქმებელი ჯგუფების დაკავშირებაში. ამასთან იმ პირთა სტრუქტურა, რომლებიც დასაქმებულნი არიან ეკონომიკაში საჭიროებს გადახედვას მრავალი ნიშნის მიხედვით. ძირითად ნიშნებს წარმოადგენს: შრომისუნარიანობა; სქესი; ასაკი; საცხოვრებელი ადგილი (ქალაქი, სოფელი და ა.შ.) და სხვა. მაგალითად, ასაკობრივი პარამეტრებისა და ფაქტიურად დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობის ურთიერშეთავსება, საშუალებას გვაძლევს ავაგოთ ცხრილური ფორმით მოცემული შემდეგი მარტივი ბალანსი:

მოცემული ბალანსი საშუალებას გვაძლევს გავხსნათ შრომითი პროპორციები დასაქმებულ და დაუსაქმებელ მოსახლეობას შორის და დავადგინოთ უშუალო თანაფარდობა მათ შორის. პრინციპში ის შეიძლება გაფართოებული და დეტალიზირებული იქნას დასაქმებულ და დაუსაქმებელ კონტიგენტში სქესობრივი, და სხვა (საცხოვრებელი ადგილი, ასაკობრივი და ა.შ.) ჯგუფების გამოყოფით (ცხრილი 8,9).

ცხრილი 8. მოსახლეობის დასაქმებისა და სამად დაყოფილი ასაკობრივი სტრუქტურა

მოსახლეობის ჯგუფები	დასაქმებული მოსახლეობა	დაუსაქმებელი მოსახლეობა	სულ
შრომისუნარიან ასაკამდე მოსახლეობის რაოდენობა			
შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის რაოდენობა			
საპენსიო ასაკის მქონე მოსახლეობის რიცხოვნობა			
სულ			

წყარო: შემუშავებულია ავტორის მიერ

ცხრილი 9. მოსახლეობის დასაქმებისა და ცხრად დაყოფილი ასაკობრივი სტრუქტურა

მოსახლეობის ჯგუფები	დასაქმებული მოსახლეობა	დაუსაქმებელი მოსახლეობა	სულ
16-19 წელი			
20-24 წელი			
25-29 წელი			
....			
50-54 წელი			
55-59 წელი			
სულ			

წყარო: შემუშავებულია ავტორის მიერ

რადგანაც დასაქმებული მოსახლეობის საფუძველს წარმოადგენს შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობა, შესაბამისად მათი სტრუქტურა სასურველია უფრო დეტალურად იქნას განხილული ასაკობრივ ჭრილში დასაქმებულთა და დაუსაქმებელთა რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე, ამიტომ ქვემოთ მოცემული ცხრილური ფორმა დასაქმების ასაკობრივი სტრუქტურის დადგენის საშუალებას იძლევა:

ცხრილი 10. საქართველოს ეკონომიკური დარგები რეგიონების მიხედვით

ქვეყნის რეგიონები	ეკონომიკის სფეროები				სულ
	მრეწველობა	სოფლის მეურნეობა	მოსახურება	სხვა	
აჭარა					
გურია					
იმერეთი					
კახეთი					
სამეგრელო					
ქართლი					
სხვა					
სულ					

წყარო: შემუშავებულია ავტორის მიერ

თუ გავითვალისწინებთ, რომ შრომისუნარი პერიოდის ზედა საზღვარი ქალებისათვის დაბალია, ვიდრე მამაკაცებისათვის, მაშინ სქესობრივი ბალანსის აგებისას ქალებში ასაკობრივი ჯგუფი 55-59 წელი უნდა გამოვტოვოთ. დასაქმების ბალანსი ასევე

შეიძლება რეალიზებული იქნას ჭადრაკის პრინციპით. მაგ., საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გავშალოთ დასაქმების სტრუქტურა ტერიტორიული ერთეულებისა და დასაქმების სფეროს მიხედვით. ზემოთ მოცემული ცხრილური ფორმა (ცხრილი 10) სწორედ ტერიტორიული ერთეულების და დასაქმების სფეროს მიხედვით ბალანსის შედგენის შესაძლებლობას იძლევა:

დასაქმების ბალანსთა სისტემის ერთობლიობა ფართო შესაძლებლობას იძლევა ეკონომიკაში მნიშვნელოვანი პროპორციების დადგენის თვალსაზრისით.

მოსახლეობის დასაქმების პროგნოზი. დასაქმების პროგნოზი წარმოადგენს საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. პრაქტიკაში საკმარისად ხშირად ისინი ეფუძნებიან ექსტრაპოლაციის მეთოდს, რომელიც იყო წარსულში, შენარჩუნდება მომავალშიც. ექსტრაპოლაცია პრაქტიკულად ეფუძნება საშუალო აბსოლუტური ნაზრდების ან ზრდის საშუალო ტემპებს. მართალია, დასაქმების განგარიშებისას წარმოიქმნება განსაკუთრებული პრობლემა, კერძოდ: დასაქმების კოეფიციენტები, რომლებიც მაქსიმუმთან 100%-თან ან მინიმუმთან 0%-თან ახლოსაა, შესაძლოა აღმოჩნდეს ამ ზღვრულ მნიშვნელობათა მიღმა. ეს რომ არ მოხდეს სარგებლობენ შესწორების α კოეფიციენტით. „ეს კოეფიციენტი ანელებს დასაქმების კოეფიციენტების ზრდას (შემცირებას), როცა ისინი მაქსიმალურ ან მინიმალურ მნიშვნელობებს აღწევენ:

$$\alpha = \frac{t_k^x \cdot r_k^x}{t_0^x \cdot r_0^x}.$$

t_k^x - დასაქმების კოეფიციენტი x ასაკის მოსახლეობისათვის k წელს;

r_k^x - დაუსაქმებლობის კოეფიციენტი x ასაკის მოსახლეობისათვის k წელს;

t_0^x - დასაქმების კოეფიციენტი x ასაკის მოსახლეობისათვის საბაზისო წელს;

r_0^x - დაუსაქმებლობის კოეფიციენტი x ასაკის ხალხისთვის საბაზისო წელს.

მოსახლეობის დასაქმების ექსტრაპოლაციის განხორციელებისას გამოიყენება მეთოდთა ფართო სპექტრი“ [Романчук.... 1989: 124] . დეტალურად შევჩერდებით მხოლოდ ორ მათგანზე.

„უშუალო ექსტრაპოლაცია ასაკისა და სქესის მიხედვით. ექსტრაპოლაციის ამ ვერსიაში პერსპექტიული დასაქმების კოეფიციენტის გათვლა ხდება ფორმულით:

$$t_{k+n}^x = t_k^x \frac{100 \pm \frac{t_k^x}{t_0^x} \cdot \alpha}{100},$$

n - საპროგნოზო პერიოდია.“ (Dalkhat..... 2008: 78)

პროგნოზის მოცემული მოდიფიკაცია ორიენტირებულია მასზედ, რომ დასაქმების კოეფიციენტის დადებითი დინამიკის შემთხვევაში მისი ზრდის კორექტირებული ტემპი ფორმულაში შედის "+" ნიშნით, ხოლო უარყოფითი დინამიკის შემთხვევაში კი "-" ნიშნით. ამასთან, უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ საპროგნოზო პერიოდისა და საბაზისო პერიოდის ხანგრძლიობა ერთი და იგივე იყოს.

ექსტრაპოლაცია კატეგორიების მიხედვით. ექსტრაპოლაციის ეს ვერსია ხორციელდება თანაფარდობის საფუძველზე:

$$t_{k+n}^x = t_k^{x-n} \frac{t_k^x}{t_0^{x-n}}.$$

პრაქტიკაში ეს ფორმულა გამოიყენება მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების (მაგალითად: მამაკაცების, ქალების, ქალაქისა და სოფლის მცხოვრებლების და სხვათა) დასაქმების კოეფიციენტების გამომანგარიშებისას. ექსტრაპოლაციის მოცემულ ვერსიას საფუძველად უდევს ის გარემოება, რომ დასაქმების კოეფიციენტის ცვლილება მოსახლეობის გადასვლისას მცირე ასაკობრივი ჯგუფიდან მომდევნო შედარებით დიდ ასაკობრივ ჯგუფზე არის უცვლელი.

ზოგადად, უშუალო ექსტრაპოლაციის მეთოდები ასაკისა და სქესის კოჰორტების (დაჯგუფებების) მიხედვით საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ადეკვატური ინფორმაცია სახელმწიფოს მოსახლეობის დასაქმების ევოლუციის შესახებ.

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავების, მისი მთლიანი შიდა პროდუქციის ზრდისა და, შესაბამისად, ეკონომიკის განვითარების სწორი პროგნოზირების მიზნით უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის დასაქმების არსებული მოდელების შესწავლას და მათ შორის ჩვენი ქვეყნისათვის მისადაგებული მოდელის შერჩევას. ამ კუთხით განასხვავებენ მოსახლეობის დასაქმების ინდექსურ, გრაფიკულ და ბალანსურ მოდელებს.

მეცნიერებისა და პრაქტიკის კვლევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოსახლეობის დასაქმებაზე მოქმედ ფაქტორთა ზეგავლენის რაოდენობრივი ანალიზი. მარტივი მათემატიკური გარდაქმნით შეიძლება აგებული იქნას ორფაქტორიანი

ინდექსური მოდელი. თუ გავითვალისწინებთ, რომ შრომითი რესურსის რიცხოვნობა თანაბარ პირობებში დამოკიდებულია მოსახლეობის რაოდენობაზე, მაშინ ორფაქტორიანი მოდელი მარტივად გარდაიქმნება სამფაქტორიან მოდელად. შესაბამისად სამფაქტორიანი მოდელის შესადგენად ფაქტორების აბსოლუტური მნიშვნელობების განსაზღვრა სრულ შესაბამისობაშია ორფაქტორიანი მოდელის მეთოდუკასთან.

რეზულტატური მაჩვენებლის რანგში გვევლინება მოსახლეობის დასაქმების კოეფიციენტი. მუდმივი შემადგენლობის ინდექსი ახასიათებს დასაქმებული მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკას შრომითი რესურსის დასაქმების კოეფიციენტის ცვლილების საფუძველზე. სტრუქტურული წანაცვლების ინდექსი ახასიათებს დასაქმებული მოსახლეობის ცვლილების დინამიკას მთლიან მოსახლეობაში შრომითი რესურსის წილის მიხედვით, ხოლო ცვლადი შემადგენლობის ინდექსი აღწერს დასაქმებულთა ცვლილების დინამიკას ორივე ფაქტორის გავლენის საფუძველზე.

დასაქმების ასაკობრივი კოეფიციენტები შეიძლება გაითვალოს მოსახლეობის ერთწლიანი, ხუთწლიანი და ათწლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. ზოგადად ინდექსური ანალიზის გამოყენება მნიშვნელოვნად გააფართოებს მოსახლეობის დასაქმების ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზის ჩარჩოებს. მოსახლეობის დასაქმების შესწავლის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს გრაფიკული მეთოდი.

საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართული არიან მხოლოდ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა, თუმცა იმავდროულად მოზარდებიც და პენსიონერებიც შეიძლება ღებულობდნენ მონაწილეობას წარმოებაში. დასაქმებული მოსახლეობის შემადგენლობის კვლევის ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი არის ბალანსური მეთოდი, რომლის არსიც მდგომარეობს სხვადასხვა დასაქმებული და დაუსაქმებელი ჯგუფების დაკავშირებაში. მოცემული ბალანსი საშუალებას გვაძლევს გავხსნათ შრომითი პროპორციები დასაქმებულ და დაუსაქმებელ მოსახლეობას შორის

ბალანსური მეთოდი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ უშუალო თანაფარდობა დასაქმებულ და დაუსაქმებელ მოსახლეობას შორის. რადგანაც დასაქმებული მოსახლეობის საფუძველს წარმოადგენს შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობა, შესაბამისად მათი სტრუქტურა სასურველია უფრო დეტალურად იქნას განხილული ასაკობრივ ჭრილში დასაქმებულთა და დაუსაქმებელთა რაოდენობრივი ანალიზის

საფუძველზე. დასაქმების ბალანსთა სისტემის ერთობლიობა ფართო შესაძლებლობას იძლევა ეკონომიკაში მნიშვნელოვანი პროპორციების დადგენის თვალსაზრისით.

დასაქმების პროგნოზირება წარმოადგენს საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვან ნაწილს. პრაქტიკაში საკმარისად ხშირად ისინი ეფუძნებიან ექსტრაპოლაციის მეთოდს. მოსახლეობის დასაქმების ექსტრაპოლაციის განხორციელებისას გამოიყენება მეთოდთა ფართო სპექტრი. უშუალო ექსტრაპოლაციის მეთოდები ასაკისა და სქესის ჯგუფების მიხედვით საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ადეკვატური ინფორმაცია სახელმწიფოს მოსახლეობის დასაქმების ევოლუციის შესახებ

თავი III

საქართველოს მოსახლეობის სტრუქტურის სოციალურ-ეკონომიკური შეფასება

3.1. საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დემოგრაფიული ვითარების ზოგადი ტენდენციები

თანამედროვე ეტაპზე მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით, საქართველო განვითარებული ქვეყნების, ხოლო გარე მიგრაციის თვალსაზრისით – ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მსგავსია.

საქართველოს დემოგრაფიული ვითარების გაუარესება 1990-იან წლებიდან იწყება, ბოლო ოთხი ათეული წლის მანძილზე დემოგრაფიული განვითარების არასასურველი ტენდენციები საქართველოში ჯერ კიდევ 1970-იანი წლების შუა პერიოდში აღინიშნა.

მოსახლეობა შემცირდა როგორც ქალაქად, ისევე სოფლად, მაგრამ მოსახლეობის შემცირებამ ძირითადად სოფელი დააზარალა, რომლის მოსახლეობა 23,8%-ით, ხოლო ქალაქის – 6,3%-ით შემცირდა 2014 წლისთვის საქართველოს ეროვნული სტრუქტურა შემდეგნაირად წარმოსდგება: ქართველები – 3177,8 ათასი (84,5%); აზერბაიჯანელები – 229,4 ათასი (6,1%); სომხები – 195,6 ათასი (5,2%); რუსები – 56,4 ათასი (1,5%); ოსები – 33,8 ათასი (0,9%); ბერძნები – 15,0 ათასი (0,4%); ქურთები და იეზიდები(ერთად) – 15,0 ათასი (0,4%); ებრაელები – 3,8 ათასი (0,1%) და ა.შ. სამწუხაროა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთა გარეშე, რომელთა რაოდენობის განსაზღვრა ერთობ ძნელია – საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ სტრუქტურაში, აფხაზები მხოლოდ 0,1%-ს (3,8 ათასი), ხოლო ოსები – 0,9%-ს (33,8 ათასი) შეადგენენ, მაშინ როდესაც 1989 წელს მთელ საქართველოში მცხოვრებ აფხაზთა რაოდენობა 95,9 ათასს (1,8%), ხოლო ოსების – 164,1 ათასს (3,0%) შეადგენდა. ამასთან, 1989 წლისთვის, დღევანდელ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთა გათვალისწინების გარეშე, საქართველოს სხვადასხვა რაიონში ცხოვრობდა 2,6 ათასი აფხაზი (0,1%) და 97,7 ათასი ოსი (2,0 %).

ქორწინებათა რაოდენობის შემცირების და გადავადების შედეგად გაიზარდა ქორწინების საშუალო ასაკი და მან ქალებისათვის 26,5, ხოლო მამაკაცებისათვის კი 29,8 წელს მიაღწია. ამ ფონზე დემოგრაფიულ ვითარებას კიდევ უფრო ამწვავებს განქორწინებათა მაღალი მაჩვენებელი. ეს დევიაციური დემოგრაფიული ფაქტორი

განსაკუთრებით გაიზარდა ათ წლამდე ხანგრძლივობის ქორწინებებში. განსაკუთრებით საგანგაშოა ერთ წლამდე ასაკის ქორწინებებში მყოფთა განქორწინებათა სიხშირე (2013 – 6,7%, ხოლო 2014 – 7,7%). აღნიშნულმა, ისედაც შემცირების მქონე შობადობის ტენდენციებში კიდევ უფრო შეამცირა პირველი და მეორე შვილის დაბადება, თუმცა ამ ფონზე სასიამოვნოა ბოლო წლებში მესამე და მომდევნო რიგითობის ბავშვთა წილის ზრდა. ამ უკანასკნელის ზრდა თავის მხრივ ადასტურებს, მოსახლეობაში მესამე და შემდგომი რიგითობის ბავშვებზე მოთხოვნილების არსებულ მაღალ დონეს, რომლის სრულ რეალიზაციას ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები უშლის ხელს.

საქართველო, თავისი დემოგრაფიული განვითარებით დღეისათვის იმყოფება მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვედან უახლეს ტიპზე გარდამავალ პერიოდში. დემოგრაფიული განვითარების კანონზომიერებიდან გამომდინარე ამ ეტაპისთვის დამახასიათებელია შობადობის შემცირება და მოკვდაობის ზრდა, რასაც მოსახლეობის აღწარმოების უახლეს ტიპზე დეპოპულაციამოწყვება *[სულაბერიძე ა., სულაბერიძე ვ...2004. 62-76; წულაძე გ. 2011, 637-640.]*

როგორც ცხრილი 11-დან ჩანს საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პერსპექტივები 2025-2030 წწ. კიდევ უფრო ნეგატიურია.⁵

ზემოთ მოტანილიდან გამომდინარე, საქართველოს დემოგრაფიულ განვითარებაზე არსებით გავლენას ახდენს და შემდგომშიც მოახდენს დემოგრაფიული ტალღა. კერძოდ, 1990-იან წლებში შობადობის ერთბაშად დაცემის შედეგად, 2020 წლისთვის, 1990-იან წლებთან შედარებით, 28-30%-ით ნაკლები ქალი გვეყოლება დედის ასაკში (დედის საშუალო ასაკი 27,5 წელი). ხოლო პროგნოზით, 2030 წლის მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტის თანახმად. 2030 წელთან შედარებით, 2055-2060 წლებში კიდევ 15%-ით შემცირდება დედის ასაკში მყოფ ქალთა რაოდენობა. იმ პერიოდისთვის ძნელია განსაზღვრო ბავშვთა მოსალოდნელი რაოდენობა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მათგან შესაძლოა ზოგიერთი არ გათხოვდეს, ან

⁵მოტანილი პროგნოზი შესრულებულია მხოლოდ დემოგრაფიულ სტატისტიკაზე, არადემოგრაფიული ფაქტორების ზემოქმედების გათვალისწინების გარეშე. ამასთან იგი ეფუძნება პროფესორ გიორგი წულაძის ექსპერტული შეფასების მასალებს, რომლის სიზუსტეც მეტ-ნაკლებად დაადასტურა საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერამ.

ცხრილი 11. საქართველოს დემოგრაფიული ვითარების შეფასება და დემოგრაფიული პოლიტიკის ორიენტაცია

დემოგრაფიული ინდიკატორები	საფრთხის კრიტიკული დონე	დემოგრაფიული მაჩვენებლები (2014 წ.)		პროგნოზი 2025-2030 წწ. (შეფასების საშუალო ვარიანტი)	
		ოფიციალ. (საქსტატი)	შეფასება	მაჩვენებელი	პროგნოზული მაჩვენებლის შეფასება
მოსახლეობის მატება წელიწადში (ათასი)	0,1	3,73	3,75	0,03-0,05	დაბალი
ბუნებრივი მატება (%)	0,0-1,0	3,1	2,0	-2,8	დაბალი
შობადობა (%)	13,0	16,3	16,4	11,4	დაბალი
მოკვდაობა (%)	13,0	13,2	14,4	14,0	მაღალი
შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი	2,13	2,19	2,33	1,76	დაბალი
მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი	1,0	1,04	1,10	0,85	დაბალი
ჩვილთა მოკვდაობა (1000 ცოცხლადდაბადებულზე)	განვითარებული ქვეყნების დონე	9,5	15,4	7,9	მაღალი
სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას: ორივესქესი	განვითარებული ქვეყნების დონე	73,0	72,0	75,2	დაბალი
მამაკაცები	„-“	68,7	67,0	71,9	დაბალი
ქალები	„-“	77,2	76,2	78,2	დაბალი
15 წლამდე ასაკის მოსახლეობა (%)	24	17,4	19,9	16,4	დაბალი
15-64 წლის ასაკის მოსახლეობა (%)	69	68,7	64,2	66,6	დაბალი
65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა(%)	7,0	13,9	15,9	16,9	მაღალი
გარე მიგრაციის სალდო (%)	0,0	-1,7	-3,2	0,3	დაბალი

უშვილოდ დარჩეს, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ 2050 წლისთვის საქართველოს რეპროდუქციული პოტენციალი, დემოგრაფიული უსაფრთხოების თვალაზრით, დღევანდელთან შედარებით, კიდევ უფრო გაუარესდება.

ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების გაუარესების თვალსაზრით, ბევრად უფრო ცუდადაა საქმე რეგიონებში. დღეისათვის მოსახლეობის ბუნებრივი მატება აღინიშნება მხოლოდ თბილისში, აჭარაში, ქვემო და შიგა ქართლის რაიონებში, დანარჩენ მხარეთა ცალკეულ რაიონებში კი დეპოპულაციაა.

2030 წლისთვის მოსალოდნელი მიგრაციის დადებითი სალდო, 0,3‰-ის ფარგლებშია, რაც უმნიშვნელოა, და ფაქტიურად ნულოვანი სალდოს ფარგლებში 1000 კაცს შეადგენს. მისი სიმცირე მიანიშნებს იმაზე, რომ ქვეყნიდან ისევ მოსალოდნელია ახალგაზრდობის გადინება, თუმცა მათ რაოდენობას გადაფარავს, უცხოეთიდან დაბრუნებული 65 წელს გადაცილებული მოსახლეობა. ამდენად, ქვეყნიდან „ტვინების“ გადინების საშიშროება კვლავ რჩება. ეს უკანასკნელი კი გავლენას იქონიებს ერთი მხრივ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, მეორე მხრივ, დემოგრაფიულ განვითარებაზე.

უახლოეს პერსპექტივაში საქართველოში დეპოპულაციის მასობრივ გავრცელებაზე, შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთმა პირველმა, ჯერ კიდევ 1970-იანი წლების დასაწყისში აკადემიკოსმა პ. გუგუშვილმა *[გუგუშვილი 1973]* გამოთქვა მოსაზრება და შემდგომში ა.სულაბერიძემ შრომაში *[სულაბერიძე 1986]* რაჭა-ლეჩხუმისა და სხვა მთიანი რაიონების დემოგრაფიული პროცესების ანალიზის საფუძველზე, დაასაბუთა, რომ დეპოპულაციის საწყისი ნიშნები 1970-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოში უკვე იყო. ამის საფუძველს იძლეოდა ჯერ კიდევ 1970-იანი წლების შუა პერიოდიდან (1975 წ.) 6 რაიონში დაფიქსირებული დეპოპულაცია.

მომდევნო წლებში კი თბილისში 1990 წელს დემოგრაფიულ პრობლემებზე გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, ასევე დაასაბუთა, რომ: დემოგრაფიული ტენდენციების გაგრძელების პირობებში, აქტიური სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკის გარეშე, 2000 წლისთვის დაბადებულთა საერთო რაოდენობაში მესამე და შემდგომი რიგითობის ბავშვთა წილი 15%-ზე ნაკლები იქნებოდა, ხოლო შობადობა

მოკვდაობის სწრაფი ზრდის ფონზე მოსახლეობის მარტივ აღწარმოებას ვერ უზრუნველყოფდა [Сулаბერიძე 1990].

საქართველოს ხელისუფლებისა და მთავრობის უმოქმედობის ფონზე, მხოლოდ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მისი უწმინდესობა და უნეტარესობა ილია II, როგორც ყოველთვის, აღმოჩნდა ერზე მზრუნველი მამა. 2007 წლის ნოემბერში, საპატრიარქოში შექმნილ დემოგრაფიული კომისიის წევრებთან შეხვედრაზე მან მოიწონა „სულაბერიძის წინადადება“ და გამოვიდა ინიციატივით ყოველი მესამე და შემდგომი რიგითობის ბავშვის მონათვლაზე.

დემოგრაფიული პოლიტიკის ამ არაორდინალურმა ღონისძიებამ გასაოცარი დემოგრაფიული შედეგი მოიტანა და ამ ინიციატივის სკეპტიკოსებიც (ასეთებიც მრავალნი აღმოჩნდნენ) კი გააოცა. 2007-2014 წწ. დაბადებულთა საერთო რაოდენობაში მესამე და შემდგომი რიგითობის ბავშვთა წილი 10,9%-დან 18,3 %-მდე გაიზარდა. შესაბამისად, ამ წლებში 1,5-დან 2,2 ბავშვამდე გაიზარდა შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის ოფიციალური მაჩვენებელი, თუმცა უფრო მაღალია ანალოგიური შეფასებითი მაჩვენებელი, რომელიც ამ წლებში 1,8-დან 2,3-მდე გაიზარდა. გაუმჯობესდა მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტიც, რომლის შეფასებითი მაჩვენებელი 1-ის ზევით დაფიქსირდა. ეს დემოგრაფიული მაჩვენებლები გვიჩვენებენ, რომ 2009 წლიდან, შობადობის თვალსაზრისით, მოსალოდნელი დეპოპულაციური პროცესი შეჩერებულია და იგი მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას უზრუნველყოფს, რაც 1991 წლის შემდეგ, როგორც ოფიციალურად, ასევე ექსპერტული შეფასებით 2009 წლამდე არ დაფიქსირებულა.

შობადობის მაჩვენებლის დღვანდელი დონე, როგორც „დემოგრაფიული ფანჯარა“, საშუალებას იძლევა აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებით მეტ-ნაკლებად გავაუმჯობესოთ სხვა დემოგრაფიული პროცესები, რაც არც თუ ისე ადვილია. საქმე ისაა, რომ დემოგრაფიული ვითარების გამოსწორება და დეპოპულაციის თავიდან აცილება, მხოლოდ შობადობის ზრდით ვერ მიიღწევა. მოკვდაობის ზრდის სწრაფი ტემპის და მაღლი დონის პირობებში, იგი ვერ შეაჩერებს დეპოპულაციას. მან შეიძლება გადაავადოს ან შეარბილოს დეპოპულაციის პროცესი. წლების მანძილზე დემოგრაფიული პროცესებისადმი უყურადღებობამ თავისი შედეგი გამოიღო და დემოგრაფიული პროცესების (დემოგრაფიული დაბერების

მაღალი დონე, დეფორმირებული ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურა, მოკვდაობის, განსაკუთრებით, დედათა და ჩვილთა მაღალი დონე, ემიგრაციის მაღალი ინტენსივობა და სხვ.) არასასურველი ტენდენციებით განვითარებამ, ქვეყანას გარკვეული დემოგრაფიული საფრთხე შეუქმნა. კერძოდ:

- მოსახლეობის რაოდენობის შემცირების ტენდენცია; ამასთან, საქართველოს მოსახლეობის წილის შემცირება სამხრეთ კავკასიის რეგიონში, მოსახლეობის რაოდენობის შიდა რეგიონული დისპროპორცია; დასახლებული პუნქტების, მათ შორის – სოფლების დაცლა; საშუალო და პატარა ქალაქებიდან მიგრაციიდან გამომდინარე, მათში მოსახლეობის შემცირების შედეგად დიდ ქალაქებში მოსახლეობის ზრდა; რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის მოსახლეობის რაოდენობრივი შეუსაბამობა;

- დემოგრაფიული სტრუქტურის დეფორმაციის ტენდენცია. მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ახალგაზრდობის წილის შემცირება, დემოგრაფიული დაბერება, ქორწინებითი სტრუქტურის დეფორმაცია;

- მოსახლეობის ბუნებრივი მატების შემცირების ტენდენცია; შობადობის დონის შემცირება; მოკვდაობის დონის ზრდა; საქორწინო და რეპროდუქციული პოტენციალის შემცირება;

- მოსახლეობის უახლესი ტიპი-დეპოპულაცია, როგორც კანონზომიერი დემოგრაფიული პროცესი, რაც უფრო მოკლევადიანი და „რბილი“ (დაბალ დონეზე, ბუნებრივი მატების ნულოვან ზღვართან ახლოს) იქნება ქვეყანაში, მით უფრო უსაფრთხოა იგი ქვეყნისა და ერის ფიზიკური უწყვეტობისთვის და არსებობისათვის.

მას შემდეგ, რაც საქართველომ 1991 წელს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოიპოვა, მოსახლეობის ზრდის მაჩვენებელი მწვავე პოლიტიკური კონფლიქტებისა და ეკონომიკური კრიზისის გამო მკვეთრად შეიცვალა. მოსახლეობის შემცირება მეტწილად ემიგრაციით იყო განპირობებული. 1990-2005 წლებს შორის საქართველომ მოსახლეობის დაახლოებით 20% დაკარგა. ყველაზე დიდი დანაკარგი 1993-1997 წლებში აღინიშნა, როდესაც საქართველოს მოსახლეობა თითქმის ერთი მილიონით შემცირდა. 1990-იან წლებში მოსახლეობის შემცირება მთელი საქართველოს მასშტაბით აღინიშნა, მაგრამ კლება ყველაზე მეტად მაღალმთიან რეგიონებში, მონო-ინ-

დუსტრიულ ქალაქებსა და იმ რაიონებში დაფიქსირდა, სადაც მოსახლეობის დიდ ნაწილს ეთნიკური უმცირესობა (სომხები და აზერბაიჯნელები) შეადგენდნენ.

მოსახლეობის სიმჭიდროვე, დასახლებების სიდიდე, ურბანული და სასოფლო დასახლებების ტიპები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მნიშვნელოვნად განსხვავდება. მთათაშორის – დაბლობებსა (სადაც ძირითადი სატრანსპორტო მარშრუტები გადის და რომლებიც ყველაზე ნაყოფიერი ადგილებია) და შავი ზღვის სანაპირო ზოლში მოსახლეობა ისტორიულად შედარებით უფრო დიდი რაოდენობით და მჭიდროდ არის დასახლებული, ხოლო მთიანი, განსაკუთრებით კი დიდი კავკასიონის რეგიონი, მეჩხერადაა დასახლებული. საქართველოს მოსახლეობის არათანაბარი განაწილების თვალსაჩინო მაგალითია ქალაქ თბილისში მოსახლეობის ნაწილის თავმოყრა.

მოსახლეობის მეოთხედზე მეტი, ოფიციალურად, ქალაქ თბილისის მცხოვრებია და თუ მის შემოგარენსაც გავითვალისწინებთ (მათ შორის, ქალაქ რუსთავსა და მცხეთას), თანაფარდობა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, პოლიტიკური დამბულობებისა და შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად, საქართველოში ლტოლვილებისა და დევნილთა საკმაოდ დიდი რაოდენობა გაჩნდა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მონაცემებით, 2016 წლის მდგომარეობით, რეგისტრირებული იყო 253 574 დევნილი, ანუ 85 177 ოჯახი.

თუმცა ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის წილი, ძირითადად, უცვლელია; შესაძლებელია, ეს ციფრები უფრო მონაცემების უკმარისობას გამოხატავენ, ვიდრე საქართველოს რეგიონებში არსებულ რეალურ სიტუაციას. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, რეგიონის მოსახლეობაში ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები ქვემო ქართლსა (სადაც მოსახლეობა საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 13%-დან 11%-მდე შემცირდა) და სამეგრელო-ზემო სვანეთში დაფიქსირდა.

„ამ უკანასკნელში, მოსახლეობის წილი 9%-დან 11%-მდე გაიზარდა (ძირითადად, აფხაზეთიდან დევნილთა დიდი ნაკადის შემოდინების ხარჯზე - მარტო ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 50 000 დევნილია, რაც მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობის თითქმის ერთ მესამედს შეადგენს)“ [საქართველოს 2015-2017 წლების...

2017: 9] დევნილთა დიდმა წილმა საქართველოს დიდ ქალაქებში მოიყარა თავი, მარტო თბილისში დევნილთა მესამედი ცხოვრობს. მათი კონცენტრაციის სხვა ქალაქებია: გორი, ქუთაისი და წყალტუბო.

ბოლო ათწლეულის მანძილზე მოსახლეობის ყოველწლიური ბუნებრივი მატება, მხოლოდ, სამ რეგიონში - აჭარაში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში აღინიშნა (ამ რეგიონებზე ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების შედარებით დიდი წილი მოდის).

რადგანაც საქართველოდან უცხოეთში მოსახლეობის ემიგრაციის შესახებ არანაირი სისტემური მონაცემები არ არსებობს, შიგა მიგრაციის ციფრები შინამეურნეობის ინტეგრირებულ გამოკვლევაზე დაყრდნობით შეიძლება განისაზღვროს. ბოლო შეფასების თანახმად, 15 წელს ზემოთ ასაკის საქართველოს მოსახლეობის 66%-მა საცხოვრებელი შეიცვალა ქვეყნიდან გაუსვლელად, აქედან 11% ბოლო 5 წელზე მოდის. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საქართველოში შიგა მიგრანტების დიდი ნაკადის შემოსვლა დედაქალაქში ხდება, სადაც ზოგიერთ რაიონში ახლად გადმოსახლებულები მცხოვრებთა მთლიანი რაოდენობის 20%-ზე მეტს შეადგენენ.

პარალელურად, მოსახლეობის რაოდენობა იკლებდა როგორც ყველა სხვა დიდ და საშუალო ზომის ქალაქში, ასევე, თითქმის ყველა მცირე ზომის ქალაქში. ეს პროცესი განსაკუთრებით აქტიური იყო 1992-2002 წლებში, თუმცა ქალაქი თბილისისათვისაც კი მოსახლეობის ამგვარი შემოდიდება ვერ ახდენს საზღვარგარეთ მიგრაციის კომპენსირებას. მიგრაციასთან დაკავშირებული კიდევ ერთი აღსანიშნავი გარემოებაა ის, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე და შემდეგაც საზღვარგარეთ მიგრირებულთა უმრავლესობას კარგად განათლებული მცხოვრებლები შეადგენდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლიდან ქალაქში მიგრაციამ, რაოდენობის თვალსაზრისით, ქალაქის მოსახლეობის დანაკარგის ნაწილობრივი კომპენსირება მოახდინა, მიგრაციის ტენდენციამ ურბანული მუშაკების კვალიფიკაციისა და სამუშაო უნარჩვევების დონის შენარჩუნებაზე გარკვეული უარყოფითი გავლენა მოახდინა

ნებისმიერი ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაში შესაძლებელია განხორციელდეს პროცესები, რომლებიც უარყოფით გავლენას მოახდენენ ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობაზე. ამ უარყოფითი მოვლენების გასაწინააღმდეგოდ საჭიროა შემუშავდეს და გატარდეს განსაკუთრებული პოლიტიკა. ცხადია, ამ პოლიტიკის დამუშავება

და შემდგომ ეტაპზე განხორციელება შეუძლებელია დემოგრაფიული მდგომარეობის ყოველმხრივი ანალიზის გარეშე. სპეციალური პოლიტიკის შემუშავება მოითხოვს:

- 1) ქვეყნის დემოგრაფიული ვითარების დეტალურ განხილვას;
- 2) დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებას;
- 3) ეკონომიკურ-დემოგრაფიული ოპტიმუმის განსაზღვრას.

დემოგრაფიული ვითარებაში ვგულისხმობთ დემოგრაფიული პროცესების განვითარებას და მოსახლეობის შემადგენლობის სრულყოფას დროის გარკვეულ მონაკვეთისათვის (ჩვეულებრივ იგულისხმება 1 წელი). ქვეყნის დემოგრაფიული ვითარების კვლევა ითვალისწინებს დემოგრაფიული მდგომარეობის განსაზღვრას. დემოგრაფიული პროცესების ანალიზი, ტენდენციების შესწავლას, რომლის საფუძველზედაც შესწავლილი იქნება:

- 1) შესწავლილი იქნას დემოგრაფიული პროცესთა ცვლილების მიზეზები;
- 2) პროგნოზირებული იქნას დემოგრაფიული პროცესების განვითარების შესაძლო დადებითი და უარყოფითი შედეგები;
- 3) მოიძებნოს დემოგრაფიულ პროცესებზე საზოგადოების ზემოქმედების გზები.

დემოგრაფიული ვითარება განიხილება როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, ასევე მისი რომელიმე რეგიონის ფარგლებში და ფასდება სხვადასხვა მახასიათებლის ერთობლიობით, ანუ მახასიათებელთა სისტემით, რომლებიც განსაზღვრავენ დემოგრაფიული მოვლენების განვითარებას.

დემოგრაფიული საზოგადოების გრძელვადიანი ინტერესები ცალკეული დემოგრაფიული პროცესების მიმართულებით შესაძლოა არ იყოს სასურველი. ამ შემთხვევაში საუბრობენ დემოგრაფიული მდგომარეობის გართულებაზე, რომელიც ვლინდება შემდეგში:

- შობადობის შემცირებაში მოსახლეობის მარტივი აღწარმოების დონეზე დაბლა;
- მოკვდავობის ზრდაში, როგორც მთლიან მოსახლეობაში, ასევე ცალკეულ ასაკობრივ-სქესობრივ ჯგუფებში;
- მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივ სტრუქტურის დეფორმაციაში;
- არახელსაყრელ მიგრაციულ ნაკადებსა და მოცულობებში;
- განქორწინებულთა რიცხვის ზრდასა და სხვ.

დემოგრაფიული პროცესების ჩამოთვლილი მახასიათებელი სავსებით შესაძლებელია გახდეს საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის გართულების საფუძველი. დემოგრაფიული პროცესების რეალური მახასიათებლების შედარებითი ანალიზი საშუალებას იძლევა ჩავატაროთ დემოგრაფიული პროცესების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება, რომლის საფუძველზეც საზოგადოებამ უნდა განსაზღვროს რიგი ღონისძიებები და შესაბამისად მისი გატარების შესაძლებლობა.

დემოგრაფიული პოლიტიკა. დემოგრაფიული პოლიტიკა - არის საზოგადოების მიზანმიმართული საქმიანობა დემოგრაფიული პროცესების ოპტიმალური განვითარებისათვის. იგი მიმართულია მოსახლეობის რიცხოვნობის, შემადგენლობის, დემოგრაფიული პროცესების ცვლილების დინამიკის გასაუმჯობესებლად. დემოგრაფიული პოლიტიკა ერთი მხრივ წარმოადგენს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს, მეორე მხრივ ეს არის პოლიტიკა საზოგადოების განსახლების პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს დასაქმებას, შრომის პირობებს, ცხოვრების დონეს და მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფას.

ცხადია დემოგრაფიული პოლიტიკა უნდა განვაცალკევოთ საოჯახო პოლიტიკისაგან. საოჯახო პოლიტიკას განსაზღვრავს სახელმწიფო და საზოგადოებრივი სამსახურების საქმიანობა ოჯახის სოციალური დაცვისა და შესაბამისი პირობების უზრუნველყოფის მიზნით. დემოგრაფიული პოლიტიკა შეიძლება გაგებული იქნას ფართო და ვიწრო გაგებით. ფართო გაგებით, დემოგრაფიული პოლიტიკა მოიცავს საზოგადოების გავლენას დემოგრაფიულ პროცესებზე ორი ძირითადი მიმართულებით:

- 1) მოსახლეობის ბუნებრივი მატების დონის ცვლილება ან შენარჩუნება;
- 2) ერის მიგრაციის მიმართულებისა და მოცულობის ცვლილება/შენარჩუნება.

ვიწრო გაგებით, დემოგრაფიული პოლიტიკა მოიცავს მხოლოდ საზოგადოების გავლენას მოსახლეობის ბუნებრივ მატებაზე, უპირველეს ყოვლისა, შობადობაზე. დემოგრაფიული პოლიტიკის ობიექტს წარმოადგენს ქვეყნის მოსახლეობა ზოგადად, ან მისი რომელიმე რეგიონის მოსახლეობა ან კიდევ მოსახლეობის ცალკეული სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფები და ამა თუ იმ ტიპის ოჯახები.

დემოგრაფიული პოლიტიკა აერთიანებს სხვადასხვა ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობას, რომელთაც პირობითად სამ ჯგუფად ყოფენ: *ეკონომიკური; ადმინისტრაციულ-სამართლებრივი* და *ადმინისტრაციული-სამართლებრივი* და *ადმინისტრაციული-სამართლებრივი* და *ადმინისტრაციული-სამართლებრივი*. ჩამოთვლილი მიმართულებების შედეგები უნდა აისახოს: დაავადებების და მოკვდავობის შემცირებაში, შობადობის დონის ამღობვაში; მიგრაციის მიმართულებისა და მოცულობის ქვეყნისათვის სასიკეთოდ ცვლილებაში და სხვა. დემოგრაფიული პოლიტიკის წარმატებულად გატარებისთვის საჭიროა მისი მიზნების, მოსახლეობის დემოგრაფიული მახასიათებლების და საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის ზუსტად განსაზღვრა.

დემოგრაფიულ პროცესთა ოპტიმალურობის კრიტერიუმები. საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პირობები გავლენას ახდენენ მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობაზე. თავის მხრივ, მოსახლეობაში ცვლილებები გავლენას ახდენს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. აქედან გამომდინარე, ესა თუ ის დემოგრაფიული ვითარება შეიძლება იყოს შედარებით სასურველი და მისაღები ან პირიქით. დემოგრაფიული პროცესების დონეთა გადახრა ქმნის საზოგადოების განვითარების დაბრკოლებებს, კერძოდ, რთულდება სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვა. რა თქმა უნდა ამ გადახრების, ე. ი. სასურველი და რეალური დემოგრაფიული მახასიათებლების გადახრის დონეების განსაზღვრა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ამოცანას ზოგადად მთელი საზოგადოებისათვის. მაშასადამე მნიშვნელოვანია დემოგრაფიული პროცესების ოპტიმალური მახასიათებლების განსაზღვრა.

დემოგრაფიული ოპტიმალურობის ქვეშ იგულისხმება მოსახლეობის აღწარმოების სასურველი რეჟიმისა და დემოგრაფიული სტრუქტურის ჩამოყალიბება, აგრეთვე მიგრაციის მიმართულების და მოცულობის რაციონალიზაცია. დემოგრაფიული პროცესების ოპტიმიზაციის ამოცანების გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია განისაზღვროს ოპტიმიზაციის სასურველი დემოგრაფიული პროცესების პარამეტრები.

საზოგადოების წინაშე მდგარი მიზნები და შესაბამისად ამოცანები რაოდენობრივ ასახვას ჰპოვებს დემოგრაფიული ოპტიმიზაციის კრიტერიუმებში. ე.ი. იმ მახასიათებლებში, რომლებითაც შესაძლებელია შეფასებული იქნას სოციალურ-ეკონომიკური

და დემოგრაფიული განვითარება. დემოგრაფიული ოპტიმუმის კრიტერიუმების გათვალისწინება აუცილებელია მოსახლეობის აღწარმოების ოპტიმალური რეჟიმის განსაზღვრის დროს, რამდენადაც მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის ფორმირება მიმდინარეობს რიგი რთული ფაქტორების გავლენის პირობებში. ამიტომ დემოგრაფიული ოპტიმუმი შეიძლება განხილული იქნას სხვა ურთიერთდაკავშირებული კრიტერიუმების ერთობლიობაში.

ეკონომიკური და დემოგრაფიული პროცესების რთული ურთიერთკავშირი წარმოადგენს დემოგრაფიული ოპტიმუმის ყოვლისმომცველ კრიტერიუმს. ეს კრიტერიუმი უნდა ითვალისწინებდეს ბევრ მნიშვნელოვან პროცესს:

1) მოსახლეობის ოპტიმუმის კრიტერიუმის ძიებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, როგორც რაოდენობრივი (მაგალითად, ოჯახში ბავშვთა რიცხოვნობა), ასევე ცხოვრების დონის ხარისხობრივი მახასიათებლები (მაგალითად, მატერიალური და სოციალური სტანდარტების თანამედროვე დონე ითვალისწინებს შესაბამის ფინანსურ ხარჯებს, რომლებიც აღემატება ოჯახის ბიუჯეტს, ეს გარემოება აუცილებლად იწვევს ოჯახებში ბავშვთა რიცხვის შემცირებას).

2) ოპტიმალურობის კრიტერიუმი ითვალისწინებს არა უბრალოდ მოსახლეობის ოდენობას, არამედ, გარკვეული დოზით განათლებულ, კვალიფიკაცირებულ და მცოდნე მუშაკთა რიცხოვნობასაც. მნიშვნელოვანია, რომ ემიგრაციაში ხვდებოდეს არა მხოლოდ დასაქმებულები, არამედ სპეციალისტები, რომლებიც კონკრეტული რეგიონის ეკონომიკის განვითარებისთვისაა საჭირო.

3) ოპტიმალურობის კრიტერიუმის ცვლილებისას მოსახლეობის აღწარმოების ახალი ოპტიმალური რეჟიმი მაშინვე არ დამყარდება, რადგან მხედველობაში უნდა მივიღოთ დემოგრაფიული პროცესების ინერციულობა. შესაბამისად, კრიტერიუმის შერჩევას უნდა გამოვიდეთ ხვალინდელი დღის მოთხოვნებიდან.

დემოგრაფიული ოპტიმუმის პარამეტრების და მათი რაოდენობრივი შეფასებისათვის ოპტიმალურობის კრიტერიუმს წარმოადგენენ ხარისხობრივი მაჩვენებლები. ასეთი წარმოდგენა კარგად აჩვენებს ოპტიმალურობის კრიტერიუმისა და დემოგრაფიული პროცესების ურთიერთკავშირს. კრიტერიუმთა სრული

ასახვისას საჭიროა მახასიათებელთა სისტემის გათვალისწინება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

1) არსებული პირველადი მონაცემების საფუძველზე, შესაძლებელი უნდა იყოს მათი გათვლა, როგორც მთლიანად ქვეყნისათვის, ასევე მისი რეგიონებისათვის;

2) მოვლენათა განვითარების ძირითადი ტენდენციების ასახვა;

3) ეკონომიკური მოვლენების აღწარმოების პროცესთა ასახვა და დახასიათება.

ჩვეულებრივ, როცა საუბრობენ დემოგრაფიული პროცესების ოპტიმალურობის კრიტერიუმზე, მხედველობაში იღებენ სუციალურ-ეკონომიკურ კრიტერიუმებს. ამ შემთხვევაში ოპტიმალური იქნება მოსახლეობის ისეთი რაოდენობრივი მახასიათებლები, რომლის პირობებშიც შესაძლებელი გახდებოდა ცალკეული ადამიანის და ოჯახის კეთილდღეობის ამაღლება. რიგ შემთხვევაში ხელსაყრელი იქნებოდა მოსახლეობის აღწარმოების შედარებით დაბალი დონე, მაგრამ კრიტერიუმები შეიძლება იყოს სხვაგვარიც, კერძოდ: **პოლიტიკური, თავდაცვასა და უსაფრთხოებაზე ორიენტირებული, ეკოლოგიური, იდეოლოგიური, ნაციონალური, რელიგიური** და სხვა.

კრიტერიუმის შერჩევის მიხედვით განისაზღვრება დემოგრაფიული პოლიტიკის მიმართულება, მოსახლეობის აღწარმოების ამა თუ იმ დონეზე, პირველ რიგში შობადობა. გარდა ამისა, შესაძლებელია სხვადასხვა კრიტერიუმების ერთდროული გამოყენება. კრიტერიუმების შერჩევა ან შემუშავება, რომელიც ასახავს ეკონომიკურ კრიტერიუმებს წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ამოცანას დემოგრაფიული ოპტიმუმის განსაზღვრისას. ჯერ-ჯერობით შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკური აღწარმოების კოეფიციენტის გაანგარიშების ზოგადი და ხელსაყრელი მეთოდი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა დემოგრაფიული ოპტიმუმის მეშვეობით შეგვეფასებინა ის. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური განვითარების მახასიათებელი არის **ქვეყნის ეროვნული შემოსავალი ზოგადად მოსახლეზე.**

საქართველოს რეგიონებს შორის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) წილის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს. ასეთივე სხვაობაა ურბანულ და სასოფლო ტიპის დასახლებებს შორის. ქვეყნის მშპ-ს ნახევარი ქალაქ თბილისში იწარმოება. ამასთან, მშპ-ს მნიშვნელოვნად უფრო მაღალი წილი რეგიონებზე მოდის, სადაც დიდი ქალაქებია განლაგებული (ქუთაისი - იმერეთში, რუსთავი - ქვემო ქართლ-

ში, ბათუმი - აჭარაში, ფოთი და ზუგდიდი - სამეგრელოში), ვიდრე სოფლად, მისი დიდ ქალაქებთან და სატრანსპორტო მაგისტრალებთან სიახლოვის მიუხედავად.

ამრიგად, ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში მოსახლეობის ზრდის ტემპი მწვავე პოლიტიკური კონფლიქტებისა და ეკონომიკური კრიზისის გამო, მკვეთრად შენედა. მოსახლეობის სიმჭიდროვე, დასახლების სიდიდე, ურბანული და სასოფლო დასახლებების ტიპები საქართველოს რეგიონების მიხედვით მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მოსახლეობის მეოთხედზე მეტი ქალაქ თბილისის მცხოვრებია და თუ მის შემოგარენსაც გავითვალისწინებთ, თანაფარდობა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, პოლიტიკური დამაბულობისა და შეიარაღებული კონფლიქტების გამო, საქართველოში დევნილთა საკმაოდ დიდი რაოდენობა გაჩნდა.

თუმცა ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში რეგიონის მოსახლეობის წილი, ძირითადად, უცვლელია. ბოლო ათწლეულის მანძილზე მოსახლეობის ყოველწლიური ბუნებრივი მატება, მხოლოდ, სამ რეგიონში - აჭარაში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში აღინიშნა. რადგანაც საქართველოდან უცხოეთში მოსახლეობის ემიგრაციის შესახებ არანაირი სისტემური მონაცემი არ არსებობს, შიგა მიგრაციის დონე შინამეურნეობის ინტეგრირებულ კვლევაზე დაყრდნობით შეიძლება განისაზღვროს.

უკანასნევი ათწლეულების განმავლობაში საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა იკლებდა როგორც ყველა სხვა დიდ და საშუალო ზომის ქალაქში, ასევე, თითქმის ყველა მცირე ზომის ქალაქში. მიუხედავად იმისა, რომ სოფლიდან ქალაქში მიგრაციამ, რაოდენობის თვალსაზრისით, ქალაქის მოსახლეობის დანაკარგის ნაწილობრივი კომპენსირება მოახდინა, მიგრაციის ტენდენციამ ურბანული მუშაკების სამუშაო უნარ-ჩვევების დონის შენარჩუნებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა.

საქართველოს დემოგრაფიულ განვითარებაში განხორციელდა ისეთი პროცესები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ ქვეყნის სიცოცხლის-უნარიანობაზე. ამ უარყოფითი მოვლენების გასანეიტრალებლად საჭიროა შემუშავდეს და გატარდეს შესაბამისი დემოგრაფიული პოლიტიკა. დემოგრაფიული პროცესების ანალიზი საშუალებას იძლევა შესწავლილი იქნას დემოგრაფიული მდგომარეობის ცვლილების

მიზეზები; პროგნოზირდეს დემოგრაფიული პროცესების განვითარების უარყოფითი შედეგები; მოიძებნოს დემოგრაფიულ პროცესებზე საზოგადოების გავლენის გზები.

მოსახლეობის სტრუქტურული თავისებურებების დემოგრაფიული პროცესებ-სა და მოვლენებზე გავლენის აღმოსაფხვრელად საჭიროა მახასიათებლები გავაანალიზოთ დინამიკაში, რაც საშუალებას იძლევა გამოვლენილი იქნას დემოგრაფიული პროცესების განვითარების ძირითადი კანონზომიერებები. დემოგრაფიული პროცესების რეალური მახასიათებლების შედარებითი ანალიზი საშუალებას იძლევა ჩავატაროთ დემოგრაფიული პროცესების ხარისხობრივი შეფასება. დემოგრაფიული პოლიტიკა არის საზოგადოების მიზანმიმართული საქმიანობა დემოგრაფიული პროცესების ნორმირებისათვის. ცხადია დემოგრაფიული პოლიტიკა უნდა განვასხვავოთ საოჯახო პოლიტიკისაგან. დემოგრაფიული პოლიტიკა აერთიანებს სხვადასხვა ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობას. საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პირობები გავლენას ახდენენ მოსახლეობის მოძრაობაზე.

დემოგრაფიული ოპტიმუმის ქვეშ იგულისხმება არჩეული კრიტერიუმის პირობებში მოსახლეობის აღწარმოების ტიპი ოპტიმალური დემოგრაფიული სტრუქტურების, ოპტიმალური მიგრაციის მიმართულებისა და მოცულობის პირობებში. საზოგადოების წინაშე მდგარი მიზნები და ამოცანები რაოდენობრივ ასახვას ჰპოვებს დემოგრაფიული ოპტიმუმის კრიტერიუმებში. ეკონომიკური და დემოგრაფიული პროცესების რთული ურთიერთკავშირი წარმოადგენს დემოგრაფიული ოპტიმუმის ყოვლისმომცველ კრიტერიუმს. დემოგრაფიული ოპტიმუმის პარამეტრების განსაზღვრისა და მათი რაოდენობრივი შეფასებისათვის ოპტიმალურობის კრიტერიუმს წარმოადგენენ ხარისხობრივი მაჩვენებლები. როცა საუბრობენ დემოგრაფიულ პროცესთა ოპტიმალურობაზე, მხედველობაში იღებენ ეკონომიკურ კრიტერიუმებს.

კრიტერიუმის შერჩევის მიხედვით განისაზღვრება საზოგადოების პოლიტიკის მიმართულება, მოსახლეობის აღწარმოების ამა თუ იმ დონეზე, პირველ რიგში შობადობა. საქართველოს რეგიონებს შორის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) წილის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს. რეგიონები ეკონომიკის სექტორების სტრუქტურითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან. სამეგრელოს და ზემო სვანეთს მნიშვნელოვანი სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის სექტორი აქვს, რაც, დიდწილად, ფოთის პორტთან არის დაკავშირებული.

3.2. საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების ოპტიმალური რეჟიმის პარამეტრები

საქართველოს მოსახლეობის ოპტიმალური რეჟიმის შესწავლისას მოსახლეობა უნდა შეფასდეს ორი თვალსაზრისით: სტატიკური და დინამიკური კუთხით. სტატიკური რეჟიმისთვის დამახასიათებელია ხანგრძლივი დროის განმავლობაში უცვლელი დემოგრაფიული მახასიათებლები, მოკვდავობისა და შობადობის ერთნაირი სტაბილური დონე და მიგრაციის ნულოვანი დონე. ეს განაპირობებს მოსახლეობის რაოდენობის მუდმივობას, უცვლელი რჩება ასაკობრივი შემადგენლობაც. ერთი სიტყვით, სტატიკური მიდგომისას მოსახლეობა რაოდენობრივად ხასიათდება მუდმივ სიდიდედ.

დინამიკური რეჟიმისთვის დამახასიათებელია დემოგრაფიული პროცესების დონეთა ცვლილება. ამ დროს, როგორც შედეგი, ვლენობით დემოგრაფიული სტრუქტურა ცვალებადია. პირველ რიგში იცვლება მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა. ოპტიმალური რეჟიმების ამ სახეებიდან უპირატესობა ენიჭება დინამიკური ოპტიმალური რეჟიმის განსაზღვრას, რადგანაც ჩვენი საზოგადოება პრაქტიკულად განიცდის დემოგრაფიული პროცესებისა და სტრუქტურული ცვლილებების მკვეთრ გავლენას.

თავის მხრივ, დემოგრაფიული პროცესების და სტრუქტურული ცვლილების მდგომარეობაზე გავლენას ახდენს ბუნების ძალები (კლიმატი, ეკოლოგია, და ა.შ.), ეკონომიკაში გარდაუვალი ცვლილებები, მოსახლეობის ცხოვრების დონე და სხვა ფაქტორები. ამრიგად, თუ ვსაუბრობთ, მოსახლეობის ოპტიმალურ რეჟიმზე მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მოსახლეობის საერთო რაოდენობა არ იქნება მუდმივი. იგი დამოკიდებულია გარკვეული დროის მონაკვეთში განსაზღვრულ ზემოთმოტანილ ფაქტორებზე.

საზოგადოებისათვის სასურველი მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის გასაანგარიშებლად, აუცილებელია გამოყენებული იქნეს ისეთი მაჩვენებელი, რომელიც ასახავს სხვადასხვა თაობებს შორის კავშირის ხარისხს. ამ რანგში ჩვეულებრივ სარგებლობენ - მოსახლეობის აღწარმოების ნეტო-კოეფიციენტი. ნეტო-კოეფიციენტი რეგულარული გათვლების ჩატარების შესაძლებლობას იძლევა

მოსახლეობის ცალკეული სტატისტიკური დონის მიხედვით. მისი უარყოფითი მხარეა ის, რომ ასახავს არა ნამდვილ თაობებს შორის კავშირს, არამედ პირობით თაობებს შორის კავშირს.

მოსახლეობის ოპტიმალური რეჟიმის რაოდენობრივი დემოგრაფიული მაჩვენებლების გამოთვლა დაკავშირებულია მთელ რიგ სირთულეებთან, რაც აიხსნება სხვადასხვა მიზეზებით, იქნება ეს საბაზისო მონაცემების არასაკმარისი და არაზუსტი მაჩვენებლები, თუ მწირი თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები და სხვა. თუმცა, ოპტიმალური ტიპის მოსახლეობის აღწარმოების ოპტიმალური რეჟიმის შესაფასებლად არსებობს სხვა მეთოდებიც. დღეისათვის შობადობის შემცირება წარმოადგენს მრავალი ქვეყნის დემოგრაფიულ პრობლემას, ეს პრობლემა ცხადია აქტუალურია საქართველოს რეალობაშიც. ოპტიმალური რეჟიმი ჩვენი ქვეყნისათვის უნდა მოხდეს შეგნებულად შემოსაზღვრული შობადობის პირობებში.

ოჯახებში ბავშვთა რიცხვი პირობითად შეიძლება შემოვსაზღვროთ იქნას 1-დან 4 ბავშვამდე. ამ შემთხვევაში ოპტიმალურობის განსაზღვრის ერთ-ერთი მარტივი მეთოდია ოპტიმალური სიდიდის ნეტო-კოეფიციენტის გაანგარიშება, რომელიც შემოთავაზებული იქნა უნგრელი მეცნიერების *რ.ანდორკისა* და *კ.მილტენტის* მიერ [Андорк Р. 1968. – С. 16-29]. გაანგარიშების ფორმულას აქვს სახე:

$$R_0 = \sqrt{\frac{\nu V}{jJ}},$$

სადაც R_0 - მოსახლეობის აღწარმოების ოპტიმალური ნეტო-კოეფიციენტია; J - მთელ სტაციონარულ მოსახლეობაში უმცროსი ასაკის შრომისუნაროთა წილია; V - სტაციონარულ მოსახლეობაში უფროსი ასაკის შრომისუნაროთა წილია; j - ერთ კმაყოფაზე მყოფი პიროვნების ხარჯია შრომისუნარიანი ასაკის ადამიანის ხარჯებთან შედარებით; ν - წარმოადგენს კმაყოფაზე მყოფი, ერთი ხანდაზმული ადამიანის ხარჯებს ერთი შრომისუნარიანი ასაკის ადამიანის შენახვაზე საჭირო ხარჯთან შედარებით.

2015-2016 წლებში საქართველოს შრომისუნარიანი ასაკის წილი სტაციონარული მოსახლეობის საერთო რაოდენობაში შეადგენდა $j = 0,19089$ (2015 წლისათვის) და $j = 0,2021,5$ (2016 წლისათვის), უფროსი ასაკის შრომისუნაროთა

წილი 2015 წლისათვის შეადგენდა საშუალოდ $V = 0.14234$, ხოლო 2016 წლისათვის კი: $V = 0.14367$.

შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობის ზრდაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათი საარსებო მინიმუმით სრულ უზრუნველყოფაზე. საარსებო მინიმუმი დგინდება მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველზე. მინიმალური სასურსათო კალათა არის კვების პროდუქტების განსაზღვრული ნორმატიული კალათა, რომელიც შეიცავს შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის ნორმალური სიცოცხლისა და შრომისუნარიანობისათვის ფიზიოლოგიურად აუცილებელი საკვების რაოდენობას, მისი შემადგენელი ელემენტების (ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების) და კალორიულობის მინიმალურ ოდენობას.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საარსებო მინიმუმს ანგარიშობს იმ მინიმალური სასურსათო კალათის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია და დადგენილია „საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 8 მაისის #111/ნ ბრძანების შესაბამისად.

თავდაპირველად ხდება მინიმალური სასურსათო კალათის მთელი შემადგენლობის ღირებულების დათვლა საქართველოს 5 ქალაქის ფასების საფუძველზე, რომელიც მოწოდებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ფასების სამმართველოს მიერ. ეს ქალაქებია: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, გორი და თელავი. თითოეულ ქალაქში სასურსათო კალათის თითოეული პროდუქტისათვის ხდება საშუალო ფასის დადგენა. შემდეგ ეტაპზე თითოეული პროდუქტისათვის საშუალო ფასის გაიანგარიშება აღნიშნული 5 ქალაქის გასაშუალოებული ფასების შეწონილი საშუალოს დათვლით (წონებად გამოიყენება აღნიშნული 5 ქალაქის მოსახლეობა).

მიღებული ფასები წარმოადგენს თითოეული პროდუქტის საშუალო ფასს ქვეყნის დონეზე. შემდეგ ეტაპზე ხორციელდება შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის სასურსათო კალათის თვიური შუალედური ღირებულების გაანგარიშება. სასურსათო კალათის თვიური შუალედური ღირებულება წარმოადგენს მასში შემავალი პროდუქ-

ტების თვიურ ღირებულებათა ჯამს. ცხრილი 9-ში მოცემულია სასურსათო კალათაში შემავალი პროდუქტების დღიური ნორმა შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის.

ცხრილი 12. მინიმალური სასურსათო კალათა საქართველოში სქესობრივ - ასაკობრივ ჯგუფებში

ასაკი	2015*			2016		
	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი
სულ მოსახლეობა	3 713,7	1 773,0	1 940,7	3 720,4	1 779,5	1 940,9
მათ შორის:						
-1	52,6	27,3	25,3	58,9	30,7	28,2
1 - 4	203,5	105,9	97,6	201,9	105,0	96,9
5 - 9	231,7	122,1	109,6	243,7	127,8	115,9
10 - 14	206,3	109,5	96,8	205,7	109,1	96,6
15 - 19	225,6	118,8	106,8	220,4	116,6	103,8
20 - 24	263,4	133,9	129,5	246,8	126,0	120,8
25 - 29	277,8	139,4	138,4	278,9	140,1	138,8
30 - 34	262,8	130,4	132,4	268,3	133,6	134,7
35 - 39	249,1	122,2	126,9	249,4	122,6	126,8
40 - 44	243,7	118,6	125,1	243,0	119,0	124,0
45 - 49	238,9	113,9	125,0	237,0	113,9	123,1
50 - 54	271,6	126,9	144,7	263,3	123,4	139,9
55 - 59	246,4	112,1	134,3	253,6	115,9	137,7
60 - 64	211,7	92,5	119,2	215,0	94,1	120,9
65 - 69	156,9	65,4	91,5	172,7	71,8	100,9
70 - 74	121,5	47,7	73,8	104,0	40,8	63,2
75 - 79	136,3	49,9	86,4	141,2	51,3	89,9
80 - 84	71,0	24,8	46,2	71,1	25,0	46,1
85+	42,9	11,7	31,2	45,5	12,8	32,7

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. www.geostat.ge

კალათაში შემავალი პროდუქტების თვიური ღირებულება განისაზღვრება შე-
საბამისი პროდუქტის თვიური ნორმის და ამ პროდუქტის საშუალო ფასის ნამრავ-
ლით (საშუალო ფასის გაანგარიშების მეთოდი აღწერილია ზემოთ, ხოლო თითოე-
ული პროდუქტის თვიური ნორმა განისაზღვრება ზემოთ მოცემულ ცხრილი 12-ში
დღიური ნორმის საფუძველზე). აღნიშნული კალკულაციის შედეგად დგინდება კა-
ლათაში შემავალი თითოეული პროდუქტის ღირებულება, რომელთა ჯამი წარმოად-
გენს მინიმალური სასურსათო კალათის შუალედურ თვიურ ღირებულებას.

სასურსათო კალათის თვიური შუალედური ღირებულება მრავლდება შევაჭრების კოეფიციენტზე, რომელიც გაანგარიშებულ იქნა ფასების სამმართველოს მიერ მოწოდებული სასურსათო კალათაში შემავალი პროდუქტების ფასებისა და შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევიდან მიღებული ანალოგიური მონაცემების შედარებით. აღნიშნული კოეფიციენტი შეადგენს 0.865. მიღებული რიცხვი წარმოადგენს მინიმალური სასურსათო კალათის საბოლოო ღირებულებას შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის მოცემულ თვეში. საარსებო მინიმუმის გასაანგარიშებლად მინიმალური სასურსათო კალათის ღირებულება იყოფა 0.7-ზე (საარსებო მინიმუმის ღირებულებაში სასურსათო ხარჯების წილი განისაზღვრება 70%-ით, არასასურსათო ხარჯების წილი – 30%-ით). მიღებული რიცხვი წარმოადგენს მოცემულ თვეში საარსებო მინიმუმის ღირებულებას შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის.

დგინდება, რომ ერთი ასაკოვანი შრომისუნარო პიროვნების შენახვისათვის საჭირო ხარჯი შეადგენს შრომისუნარიანი პიროვნების ხარჯების საშუალოდ 0,85 წილს, ე.ი. $v = 0,85$, ხოლო შრომისუნარიანი ასაკის კმაყოფაზე მყოფი ერთი პიროვნების ხარჯი შრომისუნარიანი პიროვნების ხარჯების 0,65 წილს შეადგენს ე.ი. $j = 0,65$.

ზემოთ მოცემულ ფორმულაში ამ მნიშვნელობების გათვალისწინება საშუალებას მოგვცემს გავიანგარიშოთ 2015-2016 წლებში საქართველოში მოსახლეობის აღწარმოების ოპტიმალური ნეტო-კოეფიციენტის მნიშვნელობა საქართველოს მთლიანი მოსახლეობისათვის:

$$\text{2015 წლისათვის } R_0 = \sqrt{\frac{0,85 \cdot 0,14234}{0,65 \cdot 0,1869}} = \sqrt{0,995} = 0,997$$

$$\text{2016 წლისათვის } R_0 = \sqrt{\frac{0,85 \cdot 0,14367}{0,65 \cdot 0,19089}} = \sqrt{0,984} = 0,992$$

მაშასადამე 2015–2016 წლებში საქართველოში მთლიანი მოსახლეობის აღწარმოების ოპტიმალური ნეტო-კოეფიციენტი შეადგენდა 0,997-0,992-ს.

ოპტიმალური ნეტო-კოეფიციენტის გათვლების უარყოფითი მხარე არის ის, რომ ოპტიმალურობის კრიტერიუმის რანგში გამოიყენება მხოლოდ ერთ სულზე დანახარჯების ფარდობა სხვადასხვა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში, ხოლო ცხოვრების დონის აბსოლუტური სიდიდის ცვლილება მხედველობაში არ მიიღება. გარდა ამისა, ამ ფორმულით გათვლები ითვალისწინებს, რომ შრომისუნარო მოსახლეობის ნაწილი მცირე და უფროს ასაკობრივ ჯგუფში რეალურად შეიძლება

მონაწილეობდეს შრომით საქმიანობაში. არსებობს მოსახლეობის აღწარმოების გაანგარიშების სხვა უფრო რთული მეთოდები. მათი მეშვეობით გათვლებმა აჩვენა, რომ უმრავლეს შემთხვევაში ნეტო-კოეფიციენტის ოპტიმალური მნიშვნელობა მოთავსებულია შუალედში $1 \leq R_0 < 1,5$.

დღეისათვის ფორმულირებულია რიგი მოთხოვნები, რომლებიც წაყენებულია მოსახლეობის აღწარმოების ოპტიმალური რეჟიმისადმი. მათი განზოგადებით შეიძლება ეს მოთხოვნები საბოლოოდ ასე ჩამოვყალიბოთ:

1. დემოგრაფიული პოლიტიკის მეშვეობით ქვეყნის საერთო მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის ფორმირება, მათ შორის შობადობის, მოკვდავობის და ადგილმდებარეობის მიხედვით უმნიშვნელო განსხვავებებით.
2. მოსახლეობის აღწარმოების ოპტიმალური რეჟიმი ითვალისწინებს აღწარმოების მაჩვენებლის ცვლილებას მცირე შუალედში, რომელსაც ჩვეულებრივ განაპირობებს მოსახლეობის სტრუქტურის რხევებით.
3. ქვეყნის მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფების შედარებითი ანალიზი, რადგან ამა თუ იმ ასაკობრივი ჯგუფის გადაწონვა სხვა ასაკობრივი ჯგუფების მიმართ შესაძლოა უარყოფითად აისახოს ეკონომიკაზე, საზოგადოების სოციალურ განვითარებაზე, მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის ტემპზე.
4. ქვეყნის მოსახლეობის აღწარმოების ოპტიმალური რეჟიმის აუცილებელი პირობაა ოჯახის და საზოგადოების დემოგრაფიული იდეალების თანხვედრა.
5. აღწარმოების ოპტიმალური რეჟიმის ფორმირების პერიოდის ხანგრძლივობის გათვალისწინება, რაც აუცილებელია პირველ რიგში დემოგრაფიული პროცესების დიდი ინერციულების გამო, მეორე მხრივ, მოსახლეობის აღწარმოების ოპტიმალურ და ფაქტიურ ტიპებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობით.
6. ოპტიმიზაციას ექვემდებარება არა მხოლოდ მოსახლეობის აღწარმოება, არამედ მიგრაცია და დემოგრაფიული სტრუქტურის სხვა სახეები.
7. სოციალური და ბუნებრივი კატაკლიზმების არარსებობის დროს (ომი, ეპიდემია და ა.შ.) დამანგრეველად მოქმედებს დემოგრაფიულ პროცესებზე“ [Кваша 1974: 180].

დემოგრაფიული ინვესტიციები. ეკონომიკური დემოგრაფიის შესასწავლ საკითხთა შორის მნიშვნელოვანი როლი აკისრია საზოგადოების ხარჯების მოცულობის

განსაზღვრას. საზოგადოების ხარჯების მოცულობის ცვლილება კი, თავის მხრივ, განპირობებულია მოსახლეობის რაოდენობრივი ცვლილების სხვადასხვა ტემპით, მიმართულებით, მიგრაციის მოცულობით, აგრეთვე მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობის ცვლილებით.

მოსახლეობის რაოდენობრივი მახასიათებლები არ არის მუდმივი, რადგან დროსა და სივრცეში იცვლება როგორც მთლიანად მოსახლეობის რიცხოვნობა, ასევე მისი ცალკეული ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობაც. ამ ცვლილებების მიუხედავად, ცხოვრების დონე არ უნდა მცირდებოდეს. ამ პირობას მივყავართ ოჯახის ზოგადი ხარჯების ცვლილებასთან, სოციალურ-კულტურული მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან და ა. შ. შესაბამისად საზოგადოებამ უნდა განსაზღვროს ხარჯები მოსახლეობის შემადგენლობის მიხედვით, რომელიც თავის მხრივ იცვლება როგორც რაოდენობრივად, ისე სტრუქტურულად. მოსახლეობის აღწარმოების შემთხვევაში საზოგადოების წინაშე დგება საკითხი დამატებითი სახსრების გამოყოფის შესახებ.

„ამრიგად, საზოგადოების ხარჯი, რომლებიც მიმართულნი არიან ცხოვრების გარკვეული დონის შენარჩუნებისაკენ, მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის ცვლილების პირობებში - წარმოადგენს დემოგრაფიულ ინვესტიციებს.

დემოგრაფიული ინვესტიციების ძირითადი მიმართულებებია

- 1) ზრუნვა ბავშვთა კმაყოფაზე მათი სრულყოფილების ასაკამდე;
- 2) ბავშვების ზოგადი სასკოლო განათლება და მათი პროფესიული მომზადება;
- 3) ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;
- 4) სოციალური ინვესტიციები (ჯანმრთელობა და სოციალური უზრუნველყოფა)

[Кваша 1974: 84].

დემოგრაფიული ინვესტიციები განსხვავდება ეკონომიკური ინვესტიციებისაგან. ეკონომიკური ინვესტიციები ძირითადად მიმართულია წარმოების გაფართოებისაკენ, წარმოების მატერიალურ-ტექნიკური დონის ასამაღლებლად, შრომის წარმოების გასაზრდელად. ყველა სახის – როგორც ეკონომიკური, ისე დემოგრაფიული ინვესტიციის წყაროს შეადგენს ეროვნული შემოსავალი. დემოგრაფიული ინვესტიციების ზომების განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხები წარმოადგენს დემოგრაფიული ოპტიმუმის შემადგენელ ნაწილს, სწორედ ის განსაზღვრავს დემოგრაფიული

ინვესტიციების ოპტიმალურ ზომას. დემოგრაფიული ინვესტიციების განხორციელება აუცილებელია მაშინ, როცა ადგილი აქვს მოსახლეობის რაოდენობის ზრდას და მაშინაც, როცა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში უძრაობა შეიმჩნევა.

გარდა ამისა, დემოგრაფიული ინვესტიციების განხორციელება აუცილებელია მაშინ, როცა ქვეყანაში პრაქტიკულად არ შეიმჩნევა ტექნიკური პროგრესი. თუ ეკონომიკა აღზევებს განიცდის, იზრდება შრომის მწარმოებლურობა, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა და შემადგენლობა მნიშვნელოვნად არ იცვლება, მაშინ ყველა ინვესტიცია, რომელიც ხორციელდება ქვეყანაში არის ეკონომიკური. შედარებით რთულია ერთდროული – ეკონომიკური და დემოგრაფიული ინვესტიციების ერთმანეთისაგან განცალკევება, რომელსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მაშინ, როცა მკვეთრად იზრდება მოსახლეობის რიცხოვნობა და მისი შრომის მწარმოებლურობა.

მოსახლეობის რაოდენობა და შემადგენლობა შეიძლება იცვლებოდეს მოსახლეობის ბუნებრივი მატებისა და კლების ტენდენციების პირობებში და მიგრაციის გავლენის გამო. თუ ქვეყანა მიგრანტებს ღებულობს საჭირო სახსრები მათი განთავსებისა და საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად, აგრეთვე ჯანდაცვისა და განათლებისათვის და ა.შ. ეს ინვესტიციები, ანუ ხარჯები არის დემოგრაფიული. დემოგრაფიული ინვესტიციები, რომლებიც განპირობებულია მოსახლეობის შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ძვრებით, რთულია რაოდენობრივად გამოვყოთ იმ დემოგრაფიული ინვესტიციებისაგან, რომლებიც მოსახლეობის რაოდენობის ცვლილებითაა განპირობებული.

ეს გარემოება განპირობებულია იმით, რომ მოსახლეობის სტრუქტურული ცვლილებები მყისიერად არ ხორციელდება, ეს ნელი პროცესია, რომელიც მიმდინარეობს შეუმჩნეველად და ეტაპობრივად. დემოგრაფიული ინვესტიციების სიდიდე აისახება ეკონომიკაზე. ერთი მხრივ მოსახლეობის სწრაფი ზრდა და, შესაბამისად, მისგან გამოწვეული დემოგრაფიული ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზომა, განაპირობებდეს ეკონომიკურ ზრდას. მეორე მხრივ, არასაკმარისი დემოგრაფიული ინვესტიციები იწვევს ეკონომიკის განვითარების დინამიკის შემცირებას.

მაგალითად, განათლებისა და პროფესიული მომზადების დონის შემცირების გამო შეიძლება ადგილი ჰქონდეს მოსახლეობის, კერძოდ კი მშრომელი მოსახლეობის, მოკვდავობისა და ავადმყოფობის ზრდას. ქვეყნები, რომლებიც გამოირჩევიან

მდგრადი ეკონომიკური ზრდის ტემპით, მაგრამ მოსახლეობის რაოდენობის ზრდამ შეიძლება განაპირობოს მოთხოვნის ზრდა შიგა ბაზარზე. ქვეყნებში, სადაც ადგილი აქვს ეკონომიკური ზრდის დაბალ დონეს, მაგრამ მოსახლეობის ზრდის მაღალ ტემპს ნაკლებად ახასიათებს გადახდისუნარიანობის ზრდის პერსპექტივა.

დემოგრაფიული ინვესტიციების სიდიდის ცვლილების შეფასება შესაძლებელია ეკონომიკური ასაკობრივი პირამიდის საფუძველზე. ამ მეთოდის საშუალებით შეიძლება გაანგარიშებული იქნას მოსახლეობის მოთხოვნილების ცვლილება მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობის ცვლილების ჭრილში. ამ მეთოდით მიღებულ შედეგებს აქვს პირობითი ხასიათი გარკვეული დაშვების გამო, მაგ., თუნდაც მოთხოვნილების მუდმივი შვალის გამოყენების გამო, მაგრამ ეს შედეგები საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ასაკობრივი სტრუქტურის ზეგავლენა მოსახლეობის ხარჯების მოცულობასთან, მოთხოვნასთან და დემოგრაფიულ ინვესტიციებთან.

დემოგრაფიული ინვესტიციების ცვლილების ხარისხის შეფასება მოსახლეობის რაოდენობისა და სტრუქტურული შემადგენლობის პირობებში ხდება მოთხოვნილების ინდექსის გამოთვლის საფუძველზე. მოთხოვნილების ინდექსი წარმოადგენს მოსახლეობის დანახარჯს დროის გარკვეულ პერიოდში. „მოსახლეობის ხარჯის შესაფასებლად შეიძლება გამოვიყენოთ მოთხოვნილების განსაკუთრებული ასაკობრივი შვალა და ასაკობრივი ჯგუფის რაოდენობა განსახილველი პერიოდის დასაწყისში და დასასრულს:

$$I_p = \frac{S^1}{S^0} = \frac{\sum W_x^1 \cdot P_x}{\sum W_x^0 \cdot P_x}$$

სადაც I_p - მოსახლეობის მოთხოვნილების (ხარჯების) ინდექსია; S^0, S^1 - წარმოადგენს მოსახლეობის რაოდენობას გამოსაკვლევი პერიოდის დასაწყისში და დასასრულს; P_x - მოთხოვნილების ასაკობრივი კოეფიციენტებია; W_x^0, W_x^1 - ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების წილია საერთო მოსახლეობის რაოდენობაში გამოსაკვლევი პერიოდის დასაწყისსა და დასასრულში“ [Demography.... 2017: 87].

ამრიგად, საქართველოს მოსახლეობის ოპტიმალური რაოდენობის შესწავლისას მოსახლეობა უნდა შეფასდეს ორი თვალსაზრისით: სტატიკური და დინამიკური კუთხით. სტატიკური ოპტიმალური რეჟიმისათვის დამახასიათებელია ხანგრძლივი დროის განმავლობაში უცვლელი დემოგრაფიული მახასიათებლები,

მოკვდავობისა და შობადობის ერთნაირი დონეები და მიგრაციის ნულოვანი სალდო. დინამიკური ოპტიმალური რეჟიმისათვის დამახასიათებელია დემოგრაფიული პროცესების დონეთა ცვლილება.

თავის მხრივ, დემოგრაფიულ პროცესებსა და სტრუქტურულ ცვლილებაზე გავლენას ახდენს ბუნების ძალები, კლიმატი, ეკონომიკაში გარდაუვალი ცვლილებები, ხალხის სოციალური ცხოვრება და სხვა ფაქტორები. საზოგადოებისათვის სასურველი მოსახლეობის აღწარმოების გასაანგარიშებლად, აუცილებელია გამოყენებული იქნეს ისეთი მაჩვენებელი, რომელიც ასახავს სხვადასხვა თაობებს შორის კავშირის ხარისხს. ოპტიმალური დასახლების რაოდენობრივ-დემოგრაფიული მაჩვენებლების გამოთვლა დაკავშირებულია მთელ რიგ სირთულეებთან.

საარსებო მინიმუმი დგინდება მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საარსებო მინიმუმს ანგარიშობს მინიმალური სასურსათო კალათის მიხედვით. ერთი ასაკოვანი შრომისუნარო პიროვნების შენახვისათვის საჭირო ხარჯები შეადგენს შრომისუნარიანი პიროვნების ხარჯების საშუალოდ 0,85 წილს. 2015–2016 წლებში საქართველოში მთლიანი მოსახლეობის აღწარმოების ოპტიმალური ნეტო-კოეფიციენტი შეადგენს შესაბამისად 0,997-0,992-ს. ოპტიმალური ნეტო-კოეფიციენტის გათვლების უარყოფითი მხარეა ის, რომ ოპტიმალურობის კრიტერიუმის რანგში გამოიყენება მხოლოდ მოსახლეობის ერთეულ სულზე ხარჯების ფარდობა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, ხოლო ცხოვრების დონის აბსოლუტური სიდიდის ცვლილება მხედველობაში არ მიიღება.

თანამედროვე ეტაპზე ფორმულირებულია რიგი მოთხოვნები, რომლებიც წაყენებულია მოსახლეობის ოპტიმალური აღწარმოების რეჟიმისადმი. ეკონომიკური დემოგრაფიის შესასწავლ საკითხებს შორის მნიშვნელოვანი როლი აკისრია საზოგადოების ხარჯების მოცულობის განსაზღვრას. მოსახლეობის რაოდენობრივი მახასიათებლები არ არის მუდმივი, რადგან იცვლება როგორც მთლიანად მოსახლეობის რიცხოვნობა, ასევე მისი ცალკეული ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობაც.

ამრიგად, საზოგადოების ხარჯები, რომლებიც მიმართულნი არიან ცხოვრების გარკვეული დონის შენარჩუნებისაკენ, მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის ცვლილების პირობებში - წარმოადგენს დემოგრაფიულ ინვესტიციებს.

დემოგრაფიული ინვესტიციები განსხვავდება ეკონომიკური ინვესტიციებისაგან. დემოგრაფიული ინვესტიციების განხორციელება აუცილებელია მაშინ, როცა ქვეყანაში პრაქტიკულად არ შეიმჩნევა ტექნიკური პროგრესი. მოსახლეობის რაოდენობა და შემადგენლობა შეიძლება იცვლებოდეს მოსახლეობის აღწარმოების ბუნებრივი ტენდენციების პირობებში და მიგრაციის გავლენის გამო.

ეს გარემოება განპირობებულია იმით, რომ მოსახლეობის სტრუქტურული ცვლილებები მყისიერად არ ხორციელდება. შედეგად, განათლებისა და პროფესიული მომზადების დონის შემცირების გამო შეიძლება ადგილი ჰქონდეს მოსახლეობის, კერძოდ კი მშრომელი მოსახლეობის, მოკვდავობისა და ავადმყოფობის ზრდას.

დემოგრაფიული ინვესტიციების სიდიდის ცვლილების შეფასება შესაძლებელია ეკონომიკური ასაკობრივი პირამიდის საფუძველზე. დემოგრაფიული ინვესტიციების ცვლილების ხარისხის შეფასება მოსახლეობის რაოდენობისა და შემადგენლობის პირობებში დაიყვანება მოთხოვნილების ინდექსის გამოთვლაზე.

3.3. მოსახლეობის ასაკობრივ–ეკონომიკური პირამიდები

მოსახლეობის აღწარმოების ცვლილება აუცილებლად განაპირობებს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებას, რომელიც, თავის მხრივ, განსაზღვრავს რიგ ეკონომიკურ ცვლილებებს. ასე, მაგალითად, ასაკობრივი შემადგენლობის ცვლილება იწვევს მოსახლეობის აღწარმოების მაჩვენებლების ცვლილებას და შესაბამისად, იცვლება ეროვნული შემოსავლის მოცულობა და შემადგენლობა.

მოსახლეობის სტრუქტურის ცვლილება იწვევს როგორც დადებით, ასევე უარყოფით ეკონომიკურ შედეგს. მაგალითად, უარყოფითია ის, რომ შობადობის შემცირების შემთხვევაში, მოსახლეობის დაბერებას აქვს ადგილი, იზრდება საზოგადოების ხარჯი მოხუცთა შესანახად, მცირდება შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის წილი, მცირდება მოსახლეობის სოციალური და ტერიტორიული მობილობა. ყველაფერი ეს უარყოფითი ეკონომიკური შედეგია. სამაგიეროდ, დადებითს მიეკუთვნება ხარჯების შემცირება აღზრდაზე, განათლებაზე ან კიდევ ქალთათვის დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა და ა.შ.

ამიტომ აქტუალურია მოსახლეობის რაოდენობისა და ასაკობრივი შემადგენლობის ცვლილების შესწავლის ეკონომიკური ასპექტები, რომლის ერთ-ერთი საშუალება არის ეკონომიკურ–ასაკობრივი პირამიდის გამოყენება და მისი შეფასება. დინამიკაში გამოთვლილი სტანდარტიზებული ეკონომიკურ–ასაკობრივი პირამიდები საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ გავლენა მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობის და ეკონომიკური მახასიათებლების კუთხით საშუალოდ ერთი ადამიანისათვის.

ამ მიზნით, აგებული უნდა იქნეს ისეთი მოსახლეობის ასაკობრივ–სქესობრივ პირამიდებზე დაფუძნებული ეკონომიკური პირამიდები. რა თქმა უნდა ამ პირამიდების აგებაში არავითარი სირთულე არ არსებობს. მთავარია პირამიდებისათვის აუცილებელი მონაცემების გამოთვლა. ეს მონაცემები მიიღება ეკონომიკურ–ასაკობრივი ცხრილების აგების შედეგად. ეკონომიკურ–ასაკობრივი ცხრილები მიიღება ცალკეული ასაკობრივი ჯგუფის მქონე მოსახლეობის რაოდენობის გამრავლებით შესაბამის ეკონომიკურ მაჩვენებელზე, როგორცაა ეკონომიკური აქტიურობა ან არააქტიურობა, სამუშაო ან არასამუშაო დრო,

მოთხოვნა-მიწოდება და სხვა. თუმცა ამ მაჩვენებელთა მოპოვება რთულდება მონაცემთა არასაკმარისობის ან საერთოდ არაარსებობის გამო.

განვიხილოთ ეკონომიკურ-ასაკობრივი პირამიდის აგების მეთოდისა საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნისა და წარმოების (გამომუშავების) მიხედვით 2004 – 2016 წლებში. ამ შემთხვევაში პირველადი მონაცემები იქნება: მთლიანი და დასაქმებული მოსახლეობის ასაკობრივი განაწილება საქართველოში 2004 წლის დასაწყისისათვის, საქართველოს ეროვნული შემოსავალი 2003 წლისათვის და ეროვნული შემოსავლის ის წილი, რომელიც ხარჯვით ნაწილზე მიემართებოდა. გამოთვლებისას უპრიანია გამოყენებული იქნას ე. წ. წარმოების და მოთხოვნის შკალები. ამ შკალებზე განსაკუთრებით შევჩერდებით, რამდენადაც სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობა განსხვავდება ერთმანეთისაგან, პროფესიონალიზმით, ჯანმრთელობით, ფიზიკური ძალით და ა.შ. შესაბამისად შრომის წარმოება და მოთხოვნაც განსხვავდება ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით. ამ პირობების გათვალისწინებით საჭიროა შევიმუშავოთ ასაკობრივი შკალები.

ასეთი შკალები აუცილებელი სტატისტიკური მონაცემების არასაკმარისობის გამო, რთული ასაგებია. ამიტომ, შესაძლებელია გარკვეული დაშვებების გამოყენება, თუ წარმოების შედეგებს ჩავანაცვლებთ დასაქმებული მოსახლეობის შემოსავლით, ხოლო მოთხოვნას - მოსახლეობის დანახარჯებით სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის. შემოსავლების შკალა შეიძლება აგებული იქნას ამ მიზნის სპეციალურად ორგანიზებული კვლევის საფუძველზე, ხოლო ხარჯვის შკალა შეიძლება აგებული იქნას ოჯახის ბიუჯეტის ეკონომიკურ-სტატისტიკურ მონაცემთა დამუშავების საფუძველზე.

სადისერტაციო თემის ფარგლებში ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა ინტერნეტ-გამოკითხვა. ჩვენ გამოვიყენეთ www.qultrecs.com საიტის შესაძლებლობები და ავადგეთ ქვიზი, რომელიც შედგებოდა 9 შეკითხვისაგან (იხილეთ დანართი). შეკითხვები ეხებოდა ოჯახის მონაცემებს, ოჯახის უფროსის საცხოვრებელ და სამუშაო ადგილის შესაბამისობას, ოჯახის საერთო შემოსავლებს და ხარჯებს. გამოკითხვის შედეგები მოცემულია დანართ-ზე. სულ გამოკითხა 500-მდე რესპოდენტი. გამოკითხულთა 36%-ის ოჯახის წევრების ოდენობა შეადგენს 4 სულს, ამ ოჯახებში ბავშვთა რაოდენობა არ აღემატება 2-ს.

გამოკითხვაში მონაწილეობას ძირითადად ახალგაზრდა ოჯახები იღებდნენ 21-40 წლამდე, ანუ ის რესპოდენტები, რომლებიც აქტიურად იყენებს ინტერნეტს და სოციალურ ქსელებს. გამოკითხულთა 34.42% -ის თვიური შემოსავალი ოჯახში 2000-ლარამდეა, 30.55%-ს კი ჯამური შემოსავალი 2000 ლარზე მეტი აქვს, 35.03%-ის - შემოსავალი 1000 ლარზე ნაკლებია. ხარჯებს თუ შევადარებთ, გამოკითხულთა 32.58%-ის თვიური ოჯახური ხარჯები 2000 ლარამდეა, 17.21% თავს უფლებას აძლევს ხარჯები ქონდეს 2000 ლარზე მეტი. ჯამში 50.02%-ის თვიური ოჯახური ხარჯი არ აღემატება 1000 ლარს, ანუ საშუალოდ თუ ვიანგარიშებთ კურსით 1 ამერიკული დოლარი=2,5 ლარს, მათი ხარჯი 400 ამერიკულ დოლარია.

მოსახლეობის ერთ სულზე საარსებო მინიმუმის გათვალისწინებით, უბრალოდ ძალიან მცირეა და ნაკლებ სავარაუდოა, რომ თვეში 5 ან მეტ სულიან ოჯახს ნთვეში ეს თანხა ეყოს. მაშასადამე ამ ხარჯებით კმაყოფილდება სავარაუდოდ 4 ან უფრო ნაკლებ სულიანი ოჯახები. გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა დასაქმებულია, კერძოდ 40.82% საჯარო სექტორში, ხოლო 35.1% კერძო სექტორში, გამოკითხულთა 23,65% ან დროებით უმუშევარია ან საუკეთესო შემთხვევაში თვითდასაქმებით ირჩენს თავს. 76.23% დასაქმებულია საცხოვრებელი ადგილის მახლობლად, ხოლო 23.77% დასაქმებულია საცხოვრებელი ადგილის მოშორებით ან ქვეყნის გარეთ. განათლების კრიტერიუმის მიხედვით გამოკითხულთა უმრავლესობას აქვს მიღებული ტექნიკური განათლება (30.42%), ხოლო აბსოლუტურ უმცირესობას სიცოცხლის შემსწავლელი დარგის მიმართულებით (4.38%), რომელშიდაც შედის სამედიცინო განათლება.

გამოკითხულთა 39%-ის ოჯახური შემადგენლობა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში უცვლელია, ხოლო 67.43%-ის რაოდენობა გაიზარდა შობადობისა და ოჯახის წევრის დაოჯახების ხარჯზე. საქართველოში არსებული ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებას, მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური მხარდაჭერის სათანადო პირობების შექმნას. ამის შესახებ IDFI (Institute for Development of Freedom of Information)-ის მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერის პროგრამების კვლევაშია ნათქვამი (<https://idfi.ge/ge>).

კვლევა ეხება ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიებებთან მიმართებით მთავრობის მიერ შემუშავებულ პოლიტიკას, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო-

ებში მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერას. კვლევა წარმოადგენს რეკომენდაციებს საუკეთესო ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით. "მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში შობადობის მაჩვენებლის გარკვეული დადებითი ტენდენციები შეინიშნება, დემოგრაფიულ საკითხებში, ექსპერტთა ვარაუდით, უახლოეს პერიოდში აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაუარესდება. ხსენებული ვარაუდი გამყარებულია იმ მოსაზრებით, რომ 2017-2018 წლებიდან ქორწინებისა და რეპროდუქციული პოტენციალის ასაკში შევა 1990-იან წლებში დაბადებული მოსახლეობა, როდესაც საქართველოში შობადობა ძალიან დაბალი იყო.

საქართველოში არსებული ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებას, მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური მხარდაჭერის სათანადო პირობების შექმნას და საჭიროებს გაუმჯობესებას ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების პრაქტიკის გათვალისწინებით. მაგალითად, საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ფართოდ გამოყენებული ოჯახის ფინანსური დახმარების ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა: ბავშვის მზრუნველობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვაში მხარდაჭერა და საგადასახადო შეღავათები.

საქართველოში ფულადი დახმარების მიღების უფლება ვრცელდება მხოლოდ იმ რეგიონებში ფაქტობრივად მცხოვრებ ბავშვებზე, სადაც წინა მე-2-ე და მე-3-ე წელს არ ფიქსირდება წლიური მატების საშუალო დადებითი მაჩვენებელი, რაც არათანასწორ მდგომარეობაში აყენებს იმ ოჯახებს, რომლებიც აღნიშნულ რეგიონში არ ცხოვრობენ. გამოთვლებით მთელი საქართველოს მასშტაბით აღნიშნული პროგრამის განხორციელება ყოველწლიურად მოითხოვს 38 000 000 ლარს. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ყოველ მე-3-ე და შემდგომ ბავშვზე დაწესდება ერთჯერადი ფინანსური დახმარება (მე-3-ე ბავშვი 800 ლარი, მე-4-ე ბავშვი 1000 ლარი, მე-5-ე და შემდეგი ბავშვი 1500 ლარი) აღნიშნულისათვის დამატებით საჭიროა დაახლოებით 10 000 000 ლარი.

ადგილობრივი თვითმმართველობებიდან მიღებული დოკუმენტაცია ნათლად აჩვენებს, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ადგილობრივი ბიუჯეტიდან მრავალშვილიანების დახმარების მნიშვნელოვნად განსხვავებული სტანდარტი არსებობს. მთელ რიგ ადგილობრივ თვითმმართველობებში (მაგალითად: დმანისი, საგარეჯო, ქარელი, ჭიათურა, თერჯოლა, ბაღდათი, მთიანეთი, მცხეთა, გარდაბანი)

2015 წლის მდგომარეობით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების ცალკეული პროგრამა საერთოდ არ გააჩნიათ", - აღნიშნულია კვლევაში. თუ არაფერი შეიცვალა ქვეყანაში, კრიზისი 2025-2030 წლისთვის პიკს მიაღწევს და დემოგრაფიულ კატასტროფას მივიღებთ. კრიზისის თავიდან ასაცილებლად დემოგრაფიულ პოლიტიკაში ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა მთავარი მიმართულება უნდა იყოს. საქართველოს 6 რეგიონში მოკვდავობა შობადობას აღემატება.

2014 წლის პირველი ივნისიდან ქვეყანაში ამოქმედებული დემოგრაფიული პოლიტიკა მესამე და შემდგომი შვილის გაჩენის შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებას გულისხმობს. თუმცა, აღნიშნული ინიციატივა მხოლოდ 6 რეგიონში ხორციელდება და ყოველთვიურად ბარში 150, ხოლო მთაში 200 ლარის ოდენობით დახმარებით განისაზღვრება. შედეგად, უნდა მოხდეს რეგიონებს შორის, სადაც შობადობის მკვეთრად გამოხატული უარყოფითი მაჩვენებელია, მოსახლეობის დისბალანსის აღმოფხვრა.

საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის თანახმად, გამოსავალი მდგომარეობს აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებაში. უმრავლეს რეგიონებში უნდა შეჩერდეს მოსახლეობის შემცირება. შემდეგი ეტაპი იქნება მოსახლეობის სწრაფ გამრავლებაზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარება. აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების შემთხვევაშიც კი, სასურველი შედეგი მხოლოდ საკმაოდ დროის შემდეგ იქნება მიღწეული. დემოგრაფიული პროცესები სწრაფ და მომენტალურ ცვლილებებს თითქმის არ განიცდის. მთავარია დაბადებული ბავშვების რაოდენობა, სოციალურ-ეკონომიკური პირობები, განათლება, აღზრდის საკითხი.

ჩვენს ქვეყანაში უნდა გატარდეს გადაუდებელი ღონისძიებები. საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკა უნდა პასუხობდეს სამ უმთავრეს მოთხოვნას:

1. დემოგრაფიული პოლიტიკის ძირითადი მიზანი უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ ამოცანებს და სანქცირებულ იყოს ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ;
2. დემოგრაფიული პოლიტიკის განსახორციელებლად აუცილებელია ხელისუფლებამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოს შესაბამისი ფინანსური სახსრები.

აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს სოციალურ-დემოგრაფიული თვალსაზრისით მძიმე მდგომარეობაში მყოფ

ჯგუფებს, ახალგაზრდა, დემოგრაფიულად მზარდ ოჯახებს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, განსაკუთრებით ტელევიზიით, უნდა შეიქმნას დემოგრაფიული სიტუაციის სწორი, ერთიანი საზოგადოებრივი აზრი:

- ნაადრევი და დაგვიანებული ქორწინების რისკი;
- ბავშვების გაჩენებს შორის არანაკლებ ორწლიანი ინტერვალის დაცვა;
- დროული დაქორწინების სიკეთე;
- ხელმეორედ დაქორწინებისათვის დადებითი საზოგადოებრივი აზრის შექმნა;
- თვითშენახვითი ქცევის ამაღლება;
- პირადი ჰიგიენის დაცვა;
- კონტრაცეპტივების გამოყენება, როგორც აბორტთან შედარებით არასასურველი ორსულობის თავიდან აცილების ყველაზე ეფექტური მეთოდი;
- მავნე ჩვევების – ალკოჰოლური სასმელის ზედმეტად მიღების, ნარკოტიკის და თამბაქოს მოხმარების აღმოფხვრა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.
- მოსახლეობის ფართო მასები მუდმივად ინფორმირება დემოგრაფიული პოლიტიკის ძირითადი მიზნების, მიმართულებებისა და ღონისძიებების თაობაზე. შედეგად, საზოგადოებაში დაძლეული უნდა იქნას დემოგრაფიული პრობლემებისადმი ნეიტრალური დამოკიდებულება.

4 მოსახლეობის აღწარმოების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია შობადობა, ამიტომაც დაბალი შობადობის მქონე ქვეყნებში, აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკა სწორედ მისი სტიმულირებისა და რეგულირებისაკენ არის მიმართული, თუმცა, დემოგრაფიული პოლიტიკა, თავისი არსით, სხვა ასპექტსაც მოიცავს, როგორცაა:

- უსაფრთხო დედობა;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სიცოცხლის ხანგრძლივობა;
- სოციალური პოლიტიკა;
- ჩვილთა მოკვდაობა;
- პენსიონერები და ხანდაზმული ადამიანები და სხვა, რომლებიც დემოგრაფიის მომიჯნავე დარგთა განვითარების კონცეფციებში აისახება.

საქართველოსთვის მთავარ დემოგრაფიულ პრობლემად რჩება ქვეყანაში დაწყებული მოსახლეობის შემცირების შეჩერება და მარტივი აღწარმოების უზრუნველყოფა ანუ თაობათა განახლება ერთი და იგივე რაოდენობით. შემდგომში, სოცია-

ლურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების კვალობაზე, აუცილებელია ქვეყნისათვის შესაბამისი ოპტიმალური აღწარმოების უზრუნველყოფა.

შობადობის გაზრდისათვის დასახული ღონისძიებები, პირველ ეტაპზე, იმ რეგიონებსა და რაიონებში უნდა განხორციელდეს, სადაც დემოგრაფიული მაჩვენებლები, პირველ რიგში კი შობადობა, კრიზისულ ზღვარს არის მიღწეული და ჩამორჩება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, მრავალშვილიან ოჯახებზე სხვა რეგიონებშიც უნდა მოხდეს შესაბამისი დახმარების გაწევა.

დახმარებები ოჯახებს უნდა გაეწიოთ ბავშვთა რაოდენობის მიხედვით, როგორც ერთჯერადად, ისე ყოველთვიურად. აღნიშნული დახმარებებით მატერიალური სტიმულირება უნდა განხორციელდეს მეორე და, განსაკუთრებით კი, მესამე ბავშვის დაბადების შემთხვევაში! რადგანაც სწორედ მესამე ბავშვი უზრუნველყოფს მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას, ხოლო შემდგომი ბავშვების დაბადება პირობების გაუმჯობესების შემთხვევაშიც კი, მათი სიმცირის გამო, არსებით გავლენას ვერ ახდენს შობადობის ღონისძიებაზე.

სასურველია, საწყის ეტაპზე, სანამ სახელმწიფოს ფინანსური მდგომარეობა არ გაუმჯობესდება, ერთჯერადი დახმარებები 1 000 ლარის ოდენობით გაიცეს ყოველ დაბადებულ ბავშვზე, ხოლო მეორე ბავშვზე - 1 500 ლარი; მესამე ბავშვზე კი 2000 ლარის ოდენობით. „ყოველთვიური დახმარება უნდა გაიცეს იმ ოდენობით, რომ მან ბავშვის გაჩენის შემთხვევაში, უზრუნველყოს ოჯახში ამ მიზნით გაწეული ხარჯების კომპენსირება. გასატარებელია დემოგრაფიული პოლიტიკის ღონისძიებაც. კერძოდ:

- უნდა სრულად დაფინანსდეს იმ ქალების მკურნალობა, რომლებიც, სურვილის მიუხედავად, ცუდი ჯანმრთელობის ანდა უნაყოფობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ვერ აჩენენ სასურველ შვილს;
- უნდა გაიზარდოს როგორც ანაზღაურებადი, ისე უხელფასო დეკრეტული შვებულების ხანგრძლივობა;
- შობადობის სტიმულირების მიზნით, შესაძლებელია ქალის საპენსიო ასაკის კორექტირება მის მიერ აღზრდილი შვილების რიცხვის მიხედვით. ახალდაქორწინებულთათვის გრძელვადიანი შეღავათიანი სესხების გაცემა;

- ქვეყნის უშიშროების მიზნებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ხალხის სასაზღვრო ზოლში განსახლების პრობლემას.“

[საქართველოს დემოგრაფიული.... 2017: 89]

ამრიგად, მოსახლეობის აღწარმოების დონის ცვლილება აუცილებლად განაპირობებს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებას. მოსახლეობის სტრუქტურის ცვლილება იწვევს როგორც დადებით, ასევე უარყოფით ეკონომიკურ შედეგს. აქტუალური ხდება ამოცანა განზოგადებული ეკონომიკური შეფასების კუთხით, რომელზედაც მოსახლეობის რაოდენობისა და ასაკობრივი შემადგენლობის ცვლილება უნდა იქნას შესწავლილი. ერთი სიტყვით, რომ ვთქვათ, აგებული უნდა იქნეს ისეთი პირამიდები, რომლებიც ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდების მსგავსია.

ეროვნული შემოსავლის სიდიდის ასაკობრივი განაწილებისას გამოყენებულია ეროვნული წარმოების მაჩვენებელი, ერთ პირობით დასაქმებულზე. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ეროვნული შემოსავლიდან ხარჯებზე მიმართული სიდიდის გაანგარიშებისათვის გამოიყენება ეროვნული შემოსავლის მოხმარების მაჩვენებელი. სადისერტაციო თემის ფარგლებში ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა ინტერნეტ-გამოკითხვა. გამოკითხვაში მონაწილეობას ძირითადად ახალგაზრდა ოჯახები იღებდნენ 21-40 წლამდე, ანუ ის რესპოდენტები, რომლებიც აქტიურად იყენებს ინტერნეტს და სოციალურ ქსელებს. კვლევა ეხება ოჯახის მხარდაჭერის დონისძიებებთან მიმართებით მთავრობის მიერ შემუშავებულ პოლიტიკას, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერას.

საქართველოში არსებული ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებას, მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური მხარდაჭერის სათანადო პირობების შექმნას და საჭიროებს გაუმჯობესებას ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების პრაქტიკის გათვალისწინებით. საქართველოში ფულადი დახმარების მიღების უფლება ვრცელდება მხოლოდ იმ რეგიონებში ფაქტობრივად მცხოვრებ ბავშვებზე, სადაც წინა მე-2-ე და მე-3-ე წელს არ ფიქსირდება წლიური მატების საშუალო დადებითი მაჩვენებელი, რაც არათანასწორ მდგომარეობაში აყენებს იმ ოჯახებს, რომლებიც აღნიშნულ რეგიონში არ ცხოვრობენ.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ადგილობრივი ბიუჯეტიდან მრავალშვილიანების დახმარების მნიშვნელოვნად განსხვავებული სტანდარტი არსებობს.

საქართველოს ხელისუფლებამ უნდა დაიწყოს კვლევაში წარმოდგენილი რეკომენდაციების იმპლემენტაციისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება და ასახოს ისინი სტრატეგიულ დოკუმენტში. თუ არაფერი შეიცვალა ქვეყანაში, კრიზისი 2025-2030 წლისთვის პიკს მიაღწევს და დემოგრაფიულ კატასტროფას მივიღებთ.

საქართველოში ამოქმედებული დემოგრაფიული პოლიტიკა მესამე და შემდგომი შვილის გაჩენის შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებას გულისხმობს. საქართველოს მოსახლეობის სამომავლოდ ზრდის პროგნოზირების შესახებ განსხვავებული მოსაზრებები გაისმის როგორც დემოგრაფების და არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან. ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის 66.5% შეადგინა.

როგორც პირველად წარმოებაში, ასევე კვების პროდუქტების გადამამუშავებაში, სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 9%-ს შეადგენს. საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის თანახმად, გამოსავალი მდგომარეობს აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებაში. საქართველოს დემოგრაფიულ პოლიტიკაში უნდა გატარდეს გადაუდებელი ღონისძიებები.

აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს სოციალურ-დემოგრაფიული თვალსაზრისით მძიმე მდგომარეობაში მყოფ ჯგუფებს, ახალგაზრდა, დემოგრაფიულად მზარდ ოჯახებს. საქართველოსთვის მთავარ დემოგრაფიულ პრობლემად რჩება ქვეყანაში დაწყებული მოსახლეობის შემცირების შეჩერება და მარტივი აღწარმოების უზრუნველყოფა ანუ თაობათა განახლება ერთი და იგივე რაოდენობით. შობადობის გაზრდისათვის დასახული ღონისძიებები იმ რეგიონებში უნდა გატარდეს, სადაც დემოგრაფიული მაჩვენებლები ჩამორჩება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს. დახმარება ოჯახებს უნდა გაეწიოს ბავშვთა რაოდენობის მიხედვით, როგორც ერთჯერადად, ისე ყოველთვიურად.

3.4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკისა და მოსახლეობის სტრუქტურის ურთიერთკავშირის ანალიზი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკისა და მოსახლეობის სტრუქტურის ურთიერთკავშირის სრულყოფილი ანალიზისათვის საჭიროა შემუშავდეს

მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრის ისეთი მოდელი, რაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მისცემს მის ხელთ არსებული, ეკონომიკური რესურსების პოტენციალის ამოქმედებისა და დამატებითი უცხოური რესურსების მოზიდვის საშუალებას, რათა გააძლიეროს პოზიციები პროდუქციის რეალიზაციის არა მარტო შიგა ბაზარზე, არამედ აქტიურად ჩაერთოს მსოფლიო ბაზარზეც.

ცხრილი 13. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის რიცხოვნობა თვითმმართველი ერთეულების მიხედვით (2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)

ათასი კაცი

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
საქართველო	4 394,7	4 382,4	4 385,4	4 436,4	4 469,2	4 497,6	4 483,8	4 490,5	3 713,7	3 720,4
აჭარის არ	378,8	380,2	382,4	386,9	390,6	393,7	394,2	396,6	334,3	337,0
აჭარ. მოსახლ წილი საქ-ში	8,62%	8,68%	8,72%	8,72%	8,74%	8,75%	8,79%	8,83%	9,0 %	9,06 %
ქ. ბათუმი	122,2	122,2	122,5	123,5	124,3	125,8	160.0*	161.2*	153.1	154.6
ქედის მუნიციპალიტეტი	19,8	19,9	20,0	20,2	20,4	20,5	20,5	20,6	16,8	16,9
ქობულეთის მუნიციპალ.	89,2	89,4	89,8	91,1	92,1	93,0	92,9	93,3	74,8	75,2
შუახევის მუნიციპალიტეტი	21,8	22,0	22,3	22,6	22,8	22,9	22,8	22,9	15,0	15,1
ხელვაჩაურის მუნიციპალიტ	91,8	92,2	92,8	94,0	95,2	95,6	62.1*	62.5*	51,3	51,7
ხულოს მუნიციპალიტეტი	34,0	34,5	35,0	35,5	35,8	35,9	35,9	36,1	23,3	23,5

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <http://www.geostat.ge/>

მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრის არსებულ მოდელებს შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის, როგორც ქვეყნის შემადგენელი ერთ–ერთი თვითმმართველი ერთეულისათვის, გამოიყენება ის მოდელი, რომელიც გამოიყენება მთლიანი საქართველოსათვის. 2007 წელს აჭარის რეგიონის მოსახლეობა შეადგენდა 378,8 ათას კაცს, რაც ქვეყნის საერთო მოსახლეობის 8,62%–ს შეადგენდა (იხილეთ ზემოთ მოცემული ცხრილი 13). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის რაოდენობა 2015 წლამდე ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, მაგრამ აჭარის მოსახლეობა ზრდის უფრო მაღალი ტემპით ხასიათდებოდა, რაც წლების მიხედვით საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობაში მისი ხვედრითი წილის განუხრელ (8,62%–დან 8,83%–მდე) ზრდაში გამოიხატებოდა.

2014 წელს საქართველოს მოსახლეობის ხელახალი, გაერო–ს მიერ შემოთავაზებული განახლებული მეთოდოლოგიით განხორციელებული აღრიცხვის შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა, როგორც მთლიანი ქვეყნის, ისე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა. კერძოდ, 2015 წელს აჭარის მოსახლეობამ შეადგინა 334,3 ათასი კაცი, ხოლო საქართველოს მოსახლეობამ კი – 3 713,7 ათასი კაცი. ანალოგიური მაჩვენებლები 2016 წელს შეადგენდა შესაბამისად – 337,0 ათას კაცს. 3 720,4 ათას კაცს. მიუხედავად აჭარის მოსახლეობის რაოდენობრივი შემცირებისა, მისი ხვედრითი წილი საქართველოს მთლიან მოსახლეობაში მაინც განაგრძობდა ზრდას. ამ მაჩვენებელმა 2015–2016 წლებში შეადგინა შესაბამისად, – 9,0 % და 9,06 % (იხილეთ ცხრილი 13).

როგორც ვხედავთ, მიუხედავად საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი, რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე 28 წლიანი პერიოდისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა, საქართველოს მთლიან მოსახლეობასთან შედარებით, მაინც ზრდის საკმაოდ მაღალი ტემპებით ხასიათდებოდა, რაც ოჯახების მრავალშვილიანობის ტრადიციით არის განპირობებული. გარდა ამისა, მოსახლეობის ზრდის შედარებით მაღალი ტემპების შენარჩუნება განპირობებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების დიდი პოტენციალით. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას გააჩნია, როგორც ტურისტული, ისე სავაჭრო და სატრანზიტო ინდუსტრიის განვითარების დიდი პოტენციალი. შავი ზღვის სანაპირო, თოვლით დაფარული მაღალმთლიანი განლაგება, თურქეთის რესპუბლიკასთან უშუალო მოსაზღვრე განლაგება მართლაც იძლევა უდიდეს ტურისტულ, სავაჭრო და სატრანზიტო პოტენციალს.

ბოლო დროს აჭარას ტურისტული აღმავლობის ტენდენცია აქვს. ბათუმი მშვენიერია. იგი მზადაა მიიღოს მილიონობით უცხოელი ტურისტი. თუმცა ჯერ კიდევ განუვითარებელია ქალაქის 3/4 ნაწილის – ე. წ. „მთისძირის“ მიმდებარე ტერიტორიის ტურისტული ინფრასტრუქტურა, რის გამოც ვერ ხორციელდება აქტიური ტურისტულ-მარკეტინგული კამპანია დასავლეთის ტურისტულ ბაზარზე.

გარდა ტურისტული პოტენციალისა, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას დიდი სამეწარმეო პოტენციალი გააჩნია. აჭარაში სოფლის მეურნეობის რამდენიმე დარგია განვითარებული. აქ მოჰყავთ ჩაი, ციტრუსი, ყურძენი და თამბაქო. მესხეთისა და

ქობულეთის ქედი აჭარას ყოფს ორ ნაწილად: ზღვისპირა და მთიან აჭარად, სადაც ერთმანეთის გვერდი-გვერდ ცხოვრობს სხვადასხვა სარწმუნოებისა და ტრადიციების მქონე ხალხი. მთიან აჭარაში სახნავ-სათესი მიწების სიმცირის გამო, ძირითადად მეცხოველეობაა განვითარებული.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას დიდი სავაჭრო პოტენციალი აქვს. ის ოდითგანვე „დიდი აბრეშუმის გზის“ საკვანძო მონაკვეთს წარმოადგენდა. საზღვაო პორტებით ხდება ასიათასობით ტონა ე. წ. „სველი“ (ნავთობის) და „მშრალი“ (აგრარული ნაწარმის) ტვირთის ტრანზიტი როგორც აღმოსავლეთით – აზიაში, ისე დასავლეთით – ევროპაში. სავაჭრო პოტენციალის განვითარება ავტომატურად უწყობს ხელს აჭარის სატრანზიტო პოტენციალის განვითარებას, გადაზიდვები ხდება ავიაციითაც და სარკინიგზო მაგისტრალითაც, რაც საბოლოო ჯამში მილიონობით ტონა ტვირთის ტრანზიტს განაპირობებს. .

ამდენად, მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრის ოპტიმალური მოდელის შე-რჩევა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალი იძლევა ეკონომიკური რესურსების ამოქმედებისა და დამატებითი უცხოური რესურსების მოზიდვის შესაძლებლობას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარება ჯერ კიდევ ვერ პასუხობს მოსახლეობის მოთხოვნებს. თუმცა არსებული პოტენციალის რაციონალური გამოყენების შემთხვევაში, სავსებით შესაძლებელია ადგილობრივმა საწარმოებმა არა მარტო უზრუნველყონ აჭარის მოსახლეობის მოთხოვნის გაჯერება რეგიონის პროდუქციით, არამედ განავითარონ საექსპორტო დარგებიც და ხელი შეუწყონ ექსპორტ-იმპორტის დაბალანსებას, რაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისა და მათ მიერ დამზადებული პროდუქციის საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში უშუალო მონაწილეობისა და გაფართოების სტიმულირების თვა-ლსაზრისით, კვლავაც აქტუალურ პრობლემად რჩება ეროვნული საწარმოების საექს-პორტო საქმიანობისა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ხელშემწყობი ბერკეტების მუდმივი გაუმჯობესების ღონისძიებათა კომპლექსის გატარება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობისა და ეკონომიკის

სტრუქტურის ურთიერთკავშირის მეთოდოლოგიური საფუძვლების კვლევის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ ეკონომიკასა და მოსახლეობის სტრუქტურას შორის ურთიერთობების რეგულირების მექანიზმების სრულყოფის პროცესი უნდა წარმოადგენდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკური საქმიანობის გრძელვადიანი სტრატეგიის განსაზღვრის მთავარ ორიენტირს. მასში გათვალისწინებული უნდა იყოს ეკონომიკის გლობალიზაციის მოვლენების სწრაფი ცვლილება, ეკონომიკასა და მოსახლეობის სტრუქტურას შორის კავშირების გაძლიერება.

შედეგად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, იქმნება ობიექტური აუცილებლობა იმისათვის, რათა მოხდეს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საქმიანობის მოტივაციის ღონისძიებათა პერმანენტული სრულყოფა და მიმდინარე პროცესებთან შესაბამისობაში მოყვანა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დემოგრაფიული ვითარების შესწავლა საშუალებას იძლევა გაანალიზდეს აჭარის ა/რ-ის სოციალურ-ეკონომიკური დინამიკა, დადგინდეს დემოგრაფიული ოპტიმუმი, როგორც დემოგრაფიული პოლიტიკის მიზანი, შეფასდეს ავტონომიური რესპუბლიკის დემოგრაფიული პოლიტიკა, შემუშავდეს დემოგრაფიული პროცესების ოპტიმალურობის კრიტერიუმები.

მე-20-ე საუკუნის განმავლობაში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შობადობაზე გავლენას ახდენდა რელიგიური ფაქტორი. ამიტომ აჭარელი ხალხის ოჯახში იყო მრავალშვილიანობის ტრადიცია. 1980-იან წლებში აჭარის რეგიონში საკმაოდ მაღალი იყო შობადობის დონე და იგი მნიშვნელოვნად აჭარბებდა ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს, რაც რელიგიის ფაქტორითაც იყო განპირობებული. 1980-1989 წლებში ყოველწლიურად მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე 21,3 ბავშვი დაიბადა, 1990-1999 წლებში - 15,3 ბავშვი, 2000-2009 წლებში კი - 12,9 ბავშვი. როგორც ვხედავთ, 2000 წლის შემდეგ ეს მაჩვენებელი შემცირდა. ის გაუტოლდა ქვეყნის საერთო მაჩვენებელს. ეს იმით არის განპირობებული, რომ რელიგიური ფაქტორის გავლენა 2000 წლის შემდგომ პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შობადობაზე საგრძნობლად შემცირდა და ბავშვის ყოლაზე უკვე სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები თამაშობს გადამწყვეტ გავლენას.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ეს მოვლენები გამოიწვევს იმას, რომ

მოსახლეობაში გაიზრდება ხანდაზმული მოსახლეობის წილი, მოკვდავობის დონეც ამალდება, რის გამოც გარდაუვალი გახდება ბუნებრივი მატების შემცირება. ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად საჭიროა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ გაატაროს სათანადო ღონისძიებები, დემოგრაფიული ვითარების გასაუმჯობესებლად.

1989-1994 წლებში აჭარის მოსახლეობა განუწყვეტლივ იზრდებოდა და 1994 წელს მან მიაღწია მაქსიმალურ სიდიდეს - 419,4 ათას კაცს. შემდგომში 10 წლის განმავლობაში დაიწყო შემცირება და 2004 წელს მან 371,6 ათასს მიაღწია, ე.ი. 47,8 ათასით შემცირდა. ამის შემდეგ აჭარის მოსახლეობა ისევ იზრდებოდა და 2010 წელს მან 388,8 ათასი შეადგინა, ანუ ოდნავ გადააჭარბა 1989 წლის მოსახლეობის რაოდენობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ 1886-1989 წლებში აჭარის მოსახლეობა 6,3 - ჯერ გაიზარდა, ამავე პერიოდში საქართველოს მოსახლეობა მხოლოდ 3,3-ჯერ გაიზარდა, - 1642 ათასიდან 5401 ათასამდე. აჭარის მოსახლეობის მაღალი ზრდა განპირობებული იყო იმიგრაციულ პროცესთა ინტენსივობით და ბუნებრივი ზრდის მაღალი დონით“ [თოთაძე 2012: 17].

თუ გადავხედავთ შობადობის დონეს აჭარაში, მე-20 საუკუნეში მაღალი იყო საქართველოს საშუალო მაჩვენებელთან შედარებით. 1970-იან წლებში შობადობის დონე 2-ჯერ მაღალი იყო 2000-იან წლებთან შედარებით. დროის ამ ინტერვალში, განსაკუთრებით 2000-იან წლებში, შობადობის დონე ოდნავ მაღალია აჭარაში როგორც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან, ისე დანარჩენი რეგიონების შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, მაგრამ ამ პერიოდის შემდეგ შობადობის დონე საგრძნობლად დაეცა და შეიძლება ითქვას კრიზისულ დონეს მიაღწია, განსაკუთრებით სოფლად.

თუ ადრე (მაგალითად, 1980-იან და 1990-იან წლებში) ის შესამჩნევად მაღალი იყო ქალაქთან შედარებით, 2000-2009 წლებში ეს მაჩვენებელი უკვე საკმაოდ დაბალი იყო სოფლად (10,6 პრომილი) ვიდრე ქალაქად (15,7 პრომილი) ეს მიუთითებს იმაზე, რომ სოფლები იცლება ახალგაზრდებისგან, უარესდება მისი ასაკობრივი სტრუქტურა და სოფლად სოციალურ-ეკონომიკური პირობებიც საგრძნობლად დაბალია ქალაქთან შედარებით. გარდაცვლილთა რიცხვი აჭარაში ბოლო 40 წლის განმავლობაში დიდ ცვლილებებს არ განიცდის. მოკვდავობის დონე აქ ყოველთვის დაბალი იყო.

საქართველოს დანარჩენ რეგიონებში სოფლად გარდაცვალების შემთხვევები ბევრად უფრო მეტია, ვიდრე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. მხოლოდ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არის დადებითი სოფლად ბუნებრივი მატების კოეფიციენტი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა, საქართველოს დანარჩენ რეგიონთა უკლებლივ ყველა სოფელში უფრო მეტი ადამიანი კვდება, ვიდრე იბადება. ჩვენს ქვეყანაში არსებული უმძიმესი დემოგრაფიული ვითარება განპირობებულია მის ცალკეულ რეგიონში დემოგრაფიული პრობლემების გამწვავებით, გამონაკლისია აჭარა, ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი. „რომ არა აჭარა, მთელ რიგ წლებში (1999-2004) საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი კლება იქნებოდა. ამის კომპენსაცია ხდებოდა აჭარის მაღალი ბუნებრივი მატების ხარჯზე. შეიძლება ითქვას, რომ ქართველთა ოდენობის მატებაში აჭარას დიდი წვლილი მიუძღვის. ბუნებრივ მატებას აჭარაში ძირითადად განაპირობებს მოკვდავობის დაბალი მაჩვენებელი“ [თოთაძე 2012: 73].

თუ ვითარება არ გამოსწორდა, არ გატარდა კომპლექსური ღონისძიებები სახელმწიფომ ინტენსიურად არ იზრუნა დემოგრაფიული ფონის გასაუმჯობესებლად გასატარებელ კონკრეტულ და შედეგიან ღონისძიებებზე, მატერიალური და არამატერიალური თვალსაზრისით, ბუნებრივი მატების ეს რეზერვიც ამოიწურება და აჭარა ვეღარ შეძლებს შეავსოს ქვეყნის მოსახლეობის ბუნებრივი მატების დეფიციტი. თუ დროზე არ განვახორციელებთ შესაბამისი ღონისძიებები, შობადობის შემცირების შედეგად მთელ მოსახლეობაში მოიმატებს ხანდაზმული ადამიანების წილი, მოსახლეობა დაბერდება და ამას ბუნებრივად მოყვება მოკვდავობის გაზრდა, ბუნებრივი მატების კოეფიციენტი კი უარყოფითი იქნება. თუ, საწყის მონაცემებად მივიჩნევთ მოსახლეობის რაოდენობას 2007 წლისათვის, მაშინ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის:

$$A = N(0) = 371,5 \text{ ათასი კაცი. } b = 14.94\text{‰}, d = 8.32\text{‰}, k = 6.63\text{‰}.$$

თუ განვიხილავთ რეგიონულ ჭრილში უმუშევრობის და დასაქმების დონეთა მკვეთრ ცვლილებებს შევნიშნავთ, რომ უმუშევრობის შედარებით მაღალი მაჩვენებელია თბილისში (22,5%) და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (15,8%), შედარებით დაბალი აქტივობისა (თბილისში – 53,5%, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში – 68,6%) და დასაქმების დონის (თბილისში – 41,5%, აჭარის ავტონომიურ რესპუბ-

ლიკაში – 57,8%) ფონზე. ერთი შეხედვით, ეს გვამღევეს საფუძველს ვიფიქროთ, რომ უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება არის სწორედ სწრაფვა დეცენტრალიზაციისაკენ. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, თუ რეგიონებში არსებობს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობა, შრომითი რესურსის მიზანმიმართული დეცენტრალიზაცია შესაძლოა გახდეს ერთი მხრივ რეგიონის განვითარების, მეორე მხრივ, უმუშევრობის შემცირების საფუძველი. თუმცა საკითხი კომპლექსურია და მოითხოვს დეტალურ განხილვას.


საქართველოს შრომის ბაზარზე მთავარი რეგიონული განსხვავება დედაქალაქსა და ქვეყნის დანარჩენ ნაწილს შორის არსებობს, თუმცა სხვადასხვა რეგიონებს შორისაც არის გარკვეული სხვაობები. კერძოდ, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სადაც სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოხატული დეფიციტია, უმუშევრობის დონე ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე მაგალითად ქვემო ქართლში. აღნიშნული რეგიონული სხვაობების ამკარა ახსნა სხვადასხვა რეგიონის ურბანულ და სოფლის მახასიათებლებში შეგვიძლია ვეძებოთ. ოფიციალური უმუშევრობა გაცილებით უფრო დაბალია სოფლად, ვიდრე ქალაქად. ეს სხვაობა დაახლოებით 20%-ს შეადგენს.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, სადაც, საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად, ურბანიზაციის დონე თითქმის ისეთივე მაღალია, როგორც მაგალითად იმერეთში, ჩვენი ქვეყნის სხვა რეგიონებთან შედარებით უმუშევრობის უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს. იგივე იმერეთისაგან განსხვავებით აჭარას, სადაც ურბანიზაციის დონე თითქმის ისეთივე მაღალია, როგორც იმერეთში, საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით უმუშევრობის უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს. ამის შესაძლო ახსნა ამ ორი რეგიონის განსხვავებულ ეკონომიკურ სტრუქტურაში მდგომარეობს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის დიდ წილს ტურიზმი და მშენებლობა ქმნის. ეს იმით არის განპირობებული, რომ აჭარაში სამშენებლო სექტორს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ხოლო შედარებით ნაკლები წილი ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე მოდის. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის დიდ წილს ტურიზმი და მშენებლობა ქმნის, იმერეთში საწარმოო მრეწველობაა დომინანტური. ტურიზმსა და მშენებლობაში დასაქმება ხშირად მოკლე ვადით ხდება, თუმცა ასეთი სამუშაო უფრო ადვილად მოსაპოვებელია, ვიდრე მუდმივი დასაქმება. ეს იმით არის განპირობებული, რომ დროებით სამუშაოზე მუშას ბევრად

უფრო დაბალი კვალიფიკაცია მოეთხოვება, ვიდრე მუდმივ სამუშაო ადგილზე.

ისევე, როგორც მთელ საქართველოში, ასევე მის ცალკეულ რეგიონში დასაქმების დონე 2008 წლის აგვისტოს ომისა და გლობალური ფინანსური კრიზისის წარმოქმნის შედეგად მკვეთრად დაეცა და მას შემდეგ მხოლოდ უმნიშვნელოდ გაიზარდა. ამ თვალსაზრისით ერთადერთ გამონაკლისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა წარმოადგენს, სადაც 2008 წლის შემდეგ, მსოფლიო საფინანსო კრიზისის მთელი ციკლის განმავლობაში დასაქმების სტაბილური ზრდა დაფიქსირდა. ეს შეიძლება რეგიონში ტურიზმისა და მშენებლობის სექტორის განვითარებით აიხსნას, ასევე – 2008 წელს, აჭარაში მანამდე არსებული დასაქმების დაბალი დონით. XXI საუკუნის დასაწყისიდან დღემდე მოსახლეობის ყოველწლიური ბუნებრივი ზრდა აღინიშნა მხოლოდ, სამ რეგიონზე - აჭარაში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში. ამ რეგიონებზე ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის შედარებით დიდი წილი მოდის.

დიაგრამა 11. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა 2002-2017 წ.წ. (ათასი კაცი)



სტატისტიკის სამმართველოს მონაცემებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილება 2002-2017 წლებში მოცემულია ზემოთ მოცემულ დიაგრამაზე. ყურადსაღებია, რომ 2014 წლის საყოველთაო აღწერით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენდა 333,953 ათას კაცს, რაც დიაგრამაზე ასახულია 2015 წლის სვეტში, მაშინ როდესაც წინა წლებში მოსახლეობის რიცხოვნობა თითქმის 400 ათას კაცს აღწევდა.


2014 წლის მონაცემებით ქალაქ ბათუმზე მოდის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის 46%, ქობულეთის მუნიციპალიტეტზე 22% (მათ შორის ქალაქ ქობულეთზე მოდის საერთო მოსახლეობის 9%), ხელვაჩაურის

მუნიციპალიტეტზე 16%, ქედის მუნიციპალიტეტზე 5%, შუახევის მუნიციპალიტეტზე 4%, ხულოს მუნიციპალიტეტზე 7%. მოსახლეობის დაახლოებით 55% ქალაქის მაცხოვრებელია, ხოლო 45% – სოფლის მაცხოვრებელია.


2002 წლისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა შეადგენდა $N(2002) = 376$ ათასი კაცს. 2014 წლისათვის კი – $N(2014) = 396$ ათასი კაცს. შესაბამისად ამ 12 წლიანი პერიოდისათვის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი არის $b = 0.004$. ზრდის ამ ტემპით ადვილი გამოსათვლელია მაგალითად 25 წლის შემდეგ 2027 წლისათვის აჭარის მოსახლეობის რიცხოვნობა $N(2027) = 420$ ათასი კაცი. 25 წლის განმავლობაში ზრდის ეს ტემპი რა თქმაუნდა დაბალი მაჩვენებელია. 2014 წელს საყოველთაო აღწერისას სავარაუდოდ გამოყენებული იქნა დათვლის განსხვავებული მეთოდოლოგია, რითაც უნდა ავხსნათ მოსახლეობის რიცხოვნობის მკვეთრი კლება დაახლოებით 40 ათასი კაცით. ამიტომ, მიზანშეწონილია 2015-2017 წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტის გამოთვლა მოხდეს გასული წლებისაგან დამოუკიდებლად.

კერძოდ თუ $N(2015) = 334$ ათას კაცს, ხოლო $N(2017) = 339$ ათას კაცს, ბუნებრივი მატების კოეფიციენტისათვის ამ 3 წლიანი პერიოდისათვის კვლავაც ვღებულობთ $b = 0.004$, შესაბამისად 2027 წლისათვის ახალი მეთოდოლოგიის გამოყენებით ვღებულობთ, რომ მოსახლეობის რიცხოვნობა იქნება $N(2027) = 350$ ათასი კაცი. შინამეურნეობის ინტეგრირებული გამოკვლევის შედეგად დგინდება, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის პროცენტული წილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საერთო მოსახლეობაში 2006-2016 წლებისათვის მერყეობს 36%-60% შუალედში. მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია არ შეიმჩნევა, თუმცა მაინც შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 5-8%-ით ზრდა ფიქსირდება (დიაგრამა 12).

დიაგრამა 12.



დიაგრამა 13.




აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის განაწილება 2006-2016 წლებისათვის საფუძველს გვაძლევს შევავსოთ მთლიანად რესპუბლიკაში დასაქმებული, დაქირავებული, თვითდასაქმებული, გაურკვეველი დასაქმების და უმუშევარი მოსახლეობის პროცენტული წილი ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში. 2006-2016 წლებში დასაქმებული მოსახლეობის წილი ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში მოთავსებულია 75%-87% შუალედში, ამასთან უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით კი 2016 წელს ის აღწევს რეკორდულ მაჩვენებელს 87%-ს. დაქირავებული მოსახლეობა 27%-40% შუალედშია მოთავსებული, თვითდასაქმებული მოსახლეობის წილი მოთავსებულია 47%-55% შუალედში, უმნიშვნელოა გაურკვეველი საქმიანობის მქონე

მოსახლეობის წილი - მაქსიმუმ 0.2% და ბოლოს უმუშევართა წილი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობიდან მერყეობს 13%-25% შუალედში, ამასთან უკანასკნელ წლებში უმუშევართა პროცენტული წილი კლებულობს და 2016 წლისათვის რეკორდულად მინიმალურ მაჩვენებელს 13%-ს აღწევს (დიაგრამა 13).

თუ შევაფასებთ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმებისა და ეკონომიკური აქტიურობის დონეს 2006-2016 წლებისათვის შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა: დასაქმების დონე ამ პერიოდისათვის მერყეობს 36%-60% შუალედში, ხოლო ეკონომიკური აქტიურობის დონე კი – 50%-71% შუალედში. დასაქმებისა და ეკონომიკური აქტიურობის დონეების მიხედვით მინიმალური მაჩვენებელი ფიქსირდება 2007 წელს - 36.4% და 48.8%, ხოლო მაქსიმალური მაჩვენებელი დასაქმების დონის მიხედვით გვაქვს 2015 წელს - 60.1%, ეკონომიკური აქტიურობის დონის მიხედვით 2012 წელს - 71.1% (დიაგრამა 14).

დიაგრამა 14.



თუ ვისარგებლებთ 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი განაწილებისათვის, შესაძლებელია გამოვთვალოთ მოსახლეობის აღწარმოების ნეტო-კოეფიციენტი (R_0). ამისათვის საჭიროა გავიანგარიშოთ აჭარის მთელ სტაციონარულ მოსახლეობაში უმცროსი ასაკის შრომისუნაროთა წილი - I , უფროსი ასაკის შრომისუნაროთა წილი V , კმაყოფაზე მყოფი ერთი ასაკოვანი შრომისუნარო პიროვნების შენახვისთვის საჭირო ხარჯი შრომისუნარიანი პიროვნების ხარჯებთან მიმართებაში - ν და შრომისუნარიანი ასაკის მქონე

კმაყოფიერებაზე მყოფი ერთი პიროვნების ხარჯი შრომისუნარიანი პიროვნების ხარჯებთან მიმართებაში - j . 2014 წლისათვის ამ პარამეტრების მნიშვნელობები შეადგენს: $J = 0.064$, $V = 0.11$, $v = 0.85$, $j = 0.65$. შესაბამისად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტისათვის მივიღებთ:

$$R_0 = \sqrt{\frac{vV}{jJ}} = \sqrt{\frac{0.85 \cdot 0.11}{0.65 \cdot 0.064}} \approx 1.5.$$

ქვემოთ მოცემულია ცხრილი 14, სადაც წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და მთლიანად საქართველოსათვის ძირითადი ეკონომიკურ-დემოგრაფიული პარამეტრები და შესაბამისად მათ საფუძველზე გამოთვლილი აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი სქესობრივ (მამაკაცი, ქალი და ორივე სქესი ერთად) ჭრილში და საცხოვრებელი ადგილის (ქალაქი, სოფელი) მიხედვით.

ცხრილი 14. აღწარმოების ნეტო კოეფიციენტის გამოთვლა

პარამეტრი	სულ			ქალაქის მოსახლეობა			სოფლის მოსახლეობა		
	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა									
შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი	64.7%	32.0%	32.7%	36.2%	17.4%	18.8%	28.5%	14.6%	13.9%
უმცროსი ასაკის შრომის უუნაროთა წილი J (%)	6.4%	3.4%	3.0%	3.7%	2.0%	1.7%	2.7%	1.4%	1.2%
უფროსი ასაკის შრომისუუნაროთა წილი V (%)	11.0%	4.3%	6.6%	5.4%	2.0%	3.4%	5.6%	2.3%	3.3%
აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი R_0.	1.50	1.29	1.71	1.38	1.16	1.60	1.65	1.45	1.85
საქართველო									
შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი	68.9%	33.4%	35.5%	32.3%	15.0%	17.2%	23.2%	11.9%	11.3%
უმცროსი ასაკის შრომის უუნაროთა წილი J (%)	15.9%	8.4%	7.5%	9.2%	4.8%	4.4%	6.2%	3.3%	2.9%
უფროსი ასაკის შრომისუუნაროთა წილი V (%)	14.0%	5.3%	8.7%	5.9%	2.1%	3.8%	6.0%	2.4%	3.6%
აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი R_0.	1.07	0.91	1.23	0.91	0.75	1.06	1.12	0.97	1.27

2014 წლისათვის მთლიანად საქართველოში მოსახლეობის საერთო რაოდენობა შეადგენდა 4 490,5 ათას კაცს. შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი საერთო მოსახლეობის 68.9%-ს შეადგენდა. უმცროსი ასაკის შრომისუნაროთა წილი საერთო მოსახლეობის 15,9%-ს, ხოლო უფროსი ასაკის შრომისუნაროთა ხვედრითი წილი 14.0%-ს შეადგენდა. ამ პირობებში მთლიანად საქართველოსათვის ვღებულობთ აღწარმოების შემდეგ ნეტო კოეფიციენტს:


$$R_0 = \sqrt{\frac{vV}{jJ}} = \sqrt{\frac{0.85 \cdot 0.14}{0.65 \cdot 0.15}} \approx 1.07.$$

თუ შევადარებთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის შესრულებულ ანალოგიურ გათვლებს, შევნიშნავთ, რომ აჭარის რეგიონის შემთხვევაში მოსახლეობის ზრდის ტემპი საკმაოდ აღემატება ზოგადად საქართველოში მოსახლეობის ზრდის ტემპს. უფრო მეტიც, 2015-2016 წლებში საქართველოში მოსახლეობის აღწარმოების ოპტიმალური ნეტო-კოეფიციენტის მნიშვნელობა, როგორც ჩვენს მიერ შესრულებული გამოთვლები გვიჩვენებს კიდევ უფრო შემცირდა და დაახლოებით გაუტოლდა ერთს.

საინტერესო შედეგებს იძლევა შრომისუნარიანი მოსახლეობის წილის ანალიზი სქესობრივი და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. კერძოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი შეადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საერთო მოსახლეობის 64.7%, რომელშიც პრაქტიკულად ნახევარს ქალები, ხოლო ნახევარს მამაკაცები შეადგენს. ქალაქებში შრომისუნარიანი მამაკაცების წილი დაახლოებით 1%-ით ნაკლებია ქალებზე, ხოლო სოფლად კი პირიქით. ეს ტენდენცია პრაქტიკულად ნარჩუნდება მთლიანად საქართველოს მასშტაბით (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა, რომელთა მონაცემებიც არ გაგვაჩნია). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებში შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი ჯამში შეადგენს 36.2%, სოფლად ოდნავ ნაკლებია და შეადგენს - 28.5 %-ს, მაშინ როდესაც უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის წილი საქართველოს მთლიან მოსახლეობაში სტაბილურად იზრდება 8,62%-დან 9.12%-მდე (იხილეთ დანართი 2). ბუნებრივია საინტერესოა გავარკვიოთ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებიდან და მუნიციპალიტეტებიდან უპირატესად რომელი

ტერიტორიული ერთეული განაპირობებს აჭარის მოსახლეობის რაოდენობის ზრდას მთლიანად საქართველოს მოსახლეობაში. ქვემოთ მოცემულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მოსახლეობის წილობრივი ცვლილება მთლიანად საქართველოს მოსახლეობაში უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში (2007-2017 წლები, დიაგრამა 15).


დიაგრამა 15.



ყურადსაღებია ხულოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კლება 9%-დან 6%-მდე, შუახევის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კლება 5,8%-დან 4%-მდე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კლება 23,5%-დან - 19,9%-მდე. რაც შეეხება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს რომლის მოსახლეობის კლებაც ამ გრაფიკის მიხედვით ასევე აშკარაა (24,2%-დან მცირდება 13,8%-მდე), აქ საქმე გვაქვს რიგ ობიექტურ პროცესებთან. ერთ-ერთი ამ პროცესთაგანია ხელვაჩაურის ტერიტორიების ქალაქ ბათუმისათვის მიკუთვნება. ბუნებრივია, ქალაქ ბათუმის განვითარების გეგმა სავარაუდოდ გაფართოებასაც გულისხმობს. 2012 წლიდან ქალაქ ბათუმის გაფართოება ხორციელდება მოსაზღვრე მუნიციპალიტეტის - ხელვაჩაურის ტერიტორიების ხარჯზე. ხელვაჩაურის მოსახლეობის ნაწილი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უკვე ქალაქს მიეკუთვნა. შესაბამისად ქალაქის მოსახლეობის ზრდაც 32,3%-დან 41,1%-მდე ნაწილობრივ სწორედ ამით არის

განპირობებული. თუმცა აშკარაა, რომ ქალაქის მოსახლეობა იზრდება ამ ტერიტორიული ცვლილებების გარეშეც და პრაქტიკულად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის სტაბილური ზრდაც სწორედ ქალაქ ბათუმის მოსახლეობაზე მოდის. დიაგრამა 16-ზე წარმოდგენილია მთლიანი დამატებული ღირებულების განაწილება ტერიტორიული ერთეულების მიხედვით 2006-2016 წლებში საქართველოს მასშტაბით.

დიაგრამა 16.



ქვეყნის შიგა პროდუქტის დაახლოებით 42% მოდის დედაქალაქზე, რომლის ზრდის ტემპი უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში უმნიშვნელოა, პრაქტიკულად არ იზრდება მაჩვენებელი საქართველოს სხვა რეგიონების მიხედვით, უფრო მეტიც გარდა აჭარის რეგიონისა ამ რეგიონებში მთლიანი დამატებული ღირებულების ფარდობითი მაჩვენებელი⁶ უარყოფითი მნიშვნელობისაა, რაც სამწუხაროდ კლებას მიანიშნებს. შესაბამისად მთლიანი დამატებითი ღირებულების ზრდის ტემპი რეგიონების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილ 15-ზე:

⁶ ფარდობითი მაჩვენებლის დაანგარიშებისას ვიღებთ საწყის მონაცემებს 2006 წლისათვის, და საბოლოო მონაცემებს 2016 წლისათვის. საბოლოო მონაცემს ვაკლებთ საწყისს და ვყოფთ საწყისზე, მიღებულ შედეგს კი გამოვსახავთ პროცენტებში.

ცხრილი 15. მთლიანი დამატებული ღირებულების ზრდის ტემპი საქართველოს ტერიტორიული ერთეულების მიხედვით (2006-2016 წწ.)

ტერიტორიული ერთეული	მთლიანი დამატებული ღირებულების ზრდის ტემპი ტერიტორიული ერთეულების მიხედვით (2006-2016 წლებში)
გურია	-16,3%
სამცხე-ჯავახეთი	-15,8%
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	-5,0%
კახეთი	-5,0%
აჭარა	37,1%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-8,9%
ქვემო ქართლი	-22,5%
იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	-3,3%
თბილისი	2,5%

როგორც ვხედავთ, დედაქალაქის გარდა პრაქტიკულად ყველა რეგიონში შეინიშნება კლება, კერძოდ: ქვემო ქართლში - 22,5%-იანი კლებაა, გურიაში თითქმის - 16,3% კლებაა, სამცხე-ჯავახეთში - 15,8%-იანი, ხოლო სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში - 8,9%. დედაქალაქში ფიქსირდება 2,5% პროცენტის ზრდა, ხოლო აჭარაში კი 37,1%-იანი ზრდა. დემოგრაფიული პროცესები პირდაპირ აისახება რეგიონის მთლიანი დამატებული ღირებულების ზრდის ტემპზე.

ცხრილი 16. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთლიანი დამატებული ღირებულების ზრდის ტემპი ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით (2006-2016 წწ.)

ეკონომიკური საქმიანობის კატეგორიები	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების ზრდის ტემპი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით 2006-2016 წლებში (%)
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა	-57,8%
მრეწველობა	18,4%
პროდუქციის გადამამუშავება შინამეურნეობების მიერ	-30,9%
მშენებლობა	5,5%
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	13,8%
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	-56,1%
სახელმწიფო მმართველობა	-26,6%
განათლება	15,2%
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	33,6%
მომსახურების სხვადასხვა სახეები	71,8%

აჭარის არ შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების ზრდის ტემპი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით 2006-2016 წლებში წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში 16-ზე. ცხრილის შესაბამისად დგინდება, რომ უკანასკნელ წლებში ისეთ ეკონომიკური საქმიანობებზე, როგორცაა: სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, თევზჭერა, მეთევზეობა (-57,8%); პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ (-30,9%); ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (-56,1%); სახელმწიფო მმართველობა (-26,6%) ადგილი აქვს მთლიანი დამატებული ღირებულების კლებას. თუმცა საერთო ჯამში ამ წლებში აჭარაში დაფიქსირებული 37,1% ზრდა განპირობებულია ძირითადად მომსახურეობის სხვადასხვა სახეებზე მოსული მთლიანი დამატებული ღირებულების ზრდის მაღალი ტემპით (71,8%).

ამრიგად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკისა და მოსახლეობის სტრუქტურის ურთიერთკავშირის სრულყოფილი ანალიზისათვის საჭიროა შემუშავდეს მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრის ისეთი მოდელი, რაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მისცემს მის ხელთ არსებული, ეკონომიკური რესურსების პოტენციალის ამოქმედებისა და რესურსის მოზიდვის საშუალებას.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, იქმნება ობიექტური აუცილებლობა იმისათვის, რათა მოხდეს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საქმიანობის მოტივაციის ღონისძიებათა პერმანენტული სრულყოფა. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოსახლეობის ადგილობრივი წარმოების პროდუქციით უზრუნველყოფის პრობლემა შეიქმნა 1990–იანი წლებიდან და ის სამწუხაროდ დღემდეც მძაფრად დგას. იმპორტზე დამოკიდებულების მაღალი დონის გამო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა გახდა ნაკლებად მსყიდველობითუნარიანი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის დარგობრივმა სტრუქტურამ მკვეთრი დეფორმაცია განიცადა. მე-20–ე საუკუნის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში შობადობაზე გავლენას ახდენდა რელიგიური ფაქტორი. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ამ მოვლენებმა გამოიწვია ის, რომ მოსახლეობაში გაიზარდა ხანდაზმული მოსახლეობის წილი. ამალდა მოკვდავობის დონე,

საქართველოს რეგიონთაგან ყველაზე მაღალი ზრდის კოეფიციენტით გამოირჩევა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. თუ გადავხედავთ შობადობის დონეს აჭარაში, მე-20 საუკუნეში მაღალი იყო საქართველოს საშუალო მაჩვენებელთან შედარებით. სოფლები იცლება ახალგაზრდებისგან, უარესდება მისი ასაკობრივი

სტრუქტურა და სოფლად სოციალურ-ეკონომიკური პირობებიც საგრძნობლად დაბალია ქალაქთან შედარებით. საქართველოს დანარჩენ რეგიონებში სოფლად გარდაცვალება ბევრად უფრო მეტია, ვიდრე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

თუ არ გატარდა კომპლექსური ღონისძიებები სახელმწიფოს მხრიდან, ბუნებრივი მატების ეს რეზერვიც ამოიწურება და აჭარა ვეღარ შეძლებს შეავსოს ქვეყნის მოსახლეობის ბუნებრივი მატების დეფიციტი. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, სადაც ურბანიზაციის დონე მაღალია, ჩვენი ქვეყნის სხვა რეგიონებთან შედარებით უმუშევრობის უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში 2008 წლის შემდეგ, მსოფლიო საფინანსო კრიზისის მთელი ციკლის განმავლობაში დასაქმების სტაბილური ზრდა დაფიქსირდა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისიდან დღემდე მოსახლეობის ყოველწლიური ბუნებრივი ზრდა აღინიშნა სწორედ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

დასკვნები

- კლასიფიცირებულია მოსახლეობის განსაზღვრის რაოდენობრივი მეთოდები, როგორცაა: ეკონომიკურ-დემოგრაფიული პროგნოზი, მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურის ცვლილების შესწავლა, მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის შესწავლა მოსახლეობის დემოგრაფიული მოდელების შესწავლა (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის სტოქასტური და იმიტაციური მოდელები; მოსახლეობის სტაციონარული მოდელი; მოსახლეობის ცვლილების აღწერის ექსპონენციალური მოდელი; ლოგარითმული მოდელი და სტაბილური მოდელი).
- ნაჩვენებია, რომ ამ მოდელებს შორის მოსახლეობის ცვლილების აღწერის ექსპონენციალური მოდელის უპირატესობა მდგომარეობს, ბუნებრივი მატების მაჩვენებლების უცვლელობაში, რაც საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდაზე ან შემცირებაზე. ეს მაჩვენებელი არის ყველაზე პრაქტიკული პარამეტრი, რომელიც მოსახლეობის ცვლილების ეფექტიანად აღწერის საშუალებას წარმოადგენს.
- შეფასებულია შობადობის, მოკვდავობის და ბუნებრივი მატების კოეფიციენტების განაწილება, როგორც მთლიანად საქართველოს, ასევე კონკრეტული რეგიონების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ რეგიონთაგან ბუნებრივი მატების ყველაზე მაღალი კოეფიციენტით გამოირჩევა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებლით კი - რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი.
- გაანალიზებულია მოსახლეობის სტატისტიკურ-რაოდენობრივი შეფასების ისეთი მოდელები, როგორცაა: მოსახლეობის კვაზი-სტაბილური მოდელი; მალთუსის მოდელი; მოსახლეობის სტაბილური მოდელი; მოსახლეობის პროგნოზირება ექსპონენციალური მოდელის საფუძველზე; პროგნოზირება დემოგრაფიული მოდელების საშუალებით; პროგნოზირება დინამიკის სტატისტიკური მახასიათებლების მიხედვით.
- ხაზგასმულია, რომ მოსახლეობის აღრიცხვიანობის სტაბილურმა მოდელმა შექმნა ახალი ერა მოსახლეობის აღწარმოების მეთოდური განვითარების

კუთხით და გახდა დემოგრაფიული პროცესების ანალიზის საბაზო საფუძველი. თუ საკმარისად დიდი დროის პერიოდში მოსახლეობაში არ იცვლება შობადობისა და მოკვდავობის ზრდის კოეფიციენტი, მაშინ ბუნებრივი ზრდის ნამდვილი კოეფიციენტი მუდმივი სიდიდეა.

- ნაჩვენებია, რომ დინამიკის სტატისტიკური მახასიათებლების მიხედვით მოსახლეობის პროგნოზირების მოდელის გამოყენება ხელს შეუწყობს ეკონომიკის აბსოლუტური მატების, ეკონომიკური ზრდის საშუალო ტემპისა და ეკონომიკის ნაზრდის მატების საშუალო ტემპის დადგენას.
- 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ (ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის გარდა) 3 720,4 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 0,18 პროცენტით მეტია. ხაზგასმულია, რომ მოსახლეობის რაოდენობის ზრდაზე გავლენა მოახდინა 2016 წლის ბუნებრივი მატების მაჩვენებელმა ქვეყნის მოსახლეობის 57,2 % (2 128,5 ათასი კაცი) ცხოვრობს ქალაქში, ხოლო 42,8 % (1 591,9 ათასი კაცი) - სოფელში. წინა წელთან შედარებით მამაკაცების წილი მთელ მოსახლეობაში 0,1 %-ით გაიზარდა და 1 781,5 ათასი კაცი შეადგინა, ხოლო ქალების წილი 0,2 %-ით შემცირდა და 1 936,7 ათასი შეადგინა. საქართველოს მოსახლეობის 47,9 % მამაკაცი, ხოლო 52,1 % - ქალია.
- კლასიფიცირებულია მოსახლეობის შემადგენლობა შემოსავლის წყაროს მიხედვით (დასაქმებული მოსახლეობა, გარე და შინამეურნეობაში დაკავებულები; კერძო მეურნეობაში დაკავებულები; სტიპენდიანტები; პენსიონერები და სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფი; სხვა შემოსავლის წყაროს მქონენი; სხვა პირთა კმაყოფაზე მყოფი). დასაქმებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოსახლეობის ცხოვრების დონე და შემოსავლები. კლასიფიცირებულია აგრეთვე ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის სახეები, უმუშევრობის სახეები და დასაქმების დემოგრაფიული ფაქტორები.
- შეფასებულია საქართველოს მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლები 2016 წლისათვის და შედარებულია ის 2005 წლის ანალოგიურ მონაცემებთან. ანალიზმა ცხადყო, რომ 2005 წელთან შედარებით 2016 წელს

(ანუ 11 წლის განმავლობაში) საშუალო თვიური შემოსავალი გაიზარდა 3-ჯერ და შეადგინა 1072,3 მლნ ლარი, რაც ერთ შიდა მეურნეობაზე გადაანგარიშებით შეადგენს 1042.2 ლარს. დროის ამ ინტერვალში 3-ჯერ გაიზარდა ასევე საშუალო თვიური შემოსავლები ერთ შინამეურნეობაზე. თავის მხრივ, საშუალო თვიური შემოსავლები ერთ სულზე გადაანგარიშებით 2016 წელს შეადგენდა 294.5 ლარს, რაც 3,19-ჯერ აღემატება 2005 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების, ისევე, როგორც ერთ შიდა მეურნეობაზე, ასევე 1 სულზე, მინიმუმ გასამმაგდა.

- შეფასებულია საქართველოს დასაქმების დონე. ბოლო 12 წლის მანძილზე (2004 წლიდან 2016 წლის ჩათვლით) საშუალოდ დასაქმების დონე 52-59% ფარგლებში მერყეობს. ქალთა დასაქმების მაჩვენებელი 44-51% ფარგლებშია მოქცეული, ხოლო მამაკაცების კი 61-67%-ს აღწევს. საშუალოდ უმუშევრობის დონე 11-17%-ია. თუ წლების მიხედვით გავანალიზებთ, უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (16,9%) და შესაბამისად დასაქმების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (52,8%) 2008-2009 წლებს შეესაბამება. ამ მაჩვენებლებზე გავლენა მოახდინა 2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა. ტრადიციულად მაღალია მამაკაცების დასაქმების დონე ქალების დასაქმების დონესთან შედარებით.
- შეფასებულია საქართველოს მოსახლეობის უმუშევრობის დონე. 2016 წელს უმუშევრობის დონე 2015 წელთან შედარებით 0.2 %-ით შემცირდა და 11.8 % შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წელს უმუშევრობის დონემ ბოლო 13 წლის მანძილზე ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია. 2016 წელს ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 54.3% შეადგინა. წინა წელთან შედარებით მოსახლეობის აქტიურობის დონე გაიზარდა 1.3%-ით, ხოლო დასაქმების დონე 0.2%-ით. 2016 წელს საქართველოს ქალაქის ტიპის დასახლებებში დასაქმების დონე შემცირდა 0.5%-ით, ხოლო სოფლის

ტიპის დასახლებებში - 0.1%-ით, წინა წელთან შედარებით აქტიურობის დონე ქალაქის ტიპის დასახლებებში შემცირებულია 0.8%-ით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში - 0.1%-ით. უმუშევრობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირებულია კახეთის რეგიონში (5,2%), შემდეგ შიდა ქართლში (8,2%). ცხადია ეს ორი რეგიონი საქართველოს ყველაზე მდიდარი რეგიონებია, რომლებშიც დასაქმების ძირითადი სფეროა მევენახეობა, სოფლის მეურნეობა. 2016 წელს 2015 წელთან მიმართებაში უმუშევრობის დონე ქალაქის ტიპის დასახლებებში შემცირდა 0.4%-ით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში პირიქით გაიზარდა 0.2%.

- მნიშვნელოვანია მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის შესწავლა ასაკის მიხედვით. უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი შეიმჩნევა 15–19 წლის ასაკობრივ ჯგუფში (31,9%), რომელსაც შემდეგ მოყვება 20–24 წლის ასაკობრივი ჯგუფი (30%-ით). ზოგადად ასაკის ზრდის კვალდაკვალ უმუშევრობის დონე კლებულობს, გამონაკლისს წარმოადგენს 50–54 წლის ასაკობრივი ჯგუფი, სადაც უმუშევრობის დონე, წინა ჯგუფის 9,7%-დან გაიზარდა 11,9%-მდე, ხოლო შემდეგ კი კვლავ კლებას განიცდის ამასთან ერთად, ისეთ ასაკობრივ ჯგუფთა წილის ზრდა, რომელშიც დასაქმება შედარებით მაღალია, განაპირობებს მთლიან მოსახლეობაში დასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდას. საქართველოში მოსახლეობის ეკონომიკურად აქტიური ნაწილი შრომისუნარიანი ასაკის მქონე ადამიანთა საერთო ოდენობის 2/3-საც კი ვერ შეადგენს, რაც ევროკავშირის მაჩვენებელს (70%) ჩამორჩება.
- ნაჩვენებია, რომ სამუშაო ძალის რაოდენობაზე გავლენას ახდენს ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა და გარე მიგრაცია. 2016 წელს ემიგრანტების რიცხოვნობამ 98,3 ათასი კაცი შეადგინა, რაც 2015 წლის მაჩვენებელზე 2,4%-ით მეტია. იმავე პერიოდში იმიგრანტების რიცხოვნობა წინა წელთან შედარებით 2,5% შემცირდა და 90,2 ათასი კაცი შეადგინა. საქართველოში ემიგრანტ მამაკაცთა ყველაზე მეტი აქტიურობა შეიმჩნევა 25–29 წლების ასაკში. ემიგრანტების 65% ქართველია, 8%–რუსი, 3%–თურქი, 7%–სომეხი და ა. შ., ხოლო იმიგრანტთა შორის 45% ქართველია

10%–რუსი, 6%–თურქი, 5%– სომეხი და ა. შ. ემიგრირებულთა და იმიგრირებულთა საერთო რაოდენობაში ქართველთა მაღალი ხვედრითი წილი განპირობებულია სამუშაოს მაძიებელთა მხრიდან უცხოეთში ახალი სამუშაო ადგილების ძებნის ან სამშობლოში დაბრუნების პროცესით.

- შეფასებულია უმუშევრობის დონე რეგიონულ ჭრილში და ნაჩვენებია, რომ იგი გაზრდილია იმერეთის, თბილისისა და შიდა ქართლის რეგიონებში. თბილისში, სადაც უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია, აღნიშნული მაჩვენებელი 0.6%–ით არის გაზრდილი, ხოლო იმერეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში შესაბამისად 2.0 და 0.2 %-ით. უმუშევრობის დონე ყველაზე მეტად შემცირებულია სამეგრელო-ზემო სვანეთში და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, შესაბამისად 2.5 და 2.1 %-ით.
- გაანალიზებულია საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ცვლილების ტენდენცია. სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2000–2016 წლებში იზრდებოდა. დროის ამ ინტერვალში კერძო სექტორში დასაქმებულებს უფრო მეტი ანაზღაურება ჰქონდათ, ვიდრე სახელმწიფო სექტორში დასაქმებულებს. კერძოდ, საჯარო სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2000 წელს თუ შეადგენდა 94,8 ლარს 2016 წელს მან მიაღწია 945,1 ლარს, ანუ თითქმის 10–ჯერ გაიზარდა. კერძო სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2000 წელს თუ შეადგენდა 66,6 ლარს 2016 წელს მან მიაღწია 825,6 ლარს, ანუ დროის ამ ინტერვალში კერძო სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 12,4–ჯერ გაიზარდა. ეს ზრდის საკმაოდ მაღალი ტემპია უახლოესი 16 წლის განმავლობაში.
- დასაბუთებულია, რომ მოსახლეობის დასაქმების გრაფიკული მეთოდები, როგორცაა: პირამიდა, კვადრატული და სამკუთხედური სტრუქტურული დიაგრამა წარმოადგენს ღირებულ ინსტრუმენტს ეკონომიკაში დასაქმებულთა დინამიკის შესწავლისას. ასევე მნიშვნელოვანია დასაქმებული მოსახლეობის შემადგენლობის კვლევა ე.წ. ბალანსური

მეთოდის საფუძველზე, რომლის არსიც მდგომარეობს სხვადასხვა დასაქმებული და დაუსაქმებელი ჯგუფების სტრუქტურული კავშირების აგებაში. წარმოდგენილია ბალანსური ცხრილების ნიმუშები, რომელიც ფართო შესაძლებლობას იძლევა ეკონომიკაში მნიშვნელოვანი პროპორციების დადგენის თვალსაზრისით.

- ნაჩვენებია, რომ დასაქმებული მოსახლეობის პროგნოზირებისას პროიორიტეტი მივანიჭოთ პროგნოზირების ექსტრაპოლაციის მეთოდს, რომელიც სხვა მეთოდებთან შედარებით, ასაკისა და სქესის კოჰორტების (დაჯგუფებების) მიხედვით საშუალებას გვაძლევს მივიღოთ უფრო ადეკვატურ ინფორმაცია სახელმწიფოს მოსახლეობის დასაქმების ევოლუციის შესახებ.
- გაანგარიშებულია 2015–2016 წლებში საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების ოპტიმალური ნეტო-კოეფიციენტი, რომელიც შეადგენს შესაბამისად 0,997-0,992-ს. ხაზგასმულია ოპტიმალური ნეტო-კოეფიციენტის გათვლების უარყოფითი მხარე, კერძოდ ის გარემოება, რომ ოპტიმალურობის კრიტერიუმის რანგში გამოიყენება მხოლოდ მოსახლეობის ერთ სულზე ხარჯების ფარდობა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, ხოლო ცხოვრების დონის აბსოლუტური სიდიდის ცვლილება მხედველობაში არ მიიღება.
- ჩატარებულია ოჯახის, როგორც დემოგრაფიული სტრუქტურის ძირითადი ელემენტის ინტერნეტ გამოკითხვა, . დადგინდა, რომ საქართველოში არსებული ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებას, მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური მხარდაჭერის სათანადო პირობების შექმნას და საჭიროებს გაუმჯობესებას ევროკავშირის წევრი- სახელმწიფოების პრაქტიკის გათვალისწინებით. გამოკითხულთა 36%-ის ოჯახის წევრების ოდენობა შეადგენს 4-ს, ამ ოჯახებში ბავშვთა რაოდენობა არ აღემატება 2-ს. გამოკითხვაში მონაწილეობას ძირითადად ახალგაზრდა ოჯახები იღებდნენ 21-40 წლამდე ასაკის, ანუ ის რესპოდენტები, რომლებიც აქტიურად იყენებს ინტერნეტს და სოციალურ ქსელებს. გამოკითხულთა 34.42% -ის თვითური

შემოსავალი ოჯახში 2000-მდეა, 30.55%-ს კი ჯამური შემოსავალი 2000 ლარზე მეტი აქვს, 35.03%-ს - შემოსავალი 1000 ლარზე ნაკლებია. ხარჯებს თუ შევადარებთ, გამოკითხულთა 32.58%-ის თვიური ოჯახური ხარჯები 2000 ლარამდეა, 17.21% თავს უფლებას აძლევს ხარჯები ქონდეს 2000 ლარზე მეტი. ჯამში 50.02%-ის თვიური ოჯახური ხარჯი არ აღემატება 1000 ლარს, ანუ საშუალოდ მათი ხარჯი 400 \$-ია. გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა დასაქმებულია, კერძოდ 40.82% საჯარო სექტორში, ხოლო 35.1% კერძო სექტორში, გამოკითხულთა 23,65% ან დროებით უმუშევარია ან საუკეთესო შემთხვევაში თვითდასაქმებით ირჩენს თავს. 76.23% დასაქმებულია საცხოვრებელი ადგილის მახლობლად, ხოლო 23.77% დასაქმებულია საცხოვრებელი ადგილის მოშორებით ან ქვეყნის გარეთ. განათლების კრიტერიუმის მიხედვით გამოკითხულთა უმრავლესობას აქვს მიღებული ტექნიკური განათლება (30.42%), ხოლო აბსოლუტურ უმცირესობას სიცოცხლის შემსწავლელი დარგის მიმართულებით (4.38%). 39%-ის ოჯახური შემადგენლობა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში უცვლელია, ხოლო 67.43%-ის რაოდენობა გაიზარდა აოჯახის წევრის დაოჯახების და შობადობის ხარჯზე.

- 2006-2016 წლებში დასაქმებული მოსახლეობის წილი ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში ვარირებდა 75%-87% შუალედში, ამასთან უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით კი 2016 წელს მან მი აღწია რეკორდულ მაჩვენებელს 87,0 %-ს. დაქირავებული მოსახლეობა 27%-40% შუალედში ვარირებს, ხოლო თვითდასაქმებული მოსახლეობის წილი კი 47%-55% შუალედში, უმნიშვნელოა გაურკვეველი საქმიანობის მქონე მოსახლეობის წილი - მაქსიმუმ 0.2% და ბოლოს უმუშევართა წილი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობიდან მერყეობს 13%-25% შუალედში, ამასთან უკანასკნელ წლებში უმუშევართა პროცენტული წილი კლებულობს და 2016 წლისათვის რეკორდულად მინიმალურ მაჩვენებელს 13%-ს აღწევს.
- შეფასებულია დასაქმების დონე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. 2006-2016 წლებისათვის დასაქმების დონე მერყეობს 36%-60% შუალედში, ხოლო ეკონომიკური აქტიურობის დონე კი - 50%-71% შუალედში. დასაქმებისა და

ეკონომიკური აქტიურობის დონეების მიხედვით მინიმალური მაჩვენებელი ფიქსირდება 2007 წელს - 36.4% და 48.8%, ხოლო მაქსიმალური მაჩვენებელი დასაქმების დონის მიხედვით გვაქვს 2015 წელს - 60.1%, ეკონომიკური აქტიურობის დონის მიხედვით 2012 წელს - 71.1%.

- საინტერესო შედეგები მოგვცა შრომისუნარიანი მოსახლეობის წილის ანალიზმა სქესობრივი და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. კერძოდ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი შეადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საერთო მოსახლეობის 64.7%, რომელშიც პრაქტიკულად ნახევარს ქალები, ხოლო ნახევარს მამაკაცები შეადგენს. ქალაქებში შრომისუნარიანი მამაკაცების წილი დაახლოებით 1%-ით ნაკლებია ქალებზე, ხოლო სოფლად კი პირიქით. ეს ტენდენცია პრაქტიკულად შენარჩუნებულია მთელი საქართველოს მასშტაბით (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა, რომელთა მონაცემებიც არ გაგვაჩნია). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებში შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი ჯამში შეადგენს 36.2%, სოფლად ოდნავ ნაკლებია და შეადგენს - 28.5 %-ს, მაშინ როდესაც უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის წილი საქართველოს მთლიან მოსახლეობაში სტაბილურად იზრდება 8,62%-დან 9.12%-მდე.
- ყურადსაღებია ხულოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კლება 9%-დან 6%-მდე, შუაქვეის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კლება 5,8%-დან 4%-მდე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კლება 23.5%-დან - 19.9%-მდე. რაც შეეხება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს რომლის მოსახლეობის კლებაც ამ გრაფიკის მიხედვით ასევე აშკარაა (24.2%-დან მცირდება 13.8%-მდე), აქ საქმე გვაქვს რიგ ობიექტურ პროცესებთან. ერთ-ერთი ამ პროცესთაგანია ხელვაჩაურის ტერიტორიების ქალაქ ბათუმისათვის მიკუთვნება. ბუნებრივია, ქალაქ ბათუმის განვითარების გეგმა სავარაუდოდ გაფართოებასაც გულისხმობს. 2012 წლიდან ქალაქ ბათუმის გაფართოება ხორციელდება მოსაზღვრე მუნიციპალიტეტის - ხელვაჩაურის ტერიტორიების ხარჯზე. ხელვაჩაურის მოსახლეობის ნაწილი

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უკვე ქალაქს მიეკუთვნა. შესაბამისად ქალაქის მოსახლეობის ზრდაც 32.3%-დან 41.1%-მდე ნაწილობრივ სწორედ ამით არის განპირობებული. თუმცა აშკარაა, რომ ქალაქის მოსახლეობა იზრდება ამ ტერიტორიული ცვლილებების გარეშე და პრაქტიკულად აჭარის არ-ის მოსახლეობის სტაბილური ზრდაც სწორედ ქალაქ ბათუმის მოსახლეობაზე მოდის.


- მთლიანი შიგა პროდუქტის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დედაქალაქის გარდა პრაქტიკულად ყველა რეგიონში შეინიშნება კლება, კერძოდ: ქვემო ქართლში - 22,5%-იანი კლებაა, გურიაში თითქმის - 16,3% კლებაა, სამცხე-ჯავახეთში - 15,8%-იანი, ხოლო სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში - 8,9%. დედაქალაქში ფიქსირდება 2,5% პროცენტის ზრდა, ხოლო აჭარაში კი 37,1%-იანი ზრდა. დემოგრაფიული პროცესები პირდაპირ აისახება რეგიონის მთლიანი დამატებული ღირებულების ზრდის ტემპზე.
- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში უკანასკნელ წლებში ისეთ ეკონომიკური საქმიანობებზე, როგორცაა: სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, თევზჭერა, მეთევზეობა (-57,8%); პროდუქციის გადამამუშავება შინამეურნეობების მიერ (- 30,9%); ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (- 56,1%); სახელმწიფო მმართველობა (-26,6%) ადგილი აქვს მთლიანი დამატებული ღირებულების კლებას. თუმცა საერთო ჯამში ამ წლებში აჭარაში დაფიქსირებული 37,1% ზრდა განპირობებულია ძირითადად მომსახურეობის სხვადასხვა სახეებზე მოსული მთლიანი დამატებული ღირებულების ზრდის მაღალი ტემპით (71,8%).
- დასაბუთებულია, რომ ქვეყანაში პრაქტიკულად არ შეიმჩნევა ტექნიკური პროგრესი, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დემოგრაფიული ინვესტიციების განხორციელებაზე.

რეკომენდაციები

- საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ადგილობრივი ბიუჯეტიდან მრავალშვილიანების დახმარების მნიშვნელოვნად განსხვავებული სტანდარტი არსებობს. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა დაიწყოს კვლევაში წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება და ასახოს ისინი სტრატეგიულ დოკუმენტში. თუ არაფერი შეიცვალა ქვეყანაში, კრიზისი 40-50 წლის შემდეგ პიკს მიაღწევს და მოსალოდნელია დემოგრაფიულ კატასტროფა.
- აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს სოციალურ-დემოგრაფიული თვალსაზრისით მძიმე მდგომარეობაში მყოფ ჯგუფებს, ახალგაზრდა, დემოგრაფიულად მზარდ ოჯახებს. საქართველოსთვის მთავარ დემოგრაფიულ პრობლემად რჩება ქვეყანაში დაწყებული მოსახლეობის შემცირების შეჩერება და მარტივი აღწარმოების უზრუნველყოფა ანუ თაობათა განახლება ერთი და იგივე რაოდენობით. შობადობის გაზრდისათვის დასახული ღონისძიებები იმ რეგიონებში უნდა გატარდეს, სადაც დემოგრაფიული მაჩვენებლები ჩამორჩება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს. დახმარება ოჯახებს უნდა გაეწიოს ბავშვთა რაოდენობის მიხედვით, როგორც ერთჯერადად, ისე ყოველთვიურად. მოსახლეობის დასაქმების და უმუშევრობის მაჩვენებლების პროგნოზირება მოითხოვს გამართულ მეთოდოლოგიურ მიდგომას. საჭიროა სისტემურად ჩატარდეს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დემოგრაფიული ანალიზი, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს რეგიონის ეკონომიკურ პარამეტრებს. იმავდროულად აუცილებელია ხელისუფლებამ მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დემოგრაფიული ანალიზის საფუძველზე მიღებული შედეგების მიხედვით აწარმოოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური პარამეტრების კვლევა;
- მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზის დემოგრაფიული ასპექტები ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელებმა უნდა გამოიყენონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დემოგრაფიული პროცესების განვითარების ტენდენციების დადგენისათვის.


- მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის კანონზომიერებების შესწავლის მიზნით საჭიროა სრულყოფილად შეფასდეს მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურის ცვლილებათა შედეგები, რადგანაც საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 60% წარმოადგენს ეკონომიკურად აქტიურ შრომით რესურსს, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის შეფასებისას;
- ეკონომიკური დემოგრაფიის მეცნიერული რეკომენდაციების გათვალისწინებისა და მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურის საფუძველზე უნდა განხორციელდეს საქართველოს ეკონომიკურ სივრცეში მოქმედი შრომის ბაზრის პრობლემების სიღრმისეული შესწავლა
- საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული პროცესების რაოდენობრივი ანალიზი იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს დეცენტრალიზაციისაკენ სწრაფვა, როგორც დასაქმების დონის ამაღლების ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალება. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, თუ რეგიონებში არსებობს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობა, შრომითი რესურსის მიზანმიმართული დეცენტრალიზაცია შესაძლოა გახდეს ერთი მხრივ რეგიონების განვითარების, მეორე მხრივ, უმუშევრობის დონის შემცირების საფუძველი. თუმცა საკითხი კომპლექსურია და მოითხოვს კიდევ უფრო დეტალურ განხილვას.
- საქართველოს მასშტაბით მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის ასაკობრივ ჭრილში შესწავლით დადგენილ იქნა, რომ აქტივობის დონე იზრდება 45-49 წლამდე, ხოლო შემდეგ მცირდება, დასაქმების დონე კი იზრდება 40-44 წლამდე, რის შემდეგაც იწყება დაცემა. აქედან გამომდინარე ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს ახალგაზრდა, კადრების დასაქმებას, რათა არ მოხდეს ახალგაზრდა ინტელექტუალური კაპიტალის უცხოეთში ემიგრაცია.

Q1 - თქვენი ოჯახის წევრების რაოდენობა?




#	პასუხები	%	რესპოდენტთა რაოდენობა
1	2	7.09%	35
2	3	16.60%	82
3	4	31.78%	157
4	5	20.65%	102
5	5 ზე მეტი	23.89%	118
	ჯამი	100%	494

Q2 - მიუთითეთ თქვენი ასაკი?




#	პასუხები	%	რესპოდენტთა რაოდენობა
1	15-20	12.10%	60
2	21-30	33.27%	165
3	31-40	35.08%	174
4	41-50	13.31%	66
5	51-60	5.24%	26
6	61 და მეტი	1.01%	5
	ჯამი	100%	496

Q3 - თქვენი ოჯახის ჯამური თვიური შემოსავალი შეადგენს?




#	პასუხები	%	რესპოდენტთა რაოდენობა
1	0-100 ლარი	0.61%	3
2	101-500 ლარი	9.78%	48
3	501-1000 ლარი	24.64%	121
4	1001-2000 ლარი	34.42%	169
5	2001 და მეტი	30.55%	150
	ჯამი	100%	491

Q4 - რამდენია თქვენი ოჯახის ჯამური თვიური ხარჯი?




#	პასუხები	%	რესპოდენტთა რაოდენობა
1	0-100 ლარი	0.82%	4
2	101-500 ლარი	13.11%	64
3	501-1000 ლარი	36.27%	177
4	1001-2000 ლარი	32.58%	159
5	2001 და მეტი	17.21%	84
	ჯამი	100%	488

Q5 - მითითეთ თქვენი დასაქმების სფერო...




#	პასუხები	%	რესპოდენტთა რაოდენობა
1	საჯარო სამსახური	40.82%	200
2	კერძო სექტორი	35.51%	174
3	თვითდასაქმება	5.31%	26
4	დროებით უმუშევარი	17.35%	85
5	შრომის უუნარო	1.02%	5
	Total	100%	490

Q6 - მიუთითეთ თქვენი შრომითი საქმიანობის ადგილი...




#	პასუხები	%	რესპოდენტთა რაოდენობა
1	საცხოვრებელი ადგილის მახლობლად	76.23%	340
2	საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით სხვა რეგიონში ან ქალაქში	17.04%	76
3	საზღვარგარეთ	6.73%	30
	ჯამი	100%	446

Q7 - მიუთითეთ თქვენი განათლების სფერო...




#	პასუხები	%	რესპოდენტთა რაოდენობა
1	აკადემიური სფერო, განათლება-აღზრდა	25.83%	124
2	ჰუმანიტარული დარგი	23.13%	111
3	ტექნიკური დარგი	30.42%	146
4	სიცოცხლის შემსწავლელი დარგი	4.38%	21
5	საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგი	16.25%	78
	ჯამი	100%	480

Q8 - უკანასკნელ 10 წელიწადში ოჯახის წევრების მატების მიზეზი არის (შეგიძლიათ აირჩიოთ რამოდენიმე პასუხი)...



#	პასუხები	%	რესპოდენტთა რაოდენობა
1	შობადობა	40.87%	197
2	ოჯახის წევრის მიერ ახალი ოჯახის შექმნა	26.56%	128
3	ემიგრაციიდან ოჯახის წევრის დაბრუნება	1.04%	5
4	რაოდენობა უცვლელია	39.00%	188
	ჯამი	100%	482

Q9 - უკანასკნელ 10 წელიწადში ოჯახის წევრების შემცირების მიზეზი არის
(შეგიძლიათ აირჩიოთ რამოდენიმე პასუხი)...



#	პასუხები	%	რესპოდენტთა რაოდენობა
1	მოკვდავობა	28.18%	135
2	ოჯახის წევრის მიერ ახალი ოჯახის შექმნა და განცალკევება	10.65%	51
3	მიგრაციის შედეგად ოჯახის წევრის გამგზავრება	6.05%	29
4	რაოდენობა უცვლელია	58.25%	279
	ჯამი	100%	479

გამოყენებული ლიტერატურა

1. **გაერო...2017**– გაერო–გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. <http://www.ungeorgia.ge/geo/#.WFUyO9KLSUk>
2. **გელაშვილი...2013** - გელაშვილი ს., შონია ზ., ქინქლაძე რ. ლექციების კურსი “სოციალური სტატისტიკა”. თბილისი, გვ. 79
3. **გველესიანი 2000** – გველესიანი მ. ეკონომიკსი. თბილისი
4. **გოგობია 1998** – გოგობია რ. გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური პრიორიტეტები. გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფისათვის. ე. მექვაბიშვილისა და რ. გოგობიას რედაქტორობით. თბ. 1998.
5. **გუგუშვილი 1973** - გუგუშვილი პ. საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. გამომცემლობა „მეცნიერება“, 1973.
6. **დემოგრაფიისა...2015** - დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები. შრომების კრებული. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2015.
7. **დემოგრაფიისა...2017** - დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები. შრომების კრებული. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2017.
8. **ეკონომიკის...2000** – ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების შესახებ (მეთოდოლოგიური მიდგომა). "შრომები". თბილისი, 2000
9. **ზურაბიშვილი 2006** – ზურაბიშვილი თ., თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში, სალექციო კურსი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბ., გვ. 1-111
10. **თოთაძე...2012** – თოთაძე ა., აჭარის მოსახლეობა. გამომცემლობა „უნივერსალი“ თბ., წ. გვ. 17
11. **კეინსი 1995** –კეინსი ჯ. დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია. თბილისი
12. **კარლსონი 2017** - კარლსონი ა. ამერიკული ოჯახი, გუშინ, დღეს, ხვალ. ილისას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, 2017.

13. **ლინტერტი 2001** – ლინტერტი პ. ჰ. საერთაშორისო ეკონომიკა, სახელმძღვანელო, გამომცემლობა სიახლე, თბილისი, გვ-365
14. **მაკკონელი 1993** – მაკკონელი კ., ბრიუ ს.. ეკონომიკისი. ნაწ. II. თბ., გვ.518-818;
15. **მესხია...1996** - მესხია ი., მურჯიკნელი მ. ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. თბილისი
16. **მექვაბიშვილი 1996** - მექვაბიშვილი ე. სახელმწიფო და ეკონომიკა. თბ.;
17. **პაპავა 1995** - პაპავა ვ. საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზაზე. თბ.;
18. **პაპავა 1995** - პაპავა ვ. შოკური თერაპიის ქართული ვარიანტი. თბილისი.
19. **პაპავა 2005** - პაპავა ვ. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.
20. **პაპავა 2002** - პაპავა ვ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბილისი.
21. **რიკარდო 1937** - რიკარდო დ. პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები. თბილისი
22. **საინფორმაციო...2017** – საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო „თეთრები“. <http://www.tetrebi.org>.
23. **საქართველოს დემოგრაფიული...2010** - საქართველოს დემოგრაფიული განვითარების სოციალურ-დემოგრაფიული საოჯახო პოლიტიკა. დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2010
24. **საქართველოს დემოგრაფიული...2016** – საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია. საქართველოს პარლამენტის დადგენილება.
25. **საქართველოს 2015-2017....2017** – საქართველოს 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა. გვ. 9
26. **საქსტატი 2017** – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <http://www.geostat.ge/>
27. **საქართველოში ... 2016** – “საქართველოში მართლმადიდებელ მორწმუნეთა დამოკიდებულება სოციალურ-დემოგრაფიული ქცევისა და ოჯახის პრობლემებისადმი”. დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2016.

28. **სილაგაძე 2001** - სილაგაძე ა. ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
29. **სმიტი 1938** - სმიტი ა. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ (თარგმ ინგლისურიდან ფ. გოგიჩაიშვილის მიერ).. თბილისი.
30. **სულაბერიძე 2007** - სულაბერიძე ა. ფიქრები ქართულ ოჯახსა და დემოგრაფიაზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, 2007.
31. **სულაბერიძე ა., სულაბერიძე ვ... 2004** - სულაბერიძე ა., სულაბერიძე ვ. მოსახლეობის აღწარმოების უახლესი ტიპის, ფაზათაშორისი და ტიპთაშორისი გარდამავალი პერიოდის შესახებ. დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის შრომების კრებული. თბილისი, 2004 წ. ტ. 2. გვ. 62-76;
32. **სულაბერიძე 1986** - სულაბერიძე ა. „საქართველოს მთიანეთის დემოგრაფიული განვითარების პრობლემები“. თბილისი, 1986.
33. **შრომის...2017** – შრომის კოდექსი, მუხლი 3, პუნქტი 4, 5.
34. **წულაძე 2012** - წულაძე გ. დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. გაერთიანებული ერების მოსახლეობის ფონდი. თბილისი, 2012.
35. **წულაძე 2009** - წულაძე გ., მაღლაფერიძე ნ., სულაბერიძე ა. დემოგრაფია. გამომცემლობა: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.
36. **წულაძე 2015** - წულაძე გ., სულაბერიძე ა. დემოგრაფიის საფუძვლები. გამომცემლობა: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.
37. **წულაძე 2013** - წულაძე გ. საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები 2015-2300 წლები. გამომცემლობა: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2013.

38. **წულაძე...2016** - წულაძე გ., სულაბერიძე ა. საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული თავისებურებები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2016.
39. **წულაძე გ. 2011** - წულაძე გ. მსოფლიოს დემოგრაფიული განვითარება (1950-2050). თბილისი, 2011. გვ. 637-640.].
40. **ჭანიძე 2014** – ჭანიძე ქ. „ქრისტიანობის გავლენა დემოგრაფიაზე“ სამეცნიერო კონფერენციის მასალები. „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, გამომცემლობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი . ბათუმი, გვ.164-168
41. **ხადური 2009** - ხადური ნ. მაკროეკონომიკური პოლიტიკა, თბ.;
42. **ხმალაძე 2009** - ხმალაძე მ. დემოგრაფია, გამომც: „მერიდიანი“, თბილისი;
43. **ხმალაძე 2014** - ხმალაძე მ. დემოგრაფიის როგორც მეცნიერების წარმოშობა და განვითარება. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახ. უნივერსიტეტი, 14; . გვ. 26-37
44. **Андорк...1968** – Андорк Р. Милтент К. Рождаемость и ее факторы. – М.
45. **Боико 2003** - Боико А. И., Карманов М. В. Экономическая демография. Изд. Москва
46. **Институт....2016** – Институт демографии Национального исследовательского уни- верситета "Высшая школа экономики". [www.demoscope.ru/ weekly/ias/dic_grr.php](http://www.demoscope.ru/weekly/ias/dic_grr.php)
47. **Кваша 1974** – Кваша А.Я. Подробнее о демографическом оптимуме (понятие, кри- терий, параметры и др.) см.:Кваша А.Я. Проблемы экономико- демографического развития СССР - М.:Статистика, - 180 с
48. **Лотка...1974** - Лотка А. курс Демографии, II-ое Издан, изд. Статистика М, стр - 127
49. **Петти 1940** – Петти У, Экономические и статические работы, М, ст. 157
50. **Пирожков...1976** – Пирожков С.И. Демографические процессы и возрастная структура населения. Изд ..статистика” Москва, ст. 12-18.

51. **Сулаберидзе 1990** - Сулаберидзе А. Особенности демографического развития Грузии. Материалы Международной конференции «Актуальные проблемы демографического развития в Грузии». Тб., 1990.
52. **Aceleanua....2017** – Aceleanua, Mirela Ionela: A Historical Approach of the Population Role in the Economic Development. Theoretical & Applied Economics. Feb2010, Vol. 17 Issue 2, p123-132. 10p
53. **Advanced...2017** – Advanced Macroeconomics, Third Edition, David Romer, University of California, Berkly, 2206 IsBn-13: 978-0-07-287730-4;
54. **Anderson...1986** – Anderson, Katus, Silver, 1986
55. **Balan 2015** – Balan Feyza. Testing the Demographic - Economic Paradox for Newly Industrialized Countries: A Panel Data Analysis. Petroleum - Gas University of Ploiesti Bulletin, Technical Series. Vol. 67 Issue 2, p1-10. 10p. 7 Charts
56. **Beond...1996** – Beond G., Herman E.Daly, beacon Press. Boston
57. **Béraud...2012** – Béraud Alain. Economic, Social and Demographic Thought in the XIXth Century. The Population Debate from Malthus to Marx. Population (00324663). ene-mar2012, Vol. 67 Issue 1, p200-203. 4p;
58. **Boianovsky...2001** – Boianovsky M. Erreygers G. Chapter 5: Economists as demographers. Economics & Interdisciplinary Exchange. p117-149. 33p;
59. **Bourgeois-Pichat...1971**–Bourgeois-Pichat J. Stable, Semi-stable Population Growth potential <Population Studies>, vol XXV, 12.pg. – 2–26.
60. **Coal 1963** - Coal A.J. “Estimates of Various Demographic Measures through the Quasi- stable Age Distribution”. Emerging Technigues in Population Research, Milbank Memorial Fund pg. 77.
61. **Demographyc Yarbook...2015** – Demographyc yearbook of Georgia. Ilia State University, Institute of Demography and Sociology. Tbilisi, 2015.
62. **Demography...2017** – Demography as an Investment Opportunity. <https://www.allianz.com>

63. **Dalkhat...2008** – Dalkhat M. Ediev. Extrapolative Projections of Mortality: Towards a More Consistent Method Part I: The Central Scenario. Viena Institute of Demography,
64. **Discovering...2017** – Discovering Statistics Using SPSS, SAGE Publications Ltd, ISBN 0 76194451 6
65. **Employment/Population....2012**– Employment/Population Ratios for the 50 Largest Metropolitan Statistical Areas: 2008, 2009, and 2010. (2011, September). Retrieved December 10, from United States Census Bureau: <http://www.census.gov/prod/2011pubs/acsbr10-09.pdf>
66. **Fort...2005**– Fort, H. Pérez, N. Economic demography in fuzzy spatial dilemmas and power laws. European Physical Journal B -- Condensed Matter. Mar, Vol. 1, p109-113. 5p. 2 Color Photographs, 1 Chart, 2 Graphs;
67. **Jack 1996** – Jack R. Research Methods. Nation, Prentice Hall, Upper Saddle River, N.J.07458, byPrentice-Hall, Inc
68. **Jochen....2014**– M., Turnovsky S. Demography, growth, and inequality. Economic Theory. Jan, Vol. 55 Issue 1, p29-68. 40p. 3 Charts, 9 Graphs.
69. **Investopedia...2017**–
http://www.investopedia.com/terms/e/employment_to_population_ratio.asp
70. **Index...2017** – Index Mundi. <http://www.indexmundi.com/g/r.aspx?c=hk&v=31>
71. **Kelley...2005** – Kelley A. C. Schmidt, R. M. Evolution of recent economic-demographic modeling: A synthesis. Journal of Population Economics. Jun, Vol. 18 Issue 2, p275-300.
72. **Kim...2013** – Kim T. J., Hewings, Geoffrey J. D. Inter-regional endogenous growth under the impacts of demographic changes. Applied Economics. Aug, Vol. 45 Issue 24, p3431-3449. 19p. 32 Charts, 6 Graphs;
73. **Marchetti 1992** - Marchetti C. A Simple mathematical model of war events. History and measure. VII(3-4) 297
74. **McGuire 2012** – McGuire R. A. Demography, Disease, and Development: An Evolutionary Approach. Economic History of Developing Regions. Mar, Vol. 27, pS92-S107. 16p;

75. **Methodology...2017** – Methodology for the calculation of deseasonalised employment and unemployment data. <http://www.ine.es/>
76. **Methods...1996** – Methods R., Jack R. Nation, Prentice Hall, Upper Saddle River, N.J.07458, by Prentice-Hall, Inc. ISBN 0-02-386132-0
77. **Miloş...2011** – Miloş L. R. Corduneanu, C. AN ANALYSIS OF THE ECONOMIC CONSEQUENCES OF THE DEMOGRAPHIC TREND IN THE EUROPEAN UNION. Annals of Eftimie Murgu University Resita. Fascicle II, Economic Studies. p78-84.
78. **Myers 1941-** Myers R. I. The validity and significance of male net reproduction rates. - <Journal of American Statistical Association >,vol. 36. p 27.
79. **Pianka 2007** – Pianka E. R. (July 7). Exponential population growth. In *FS 301: The human overpopulation crisis*. Retrieved from <http://www.zo.utexas.edu/courses/THOC/ExponentialGrowth.htm>
80. **Problems of Demography ... 2016** – Problems of Demography and Sociology. Collection of works. Ilia State University, Tbilisi, 2016.
81. **Robert 2012** – Robert D. Arnott and Denis B. Chaves. Demographic Changes, Financial Markets, and the Economy. Financial Analysts Journal. Jan/Feb Vol. 68 Issue 1, pg-.23-46;
82. **Sánchez-Romero....2013** – Sánchez-Romero M. The role of demography on per capita output growth and saving rates. Journal of Population Economics. Oct. Vol. 26 Issue 4, p1347-1377. 31p
83. **The World...2017** –The World Bank. <http://data.worldbank.org/>;
84. **Unated....2017** – Unated Nations Statistics Division. <http://unstats.un.org/unsd/economicmain.htm>
85. **Unated..2017** –Unated States Departments of Labor. <https://www.bls.gov/opub/>
86. **Wanda 2016** – Wanda A. Accounting Research Methods, Do the Facts Speak For Them- selves, Wallace, The Deborah D. Shelton Systems Professor of Accounting Texas A & M University, IRWIN, Boston, ISBN 0-256- 10047-0